კვირის პალიტრა
N34 (324

1168
2006

ტელეფონი უნიტაზში და ორცოლიანი კაცის სიყვარული — ის, რაც ამ ზაფხულს მოხდა

რატი სამყურაშვილმა საცოლე ჭიამაიით დანიშნა

საქ დაუნიშნა ზურა ხაჩიძემ სოფო ხალვაშს პაემანი



ფეხებმოწყვეტილ ციცინას გონება არ დაუკარგავს...
„...ნახეთ, ფეხები თუ არ ამომივიდესო...“

ვის ეკუთვნის სოფოს გული

ტყვედ ჩავარდნილი „მგლების“ პეტორი ნარკომაფიას დაუპირისპირდა

ვის გაუყარა ჩანგალი ყურის მოჭრას გადარჩენილმა გიორგი ყიფშიძემ

მიხეილ სააკაშვილს, შალვა ნათელაშვილს და ეკა კვალიაშვილს მაჭანკლები გამოუჩნდათ...

3G პირველად საქართველოში

მესამე თაობის კავშირი

გინდათ ხედავდეთ მეგობარს მობილურით საუბრისას?

გინდათ მობილურში უყუროთ საყვარელ სატელევიზიო გადაცემებს?

გინდათ მობილურიდან ათვალიეროთ სასურველი ვებ-გვერდები იმაზე გაცილებით სწრაფად, ვიდრე ოდესმე?

პირველად საქართველოში მაგთი გთავაზობთ მესამე თაობის სერვისებს: მაგთის ვიდეოზარს, მაგთის მობილურ ტელევიზიას, მაგთის მაღალსიჩქარიან ინტერნეტს.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

მაგთის მობილური ტელევიზია

3G პირველად საქართველოში

ნუ მიეჯაჭვებით ერთ ადგილს

სერვისი მაგთის მობილური ტელევიზია გაძლევთ საშუალებას, მობილური ტელეფონის ეკრანზე უყუროთ სატელევიზიო გადაცემებს პირდაპირ ეთერში, ანუ რეალურ დროში.

სერვისით სარგებლობა შეუძლია მაგთის ნებისმიერ აბონენტს, რომელსაც აქვს მესამე თაობის ტელეფონი, გააქტიურებული შესაბამისი სერვისით.

მაგთის მობილური ტელევიზიის სერვისის ჩართვა:
აკრიფეთ 44300041, OK.

სერვისის გააქტიურება უფასოა.
უფასოა თვეში პირველი 30 წუთი, მათი ამოწურვის შემდეგ კი წუთის ღირებულებაა 15 თეთრი.
დროის აღრიცხვა/დაანგარიშება — 1 წამის სიზუსტით.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

ეზო
№34 (324)
24 – 30 აგვისტო, 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
XXI საუკუნის კლიმატური ანომალიები ანუ „მამა-აფრიკა“ საქართველოში 3
ერთი კითხვა 4
უცხოური პრესა
„Тут помню, а тут – уже нет...“ ანუ ვინ ცდილობს სინამდვილეში ძველი ტრაქტატების ახლებურად წაკითხვას? 6
ტრაგედია
ფეხებმოწყვეტილ ციცინას გონება არ დაუკარგავს... 7
სოფელი
ვირის „ტაჩკაზე“ ჯდომისგან გამოთქვეფილი გვერდები და „პადვიასკაში“ დამალული ლენინის თავი 10
ჟურნალისტის როლში
როგორ გრდის გურა ხაჩიძე თავის გოგონას და ვინ ურეკავს სალვაშს ყოველდღე 12
კრიმინალი
•მკვლელობა რძალ-მამამთილს შორის ჩხუბს მოჰყვა 14
•მკვლელობა კუს ტბაზე 16
გზავნილები
ის, რაც ამ გაფხულს მოხდა 17
ავტორი
ერთი ღამის კოშმარი, მკიმე მოგონება და ტყვედ ჩავარდნილი გოჩა მანველიძის საფიქრალი 21
თემა
პაემანს ნიშნავენ, ხვდებიან და... 23
გაბრაზებულები
ტრაგიკომედია 26
ოჯახი
„ჰიამაიით“ დანიშნული საცოლე, გააქტიურებული პოლიტიკოსი და ჯიუტი ჟურნალისტი 28
თინეიჯერული პონტები
„გოგო ბიჭს თუ კინოში გაჰყვებოდა – ე.ი. ცუდი იყო“ 30
დოკუმენტური პროზა
სანამ ცოცხლები ვართ... (გაგრძელება) 33
ტაიმ-აუტი 36
რომანი
გაგა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
ჯანმრთელობა
•მასტოპათია – ვიმკურნალოთ დროულად 42
•რატომ ცოცხლობენ მამაკაცები ქალებზე ნაკლებს? 42
•პოსმეტიკა შორეულ საუკუნეში ილებს სათავეს 43



როგორ გრდის გურა ხაჩიძე თავის გოგონას

„ის ამერიკელი კონკურსანტი გოგო რომ არ ყოფილიყო, გრანპრის ჩამოიტანდი. შენ რომ მღეროდი, მთელ სხეულში ქრუანტელი მივლიდა. არ მეგულება ქართველი, იგივე განცდა არ ჰქონოდა, როდესაც სცენაზე გიყურებდა. მიხარია, რომ იქ ყველას შენი სახელი ეკერა პირზე, ყველა „სოფიკო, სოფიკოს“ ყვიროდა... ამის ნახვის შემდეგ მთელი ღამე, ძილშიც „სოფიკო, სოფიკო“ ჩამესმოდა“.

12

ფეხებმოწყვეტილ ციცინას გონება არ დაუკარგავს...

„ხანდახან იტყვის ხოლმე – ნახეთ, ფეხები თუ არ ამომივიდეს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფეხზე მაინც გავივლიო!..“

7

სანამ ცოცხლები ვართ...

„ერთ დღეს, მამიდებმა გვითხრეს, რომ ჩხირკედელა მეგობლის ბიჭს რადიო „თავისუფლების“ გადაცემა დაეჭირა და მოხუცებს კიტა ჭალელის ხმა გაეგონათ“.

33



ტრილიონ დოლარად ღირებული „მეგობრები გოგონებისთვის“

„გულუხვ მამაკაცთა“ სიაში ყველაზე ორიგინალური, ტაილანდის ერთ-ერთი მოქალაქე აღმოჩნდა, რომელმაც ალმასებით საყვარელი... კატა დაასაჩუქრა.

44

ლამაზი ცხოვრება

ტრილიონ დოლარად ღირებული „მეგობრები გოგონებისთვის“ 44

ობიექტივი

ფოტოგრაფის ალბომიდან 47

მინდვრებს მიღმა

ცხოველიც, ყასაბიც, „კილერიც“, მაგრამ მაინც მსოფლიო ჩემპიონი... 48

ქართული დეტექტივი

გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (დასაწყისი) 50

ტაძარი

ადამიანთა ცოდვების სიმძიმით გაწყვეტილი, სვეტიცხოველსა და ჯვარს შორის გაბმული ჯაჭვი 54

მსხვერპლი

დახვრეტას გადარჩენილი სიკვდილმისჯილის მოგონებები 55

ბომონდი 57

კარიერა

სადამ ჰუსეინის ცოლის აუზი, ერაყული „ჯეობარი“ და ქალის სანაცვლოდ შეთავაგებული 50 აქლემი 59

ფესვები

მცირერიცხოვანი ერების ქომაგი ხელოვანი და ფუძიდან ამოსული „ჯინველოი ნანაი და...“ 61

პრეზენტაცია

ნაცარში ჩავარდნილი კოვზი და შეშინებული იუბილარი 62

ავტო 63

ბომონდური მოზაიკა 64

ჰოროსკოპი

კვირის (24-30 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 66

ნამდვილი ამბავი

„გაძარცული“ მიცვალებული... 67

შეუცნობელი

14256 წინასწარმეტყველება და კენედის გაფრთხილების ამაო მცდელობა 68

ტესტი 70

სკანვორდი 71

...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ინტერნეტნაცნობობა

თუმცა, ერთმანეთის გარეშე მაინც ვერ ძლებენ – პაემანს ნიშნავენ, ხვდებიან და... მორიგ იმედგაცრუებას განიცდიან... ისევ ეძებენ, ისევ ხვდებიან და ასე ტრიალებს კარუსელი...

23

სადამ ჰუსეინის ცოლის აუზი და ერაყული „ჯეობარი“

„სამწუხაროდ, ხინკალსა და ხაჭაპურს ვერ გვიკეთებენ. ქართველებს სასადილოშიც ვხვდებით ხოლმე. ისინი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში უყვირიან ერთმანეთს: ეე, ბიჭო, ესა და ეს წამომიღეო“.

59

„ჭიამაიით“ დანიშნული საცოლე...

„ქორწილი 17 ივნისს გვქონდა – ჯვარი სამების ტაძარში დავიწერეთ. ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი სწორედ ეს პროცესი იყო. მღვდელი ხმამაღლა და გამოთქმით აღასრულებდა ღვთისმსახურებას – თითქმის ყველა სიტყვა მახსოვს და ალბათ, ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება“.

28

თეთრი სიკვდილი

– ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი.

– მაშინ, რატომ იმყოფებიან ჭელიძეები საბრალდებო სკამზე?! – გაიკვირვა მოსამართლემ.

– ჩვენ მართლა ვიმსჯელეთ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე, მაგრამ ამის საშუალებას მათი ადვოკატი არ გვაძლევს, – უპასუხა პროკურორმა.

– როგორ?! – დაიბნა თამაზი. – მდივანი, ჭელიძეების გათავისუფლების წინააღმდეგია?!

50

XXI საუკუნის კლიმატური ანომალიები

ანუ „მამა-აფრიკა" საქართველოში

დედამიწა ბრუნავსო, ერთხელ წამოსცდა სიმთვრალეში ჯორდანო ბრუნოს და საცოდავი სულ „ნა ვერტილე" შეწვეს... მეშინია, მეც იგივე ბედი არ მეწიოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მგონი დედამიწა — მარტო ღერძის ირგვლივ და თავის ღერძიანად — მზის ირგვლივ ბრუნავს კი არა, ხანდახან დახტის კიდეც უხეირო ფეხბურთელის პასივით. აბა, რას მივაწეროთ ის კლიმატური ანომალიები, სამხრეთ აფრიკაში რომ გაგანია ზაფხულში თოვლი მოდის და ჩვენთან კიდევ, წვიმას ვინ დაეძებს, დილის ცვარი ენატრება ხალხს...

მოკლედ, ნამდვილად გათვალულები ვართ: იმდენი იძახეს, საქართველო ზომიერ სარტყელშია მოქცეული და ზამთარიც და ზაფხულიც ზომიერი იცისო, სულ აირია ყველაფერი. ალბათ, ჩვენი მეტეოროლოგები „ზომიერ სარტყელში" იმას გულისხმობენ, რომ არც გიჭერს ეს სარტყელი და არც ჩავარდნაზეა, თორემ ესაა ზომიერი?!. გვალვა როგორ არ გამიგია, მაგრამ ახლა მიწა ისეა დამსკდარი და იმსიგრძე ნაპრალები აქვს, რომ ბარის ერთი-ორი დარტყმა უნდა და დედამიწის მეორე მხარეს ხარ გასული. მოკლედ, თუ დროზე არ მოგვისწრო წვიმამ და ეს ბზარ-ნაპრალები არ „შეხორცდა", მალე ხალხიც მიხვდება ამას და მერე აღარც შენი ვიზა უნდა და აღარც — კონსულთან გასაუბრება, ქვეყნიდან არალეგალებად ხალხის გადინება მაშინ ნახეთ თქვენ...

ჩვენი მეტეოროლოგების ანუ ე.წ. „კლიმატკონტროლების" სტატისტიკით, ზუსტად ასეთი ზაფხული 125 წლის წინ ყოფილა, ანუ 1881 წელს; ნახეთ, როგორი რიცხვია, წაღმიდანაც და უკუღმიდანაც, ზევიდანაც და ქვევიდანაც ერთნაირად იკითხება. ე.ი. მაშინაც თავდაყირა დახტოდა დედამიწა, მაგრამ კაცი არ იყო პატრონი და 125 წლის მერე გაუმეორა.

სულ ტყუილი ყოფილა, ქართველები რომ ვმღერით, — მზე დედაა ჩემიო: ასეთი დედაშვილობა არავის გაუგია?! ზედმეტი სითბო და სიცხე არც დედობრივი გვინდა! ისე კი, ყველაფერი ამ სიმღერების და მომღერლების ბრალია: ჩვენი წინაპრები გიჟები კი არ იყვნენ, მზეს, მთვარეს, წვიმას და ღრუბელს ტკბილ და მოსაფერებელ სიმღერებს რომ უმღეროდნენ, სასურველი ამინდი რომ ჰქონოდათ. ახლა კი, რა საშინელებებს მღერიან, არ უნდა დაუკვირდნენ?!

ადგა ის გოგო და იმღერა „მზეო, ჩემო დედაო, სიტყვას გაგიბედავო"... არ უყვართ მშობლებს ენის შეტლიკინება. გაბრაზდა და დაგვაცხუნა უმოწყალოდ. ესეც არ იყოს, რაც ჩვენ წვიმა ვლანძღეთ მუსიკალურად უკანასკნელი სიტყვებით, როგორ არ გვრცხვენია, რომ ახლა წვიმას ვნატრობთ: წვიმს, უცნაურად წვიმსო; სულელი წვიმაო... და შენ რომ სულელი და დეგენერატი გიწოდოს ვინმემ, მიხვალ კიდევ იმასთან?!. გაბრაზდა წვიმაც, აღარ მოვიდა და ღრუბლად გაჩერდა... არც იქ მოვასვენეთ და შევუმღერეთ, ღრუბელს რაღა უნდოდაო... ჰოდა, იმანაც თქვა, მე თუ რაღა მინდოდა, ჩემი ფეხი აღარ იქნება თქვენთანო და ისიც დაიკარგა. ვიყოთ ახლა ასე, ამომხმარ გუბეში ჩარჩენილი ბაყაყებივით, ერთმანეთის ჩრდილს მოვეფაროთ და ვაქოთ ქართული ესტრადა...

ბოლო წერტილი კი იმ მომღერალმა დაგვისვა, აფრიკული „ფოლკით" რომ მოიწონა თავი, — მამა-აფრიკაო რომ დასჭექა ამ ხნის კაცმა და სულ გადარია ახალგაზრდები. ე, ბატონო, ჩვენც აფრიკულად გვცხელა ახლა და აფრიკელები კიდევ, გუნდაობით ერთობიან.

გამოსავალი?!. გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს და კიდევ ერთ რჩევას მივცემ ჩვენს მთავრობას: გავიხსენოთ ქვეყნის გადარჩენის ისტორიული შემთხვევა: მაინც ვყრივართ და სულს ვღაფავთ ამ მზის გულზე, ჰოდა, ბარემ ცოტნე დადიანივით, თაფლი წაისვას ყველამ. ამ საქციელმა კაცთმოძულე და გულქვა მონღოლ ნოინს სულ სიბრალულის ცრემლები აღვრევინა და ბუნებას როგორ არ შევებრალებით?!

ამით კლიმატური ბალანსიც აღდგება და თან ჩვენი ხელისუფლება ხომ ლამაზ სანახაობებზე აფანატებს, ჰოდა, იმაზე უკეთესი სანახაობა რაღა გვინდა, კანცელარიის წინ თაფლწასმულ მინისტრთა კაბინეტს რომ ვიხილავთ...

P.S. განცხადებები საქართველოს ტელევიზიით:

1. „გამოვიდა მსოფლიოს რუკების ახალი კრებული ცვალებადი გამოსახულებით: პოლიტიკურ რუკაზე საქართველო თანდათან მიცოცავს ამერიკისკენ; კლიმატურ რუკაზე იგი აფრიკის სამხრეთ ნაწილშია მოთავსებული; ეკონომიკურ რუკაზე კი საქართველოში ისევ ანტარქტიდაა"...

2. ამინდის პროგნოზი ხვალისათვის ასეთია: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი აფრიკა, მთაში — ეგვიპტე, ბარში — კოტ-დ'ივუარი; აღმოსავლეთ საქართველოში კი — ხვალ ისევ ავსტრალია და ინდოეთი იქნება შენარჩუნებული: მთაში — ფილადელფია, ბარში კი ბომბეის კალკუტა შეცვლის"...

პროვოკატორი

მოიმატებს თუ არა მეტროთი მგზავრობის საფასური?

— საკრებულოს ოპოზიციის მტკიცებით, მეტროპოლიტენით მგზავრობა მალე 50 თეთრი ეღირება, ხელისუფლება ამ თემაზე ლაპარაკს ნაადრევად მიიჩნევს. თქვენ რა ინფორმაციას ეყრდნობით?

კახა ძაგანია, *ფრაქცია „ლეიბორისტის“ წევრი:*

— შარშან სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდში მეტროპოლიტენმა ნახევარი მილიონი ლარი გადარიცხა. თუ ასე უჭირს თბილისის მეტროს, სხვა ფონდებში ფულის გადარიცხვას როგორღა ახერხებს?!. გარდა ამისა, აშკარა კრიმინალთან გვაქვს საქმე, რადგან მეტროპოლიტენი მთავრობის მიერ დაფინანსებული შპს-ა და უფლება არა აქვს, საბიუჯეტო თანხები საკუთარი ნება-სურვილით განკარგოს. სავარაუდოდ, მგზავრობის ღირებულების გაზრდა წლის ბოლომდე არ მოხდება, რადგან წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება პიარ-აქციებით დაკავდება, მაგრამ თბილისის მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრებში უკვე დაფიქსირებულია, რომ მეტროპოლიტენი, გაზრდილი ტარიფის გათვალისწინებით, 10 მლნ-ით დაფინანსდება. მარტივი გამოთვლითაც კი შეიძლება გამოიტანო დასკვნა, რომ მეტროპოლიტენით მგზავრობის ტარიფი დაახლოებით 50 თეთრამდე გაიზრდება. წარმოიდგინეთ, ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, თბილისის მცხოვრებთა ოჯახის ბიუჯეტს, ეს რა დარტყმას მიაყენებს! ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები ჯერ შეთანხმებული არ არის და ყველა წინასწარ გაკეთებული განცხადება ნაადრევია. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, თუ ფასი არ მოიმატებს, მაგრამ როგორც წესი, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი პირვანდელი ფორმით მტკიცდება. თუმცა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მეტროს გაძვირება ვერ შეძლოს.

■

„დემოკრატიის ანბანი ყველამ უნდა დავიცვათ“

— თქვენი აზრით, თუ ოპოზიციის ერთი ნაწილი ბადრი პატარკაციშვილმა დააფინანსა, მერის პოსტზე არჩევნებში მისი გამარჯვების შანსი რამდენად დიდია?

გიგა ბოკერია, *საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:*

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მოსახლეობა ნდობას ჩვენს კანდიდატს გამოუცხადებს და არაფერი გვაშინებს. პრობლემა სხვა რამეში მდგომარეობს: რატომ უმალავდნენ საკუთარ ამომრჩეველს იმ ინფორმაციას, რომ რამდენიმე პარტიის ლიდერი მოლაპარაკებას მართავდა ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილთან და მის მეგობარ ბორის ბერეზოვსკისთან?.. საინტერესოა, პატარკაციშვილს ბევრი ფული რომ არ ჰქონდეს და ტელევიზიის მფლობელი არ იყოს, მისი პერსონით, რეპუტაციითა და მსოფლმხედველობით დაინტერესდებოდნენ?.. ოპოზიციურ პარტიებს უფლება აქვთ, ფული მიიღონ ბადრი პატარკაციშვილისგან, მაგრამ ხალხის ზურგს უკან არ უნდა გაკეთდეს ეს, თუ მიაჩნიათ, რომ მათ ქმედებაში არაფერია სამარცხვინო. ვთქვათ, ბადრი პატარკაციშვილთან შეთანხმებისათვის ვერ მიეღწიათ; ამომრჩეველი ხომ ვერ გაიგებდა, ვისთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და რამდენად მისაღებია მისთვის ისეთი პარტიის მხარდაჭერა, რომელიც მზადაა, ბორის ბერეზოვსკისთან და მის მეგობართან ითანამშრომლოს! პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ფინანსური ფაქტორის გათვალისწინებით წავა რაღაც პირობებზე, შესაძლებელია, სხვა გარემოების გავლენის ქვეშაც მოექცეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ამის შესახებ უნდა იცოდეს ამომრჩეველმა. ხელისუფლებამ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს ბიუჯეტიდან გამოუყო ფინანსები; თუ საჭირო გახდა, ამ თანხის გაზრდაზე შეიძლება მსჯელობა. ამით გვინდოდა, პოლიტიკოსები იმ პერსონების გავლენისგან დაგვეცვა, რომელთაც ფინანსური ინტერესების გამო უკავშირდებიან. მე ბრალს არავის ვდებ, მაგრამ დემოკრატიის ანბანი ყველამ უნდა დავიცვათ.

■

„საპარლამენტო ოპოზიცია არაფრის მაქნისია“

— ოპოზიციის ერთი ნაწილი არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, უფრო რადიკალურად განწყობილი პარტიები კი — ბოიკოტს. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშია შექმნილი?

ნოდარ ნათაძე, *„სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე:*

— მოქმედი კანონმდებლობის პირობებში არჩევნების ნორმალურად ჩატარება გამორიცხულია, მასში მონაწილეობა კი ახალი ტოტალური გაყალბების ლეგიტიმაციას ნიშნავს. საპარლამენტო ოპოზიციამ, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათი მოთხოვნა არ შესრულებულა, ბოიკოტის შეწყვეტა გადაწყვიტა. ეს ნაბიჯი იმით აიხსნება, რომ უპრინციპო, არაფრის მაქნისი ადამიანები არიან. რეალურად მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, ამიტომ ერთადერთი მიზანი აქვთ — იტივტივონ ზედაპირზე. პოლიტიკა მათთვის დასაქმების საშუალებაა, ამის გარეშე არარაობად გადაიქცევიან... საპარლამენტო ოპოზიციისთვის, დღევანდელი ხელისუფლებას მსგავსად, გავლენისთვის ბრძოლაა მთავარი და არა, ქართული სახელმწიფოსთვის მსოფლიოში ადგილის დამკვიდრება. ქუჩაში რომ გადიან, საკაშვილებს „წადი“ კი არ უნდა უძახონ, არამედ ნორმალური საარჩევნო კანონი უნდა მოითხოვონ. ვინც მიაღწევს რეალისტური, დემოკრატიული კანონის მიღებას, ის კიდეც მოიგებს არჩევნებს. ამის ჭკუა კი ვის ჰყოფნის?!. რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდს, — ხელისუფლების წარმომადგენლები მოქმედების ტაქტიკას ტოტალურ გაყალბებებზე ააგებენ, მათ სხვა შანსი არც აქვთ. თავის მხრივ, ე.წ. „მოტივტივე“ ოპოზიცია შეეცდება, რომ ხელისუფლებას შეუთანხმდეს იმაზე, რომ რაღაც ფორმით დარჩეს პოლიტიკაში. ეს გარიგება აუცილებლად შედგება. ორი მხარის დაპირებები კი, ძირითადად, პენსიების გაზრდასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას შეეხება, მაგრამ ეს ფორმალური მხარე იქნება, არჩევნების შედეგებს აუცილებლად გააყალბებენ.

■

500 ჰექტარი დამწვარი ტყე, ასწლოვანი პერსპექტივა და მავნებლებთან ბრძოლის აუცილებლობა

ალმოდებული ტყის მასივი — ეს, ბევრი ქვეყნის წინაშე ყოველ ზაფხულს დიდ პრობლემად იქცევა. წლეულს, ის მთელი სიმწვავით ჩვენ წინაშეც დადგა. როგორც ცნობილია, ხანძრის შედეგად, 500 ჰექტარზე მეტი ტყე დაიწვა. ძლიერი სიცხის გამო, ცეცხლთან ბრძოლა გაჭირდა. მაგრამ თურქეთისა და უკრაინის დახმარების გარეშე, ხანძრის ლოკალიზება და ლიკვიდაცია გაცილებით მეტ დროსა და რესურსს წაგვართმევდა. მომხდარის შედეგებსა და იმაზე, თუ მომავალში რა პრევენციული ზომები შეიძლება დავუპირისპიროთ სტიქიას, მუსხელიშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, ალექსანდრე ურუშაძეს ვესაუბრეთ.

ლელა ჯიყაშვილი

— დაიწვა 500 ჰექტარი ტყე, რაც ძალზე დააზარალებს ქვეყნის ეკოსისტემას. ხეების გარდა, განადგურდნენ მწერები, ცხოველები და ფრინველები. 500 ჰექტარი საქართველოსთვის ძალზე ბევრია. მართალია, რუსეთში გაცილებით დიდი ფართობის ტყეებიც დამწვარა, მაგრამ მას დიდი ტერიტორია აქვს, რუსეთის ტყეები მსოფლიო ტყეების ერთ მესამედს შეადგენს. ხანძრის შემდეგ ტყის ის საფარი, რომელიც გადარჩა, ეკოლოგიურ პოტენციალს კარგავს. ისე სუსტდება, რომ ვერც ერთ დაავადებას ვეღარ გაუძლებს. არადა, ძალზე გავრცელებულია მავნებლური დაავადებები. ასე რომ, ხანძარს გადარჩენილ ხეებსაც განადგურება ემუქრება.

ჩვენს რელიეფში ტყეები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ნიადაგსამაგრ ფუნქციას ასრულებს. ტყის გარეშე გახშირდება წყალმოვარდნა და გვალვა, სხვადასხვა სტიქიური მოვლენა. ხანძრის შედეგს თანდათან დავინახავთ. ერთადერთი, რაც შემიძლია დასაიმედებლად გითხრათ, ის არის, რომ ხანძრის შემდეგ, აუცილებლად დაიწყება ჯიშთა ცვლა. თუ აქამდე, იქ ნაძვნარები და სოჭნარები იყო, ნაცარი ნიადაგს გაანაყოფიერებს და ფიჭვის ტყეები ამოიზრდება.

— წინასწარ რა იცით, ფიჭვის ტყე გაიზრდება თუ არა?

— ფიჭვს სინათლე უყვარს. ნახანძრალზე, ყველგან, სადაც ასეთი ეკოფონია, აუცილებლად ფიჭვი იზრდება. ნელ-ნელა, როცა ჩრდილი გაჩნდება, ნაძვი და სოჭი გაიზრდება. ეს ასწლოვანი პერსპექტივაა, ჯერჯერობით კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 15 წელიწადში ახალგაზრდა ფიჭვის ტყეები გვექნება იქ, სადაც ხანძარი მძვინვარებდა.



ხეების გარდა, განადგურდნენ მწერები, ცხოველები და ფრინველები. 500 ჰექტარი საქართველოსთვის ძალზე ბევრია...

— ამხელა ხანძრის მიზეზი მხოლოდ ცხელი ზაფხულია?

— რა თქმა უნდა, მაღალი ტემპერატურა ქმნის ხანძარსაშიშროებას, მაგრამ ამხელა ხანძრის თავიდან აცილება მაინც შეიძლებოდა. თავის დროზე ტყისთვის რომ მიეხედათ, პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩაეტარებინათ, გაეყვანათ ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკები, წიწვოვანი ხეებისთვის ქვედა ტოტები შეეჭრათ, ხანძარი ასეთი მასშტაბური არ იქნებოდა. თუ მოგვიანებით ცეცხლმა მიუვალ ადგილებამდე მიაღწია, თავიდან ისეთ ადგილზე გაჩნდა, სადაც ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკების გაკვალვა აუცილებელიც იყო და შესაძლებელიც...

— არის კი ჩვენთან ტყე, სადაც ეს მოწესრიგებულია?

— ზოგან მეტყევეები აკეთებენ, მაგრამ ეს, ზღვაში წვეთია. დასანანია, რომ სახელმწიფო აღარ აფინანსებს ასეთ სამუშაოებს. დიდი მადლობა თურქებს, რომ დაგვეხმარნენ, მაგრამ კარგი იქნებოდა, ჩვენც მზად ვყოფილიყავით ასეთი შემთხვევებისთვის. ადიგენის ტყეებში ალბათ, უკანონოდ ჭრიდნენ ხეებს. ამიტომაც იყო გზა ბევრგან ჩახერგილი და მეხანძრეებს ეფექტიანი მოქმედების საშუალება არ მიეცათ. გაჩნდება თუ არა ხანძარი, მომენტალური რეაგირებაა საჭირო.

— წლევანდელმა ცხელმა ზაფხულმა მხოლოდ ადიგენის ტყე დააზარალა?

— ამ დროისთვის 18 ხანძარია დაფიქსირებული. დაიწვა ტყე შავნაბადის მიდამოებში, ლისის ტბის ზემოთ, გორის მახლობლად, სამცხე-ჯავახეთში. საბედნიეროდ, ამ ადგილებში ხანძარი სწრაფად ჩააქრეს.

— ზოგადად, როგორ აფასებთ საქართველოს ტყეების მდგომარეობას?

— იმ ტყეებში, სადაც ხანძარი გაჩნდა, საშინელი მდგომარეობა იყო. ახლაც, რომ მოიაროთ იქაურობა, პარაზიტული დაავადებებისგან გამხმარ უამრავ მცენარეს ნახავთ. ფოთლოვან მცენარეებს წამლის მისხურება ესაჭიროება, წიწვოვანებს — ფერომონების ჩამოკიდება. რახანია, ასეთი ღონისძიებები აღარ ტარდება!.. შარშან, ბიძინა ივანიშვილმა 500 ათასი ფერომონი გვაჩუქა და გვითხრა — დაჰკიდეთ და გადაარჩინეთ წიწვოვანი ხეებიო. ეს მართლაც, საშური საქმე იყო, მაგრამ ასეთ საკითხებში სახელმწიფო არ უნდა ეურდნობოდეს ქველმოქმედებას.

სამცხე-ჯავახეთში პარაზიტებისგან ათასობით ჰექტარია განადგურებული. ეს გაცილებით დიდი ზარალია, ვიდრე უკანონო ხის ჭრისგან მოყენებული. ტყეს მოვლა სჭირდება. მართალია, ბრაკონიერებს ებრძვიან, მაგრამ დაავადებებთან ბრძოლაც აუცილებელია. დაფინანსება მიზერულია, ჰოდა, შედეგსაც ვიმკით...

■

„აფხაზური მხარის პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლოა“

— აფხაზები კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მონიტორინგში რუსი სამშვიდობოების მონაწილეობას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაციის დაძაბვით იმუქრებიან. როდის და ვისი მონაწილეობით დაიწყება ხეობის ინსპექტირება?

მერაბ ანთაძე, *სახელმწიფო მინისტრი:*

— 20 აგვისტოდან საქართველო მზად არის, გაეროს მისიის სამხედრო დამკვირვებლების ძალებით უზრუნველყოს კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მონიტორინგი, მაგრამ ეს მოხდება რუსი სამშვიდობოების მონაწილეობის გარეშე. ამ ეტაპზე, მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალები მონიტორინგში არ მონაწილეობენ, მაგრამ გაეროს სადამკვირვებლო მისიაში რუსეთის წარმომადგენლებიც შედიან. ჩვენ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს მონიტორინგის პროცესში, უსაფრთხოების სრულ გარანტიას ვაძლევთ. გარდა ამისა, დამკვირვებლები უზრუნველყოფილნი იქნებიან სატრანსპორტო საშუალებებით. კოდორის ხეობაში დაგეგმილი ღონისძიებები ხორციელდება საერთაშორისო ნორმების დაცვით და აფხაზური მხარის პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლოა. რუსი სამშვიდობოები მაღე მთლიანად დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ეს შეუქცევადი პროცესია. ქართული მხარე მზად არის, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მზადყოფნის შემთხვევაში, სოხუმში გაემგზავროს იმ პრობლემებზე მოსალაპარაკებლად, რომლებიც ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთის მიერ აფხაზების წაქეზება — საკითხების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებისკენ და ე.წ. შეიარაღებული „მოხალისეების“ შემოყვანისკენ. ჩვენ აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას „ბოევიკების“ და თოფის გავარდნის გარეშე.

■

„ТУТ ПОМНЮ, А ТУТ – УЖЕ НЕТ...“ ანუ ვინ ცდილობს სინამდვილეში ძველი ცჩაქცანტეპის ახლებურად წაკითხვას

რუსუდან ლებანიძე

XV საუკუნეში, რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული, გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობას მე და ჩემს თაობას სკოლაშივე საგანგებოდ გვიხსნიდნენ და გვასწავლიდნენ. კომუნისტურ „წრთობაგამოვლილი“ ჩვენი მაშინდელი ისტორიის მასწავლებლები ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ „უდიდესი ისტორიული მოვლენის“ არსის ჩვენს ჯერაც მყიფე ტვინებამდე „დასაყვანად“, ნამდვილად არაფერს იშურებდნენ. თუმცა, იმავდროულად, მაშინდელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, ერთგვარი უსიტყვო შეთანხმებაც არსებობდა, რომელიც დაახლოებით ასე იშიფრებოდა: „ერთს ვამბობთ, მეორეს ვგულისხმობთ. დამახსოვრებით კი, მხოლოდ სიმართლეს ვიმახსოვრებთ“, — და რადგანაც სიმართლის არა მხოლოდ დამახსოვრება, არამედ, ხმამაღლა თქმაც ბევრს სწყუროდა, როგორც კი, საქართველოში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირველმა სიომ დაბერა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, გეორგიევსკის ტრაქტატზეც სრული სიმართლე ითქვა და არაერთ საინფორმაციო საშუალებაშიც დაიწერა და დღემდეც იწერება. ასე რომ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამასწინანდელი პუბლიკაცია, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენს. თუმცა, გაზეთმა „იზვესტიამ“, რატომღაც, სწორედ მასზე შეაჩერა მკითხველის ყურადღება და მისთვის, როგორც ფრიად სოლიდური გამოცემისთვის სრულიად შეუფერებელი — გაბუტული ბავშვის პოზიციაც დაიკავა. იმას, თუ რატომ ხდება ეს ყველაფერი მაინცდამაინც დღეს, ვინძლო, ჩვენი მკითხველი თავადვე მიხვდეს...

ფრიად პატივცემული ისტორიკოსის — ივანე ჯავახიშვილის სახელის გამოყენებით, საქართველოში რუსეთთან ურთიერთობის ისტორიის ხელახალ გადაწერას აპირებენ. ისტორიკოსის „ადრე აკრძალული“ ნაწარმოებიდან ამოკრებილი ციტატებით იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ რუსულ-ქართული კავშირების ცნობილი „ვერსია“ — ისტორიის ფალსიფიკაციაა და მხოლოდ იმას ემსახურება, რომ „სიცრუე და ძალადობა „ძმობად“ და „მეგობრობად“, საქართველოს დაპყრობა კი — „რუსეთის სახელმწიფოში ნებაყოფლობით შესვლად“ წარმოგვიდგინოს.

ახლახან, ქართულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ძალზე საინტერესო ტექსტი — „სიმართლე გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ“ — გამოჩნდა. ტექსტი მაშინვე გამოიფინა „Грузия online“-ის საიტზეც, რომელიც თბილისის დღევანდელ ხელისუფალთათვის უცხო ნამდვილად არ გახლავთ. სტატიას რამდენადმე ბუნდოვანი შესავალი აქვს — კერძოდ, მასში ვკითხულობთ: „გთავაზობთ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კვლევათა შედეგებს, რომელიც გამომცემლობა „განათლების“ ყოფილმა თანამშრომელმა, ქალბატონმა ნინელი საბაშვილმა გადმოგვცა. ეს მასალები იმ დროს ვრცელდებოდა, როცა საქართველო უკანასკნელად ზეიმობდა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების თარიღს...“

ამის შემდეგ იწყება რამდენიმეტომიანი თხზულების — „ქართველი ხალხის ისტორია“ — გადმოცემა. რეფრენი ყველგან ერთია: გეორგიევსკის ტრაქტატი ცბიერ რუს იმპერატორებს მინდობილი, უწყინარი ქართველი მმართველების საბედისწერო შეცდომა იყო.

გაგრძელება იხ. გვ. 69

16 აგვისტოს, თურქეთში, სამსუნთან მომხდარი ავარიისა და მისი უმძიმესი შედეგების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგრამ ბუნებრივია, დაზარალებულთა მდგომარეობით საზოგადოების დაინტერესება კვლავაც არ ნელდება. ყველამ გულთან ახლოს მიიტანა მომხდარი ტრაგედია... როგორც ცნობილია, ყველა დაშავებული, ერთი ავადმყოფის გარდა, ამჟამად, თბილისში იმყოფება. 9 მათგანი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მოათავსეს, ხოლო ერთი — ყველაზე მცირეწლოვანი და მძიმე ავადმყოფი — 8 წლის ციცო ყალაბეგაშვილი, დედასთან ერთად, ჟვანიას სახელობის ბავშვთა პედიატრიულ საავადმყოფოში წევს.



ფეხებმოწყვეტილ ციციას გონება არ დაუკარგავს...

„ნახეთ, ფეხები თუ არ ამომივიდეს... მაინც გავივლიო!..“

ნათია ქივიძე

...დაღუპულთა შორის ყველაზე ახალგაზრდა — 20 წლის მარიამ კრავეიშვილი იყო, რომელიც 22 აგვისტოს, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან გამოასვენეს. მარიამი დასასვენებლად დასთან და მეგობრებთან ერთად, ბულგარეთში, „ოქროს ქვიშებზე“ იმყოფებოდა. სამწუხაროდ, მათი დასვენება დიდი ტრაგედიით დასრულდა. მისი დაც და მეგობრებიც, რა თქმა უნდა, მომხდარს ძალზე განიცდიან და იმ დღის გახსენება ძალზე უჭირთ. სწორედ ამის გამო, დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად, მარიამის ახლობელ ქალბატონს მივმართეთ.

— მარიამი ბულგარეთში, „ოქროს ქვიშებზე“ დასთან — ქეთისთან და კიდევ 5 მეგობართან ერთად იყო წასული. იქ ორი კვირა იმყოფებოდნენ. სხვათა შორის, თბილისიდანაც ავტობუსით წასულან... მშობლებმა მარიამი დასასვენებლად მარტო პირველად გაუშვეს და აი, როგორ დასრულდა ეს ყველაფერი... ბაქარ დარჩიაც მარიამის მეგობარი იყო და ისიც მათთან ერთად იმყოფებოდა. ფანჯრის მხარეს მარიამი იჯდა, გვერდით კი — ბაქარი, რომელსაც მასზე ხელი ჰქონდა გადახვეული და ორივეს ეძინა. ალბათ დანარჩენ მეგობრებსაც ეძინათ და ავარიის მიზეზებზე დაზუსტებით ვერაფერს ამბობენ. ისედაც ყველა შოკშია და ამ საკითხზე ლაპარაკი არ შეუძლიათ. როცა ავტობუსი გადაბრუნდა, ბაქარს ის ხელი, რომელიც მარიამზე ჰქონდა გადახვეული, ავტობუსის ქვეშ მოყვა და დაუზიანდა. მერე ექიმებს (ბაქარი თავადაც ექიმია) დაჟინებით მოსთხოვა კიდურის მიკერება, თორემ მასაც, სხვა დანარჩენებივით, ამპუტაციას გაუკეთებდნენ და უხელოდ დარჩებოდა... თბილისში დაბრუნების შემდეგ, მას ხელახალი, 6-საათიანი ოპერაცია დასჭირდა... ქეთის თავიდანვე დაუნახავს თავისი დასახიჩრებული და და შოკშიც ამიტომ ჩავარდა. ისიც ნახა თურმე, როგორ გადააფარეს მარიამს მიტკალი და თურქებმა ხელიც ჩაიქნიეს, მაგრამ შემდეგ უთხრეს, — რეანიმაციაში მოვათავსეთო. სიმართლე დაუმალეს.

— მარიამის მშობლებმა როგორ შეიტყვეს ამ ტრაგედიის შესახებ?

— მის მშობლებს ეს ამბავი ტელევიზიით არ უნახავთ, შინ არ იყვნენ. მომხდარის შესახებ, დაახლოებით დღის ორ საათზე შეიტყვეს და დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ თურქეთში, თუმცა სამსუნის საავადმყოფოში მისვლამდე მარიამის დაღუპვის ამბავი არ იცოდნენ, ეგონათ, მხოლოდ ფეხი ჰქონდა მოტეხილი. ჩვენც — მეზობლები და ოჯახის წევრები საკონსულოში ვრეკავდით, მაგრამ დღის მანძილზე დაზუსტებით ვერაფერი გავარკვიეთ — სიმართლეს ჩვენც გვიმალავდნენ. მხოლოდ გვიან საღამოს დაგვიდასტურეს ეჭვი — რომ მარიამი ნამდვილად გარდაცვლილი იყო. ოთხშაბათს წასულმა მშობლებმა მხოლოდ პარასკევს მოახერხეს მიცვალებულის გადმოსვენება. მარიამის მამა იყო, კონსულთან ინციდენტი რომ მოუვიდა — მისმა უგულობამ გამოიყვანა წონასწორობიდან გამწარებული კაცი... ვერ დაგვიჯერებია ეს ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ მარიამი კარგად სწავლობდა, გართობასაც ასწრებდა. ძალიან ენერგიული, ლამაზი და ჭკვიანი გოგო იყო. უამრავი მეგობარი ჰყავდა და დღეს ყველა ძალიან განიცდის მომხდარს. იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, უკვე პარლამენტში ჰქონდა დაწყებული მუშაობა. სექტემბრიდან, სამსახურშიც უნდა გასულიყო, მაგრამ აღარ დასცალდა...

...დაღუპულთა შორის ყველაზე ახალგაზრდა — 20 წლის მარიამ კრავეიშვილი იყო

ბუნებრივია, დაშავებულთა ამბითაც დავინტერესდი და ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადავინაცვლე. იქ საკმაოდ მკაცრი წესები აქვთ და ჟურნალისტები ფოიეს იქით არც შეგვიშვეს. თავდაპირველად, პაციენტთა მდგომარეობაზე კლინიკის აღმასრულებელ დირექტორს, დავით პავლიაშვილს ვესაუბრე, მერე კი — ორი პაციენტის ნათესავებსაც გამოვკითხე მომხდარის შესახებ.

დავით პავლიაშვილი:

— დღეისათვის ჩვენთან სულ 9 პაციენტი იმყოფება და ამჟამად მათი მდგომარეობა აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია. ერთ-ერთი მათგანი წავიდა, მაგრამ ისევ უკან დაბრუნდა, რადგან გადაწყვიტა, რომ მისთვის კლინიკაში ყოფნა უკეთესი იქნებოდა. ყველას, შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

— სულ რამდენ პაციენტს აქვს კიდურების ამპუტაცია გაკეთებული და ისინი როგორ გრძნობენ თავს?

— სულ 5 პაციენტს აქვს ამპუტაცია გაკეთებული. ჩვენი ექიმები მიიჩნევენ, რომ ჩვენმა თურქმა კოლეგებმა საქმეს კარგად გაართვეს თავი და ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. შესაბამისად, ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს პაციენტები დროულად დაუბრუნდნენ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს.

— ვინ კისრულობს პაციენტთა მკურნალობის ხარჯებს?

— მკურნალობის ხარჯებს, თავიდან ბოლომდე, საკუთარ თავზე ჯანმრთელობის სამინისტრო იღებს. არსებობს სპე-

ციალური პროგრამა, რომელიც ასეთი პაციენტების დაფინანსებას ითვალისწინებს.

— **გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ერთ-ერთი პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა და ის რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს...**

— ამჟამად რეანიმაციაში არც ერთი პაციენტი არ წევს. სამი მათგანი ტრავმატოლოგიურშია, ხუთი — ქირურგიულში და ერთიც — ნეიროქირურგიულ განყოფილებაში.

ნოდარ საბიაშვილი, *ავადმყოფ გიორგი გიორგაძის ბიძაშვილი:*

— გიორგის მარჯვენა ხელი აღარ აქვს, ამპუტაცია გაუკეთეს.

— **ვისთან ერთად იყო წასული და სად?**

— ზუსტად არ ვიცი, რომელიღაც ახლობელთან ერთად იყო. სტამბოლში პირად საქმეზე წავიდა. იქ 2 თუ 3 დღე გაჩერდნენ, საქმეები მოაგვარეს და იმ ავბედით დღეს თბილისში დაბრუნება გადაწყვიტეს. შემთხვევით, სწორედ ამ ავტობუსმა ჩამოიარა და ისინიც გამოჰყვნენ. საშინელი ამბავი მოხდა.

— **ოჯახი აქვს?**

— რა თქმა უნდა. მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. ძალიან განვიცდით, რომ ის ასეთ მდგომარეობაშია...

იური გიგაური, *ალექსი გიგაურის ბიძა:*

სანდასან იგყვის ხოლმე — ნასეო, ფეხები თუ არ ამომიჭრეს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფეხზე მაინც გავიელიო!..

— ალექსი ცოლ-შვილთან ერთად, ქობულეთში ისვენებდა. მერე ისინი იქ დატოვა და თვითონ, თავის მეჯვარესთან ერთად, სტამბოლში წავიდა. იქ თავიანთი საქმე მოაგვარეს, მეგობარი იქ დარჩა, ხოლო ალექსი შემთხვევით, მაინცდამაინც იმ ავტობუსში ჩაჯდა, რომელმაც მაშინ ჩამოიარა, როცა ჩემი ძმისშვილი ქობულეთში დაბრუნებას აპირებდა. ასე თქვა — მარჯვენა მხარეს ვიჯექი და არ მეძინა, გზას ვუყურებდი; სწორედ ამან მიშველა, რადგან ვფხიზლობდი, მანქანის მოცურებისას, სკამს ჩავეჭიდეო...

— **რა აქვს დაზიანებული?**

— საბედნიეროდ, მოტეხილობები არა აქვს. მთელი სხეული დაზიანებული აქვს. ზოგიერთ ჭრილობაზე ნაკერებიც კი დაადეს. ავტობუსი რომ გაცურდა, ეს დაზიანებები მაშინ მიიღო.

— **ავარიის მიზეზად, სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. თქვენი ძმისშვილი რას ამბობს ამის შესახებ?**

— როგორც უკვე გითხარით, ჩემს

ციცია ძმასთან ერთად

ძმისშვილს ეღვიძა. ის ამბობს, რომ მძღოლს არ ჩასძინებია. წინ შემხვედრი მანქანა სწრაფად მოდიოდა, თან ისეთი მიმართულებით, რომ ავტობუსის მძღოლს მისთვის რომ არ აერიდებინა, აუცილებლად ზედ გადაუვლიდა. ამიტომ, მძღოლმა საჭე დაატრიალა და სწორედ ამ დროს მოცურდა ავტობუსი. მის გვერდით მეორე, თურქი მძღოლი იყო ჩაძინებული. მანევრირების დროს, მან გამოიღვიძა, ალბათ, აზრზე ვერ მოვიდა, თუ რა ხდებოდა და საჭეს ჩაავლო ხელი — ვითომ უნდა დახმარებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ხელი შეუშალა. ის რომ საჭეს დაეჯაჯგურა, სწორედ იმ მომენტში ამობრუნდა ავტობუსი.

— **გამოდის, რომ ქართველი მძღოლი ტყუილად დააკავეს?**

— ჩემი და ჩემი ძმისშვილის აზრითაც, ქართველი მძღოლი დამნაშავე არ უნდა იყოს. თურქ მძღოლს მისთვის ხელი რომ არ შეეშალა, ავტობუსსაც არაფერი მოუვიდოდა.

— **რამდენად კმაყოფილი არიან დაშავებულები ექიმების მომსახურებით?**

— თურქების მომსახურებით კმაყოფილები არ არიან... ალექსის მეუღლეს ვიღაცამ ტელეფონით დაურეკა და ეს ამბავი შეატყობინა. ის და მისი ნათესავი სამსუნში ჩავიდნენ. ალექსი თავს ცუდად გრძნობდა. შეხვეული კი ჰქონდა ჭრილობები, მაგრამ მერე, მისთვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. ავარიის მეორე დღეს, კონსული მთელი დღე არ გამოჩენილა საავადმყოფოში. ყურადღებას რომ არ აქცევდნენ, მეორე დღეს, საღამოს 7 საათზე, ფაქტობრივად, ალექსი ძალით წამოიყვანეს. მერე სარფში დახვდათ „სასწრაფო დახმარების“ მანქანა და თბილისში ჩამოიყვანეს. თვითმფრინავით გადმოფრენას არ დალოდებიან. ალექსი რომ საავადმყოფოდან გამოიყვანეს, სწორედ მაშინ მივიდა იქ საქართველოს კონსული და ის ინციდენტიც მოხდა...

ცოცხლად გადარჩენილებს შორის, საზოგადოებას ყველაზე მეტად, პატარა ციცო ყალაბეგაშვილის ჯანმრთელობა აინტერესებს. საბედნიეროდ, ქართველები გულისხმიერი ხალხი ვართ და ვისაც კი ამის შესაძლებლობა აქვს, აბსოლუტურად უცნობი ადამიანები, ციცოს, მორალურ მხარდაჭერასთან ერთად, ფინანსურ დახმარებასაც უწევენ. ჟვანიას სახელობის ბავშვთა პედიატრიულ კლინიკაში მისულმა, ჯერ ბავშვის მკურნალი ექიმი, ირინა წიქვაძე მოვინახულე, მერე კი ციცოს ბებიებს — დოდო ყალაბეგაშვილსა და ქეთინო ჭიჭიშვილს ვესაუბრე.

ირინა წიქვაძე:

— ამწუთას, ბავშვი აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მას არანაირი პათოლოგიური ცვლილება არ აღენიშნება, გუნება-განწყობილებაც გაცილებით უკეთესი აქვს, ვიდრე წინა დღეებში ჰქონდა.

— **როგორც აღინიშნა, სიცხის გამო, შესაძლებელია, ანთებითი პროცესი განვითარდეს...**

— ამ საშიშროების გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან, როცა ავადმყოფს ასეთი დიდი ჭრილობები აქვს, მსგავსი რამ ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ასეთი რამ ბავშვს მაქსიმალურად ავარიდოთ თავიდან.

— **ბავშვის მკურნალობის ხარჯებზე ვინ ზრუნავს?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხს სახელმწიფო აგვარებს.

— **ბავშვისთვის პროთეზის დამზადებაზეც თუ იყო ლაპარაკი?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამაზე ბავშვის მშობლები ფიქრობენ. თუმცა, ამ საკითხზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან ორივე კიდურზე ტაკვი უნდა მომზადდეს, რაც დღეს და ხვალ გასაკეთებელი ნამდვილად არ არის. ყველაფერს თავისი წინა პირობა აქვს. პროთეზიც უნდა დამზადდეს და ბავშვს უნდა მოერგოს. ეს ჩემი კომპეტენცია ნამდვილად არ არის. ამაზე დაწვრილებით პასუხს ალბათ, „ჯანდაცვაში“ გაგცემენ.

— **დაახლოებით რამდენ ხანს მოუწევს ბავშვს საავადმყოფოში წოლა?**

— ამის თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ინტენსიურ თერაპიაში ალბათ, 2-3 დღე გავაჩერებთ, თუ რაიმე არ გართულდა, რაც ამწუთას ნამდვილად არ არის მოსალოდნელი. შემდეგ, გოგონა გადავა სხვა განყოფილებაში. როცა ჩვენი საავადმყოფოდან გაეწერება, შემდ-

გომი სარეაბილიტაციო მკურნალობა უკვე სხვა დაწესებულებაში გაგრძელდება.

— დედამისი რა მდგომარეობაშია?

— მისი მდგომარეობა, ფიზიკური თვალსაზრისით, უფრო უკეთესია. მაგრამ მას უფრო მეტად, ემოციური სტრესი ჰქონდა და დღესაც აქვს. მისი ჭრილობები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა სიარული ჯერჯერობით არ შეიძლება.

ქალბატონი დოდო:

— ანტალიაში იყვნენ წასულები. ბავშვების ბებია ცხოვრობს იქ და მასთან ჩავიდნენ სტუმრად. ერთი თვის განმავლობაში ისვენებდნენ იქ. გიორგის უნდოდა, რომ ერთი დღე კიდევ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ციცოს ძალიან ნდომებია წამოსვლა, მამა მენატრებაო, — უთქვამს და იმ დღეს წამოვიდნენ. ამ ავტობუსმა შემთხვევით ჩამოიარა და გამოჰყვნენ. გიორგი ცალკე მჯდარა, ნონა — მათი დედა და ციცია კი, ერთად მსხდარან, მარჯვენა მხარეს. ნასიამოვნები მოდიოდნენ იქიდან და ამ სიამოვნებას დიდი სიმწარე და უბედურება მოჰყვა. მტერსაც არ ვუსურვებ ასეთ რამეს. ჯერჯერობით, ციცოს მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ იმედს გვაძლევენ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ასე კარგად ყოფნა — ჩვენს მტერს! ბავშვს ფეხები აღარ აქვს და...

— ალბათ, პროთეზს გაუკეთებთ...

— რა თქმა უნდა. მაგრამ 3 თვე მაინც სჭირდება მოსამზადებელ პერიოდს.

— ბავშვი ალბათ, ძალიან განიცდის ასეთ მდგომარეობას.

— რა თქმა უნდა. ხანდახან იტყვის ხოლმე — ნახეთ, ფეხები თუ არ ამომივიდეს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფეხზე მაინც გავივლიო!..

— როგორც ცნობილია, აბსოლუტურად უცნობი ადამიანები ბავშვს ფინანსურ დახმარებას უწევენ...

ქალბატონი ქეთინო:

— დიახ. მკურნალობა და პროთეზები ხომ იცით, რა თანხებთან არის დაკავშირებული?!. უცხო ხალხი იმდენად არის ციცოს მდგომარეობით შეწუხებული,

საბედნიეროდ, ყველა პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია

რომ ყველას ეცოდება და მისი გასაჭირი ყველას გულთან ახლოს მიაქვს. იმედი გვაქვს, რომ კიდეც დაეხმარებიან.

— როგორც გავიგე, ერთ-ერთმა პიროვნებამ 1.000 ლარი აჩუქა, ხომ?

— დიახ. მაგრამ მაგის გარდა, კიდევ სხვებმა, სულ 4.000 დოლარი მოუტანეს. უამრავი საჩუქარი მოაქვთ, რომ იქნებ, ბავშვი ცოტა გაახალისონ. ამ დილით ვიღაც კაცი მოვიდა და ექიმებს სთხოვა — ბავშვის დედას შემახვედრეთო. რა თქმა უნდა, რეანიმაციაში ვერ შეუშვებდნენ. ციცოს მამა მივიდა და უთხრა — მე მამა ვარ და რა გნებავთო? ამოუღია იმ კაცს 1.000 დოლარი, უსიტყვოდ მიუცია, გაბრუნებულა და წასულა. გამოჰკიდებიან ჩვენები, ეხვეწებოდნენ — გვითხარი, ვინ ხარ, ხომ უნდა ვიცოდეთ, სიკეთე ვინ გაგვიკეთაო!.. თავიდან, არაფრით ამჟღავნებდა ვინაობას, მერე, რომ აღარ მოეშვნენ, უთქვამს — ვალერი კედია ვარო. ღმერთმა გადმოხედოს და არასოდეს ჰქონოდეს არანაირი გაჭირვება!..

არანაირ გართულებას ადგილი არ ჰქონია და მათი მდგომარეობა ნორმალურია

— რამდენად კმაყოფილები ხართ სამედიცინო მომსახურებით?

— ძალიან კმაყოფილები და მადლიერები ვართ, როგორც თურქი ექიმების, ასევე — ქართველებისაც. აქაური ექიმები ამბობენ, რომ ყველაფერი საუკეთესოდ გაუკეთებიათ ბავშვისთვის. მადლობის მეტი რა გვეთქმის?!.

ქალბატონი დოდო:

— ავტობუსის გადაბრუნების შემდეგ, გიორგი და დედამისი მალევე გამოძვრნენ იქიდან, მაგრამ ციციას ვეღარ პოულობდნენ. გაგიჟდა თურმე ნონა, მანქანებს წინ უდგებოდა და არავინ უჩერებდა. პოლიციელს ხელი უკრია — იქით გადიო! — მაგრამ როგორ გავიდოდა, როცა ბავშვი დაკარგა და გამწარებული იყო!.. მერე ერთ-ერთი მანქანა გაჩერებულა. იქ მსხდომთათვის გიორგის ხელით უნიშნებია — დომკრატი გვინდაო. ამოუღიათ მანქანიდან და მიუციათ, თვითონაც მიხმარებიან. აუწევიათ ეს ავტობუსი, მაგრამ მაინც ვერ პოულობდნენ. ხელით დაუწყიათ მიწის გათხრა. გიორგის დაუნახავს დის ხელი და ხელით უცნია... ბავშვს თურმე, მთელი ამ ხნის მანძილზე გონება არ დაუკარგავს. რომ გამოიყვანეს, მკერდზე ვიღაც ქალის მოწყვეტილი თავი სდებია, ფეხები კი კანზეღა იყო დაკიდებული... ბავშვმა ავტობუსიდან გამოყვანის მერე დაკარგა გონება.

ქალბატონი ქეთინო:

— ბავშვს მადა საერთოდ არა აქვს, არ ჭამს. დღეს ხინკალი მოითხოვა და მამამისი წავიდა, რომ გაამზადებინოს; იქნებ, ეგ მაინც ჭამოს... არც არის გასაკვირი: მაგან და გიორგიმ ისეთი საშინელი სურათი ნახეს იქ... კიდურებმოგლეჯილი ადამიანები ეყარნენ მიწაზე... თუმცა, ციცო ცდილობს, რომ ჩვენ არ გვანერვიულოს და აქეთ გვამშვიდებს, გვეუბნება — ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნებაო...

ბოლოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პრესსამსახურს დავუკავშირდით და მომხდარის შესახებ კომენტარი მის ხელმძღვანელს, ***ნინო ძოწორაშვილს*** *ვთხოვეთ:*

— საბედნიეროდ, ყველა პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია. მკურნალობის კურსი ზუსტად ისე მიმდინარეობს, როგორც საჭიროა. არანაირ გართულებას ადგილი არ ჰქონია და მათი მდგომარეობა ნორმალურია.

— მკურნალობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო კისრულობს?

— ყველა პაციენტის მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს.

— პატარა ციცოს მომავალში პროთეზის გაკეთება დასჭირდება. მაშინაც გაუწევთ ბავშვს დახმარებას?

— რა თქმა უნდა! ციცოს მკურნალობა სამეტაპიანია: პირველი, მისი თბილისში გადმოყვანა იყო, ახლა, მკურნალობის მეორე ეტაპია და მისი მდგომარეობა „კომბინირებულია“ — 38 გრადუსამდე ტემპერატურა კი აქვს, მაგრამ მის მდგომარეობაში ასეც უნდა იყოს; ბავშვის მესამე ეტაპის მკურნალობაში პროთეზის დამზადება შედის და, რა თქმა უნდა, ამასაც სახელმწიფო აანაზღაურებს.

— თუ შეგიძლიათ, მითხრათ, სულ რამხელა თანხა დასჭირდა პაციენტთა მკურნალობას?

— მაპატიეთ, მაგრამ ამას ახლა ვერ გეტყვით, რადგან ამის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით, არა მაქვს. გეტყვით იმას, რომ ეს თანხა წინასწარ დაგეგმილი და შეზღუდული არ არის — რამდენიც პაციენტთა სრულ გამოჯანმრთელობას დასჭირდება, სახელმწიფოც იმდენს გაიღებს. თუ მაინცდამაინც ზუსტი ინფორმაცია გაინტერესებთ, როცა ყველა პაციენტს საავადმყოფოდან გაწერენ, მაშინ დამიკავშირდით და აუცილებლად გეტყვით.

■

მოგეხსენებათ, რომ საფონდო ბირჟა ის ადგილია, სადაც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. არსებობს ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, სადაც სხვადასხვა ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება. კიდევ გამიგონია შრომის და სასაქონლო ბირჟები, მაგრამ ეს სოფლის ბირჟა რა იყო, რიგიანად მანამდე ვერ გავიგე, სანამ თავად არ „დავაბირჟავე“... ენციკლოპედიაშიც კი მოვიძიე ამ სიტყვის მნიშვნელობა. ეს ლათინური სიტყვაა და საფულეს ნიშნავს. მაგრამ იქვე, ერთ საინტერესო ცნობასაც წავაწყდი. თურმე, XVIII საუკუნის რუსეთში გამოდიოდა გაზეთი სახელწოდებით — „ბირჟის უწყებანი“. საინტერესოა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ბულვარული გამოცემა რუსეთში და ყველანაირი სენსაციისა და საინტერესო ჭორის მაუწყებელი გახლდათ. გამოდის, რომ სოფლის ერთ-ერთ „ბირჟავიკს“ ტყუილად არ უთქვამს — ჩვენთვის ბირჟა ის ადგილია, სადაც სოფლის ჭირ-ვარამი და ჭორ-მართალი ირჩევაო... ბევრი აღარ მიფიქრია, ნახირის დაბრუნებას დაველოდე (რადგან იქ ხალხი სწორედ ამ დროს იწყებს შეკრებას), დიქტოფონით შევიარაღდი და ბირჟაზე გავეშურე.

ვირის „ტაჩკაზე“ ჯდომისგან გამოთქვეფილი გვერდები, „პადვიასკაში“ დამალულ ლენინის თავი და „ფართუკში“ გახვეული ახალშობილი

ემა ტუხიამვილი

— ადრე სოფელს ფოსტალიონი ჰყავდა, რომელსაც ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები ყოველდღე მოჰქონდა. ახლა გლეხებს ძალიან გვიჭირს, ახალ პრესას ვერ ვშოულობთ, ამიტომ, თბილისში თუ მოვხვდებით, ძველ ჟურნალ-გაზეთებს ნახევარ ფასად ვყიდულობთ, რადგან ის ძველი ინფორმაციაც ჩვენთვის ახალია. ელექტროენერგიაც ხან გვაქვს და ხანაც, ჭრაქის შუქზე გვიხდება ყოფნა. ტელევიზორი, რომელიც „აკუმულატორზე“ მუშაობს, ერთადერთ ოჯახს აქვს სოფელში, მაგრამ საინფორმაციო გამოშვებისთვის იმას ვინ მოაცდენს?! სერიალების საყურებლად მათთან მთელი სოფელი ვიკრიბებით. ამ სერიალების სიყვარულმა იმდენი ქნა, რომ ახალშობილებს ჩვენს სოფელში, მონიკას, ხუანსა და ბარბარას არქმევენ... სოფლის ბირჟა გლეხისთვის საინფორმაციო გამოშვებაც არის, გაზეთიც, კინოცა და თეატრიც — *ასე ცდილობდა სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი, ჩემთვის ბირჟის დანიშნულება აეხსნა.*

— **ტელევიზიასა და პრესას სულ სხვა დანიშნულება აქვს — უამრავ ახალ ინფორმაციას გაწვდით, სოფლის ბირჟაზე ნათქვამი ჭორი კი, რა დასაჯერებელია?!** — *შევეწინააღმდეგე მე.*

— აბა, რას ამბობ?! განა არ გაგიგია, რომ ხალხი ბრძენია და ან იმ ჭორს რა ვუთხარი, სიმართლის მარცვალი რომ არ ერიოს?! ერთი ჩვენებური კაცი ცოლს ბირჟაზე სიარულს უკრძალავდა: წაგიტლეკიათ ენები და უსაქმურობით თავს იქცევთო!.. ერთხელაც, ცოლი სახლში გახარებული მივიდა და ქმარს ბირჟაზე გაგონილი უამბო: გოგი, სოფლის ბირჟაზე ამბობენ, რომ დირექტორად უნდა დაგნიშნონო. რა თქმა უნდა, გოგიამ ცოლის ნათქვამს ყურიც არ ათხოვა, მაგრამ ცოტა ხანში მართლაც რომ წამოჭიმეს დირექტორად, დაფიქრდა. გავიდა ხანი, „ბირჟავიკმა“ ცოლმა კიდევ მიირბინა გოგიასთან და აცრემლებულმა აუწყა: გოგი, ბირჟაზე ამბობენ, გოგიას მალე დაიჭერენო... ისე აგიხდა ყველა სიკეთე, როგორც გოგია გამოამწყვდიეს „კლეტკაში“!.. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ცოლმა „პერედჩი“ მიუტანა ქმარს ციხეში და დამშვიდება დაუწყო: ნუ გეშინია, გოგი, მოსამართლემ თქვა, რომ... მოსამართლე სულ არ მაინტერესებს, შენ ის მითხარი, სოფლის ბირჟაზე რას ამბობენო? — უღრიალა გამწარებულმა გოგიამ...

ამ ლაპარაკში სოფლის ბირჟაც გამოჩნდა. სახელდახელოდ გამართულ გრძელ სკამებზე ქალები ისხდნენ, მამაკაცები კი, ხის კუნძებსა და ქვის ლოდებზე მოკალათებულიყვნენ.

— აქა მშვიდობა! — უთხრა ჩემმა თანამგზავრმა ბირჟაზე შეკრებილებს და ჩვენთვის თავისუფალი ადგილი შეათვალიერა.

— სად ნახე, ქალო, მშვიდობა?! ვერ გაიგონე, რა ბრძანა ჩვენმა პრეზიდენტმა? — ყველანი — „პატრიოტშიო“! რომ მოვლენ და აგაცლიან ქმარს ლოგინიდან, მერეც იპარპაშე ბევრი!

— „პარტრიოტში“ კი არა — რეზერვისტებშიო... გაგიხმეს ეგ გოგრა თავი, როდისღა უნდა გამოხვიდე ხალხში?! — კაბის კალთა გაისწორა და თავმომწონედ გადმომხედა შუახნის ქალბატონმა.

— მიშა რომ იყო ჩასული ამერიკაში, მაშინ ბუშისთვის უკითხავს თურმე: ომი მინდა დავიწყო აფხაზეთში და რას იტყვიო? ბუშსაც მამაშვილურად დაურიგებია ჭკუა: არ აჩქარდე, ცოტა ხანს მოიცადე, ჩემი პრობლემები მაქვს თავზე საყრელადო... — *ისე დამაჯერებლად ჰყვებოდა „ბირჟავიკი“ მამაკაცი, რომ სიცილი ძლივს შევიკავე.*

— გადავალ თამროსთან და გავაფრთხილებ, რომ აღარ აჭამოს ბიჭს თაფლი და კარაქი, ემანდ ჯარში არ უკრან თავი, — *შეწუხდა იქვე მჯდომი ქალბატონი და წასასვლელად გაემზადა. ეს უკანასკნელი ფრაზა კი, ვერაფრით გავიგე, რას ნიშნავდა, ამიტომ დახმარებისთვის ისევ ჩემს ნაცნობს მივმართე.*

— დიდი წვალებისა და ხუთი ქალიშვილის შემდეგ, თამროს ნანი-ნანატრი ვაჟი შეეძინა, მაგრამ ბიჭი იმდენად სუსტია, 21 წლისაა და ხან 44 კილოგრამს იწონის, ხანაც — 46-ს.

— **ეგ როგორ?**

— შიმშილით გადაიქცევაო, — ამბობს ხოლმე თამრო და ძალით აჭმევს თაფლსა და კარაქს. ასეთ დროს, ბიჭის წონა 46 კილოს აღწევს. როგორც კი მიაღწევს თამრო შვილის სასურველ წონას, მოვლენ სამხედრო კომისარიატიდან და მიჰყავთ მისი ბიჭი ჯარში. დაიწყებს თამრო ერთადერთი ვაჟის გამო ცოცხლად მოთქმასა და გლოვას: მომიკვდება „სამხედროში“, ვერ გადაიტანსო და შვილს ისევ უბრუნებენ. რამდენიმე დღეში, ბიჭი ძალით აკრებილ 2 კილოს, ნერვიულობისა და უჭმელობისგან კარგავს, ამიტომ სამედიცინო შემოწმების შემდეგ მას, როგორც „დაბრაკულს“, სახლში უშვებენ.

— მადლობა უნდა უთხრათ ამ მთავრობას, მთელი ცხოვრება „ფეჩსა“ და „კერასინკებს“ ახრჩოლებდით, ახლა კი ჩვენს სოფელში გაზი გაჰყავთ. ერთი წამოსცდა მთავრობას: გაჭირვებულებს დავეხმარებითო და ყველამ ტანთ შემოიფლითა, ღორები და ძროხები გადამალეს და სოციალური მუშაკები ბოსლებში შეიყვანეს — აქ ვცხოვრობთო. შედეგად, თითქმის ყველამ შემ-

წეობა, დენის ვაუჩერი და ჯანდაცვის პოლისი მიიღო. ესეც არ იკმარეს და ბებიებმა პასპორტებში კაცის სახელები დაირქვეს, დაიბრალეს: სამამულო ომში ვიყავითო და მაღალი პენსიებიც დაინიშნეს, — *გაშმაგებით ამბობდა გლეხი კაცი.*

— კარგი ახლა, ცრემლი არ მომადინო, მოტყუებული მთავრობის შემხედვარე! შენ რომ კუჭი ხახვისა და ნივრის ჭამით გიხმება, ვირის „ტაჩკაზე“ ჯდომისგან კი გვერდები გაქვს გამოთქვეფილი, ჩვენს მთავრობას საუკეთესო რესტორნები და „ზაგრანიცაში“ სიარული მოეყირჭა, ხოლო ჯიპებს „ნასკებივით“ იცვლიან.

— მიწასაც წაუღია ეგენი! ერთი ის მითხარით, საბჭოში რას ამბობენ, დენი როდის გვექნებაო?

— როდის და უშაბათო კვირასო... დენი მანამ არ გექნება, სანამ ქურდები და ხულიგნები „ლევი“ ხაზებით დენის მოპარვას არ მოეშვებიან. აგერ, არჩილას ბიჭი დაუჭერიათ — „სტოლბაზე“ „სოჩიკს“ რომ აჩერებდა, მაგრამ ვერაფრით გამოტეხეს, ძირს არაფრით ჩამოსულა და იმას გაიძახოდა: კაჭკაჭის ბუდეს ვანგრევო.

— აი, კაჭკაჭმა წაიღოს მაგის ოჯახის ქონება! არჩილას ბიჭი „სტოლბაზე“ იჯდეს და მაგის ცოლი კიდევ, ორლობეში მიტუასთან დაძვრებოდეს...

— რას ამბობ, ქა, მართლა?!

— მართლა, აბა, კი არ დამსიზმრებია! დააკვირდი — როგორ ჰგვანან ერთმანეთს მიტუას შუათანა გოგო და მაგისი ნაბოლარა.

— რა მაგის პასუხია, ქალო, და ღორმა თუ „დაგიყარა“?

— ღორი მაგასა და ხორველა! ჩემმა ღორმა 6 გოჭი დაყარა და ჭუჭუნას ძაღლმა — 7 ლეკვი. აბა, არ გაგისკდება გული?!

— ერთი ამას დამიხედეთ, ვისია ეს ჭიპგადმოგდებული გოგო და რათა აქვს ეს შარვალი შემოხეული, ძაღლმა ხომ არ შემოაგლიჯა?.. — სოფლის ქალებმა გზაზე მიმავალ გოგონას დაჟინებით დაუწყეს თვალიერება.

— **მოდაშია,** — *წამომცდა და მაშინვე მწარედ ვინანე, ენას კბილი რომ არ დავაჭირე: რომ შემომაცქერდნენ, მზისგან გარუჯული სოფლის ქალები, ერთმანეთს არ უთმობდნენ სიტყვას, ისე აქოთქოთდნენ: ქალაქელი სტუმრები გვიფუჭებენ ბალღებს, გოგოებმა კაბები დაიმოკლეს, ბიჭებმა კი, თმა დაიგრძელეს, ხელგადახვეულები დადიან და ჭირი ჩვენს მთავრობასო!..*

— ჩემს ვალეს ქალაქელმა გოგომ ასწავლა პაპიროსის წევა. ჩვენა, ქა, კაბის კალთაზე რომ კაცის შარვალი მოგვდებოდა, გვეშინოდა — არ დავორსულდეთო. გოგო-ბიჭი ბაღ-ბოსტნებში დადიან და სარეველასა კრეფენ, ქაღალდში ახვენენ და ეწევიან: მორფი არისო.

— რა გამოუცდელი და პატიოსანი გოგოები ვიყავით ჩვენა, ქალებო! მახსოვს, პირველად რომ თბილისში მარტო მივდიოდი, სპეკულანტებთან ნაყიდი 120-მანეთიანი „ფრანცუზკები“ ჩავიცვი. კატომ დამინახა ღობიდან და გადმომძახა: ფეხსაცმელებით მეტროში არ ჩახვიდეო! კატო გამოცდილი ქალი იყო და მის სიტყვას დაეჯერებოდა. როგორც კი მეტროში შევედი, ფეხსაცმელი გავიხადე, ხელში კოხტად დავიკავე და შენს მტერს, მე რომ დღე გადავიტანე — ზოგი გაკვირვებული მიყურებდა, ზოგს აშკარად ვეცოდებოდი, ზოგიც მისტვენდა და დამცინოდა. ისე დავიბენი, რომ სულ დამავიწყდა, რომელ მატარებელში უნდა ჩავმჯდარიყავი. ისევ უკან ამოვედი და ავტირდი. ერთი ღვთისნიერი ქალი მოვიდა და დახმარება შემომთავაზა — ჩემი ნათესავის ტელეფონის ნომერი გავუწოდე. მანაც, იქვე დამონტაჟებული აპარატიდან დარეკა და ნათესავს აცნობა: ამა და ამ ადგილას თქვენი ნათესავი ქალბატონი დგას, გულში ფეხსაცმელი აქვს ჩაკრული და ტირისო.

— ეგ რა არის, თქვენ ხომ არ იცით, მე რა სირცხვილი ვჭამე მოსკოვში. ერთ წელს, ვაშლის კარგი მოსავალი მოგვივიდა და გასაყიდად მოსკოვში წავიღეთ. კომუნისტების დრო იყო და არც მეტი, არც ნაკლები, 20 ათასი მანეთი ვივაჭრე, თან — სულ წითელი თუმნიანები, ლენინის თავი რომ ეხატა. ამოდენა ქონებას ვის ვანდობდი და ერთი ჩემი ნაცნობის რჩევა გავითვალისწინე — თუმნიანები ჩულქის „პადვიასკებში“ ჩავილაგე. ვიფიქრე, ისე როგორ წავიდე მოსკოვიდან, რომ „ძია ლენინი“ არ ვნახო-მეთქი და მავზოლეუმისკენ გავეშურე. რიგში დიდი ხანი ვიდექი. როგორც იქნა, ლენინიც მოვინახულე და გარეთ რომ გამოვედი, მოეშვა ეტყობა ჩემი „პადვიასკები“ და კაბის ქვემოდან წითელი თუმნიანები ჩამოიყარა. გაოცებული თვალები მაშინ უნდა გენახათ, „პაჩოტნი კარაულიც“ კი ვერ იკავებდა ღიმილს... 20 ათასი მანეთის აკრეფაში ხალხი დამეხმარა და წარმოიდგინეთ, რომ ერთი თუმანიც არ დამკლებია. ეტყობა, „ძია ლენინს“ ეწყინა, მისი გამოსახულებიანი ფულები ფეხებშუა რომ მქონდა ამოდებული.

— კი იცით თქვენ ჩემი ამბავი, მაგრამ მოვიოხებ კიდევ გულს. ნამეტანი ყინვებს რომ არ შეეწუხებია ჩემი შალიკო და იმ ზამთარს ლოგინში არ შემომწოლოდა, არ ვჭამდი სირცხვილს ხალხში და არ მეყოლებოდა, შვილიშვილების პატრონს, ნაბოლარა ციცინო. კომბოსტოს ვრგავდით ბოსტანში, მუცელმა რომ მომიარა. მუცლის გვრემა მეგონა, მაგრამ რა გვრემა, თურმე, ნაყოფი „გაცოცხლებულიყო“. სირცხვილით თავი სად უნდა გამომეყო, ამიტომ, არც ექიმთან მივსულვარ და არც ის ვიცოდი — როდის უნდა მემშობიარა. ერთ დღესაც გადავწყვიტე, პომიდორი წამეღო ბაზარში გასაყიდად. „პრავიზიონკაში“ წინა დღეს დამცხვარი შოთ-ლავაში, ცოტა ყველი, პომიდორი და ერთი ბოთლი წითელი ღვინო ჩავაწყვე. წნევა მქონდა დაბალი და თითო ჭიქა ღვინოს მივირთმევდი ხოლმე. გაცხარებულ ვაჭრობაში ვიყავი, მუცელი რომ ამტკივდა. ახლოს მდებარე სამშობიაროში წამიყვანეს. ცუდი დრო იყო მაშინ — არც შუქი, არც წყალი, პურზე უშველებელი რიგები იდგა. დამაწვინეს სამშობიარო ბლოკში და ჩემი ბარგი-ბარხანაც იქვე დაანყვეს. მტკივა მუცელი და თან, როგორ!.. ამ დროს მესმის, რომ დერეფანში ექიმები დარბიან და პურს ვერსად შოულობენ. ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი და ავტეხე ყვირილი: ვაი, დედა, შოთ-ლავაში „პრავიზიონკაშია“-მეთქი! თავიდან, ვერ მიხვდნენ, რას ვამბობდი, ხან მარტო იმას გავიძახოდი: ვაი, დედა, შოთ-ლავაშია-მეთქი!.. ამასობაში, ვიმშობიარე კიდეც და ექიმებსაც რიგიანად ავუხსენი — რისი თქმა მინდოდა. მერე ბევრს იცინოდნენ: თავისი პურმარილით მოსული მშობიარეები გვიმრავლოს ღმერთმაო!..

— შენ რა გიჭირს?! ჩემს ემზარას რომ ვუყურებ, ბლის ქვეშა მყავს გაჩენილი. უწინ, როდესაც კოლმეურნეობა არსებობდა, ქალები ბლის საკრეფად დავყავდით. ხის კენწეროში ვიყავი მოქცეული, მშობიარობა რომ დამეწყო. რა უნდა მექნა? — ხიდან ჩამოვედი და ქალების დახმარებით, ბლის ძირში ბიჭი გავაგორე. ახალშობილი კოხტად „ფართუკში“ გავახვიე, მეორე ხელში ჩემი კუთვნილი ნორმა, ერთი ვედრო ბალიც დავიკავე და ასე ნამატით დავბრუნდი სახლში...

კიდევ ბევრი გაუგონარი რამ ითქვა სოფლის ბირჟაზე. ვიღაცამ თქვა: მეზობელ სოფელში ოჯახს „პარნიკებით“ დაესხნენ თავს და გაძარცვესო... როგორც გავარკვიე, „პარნიკებში“ — „პარიკებს“ ანუ ნიღბებს გულისხმობდა; ვიღაცამ სოფლელებს სამწუხარო ამბავი აუწყა: ჩემმა შვილიშვილმა „ინტერნატში“ (ანუ — ინტერნეტში) ნახა, აგვისტო ცხელი და გვალვიანი იქნებაო; სოფლის ბირჟაზე ახალი პატარძალიც გაჭორეს: ისეთი ქალი ჩანს, გაჭენებული ცხენიდან მხედარს გადმოიღებს და დაკოდავსო... არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან — ვისმა ძროხამ ვისი ხარისგან იმაკა, ვის ძუკნა ძაღლს ვისი ხვადი დასდევს და ა.შ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სოფლის ბირჟაზე სიარული, დროის ფუჭად კარგვა როდი ყოფილა. რამდენიმე საინტერესო ამბავი მოვისმინე და თქვენამდეც მოვიტანე. ასე რომ, ვინც ზაფხულს სოფელში ატარებთ, გირჩევთ, გარისკოთ და ერთხელ მაინც „დააბირჟაოთ“. ■

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – სოფო ხალვაში
რესპონდენტი – ზურა ხაჩიძე

2006 წლის ზაფხული ამ ორი ადამიანის ცხოვრებაში ალბათ დაუვიწყარი იქნება. ერთი, „იურმალის“ ფესტივალზე პრიზიორი გახდა, დიდ წარმატებას მიაღწია, მეორეს კი, პირველი შვილი შეეძინა. ამიტომ დავაწყვილე რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — სოფო ხალვაში და ზურა ხაჩიძე. ზურამ შეხვედრა-პაემანი მშვენიერ სოფოს პეროვსკაიაზე, ერთ-ერთ კაფე-რესტორანში დაუნიშნა.

როგორ ზრდის ზურა ხაჩიძე თავის გოგონას და ვინ ერეკავს სოფო ხალვაშს ყოველღლე

— ზურა, პირველ რიგში, გილოცავ პატარის შეძენას. მითხარი, ვის გინდა, რომ ჰგავდეს შენი ანასტასია?

— სასურველი იქნება, თუ ის დედისა და მამის საუკეთესო თვისებებს გაერთიანებს. კალამი რომ მომცე, მსოფლიოში საუკეთესო გარეგნობისა და თვისებების მქონე პატარა ანასტასიას დავხატავდი. ეს ყველა მშობლის სურვილია.

— რამდენადაც გიცნობ, საერთოდ, არა ხარ შენი მონაცემებით „ქუჩის ბიჭი“. რატომ დაირქვა ჯგუფმა ეს სახელი?

— ეს სახელი ძალიან დიდი ხნის წინ გაჩნდა. თავიდან, როცა ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ, თითოეული ჩვენგანი ქუჩაში გაზრდილი და ქუჩასთან დაახლოებული ვიყავით. ამ ეტაპს ხომ ბევრი ბიჭი გადის. მერე უცბად, ქუჩიდან სცენაზე ასვლა მოგვიხდა. სახელი სამახსოვროდ დავიტოვეთ. ახლა უკვე ძნელია მისი შეცვლა. ზოგადად, ქუჩის ბიჭების ცუდი სტერეოტიპი ჩვენ დავამსხვრიეთ, უფრო დადებითი აზრი გავუჩინეთ საზოგადოებას.

— ჩემი სქესის წარმომადგენლებში, დასამალი არ არის, დიდი წარმატებით სარგებლობ. როგორ გგონია — შენი რა თვისებები მოსწონთ ყველაზე მეტად?

— რა ვიცი... გულწრფელობა... ის, რომ მესმის და ვიცი ქალთან ურთიერთობა ისე, როგორც უნდა ესმოდეს ქართველ მამაკაცს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

— იქნებ, გაიხსენო ხათუნასთან, შენს მეუღლესთან პირველი შეხვედრა. რაში შეცდი და რაში გაიმარჯვე?

— ხათუნას პირველად მაშინ შევხვდი, როდესაც ნინის და „ქუჩის ბიჭების“ დუეტი იწერებოდა. პირველ შეხვედრაზე რაღაც, ვერც წარმოვიდგინე ჩვენი ურთიერთობა თუ გაგრძელდებოდა. მერე და მერე, მან ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, სერიოზულად მიიქცია ჩემი ყურადღება, შემდეგ — ძალიან შემიყვარდა. გამიმართლა, რომ ასეთი ადამიანი მყავს გვერდით. როდესაც შოუ-ბიზნესში მუშაობ, ცოტა ძნელია მეუღლის შერჩევა, ოჯახის შექმნა და ამ მხრივ გადაწყვეტილების მიღება, რადგან სულ გოგონების ყურადღების ცენტრში იმყოფები, განებივრებული ხარ ამით და მერე ძნელია, შენთვის სასურველი ადამიანის მათგან ამორჩევა. უკვე მეხუთე-მეექვსე წელია, რაც მე და ხათუნა ერთად ვართ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი მეუღლე მყავს. ახლა კიდევ ის მახარებს, რომ შესანიშნავი შვილი გვყავს, პატარა ანასტასია. ხათუნა კარგი დედაც არის და დარწმუნებული ვარ, ბავშვს კარგადაც აღზრდის.

— შენი ნათლია, გია ჯოხაძე ამბობს, რომ შენ, როგორც ზრდასრულ ადამიანს, ისე ვერ აღგიქვამს. გიყურებს ისე, როგორც საკუთარ შვილს და რჩევებსაც გაძლევს.

— გია ჯოხაძე ხათუნასგან გავიცანი და მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ და მასთან ნებისმიერ საკითხზე შემიძლია ლაპარაკი. ჩემს სატელევიზიო გამოსვლას ნახავს თუ საგაზეთო ინტერვიუს წაიკითხავს, ყოველთვის მირეკავს და რაღაცებს მირჩევს. მიხარია, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი ადამიანი არსებობს.

— ზურა, თქვენს ჯგუფში რა როლი ენიჭება მეგობრობას?

— მეგობრობა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. 11 წელია ერთად ვართ, — ეს სწორედ მეგობრობის წყალობითაა. თუმცა ამ ხნის მანძილზე ორი წევრი წავიდა ჯგუფიდან — გოგა და ირაკლი, ე.ი. „ქუჩის ბიჭები“ ორჯერ მივიდა დაშლის ზღვარზე, მაგრამ ისევ მეგობრობამ გადაგვარჩინა. ერთი ოჯახივით ვართ.

— მომღერალი რომ არ იყო, ვინ იქნებოდი?

— ამის წარმოდგენა ძნელია. შენ კარგად იცი, ქართული შოუბიზნესი რას გაძლევს. ამ სფეროდან მიღებული შემოსავლით ოჯახს ვერ შეინახავ. ამიტომ, ახლა ვფიქრობ, სიმღერასთან ერთად რა საქმე წამოვიწყო და ალბათ, ახლა გამოვცდი ამ მხრივ საკუთარ თავს, კიდევ რა შემიძლია. ბავშვობაში, სამშობიაროში თეთრი ხალათით დავრბოდი, რადგან ბებიაჩემი ექიმი იყო და მეგონა, მეც ექიმი გამოვიდოდი, მაგრამ სრულიად სხვა სფეროში აღმოვჩნდი.

— გულახდილად მითხარი — როგორი ვიყავი „იურმალის“ სცენაზე? დადებითიც მითხარი და უარყოფითიც. რაც არ მოგეწონა, არ დამიმალო.

— შენ რომ გიყურებდი, განსაკუთრებული შეგრძნება მქონდა. მე სუბიექტური ვიქნები შენი შეფასებისას, რადგან ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, მეგობრობა გვაკავშირებს. როდესაც ადამიანს ახლობლად მივიჩნევ, მასში უარყოფითს ვეღარ ვხედავ... გეტყვი, რომ მართლაც ღირსეულად გამოხვედი. ის ამერიკელი კონკურსანტი გოგო რომ არ ყოფილიყო, გრან-პრის ჩამოიტანდი. შენ რომ მღეროდი, მთელ სხეულში ჟრუანტელი მივლიდა. არ მეგულება ქართველი, იგივე განცდა არ ჰქონოდა, როდესაც სცენაზე გიყურებდა. მიხარია, რომ იქ ყველას შენი სახელი ეკერა პირზე, ყველა „სოფიკო, სოფიკოს“ ყვიროდა... ამის ნახვის შემდეგ მთელი ღამე, ძილშიც „სოფიკო, სოფიკო“ ჩამესმოდა *(იცინიან).*

— ვიცი, რომ ქეიფი გიყვარს. რომელ სუფრასთან გრძნობ თავს კომფორტულად?

— ქართულ სუფრასთან. იქ, სადაც მომღერლები არიან, კარგი მოქეიფე ადამიანები. იქ, სადაც შეუძლიათ, ლექსიც წაიკითხონ, ხალხური სიმღერაც იმღერონ, „გემრიელი“ სადღეგრძელოც თქვან და დრო კარგად გაატარონ. სუფრას ქალიც უხდება. როდესაც სუფრასთან ქალია, ნებისმიერი მამაკაციც სხვანაირია, სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს საკუთარ თავს და მერე ქალიც ამას თავისებურად აღიქვამს...

— სად არის ახლა შენი ცოლ-შვილი? როგორ ზრდით პატარას და პირადად შენ, როგორ მონაწილეობ ამ საქმეში?

— პატარა ანასტასიას, სანამ არ მოინათლება, ხალხმრავლობას ვარდებთ... ვაჭმევ, პამპერსს ვუცვლი, ხათუნასა და ნინის მის დაბანაში ვეხმარები. როცა სწყურია, ჩაის ვასმევ. მთლიანად ვარ ჩართული ამ საქმეში, რადგან ეს ჩემთვის უდიდესი რამ არის... რაც შეეხება იმას, თუ სად ვართ, გეტყვი: წყნეთის მახლობლად არის არაჩვეულებრივი დასახლება —

ახალდაბა. იქ ხათუნას მშობლების მიერ აშენებული სახლია, სადაც ვცხოვრობთ. რაც მთავარია, გრილა. არ ვიცოდი, რომ ახალდაბა აქვე, თბილისთანაც ყოფილა — წყნეთის ზემოთ, ადრე მეგონა, მარტო ბორჯომთან იყო. ბორჯომიდან გამოვიქეცი და ახალდაბას მაინც ვერ გავცდი *(იცინის)*, ხედავ?!.

ჟურნალისტი – სოფო ხალვაში
რესპონდენტი – გურა ხაჩიძე

— სოფო, მართალია, ჩვენ შენს წარმატებაზე უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ პრიზი არ მომილოცავს. გილოცავ და მიხარია, რომ მომეცა საშუალება, პირადად მენახე და მეთქვა ის, რაც განვიცადე შენი „იურმალაში“ გამოსვლისას. გისურვებ ასევე წარმატებულ მომავალსა და ლამაზ ცხოვრებას!

— დიდი მადლობა!

— სანამ ქართველს უცხო ქვეყანაში არ დაუკრავენ ტაშს და წარმატებას იქ არ მიაღწევს, — მანამ არ დააფასებენ და არ აღიარებენ ხოლმე. არ მოგეჩვენა, თბილისში დაბრუნების შემდეგ, რომ საზოგადოება რაღაც სხვანაირი იყო, შეცვლილი?..

— ვიცოდი, რომ საქართველოში თბილად შემხვდებოდნენ, მაგრამ ასეთ სითბოს არ ველოდი.

— იქნებ კულისებშიც შეგვახედო და გვითხრა, როგორ ემზადებოდი „იურმალის“ ფესტივალზე გამოსასვლელად.

— ნელ-ნელა ყველა კონკურსანტი გავიცანი... მინდა ჩემი აღფრთოვანება გამოვხატო რეჟისორ ალექსანდრ რევზინით. არაჩვეულებრივი ადამიანია, მართლა ძალიან შემიყვარდა. ძალიან გვეხმარებოდა კონკურსანტებს. ის ყველაფერი, რაც სცენაზე შევძელი — თავისუფლად რომ ვიყავი, გავიხსენი, კომპლექსებისგან გავთავისულფდი, — რევზინის დამსახურებაა.

— რთული იყო, ხომ, კონკურსის წინა სამზადისი?

— ძალიან. ასეთ რეჟიმს მიჩვეული არ ვიყავი. დილის 11-დან ღამის 12 საათამდე ვშრომობდით. გარეთ გასვლის უფლება არ გვქონდა.

— შენს მშობლიურ ქალაქში — ბათუმში როგორ შეგხვდნენ?

— ბათუმში რომ ჩავედი, ჩემი ოჯახის წევრები (დედა, მამა, და) უკვე ისეთი ძალაგამოცლილები იყვნენ, რომ ემოციას ველარ ამჟღავნებდნენ. მე თვითონაც ძალიან დაცლილი ვიყავი. ბათუმში ჩემი ჩასვლა აჭარაში პარკის გახსნას დაემთხვა. შევხვდი პრეზიდენტს, კონცერტი მქონდა. შემდეგ გორში ჩატარდა ჩემი პირველი სოლო კონცერტი. მინდოდა, ბათუმში ყოფილიყო, მაგრამ ასე მოხდა. ახლა 26, 27, 29 აგვისტოს ბათუმში გაიმართება კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას მივიღებ.

— ის, თუ რაოდენ თბილად შეგხვდა პრეზიდენტი, ტელეეკრანზე ყველამ ვნახეთ. მაინტერესებს, საერთოდ, ხელისუფლების მხრიდან რაიმე მხარდაჭერა და თანადგომა თუ აღგითქვეს?

— იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ყველანაირად დამეხმარებიან — სიმღერების ჩაწერა იქნება, დისკის გამოშვება თუ სხვა რამ.

— ძალიან კარგი. მიხარია, თუ შენ მიმართ ნამდვილად ასეთი დამოკიდებულება არის და შემდგომში მუშაობის საშუალება მოგეცემა. ვიცი, რომ ჩამოსულია რეჟისორი ევგენი გინზბურგი, რომელმაც შენთან შეხვედრა მოისურვა.

— გინზბურგი საუკეთესო ტელერეჟისორია. სექტემბრიდან „იმედის“ არხზე ახალი პროექტი — „იმედის ტალღა“ იწყება, რომელსაც მე წარვუძღვები. ეს იქნება მუსიკალური გადაცემა. გინზბურგი ამ გადაცემის დამდგმელი რეჟისორია. ის ყველაფერს ააწყობს, დაგვიდგამს და წავა. მან გამიცნო, მუშაობა ჯერჯერობით არ დაგვიწყია. ბედნიერი ვარ, რომ ბოლო პერიოდში უძლიერეს რეჟისორებთან — რევზინთან და გინზბურგთან მქონდა შეხვედრისა და მუშაობის საშუალება.

— რა გეგმები გაქვს?

— 1-ელ სექტემბერს მე და ჩემი პროდიუსერი — მაია ყიფიანი მოსკოვში მივემგზავრებით. ჩავწერ სიმღერას, რომელიც რუსულ რადიოში დატრიალდება. მათ უნდათ, რომ წლის ბოლოს, ეს სიმღერა „Песня года“-ზე გავიტანო. ამისათვისაც ვემზადები.

— საქართველოდან წასვლასა და რუსეთში კარიერის გაგრძელებაზე ხომ არ ფიქრობ?

— სიამოვნებით წავალ, რადგან აქ, ამაზე მეტს ვერ მივაღწევ. თუ სერიოზული შემოთავაზება მექნება, არც დავფიქრდები და ისე წავალ.

— გეთანხმები. ასეც უნდა მოიქცე, რადგან აქ წინსვლის პერსპექტივა არ არის... სოფო, საერთოდ, რამდენი ხანია, მღერი?

— ბავშვობიდან მუსიკით ვიყავი გატაცებული. 3 წლის ასაკიდან მუსიკალურ სტუდიაში დავდიოდი, მერე ჩავაბარე მუსიკალურ სასწავლებელში, მაქვს კლასიკური მუსიკალური განათლება. ვარ პიანისტი, ვუკრავ ჰობოიზეც. რაც შეეხება სიმღერას, — როგორც სოლო მომღერალს არასდროს მიმღერია. „იმედის“ არხზე კონკურსი — „ნუცას სკოლა“ რომ გამოცხადდა, ჩემმა დაქალმა, ანუშკა ქასრაშვილმა დაწერა ჩემი ავტობიოგრაფია, აიღო ჩემი ფოტო, სი-დი და ეს ყველაფერი „იმედში“ დატოვა. მერე იქიდან დამირეკეს და კონკურსზე გამომიძახეს... დღეს ძალიან მადლიერი ვარ ამ ადამიანის. მან უდიდესი რამ გამიკეთა. თავადაც ძალიან ნიჭიერი კომპოზიტორია.

— უკვე რამდენი წელი გავიდა, რაც თბილისში ცხოვრობ?

— მესამე წელია... დეიდასთან ვცხოვრობ.

— თბილისში რომ ჩამოვედი, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი...

— ნულიდან დაწყებულ ცხოვრებას უფრო მეტი ფასი აქვს. უფრო მეტი მუშაობის სურვილი გაქვს, გინდა, რაღაცას მიაღწიო.

— სოფო, იღბლიანი ხარ?

— კი, ასეა. რაც მინდა, რომ გავაკეთო და რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი გამომდის და, ალბათ, ამაში იღბალიც მეხმარება.

— გეთანხმები. 3 წელიწადში საქართველომ შეგიყვარა და სულ მალე — უცხოელმა მსმენელებმაც... საყვარელი ადამიანი თუ გყავს? და ვის ეკუთვნის შენი გული?

— მყავს საყვარელი ადამიანი *(იცინის)*, მაგრამ არ ვიტყვი, ვინ არის.

— ბათუმშია თუ თბილისში?

— ახლა — თბილისში. ბათუმელი არ არის.

— ძალიან კარგი. ნებისმიერი ადამიანი ცხოვრების ბოლომდე შეყვარებული უნდა იყოს. მით უფრო შემოქმედი.

— ისე, ერთი მაგარი თაყვანისმცემელი შევიძინე „იურმალაში“. ის დღემდე ყოველდღე მირეკავს; სხვათა შორის, ისიც ერთ-ერთი კონკურსანტი იყო. მოსკოვის სახელით გადიოდა ჯგუფ „ჯუგბოქსში“. სულ წითელ ვარდებს მიგზავნიდა, წერილებით. 18 წლის არის. სულ ბოლოს, ყვითელი ვარდები მომართვა.

— სოფო, მართლა ძალიან ლამაზი იყავი კონკურსანტებს შორის.

— დიდი მადლობა!



პაგარა ანასტასიას ვაჭმევ, პამპერსებს ვუცვლი, ვაბანავებ...

მკვლელობა რძალ-მამამთილს შორის ჩხუბს მოჰყვა

ბრალდების თანახმად, 32 წლის ქალმა მამამთილი მოკლა, დედამთილი კი – დაწვა

32 წლის ქალი სასამართლოს წინაშე უმძიმესი დანაშაულის — განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარდგა. ბრალდების მხარე, ისევე, როგორც დაზარალებული ოჯახის წევრები, განსასჯელის უმკაცრესად დასჯასა და მისთვის კანონით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელის შეფარდებას მოითხოვდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ლუიზა ბოდოკიამ საკუთარი მამამთილი მოკლა. სასტიკი დანაშაული მან ნაჯახით ჩაიდინა... აღსანიშნავია ისიც, რომ საქმეში მხოლოდ ერთი მსხვერპლი როდი ფიგურირებს...

ოფიციალური ცნობების თანახმად, ლუიზა ბოდოკია ადრე სამართალში მიცემული არ ყოფილა. ჩადენილი დანაშაულის შედეგად, სასამართლოს წინაშე ის პირველად წარდგა. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალი მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთ საათში დააკავეს. ლუიზა ბოდოკიას გაქცევა და მიმალვა არც უცდია. თავად ამბობს, რომ პოლიციას საკუთარი ნებით ჩაჰბარდა. შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დანაშაულის იარაღიც — გასისხლიანებული ნაჯახი. მოწმეები ამბობდნენ, რომ ქალს ნაჯახისთვის უეცრად კი არ წაუვლია ხელი, არამედ იარაღმომარჯვებული, დანაშაულის ჩასადენად წინასწარ მომზადებული მივიდა შემთხვევის ადგილზე. მისი მამამთილი — 74 წლის მოხუცი, მიღებული მძიმე დაზიანებებისგან ადგილზევე გარდაიცვალა. დანაშაულის ფაქტი მისსავე სახლში, მეორე სართულის აივანზე მოხდა. ფაქტს რამდენიმე ადამიანიც შეესწრო...

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა იმ საღამოს რძალ-მამამთილს შორის ჩხუბს მოჰყვა. როგორც ამბობენ, ჩხუბი პირველად არ მოსვლიათ, დაძაბულობა მათ შორის, წლების მანძილზე არსებობდა და თანდათან, უფრო და უფრო მწვავდებოდა. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ კონფლიქტის გამო, იძულებული გახდა, სვანიძეების ოჯახი მიეტოვებინა და ქმარშვილთან ერთად, საცხოვრებლად ცალკე გადასულიყო. *„ფაქტობრივად, ოჯახიდან გამაგდეს. ჩემი იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, ერთ ჭერქვეშ მათთან ცხოვრება დღითი დღე, აუტანელი ხდებოდა. მინდოდა, საკუთარი ოჯახი დანგრევისგან გადამერჩინა და ამისთვის ყველაფერს ვითმენდი. ამას მიხვდნენ და ერთ დღესაც, ჩემი პირადი ნივთები, ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ, გარეთ, ეზოში გაისროლეს, ჭიშკართან დამიყარეს და მითხრეს, აქედან წადიო...“,* — ჰყვებოდა პროცესზე განსასჯელი.

მაგრამ საქმის მასალებში არსებულ რამდენიმე ჩვენებაში ვითარება სხვაგვარადაა გადმოცემული. მოწმეები — მეზობლები წერენ, რომ ბოდოკიამ დედამთილ-მამამთილის ოჯახი საკუთარი ნებით დატოვა, ქმრის მშობლები მოხუცები იყვნენ და მათ რძლისთვის ამდენი წინააღმდეგობის გაწევის ძალა უბრალოდ, არ შესწევდათ. ოჯახიდან წასვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბოდოკიას ქმარი — ლევან სვანიძეც. ის მოხუცების ერთადერთი შვილი და პატრონი გახლდათ, ხანში შესულ მშობლებს მოვლა და მზრუნველობა სჭირდებოდათ, ამიტომაც არ სურდა მათი მარტო მიტოვება. ამას ლევან სვანიძე ჩვენებაში თავადაც ადასტურებს.

„ცოლის შეჩერება ვერ შევძელი. საკუთარი ოჯახის დანგრევა არც მე მინდოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, ცალკე გადავსულიყავი მასთან ერთად. სამწუხაროდ, უბედურებას ვერც ამ ნაბიჯმა გადამარჩინა...“ — თქვა პროცესზე, დაზარალებულმა.

როგორც ირკვევა, ქმრის დამყოლმა ბუნებამ ოჯახში, კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი პრობლემა შექმნა. ამჯერად ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის დაიძაბა.

ეთერ სვანიძე, *მოკლულის ძმისშვილი:*

„ლუიზა ქმარს მშობლებთან ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტას სთხოვდა. ლევანი „ავტოპროფილაქტიკაში“ ხელოსნად მუშაობდა, ოჯახში პურის ფული შეჰქონდა. ყოველდღე, დილიდან საღამომდე მუშაობდა, რათა ცოლ-შვილისთვის ელემენტარული პირობები მაინც შეექმნა. იმ პერიოდში ლუიზა ეჭვობდა, რომ ქმარი აღებული ფულიდან ნაწილს მშობლებს აწვდიდა. ამდენმა ნერვიულობამ ლევანის დედა ლოგინად ჩააგდო. საწყალ ქალს მაღალი „წნევები“ ისედაც აწუხებდა, ამასთან, ასთმაც ჰქონდა, ძლივს სუნთქავდა. მოხუც ქმარს მისთვის როგორ უნდა მოევლო? ნათესავებისა და მეზობლების ამარა დარჩა. ლევანი მართლაც, ცდილობდა, დედისთვის წამლების ფული გაეგზავნა, მაგრამ იძულებული იყო, ეს ცოლისგან მალულად გაეკეთებინა. დედის მონახულებას თავად ვერ ახერხებდა. რაც ოჯახიდან წავიდა, მას შემდეგ, ფეხი არ შეუდგამს საკუთარ სახლში. ამის დროც არ ჰქონდა, სამსახურის გამო, მაგრამ მეორე მხრივ, ეს მისი ცოლის წინააღმდეგობითაც იყო გამოწვეული. ნაცნობების ხელით უგზავნიდა მშობლებს ცოტაოდენ ფულს. რამდენჯერმე მეც დამიბარა. სამსახურში მივაკითხე, რათა თანხა გადმოეცა... არ ვიცი, ვისგან, მაგრამ ლუიზამ ამის შესახებ შეიტყო. ალბათ, რომელიმე მეზობელმა თუ მიუტანა ენა. ამის გამო ქმარს საშინლად ეჩხუბა თურმე. აღელვებულ ლევანს ვეღარ მოუთმენია და სიბრაზისგან წონასწორობადაკარგულს, ცოლისთვის სახეში გაურტყამს ხელი. ამ ფაქტს ბავშვიც შესწრებია. ლუიზამ, რა თქმა უნდა, ეს ამბავი შემდეგ გაამძაფრა, ყველასთან ამბობდა, ქმარმა ბავშვის თვალწინ სასტიკად მცემაო... ამ ამბიდან მესამე დღეს, სოფელში მოულოდნელად ჩამოვიდა, დედამთილ-მამამთილის სახლში შევარდა და ყვირილი მორთო — ქმარშვილთან ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ მაძლევთ, ოჯახს მინგრევთო! ყვირილის ხმა მეზობლებმაც გაიგონეს, მაგრამ სანამ ამბის გასარკვევად და მათ გასაშველებლად მივიდოდნენ, ლუიზას მოუსწრია და იქვე, შეშის ღუმელზე დადებული, მდუღარე წყლით სავსე ჩაიდნისთვის დაუვლია ხელი და ლოგინში მწოლიარე უმწეო ქალის მიმართულებით უსვრია. ჩაიდანი დედამთილს მუცელზე დაეცა, იქიდან ადუღებული წყალი სხეულზე დაეღვარა და საშინლად დაიწვა. კიდევ კარგი, გვერდით სახლში მცხოვრებმა მეზობელმა ქალმა დროულად მიუსწრო. თითქმის ერთი თვე იწვა საავადმყოფოში, კიდევ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ უსახსრობის გამო, ვეღარ დარჩა. სიკვდილს მაინც გადაარჩინეს...“

აღნიშნული ფაქტის შესახებ მაშინ პოლიციისთვის არ შეუტყობინებიათ. ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ამბავი ამ დონეზე არ გახმაურებულიყო და საქმე არ აღძრულიყო. საავადმყოფოში დააფიქსირეს, რომ ვენერა სვანიძემ მდუღარე წყალი თავად გადაისხა შემთხვევით და ამის შედეგად დაზარალდა. მომხდარის შესახებ სამართალდამცველებისთვის მხოლოდ მკვლელობის შემდეგ გახდა ცნობილი. ბოდოკიას, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხ-

ლი მიუყენეს, თუმცა დაზარალებული ოჯახის ნათესავები მოითხოვდნენ, მისთვის მკვლელობის მცდელობის მუხლის წაყენებასა და შესაბამისად დასჯას...

ზემოთ აღნიშნული დაზიანების დედამთილისთვის მიყენების შემდეგ, ლუიზა ბოდოკიას ოჯახი დაენგრა. მკვლელობამდე დაახლოებით ორი თვით ადრე, ის თავის მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად, თან წაიყვანა ერთადერთი ვაჟიშვილიც. ამან კი, მასა და ქმრის ოჯახის წევრებს შორის კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა. ლუიზა ბოდოკია ქმარსა და მის ნათესავებს ბავშვის ნახვის საშუალებას არ აძლევდა, ქმარი კი, პირიქით, მიიჩნევდა, რომ დედასთან შვილის გაჩერება მიზანშეწონილი არ იყო: მას მიაჩნდა, რომ ცოლს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, რაც ბავშვზე ცუდ გავლენას მოახდენდა...

„ოჯახის დანგრევა არ მაკმარეს, შვილის წართმევაც დამიპირეს. იმუქრებოდნენ, ქმარს დაგაშორებთო. ეს მუქარა განახორციელეს კიდეც. საქმეში მთელი ნათესაობა ჩარიეს და ერთიანი ძალით მოახერხეს ჩემი ოჯახის დანგრევა. ამის შემდეგ შემომითვალეს, ბავშვი უნდა წამოვიყვანოთ, შენთან არ გავაჩერებთო. ამდენი ამბის შემდეგ, არ შეიძლებოდა, ეს მუქარა რეალურად არ აღმექვა, ვგრძნობდი, რომ ისინი ამის გამკეთებლები იყვნენ...“ — თქვა სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას განსასჯელმა.

როგორც თავად აღნიშნავს, იმ საღამოსაც სწორედ ამ საქმის გარკვევის მიზნით მიაკითხა დედამთილ-მამამთილს სახლში. იცოდა, რომ ყოფილი მეუღლე შინ არ დახვდებოდა. ის კვლავ ავტოპროფილაქტორიუმში მუშაობდა, ქალაქიდან სოფელში დაბრუნებას ყოველდღე ვერ ახერხებდა და ღამეს იქვე ათევდა. როცა ბოდოკია სახლის ეზოში შევიდა, დაახლოებით საღამოს 7 საათი იქნებოდა. ამ დროს პავლე სვანიძე ნასვამი იყო და მეორე სართულის სახლის აივანზე იჯდა. მისი მეუღლე პირველ სართულზე მდებარე საძინებელში იწვა, მეზობელ ქალს ელოდებოდა, რათა ის დამწვარ ადგილებზე სახვევის გამოცვლაში დახმარებოდა. ბოდოკია სახლში არ შესულა, პირდაპირ აივანზე ავიდა და მამამთილს კამათი დაუწყო. ჩხუბის დროს მან პარკიდან ნაჯახი ამოიღო და მჭრელი პირით მამამთილს პირდაპირ თავში ჩაარტყა. პავლე სვანიძე უგონოდ დავარდა, ის ადგილზევე გარდაიცვალა...

„ყვირილის ხმა რომ გავიგონე, ეზოში გავვარდი. ჩემი ეზოდან სვანიძეების აივანი კარგად ჩანს. ლუიზა დავინახე, ის ყვიროდა და პავლეს წინ ხელებს იქნევდა, პავლე ცდილობდა, მისთვის ხელები დაეკავებინა. სახლში შევვარდი, რათა ქმრისთვის მეთქვა, ლუიზა პავლეს ეჩხუბება და წამოდი, რამე არ მოსწიოს-მეთქი. ქმარს არ დავლოდებივარ, პირდაპირ სვანიძეების სახლისკენ გავიქეცი. ერთი ღობე გვყოფს, ამიტომაც, ვინაიდან ოჯახებით ძალიან ვახლობლობდით, ღობეზე, ეზოს შიგნიდანაც გვქონდა ამოჭრილი კარი, ასე, მოკლე გზით, უფრო მალე გადავდიოდით ხოლმე ერთმანეთთან. მაშინაც იმ კარს მივაშურე. რამდენიმე წამში პავლეს აივანზე ვიდექი, მაგრამ უბედურება უკვე მომხდარიყო. საშინელი სურათი დამხვდა. ნაჯახით თავგაპობილი პავლე პირქვე ეგდო აივანზე, სისხლი თქრიალით სდიოდა თავიდან. ლუიზაც იქვე იდგა. რა მოხდა? ეს რა ჩაიდინე-მეთქი?! — მივვარდი. — თავი დამანებეო, — მითხრა და კიბეზე დაეშვა. ამასობაში, ჩემი ქმარიც მოვიდა. მიშველე, საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ-მეთქი! უკვე აზრი არ ჰქონდა, პავლე უსულოდ იწვა... არ ვიცი, პოლიციას ვინ შეატყობინა. დაახლოებით 40-50 წუთში მოვიდნენ. არც ლუიზასთვის მიმიქცევია ყურადღება, სხვა მეზობელ ქალებთან ერთად, ვენერა სვანიძეს ვადექი თავზე, ვასულიერებდით და მაშინ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, რომ როგორმე ისიც არ ჩაგვკვდომოდა ხელში. როგორც შემდეგ მითხრეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ლუიზა თურმე ჭიშკართან გარეთ, სკამზე იჯდა და ხმას არ იღებდა...“ — წერს ჩვენებაში დაზარალებული ოჯახის მეზობელი — **მარიამ ფხაკაძე**.

ლუიზა ბოდოკიას პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩადენილი დანაშაული მან აღიარა და წინასწარ გამოძიებას მომხდარის შესახებ ჩვენებაც მისცა, თუმცა დააფიქსირა, რომ დანაშაული მას განზრახ არ ჩაუდენია.

„მოკვლის განზრახვით იქ არ მივსულვარ, მე მხოლოდ საქმის გარკვევა მინდოდა. მინდოდა მეკითხა მათთვის, რატომ არ მანებებდნენ შვილს? ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა. ჩემი მამამთილი, რომელიც არც ადრე არიდებდა თავს ჩემს ცემას, მაშინაც საცემრად გამოიწია. თან ნასვამი იყო. გინება დამიწყო და ხელებით თმაში მწვდა. ხანში შესული იყო, მაგრამ მაღალი და ღონიერი კაცი გახლდათ, ძლივს დავუსხლტი ხელიდან. მაშინ, იქვე აივანზე, კართან დადებულ ნაჯახს დაავლო ხელი და ჩემკენ გამოქანდა. არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მაგრამ მისთვის ხელის დაკავება შევძელი, თან ვყვიროდი — მიშველეთ-მეთქი! ამ მომენტში ნაჯახი ძირს დავარდა, რაღაც წამებში დავასწარი და მე ავიღე. პავლემ ისევ ჭიდილი დამიწყო, ცდილობდა, წაერთმია. სწორედ ამ მომენტში, არც დავკვირვებივარ, მჭრელი პირით იყო თუ ტარით, ნაჯახი მისკენ მოვიქნიე და თავში ჩავარტყი...“

ამ ჩვენებით ბოდოკია ცდილობდა, სამართალდამცველები დაერწმუნებინა იმაში, რომ დანაშაული მან მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა და არა წინასწარი განზრახვით. მოწმეების ჩვენებები კი, ასევე, ამოღებული ნივთმტკიცება (ნაჯახი), რომელიც როგორც გაირკვა, სვანიძეების ოჯახს არ ეკუთვნოდა, საწინააღმდეგოს მოწმობს.

„ჩემ წინააღმდეგ პირი შეკრეს. მეზობლებმა მშვენივრად იცოდნენ, ჩვენ შორის ვინ იყო მტყუანი და ვინ — მართალი, მაგრამ თავიდანვე დამიპირისპირდნენ. სვანიძეებმა კარგად მოახერხეს, რომ გარშემო მყოფებს ავეთვალწუნებინე, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მეზობლები ჩემ საწინააღმდეგო ჩვენებებზე დაეყოლიებინათ. ის ნაჯახი წლების მანძილზე ედო სარდაფში ჩემს მამამთილს, იმ დღეს რა მიზნით ჰქონდა გამოტანილი, არ ვიცი. მე იქ ნაჯახით არ მივსულვარ, ხელში ხელჩანთის მეტი არაფერი მჭერია, იმ ჩანთაში კი, ის არ ჩაეტეოდა. მეზობლები არც იმას აფიქსირებენ ჩვენებებში, რომ ვყვიროდი და ხალხს საშველად ვუხმობდი. არაერთხელ მივმართე გამოძიებას თხოვნით, ხელმეორედ დაეკითხა ეს ხალხი, რადგან მათი ტყუილში გამოჭერა ადვილად შეიძლებოდა, ასევე ვითხოვდი, დაეკითხათ ის ადამიანები, რომლებთან ერთადაც იმ დღეს სოფლისკენ ვიმგზავრე. რამდენიმეს ვიცნობდი და დავუსახელე კიდეც გამომძიებელს მათი გვარები და საცხოვრებელი მისამართებიც ვუთხარი, მაგრამ — ამაოდ. იმ ხალხს შეეძლო, დაედასტურებინა, რომ იმ დღეს, პატარა ხელჩანთის მეტი, მე ხელში არაფერი მჭერია...“ — აღნიშნა სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა.

საქმის გამოძიების პერიოდში, ბოდოკიას ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლის საკითხიც დაისვა. შესაბამისი გამოკვლევის შემდეგ, ექსპერტებმა დასკვნაში მიუთითეს, რომ ბოდოკია ფსიქიკურად ჯანმრთელია და დანაშაულის ჩადენის მომენტში შეეძლო, გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედება და მოსალოდნელი შედეგიც. ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლომ განსასჯელისა და მისი ადვოკატის პოზიცია — მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მკვლელობის შესახებ — არ გაიზიარა და ბოდოკია წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო.

„დაცვის მხარის მიერ წამოყენებულ ვერსიას სასამართლო ვერ გაიზიარებს. სახეზე გვაქვს წინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა, რასაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტიზის დასკვნები ადასტურებს. მტკიცებულებები კანონის სრული დაცვითაა მოპოვებული. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უდავოა“, — აღნიშნულია განაჩენში.

სასამართლომ ლუიზა ბოდოკია დამნაშავედ ცნო და მას სასჯელის ზომად, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი მსჯავრდებულის მხარემ გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. დაცვის მხარის პოზიცია არც უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია სარწმუნოდ, თუმცა ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინა. მოსამართლეებმა მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ ბოდოკია წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა და ამასთან, აღნიშნულ საქმეზე გამოძიების მსვლელობისთვისაც არ შეუშლია ხელი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, მისთვის სასჯელი 2 წლით შეემცირებინათ.

■

M K

მკვლელობა კუს ტბაზე

23 წლის ბრალდებულის ოჯახმა სასამართლოს გირაოდ, 100 ათასი ლარი შესთავაზა

კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე დღის წინ მომხდარ საშინელ მკვლელობასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ჩატარდა. სხდომაზე 20 წლის ზურაბ დემეტრაშვილის მკვლელობაში ბრალდებულისა და დანაშაულის დაფარვისთვის დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა გადაეწყვიტათ.

მკვლელობა 2006 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათისთვის მოხდა. კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბაგირო გზის სადგურში მოკლული დემეტრაშვილის გვამი იპოვეს. სამართალდამცველთა თქმით, მას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან 6 ტყვია ესროლეს, აქედან ერთი გასროლა „საკონტროლო“ იყო.

პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი — თბილისელი, მუხიანის დასახლებაში მცხოვრები 23 წლის გაგა არზიანი დააკავა. გაირკვა მკვლელობის მოტივიც: სამართალდამცველთა თქმით, დანაშაული შურისძიების მოტივითაა ჩადენილი. დაადგინეს, რომ გაგა არზიანსა და დემეტრაშვილებს შორის კარგა ხანია, კონფლიქტი არსებობდა. არზიანს დემეტრაშვილის ბიძაშვილი ჰყავდა ცოლად, რომელთანაც ამჟამად გაცილებულია. ცოლი ქმრისგან დედამ წაიყვანა. ყოფილი სიდედრი ამბობს, რომ გაგა არზიანი ცოლს ცუდად ექცეოდა, ხშირად ეჩხუბებოდა, სცემდა და აწამებდა. ამბობს იმასაც, რომ არზიანი მას დაემუქრა, რომ გაამწარებდა. ასევე დაემუქრა გიორგი ალიმონაკიც, რომელიც აღნიშნული დანაშაულის დაფარვისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ზურაბ დემეტრაშვილს უცნობმა გოგონამ დაურეკა მობილურ ტელეფონზე და კუს ტბაზე ასვლა სთხოვა. ამბობენ, რომ გოგონა წინა დღეებში დემეტრაშვილის სხვა მეგობრებსაც უკავშირდებოდა. სამართალდამცველები ამჟამად, გოგონას ვინაობას ადგენენ, ვარაუდობენ, რომ მას მომხდართან კავშირი აქვს და ჩადენილი დანაშაულთან დაკავშირებით ბევრი რამის თქმა შეუძლია. სწორედ ამ სატელეფონო ზარის შედეგად, იმ დღეს დემეტრაშვილი, მისთვის მოულოდნელად, გაგა არზიანს შეხვდა. გამოძიების ვარაუდით, არზიანმა ის ანგარიშსწორების მიზნით მოკლა.

წაყენებულ ბრალდებას გაგა არზიანი არ ეთანხმება, მისი ნათესავები კი აცხადებენ, რომ ის უდანაშაულოა და უსამართლოდაა დაპატიმრებული. დაკავებისას არზიანმა კანონით მინიჭებული, დუმილის უფლება გამოიყენა. პროკურატურამ მას ბრალი 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენა. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, არზიანს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე დაკავებულების ადვოკატებმა მოსამართლეს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შესახებ თხოვნით მიმართეს და სანაცვლოდ, გირაოც შესთავაზეს — ალიმონაკის ადვოკატმა 7 — ათასი ლარი, ხოლო არზიანის ადვოკატმა — 100 ათასი ლარი. მოსამართლემ წინადადება არ მიიღო. მან არზიანს, ისევე, როგორც ალიმონაკს, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლის ბრძანებას ადვოკატები ასაჩივრებენ. ■

"სახალხო ბანკის" დუშეთის ფილიალის დაცვის წევრი დააკავეს

„სახალხო ბანკის“ დუშეთის ფილიალის დაყაჩაღების გამო, სამართალდამცველებმა 24 წლის ლევან მჭედლიშვილი დააკავეს. მჭედლიშვილი სწორედ ის დაცვის წევრი გახლავთ, რომელიც, როგორც თავად ამბობს, თავდამსხმელებმა სცემეს, გაკოჭეს და ამის შემდეგ, ბანკიდან 80 ათასი ლარი წაიღეს. მჭედლიშვილი სამართალდამცველებმა, როგორც მომხდარი ფაქტის ერთადერთი შემსწრე და თვითმხილველი, განყოფილებაში წაიყვანეს და მის ახლობლებს განუცხადეს, რომ მას მოწმის სახით დაჰკითხავდნენ. მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, მჭედლიშვილი სწორედ ის პიროვნება იყო, ვისზეც სამართალდამცველებმა პირველ რიგში აიღეს ეჭვი. განყოფილებაში ის არა მოწმის, არამედ ეჭვმიტანილის სახით დაჰკითხეს. მჭედლიშვილის ოჯახის წევრები და ახლობლები აღნიშნულ დანაშაულთან დაკავებულის კავშირს კატეგორიულად გამორიცხავენ.

„არ ვიცი, რა მუხლით წაუყენებენ ბრალს. ჩემი შვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოვითხოვ!“ — აცხადებს დაკავებულის დედა **ნინო ჩოხელი**. თავიდანვე ცნობილი გახდა იმ ფაქტის შესახებ, რომ „სახალხო ბანკის“ დუშეთის რაიონის ფილიალის შენობა ძველთაძველი და დაუცველია. ბანკს არც რკინის კარი, არც სიგნალიზაცია არ აქვს. მჭედლიშვილის სახით, ერთადერთი მცველი ჰყავდა, თუმცა არც მას ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო პირობები — არ ჰქონდა არც რაცია, არც ცეცხლსასროლი იარაღი და არც მობილური ტელეფონი...

„სახალხო ბანკის“ დუშეთის ფილიალიდან ბოროტმოქმედებმა პენსიონერების კუთვნილი თანხა წაიღეს... ■

ავტოავარიას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, 22 აგვისტოს, დაახლოებით ღამის პირველის ნახევრისთვის მომხდარ ავტოსატრანსპორტო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტოავარია ცოტნე დადიანის ქუჩაზე მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ზესტაფონის ქუჩიდან მთავარ მაგისტრალზე შავი ბე-ემ-ვე დიდი სიჩქარით ადიოდა, ამ დროს, ვერცხლისფერმა ბე-ემ-ვემ მისთვის გვერდის ავლა სცადა. ამ მანქანის მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და იქვე მდგარ შინდისფერ ჯიპს შეეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბე-ემ-ვეს ერთი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა, მეორე — საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გაჩერებული ჯიპის მძღოლი ავარიის მომენტში მანქანაში არ იჯდა, ამიტომაც სიკვდილს გადაურჩა. მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ■

პოლიციელი ძრომის აღებისთვის დააკავეს

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლებმა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე პოლიციელი დააკავეს. ის ზუგდიდის შს სამმართველოს თანამშრომელი — რომან ფერტელავა აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა იგი ზუგდიდის ცენტრში დააკავეს. როგორც ამბობენ, ფერტელავამ გაქცევა სცადა და ამ მიზნით, საკუთარი ავტომანქანიდან გადახტა კიდეც, მაგრამ მის მცდელობას სამართალდამცველთა მხრიდან გამაფრთხილებელი გასროლა მოჰყვა. ფერტელავა ადგილზე დააპატიმრეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მას მეორე პოლიციელიც ახლდა თან, რომელმაც გაქცევა მოახერხა. მისი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დეტალებს გამოძიება დაადგენს. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ის, რაც ამ ზაფხულს მოხდა

ტელეფონი უნიტაზში და ორცოლიანი კაცის სიყვარული ანუ ისევ ის იდიოტი დავრჩი

წელს უჩვეულოდ ცხელი ზაფხული დადგა. ბედნიერმა ადამიანებმა კურორტზე დასვენება მოახერხეს და ქალაქში დარჩენილებს იქიდან თანაგვიგრძნობდნენ. შესაბამისად, თავგადასავალიც მათ უფრო უხვად ჰქონდათ, ვინც ზაფხულის სიცხეს მთაში თუ ზღვაზე აფარებდნენ თავს, ვიდრე უშვებულებოდ დარჩენილებს. მოკლედ, დასვენება ყველანაირად მომგებიანია და გაისად მეც წავალ სადმე... ახლა კი, უკვე დასვენებულებს თუ დამსვენებლებს მოვუსმინოთ და მათი თავგადასავლებით დავტკბეთ.

მარი ჯაფარიძე

„კვერცხი მინდა!“

„ამ ზაფხულს ინგლისში ვიყავი. მართალია, დასასვენებლად არ წავსულვარ, მაგრამ გარკვეულწილად, განტვირთვა მაინც მოვახერხე. ერთხელ, ძალიან მომშივდა და გადავწყვიტე, რესტორანში შევსულიყავი. რადგან ბევრი ფული არ მქონდა, იაფი რესტორანი შევარჩიე, დავჯექი, მენიუს გადავხედე და რაღაცრაღაცებთან ერთად, მოხარშული კვერცხი შევუკვეთე, რომელიც მენიუში არ ეწერა, მაგრამ ძალიან მინდოდა. ან მიმტანი შემხვდა სულელი, ან მე ვერ ვთქვი რაღაც კარგად, რადგან ის დიდხანს მახსნევინებდა — როგორ გამოიყურებოდა ეს „ბლუდა“. დაწვრილებით მოვუყევი, როგორ უნდა მოეხარშათ კვერცხი — ვიღებთ ქვაბს, ვასხამთ წყალს, შიგ ვდებთ კვერცხს და 5 წუთის განმავლობაში ვხარშავთ. ეს რეცეპტი რამდენჯერმე რომ გავუმეორე, მერე, როგორც იქნა, დაიმახსოვრა და შეკვეთის მოსატანად წავიდა. ოფიციანტი რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა. მას „პოდნოსზე“ ქვაბი ედო, რომელშიც წესით, მოხარშული კვერცხი უნდა ყოფილიყო. თავსახური რომ ავხადე, ლამის სიცილით მოვკვდი — კვერცხი გაუტეხავთ და ადუღებულ წყალში ჩაუხლიათ. იქვე, კართან „პოვარი“ ატუზულიყო და ინტერესით მაკვირდებოდა — როგორ შევჭამდი მათ მიერ მომზადებულ უცნაურ კერძს“.

ამბალი

„ჩემს სახლთან რომ მივიდე, სკოლის ეზო უნდა გადავჭრა. ღამით იქ სიარული საშიშია, რადგან ათასი მთვრალი და გადარეული დადის. მართალია, იქვე პოლიციის განყოფილებაა, მაგრამ ეს არც ყაჩაღებს აშინებთ, არც ლოთებს და იქ ხშირად საქმეებსაც არჩევენ. ჰოდა, ერთხელ, შინ მეც ნასვამი ვბრუნდებოდი. სკოლის ეზოს რომ მივუახლოვდი, ფეხს ავუჩქარე — შარს არ გადავეყარო-მეთქი. გაჯგიმული მივდიოდი და თან აქეთ-იქით ვიყურებოდი. იქვე ახალგაზრდა მამაკაცი შევნიშნე, რომელიც ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. როგორც იქნა, მომიახლოვდა და ბლუყუნით მეუბნება: მე მინდა, სიფათი გაგისწოროო. სიმართლე გითხრათ, მისმა სიტყვებმა გამაკვირვა. წესით, ამის შესახებ არ აფრთხილებენ, პირდაპირ ურტყამენ... ეს კი, რაღაც, არაორდინარულად იქცეოდა. ვუთხარი: მიდი, სცადე-მეთქი. მართალია, არც სპორტის ოსტატი ვარ და არც კარატეში „შავი ქამრის“ მფლობელი, მაგრამ საკუთარი თავის დაცვა შემიძლია. მან ჩემ გარშემო სირბილი დაიწყო, თან ხელებს იქნევდა. მე კი, მის შემოტევას ფეხებით ვიგერიებდი და წავაქციე. მერე მისკენ დავიხარე და ხელები ამოვუგრიხე. უეცრად ვიგრძენი, რომ ვიღაც, მხარზე შემეხო. მოვიხედე და რას ვხედავ? მეორე მთვრალი კაცი დგას და მტრულად მიყურებს: — ჩემს მეგობარს რატომ სცემ? მოერიეო? — მე პასუხად რაღაც ამოვილუღლუღე, რადგან მივხვდი, რომ შარში გავეხვიე. მერე დავეტაკე და წიხლები დავუშინე. ესეც რომ წავაქციე, ხელები ჩემი ქამრით გავუკოჭე. მეორე კი ისე აორთქლდა, რომ თვალიც ვერ მოვკარი... არ ვიცოდი, ამ კაცისთვის რა მექნა — იქ რომ დამეტოვებინა და მომკვდარიყო?!. ხელები რომ გამეხსნა, ისე იგინებოდა, ნამდვილად მომკლავდა. ამასობაში, პოლიციის განყოფილებიდან თანამშრომლები მოვიდნენ. რომ დაგვინახეს, გაშრნენ, რადგან ჩემ მიერ წაქცეულ და გაკოჭილ კაცს სიგრძე-სიგანე ერთნაირი ჰქონდა და ალბათ, 2 მეტრს აღწევდა, კარადასავით იყო. მას ხელბორკილები დაადეს და განყოფილებაში წაიყვანეს. დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, დღისით, მზისით, ეს „შკაფი“ ქუჩაში შემხვდა. ვიფიქრე — მორჩა, ჩემი სიცოცხლე დამთავრდა-მეთქი, — მაგრამ თვალი ამარიდა და ისე ამიარა გვერდი, რომ მივხვდი, მიცნო... აი, ასეთი ამბავი შემემთხვა ამ ზაფხულს“.

ვინ არის ჯეკ ლონდონი?

„უკვე 8 წელია, რაც ამერიკაში ვცხოვრობ და მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არ ჩამოვსულვარ. ამ ზაფხულს კი, ოცნება ავიხდინე და როგორც იქნა, სამშობლოში დავბრუნდი. წამოსვლის წინ, მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავი და ჩემს გამომგზავრებას აღვნიშნავდით. შემომნატროდნენ — ნეტავ, შენ, რომ მიდიხარო!.. საუბარს შევყევით, საქართველოსა და ამერიკას ერთმანეთს ვადარებდით. ერთ-ერთმა თქვა: ამერიკელები განათლებით ქართველებთან ახლოსაც ვერ მოვლენო. ჩვენ შორის რამდენიმე ამერიკელი მეგობარიც იყო. ერთ-ერთი შეეკამათა და დანაძლევდნენ. ამ დროს, მიმტანმა სუფრას რაღაც შემოამატა. ნაძლევის ინიციატორი მას ეკითხება:

— უკაცრავად, თქვენ თუ იცით, ვინ იყო ჯეკ ლონდონი?

— უკაცრავად?..

— ჯეკ ლონდონი, საკმაოდ ცნობილი ადამიანი, ვინ იყო?

— არ ვიცი... — დაიბნა ოფიციანტი.

— აბა, გაიხსენეთ, ეს ხომ ცნობილი ამერიკელი მწერალია!

— ბატონო, იცით, ჩვენი რესტორნიდან რომ გახვალთ, მარცხნივ გაუხვევთ, შემდეგ, გზაჯვარედინზე მარჯვნივ წახვალთ და იქ შეგხვდებათ წიგნის მაღაზია. იქ დაწვრილებით შეიტყობთ — ვინ არის ჯეკ ლონდონი. მე კი არ ვიცი, რისთვისაც ბოდიშს გიხდით...

ნაძლევი ამერიკელმა მეგობარმა წაგო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა: შეიძლება, ქართველები უფრო ნაკითხი ხალხია, სამაგიეროდ, ხომ ხედავთ, ჩვენ როგორი მომსახურება გვაქვსო!.. რაც მართალია — მართალია, მომსახურება იქ მართლაც, მაღალ დონეზე დგას. აქ კი, ყველა ოფიციანტმა იცის — ვინ არის ჯეკ ლონდონი, მაგრამ...“

ტესტირება

„ერთ-ერთ ფირმაში კადრებს განვაგებ. ამ ზაფხულს რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობის ვაკანსია გაჩნდა, ახალი თანამშრომლების მიღება გადავწყვიტეთ და კონკურსი გამოვაცხადეთ. უამრავი ადამიანი მოვიდა. ტესტირებასთან ერთად, ანკეტებიც უნდა შეევსოთ. შემდეგ, ჩვენ განვიხილავდით მათ კანდიდატურებს და შესაფერის თანამშრომელს მივიღებდით. მინდა, ერთი ანკეტა თავიდან ბოლომდე გამოაქვეყნოთ:

1. სახელი, გვარი: ბესო ვ-შვილი
2. ასაკი: 28 წლის
3. სასურველი პოზიცია: ჰორიზონტალური.
4. სასურველი ხელფასი: 800 ათასი დოლარი წელიწადში. თუ თქვენთვის მიუღებელია, მზად ვარ, თქვენი შემოთავაზება განვიხილო.
5. განათლება: დიახ!
6. ხელფასი წინა სამუშაო ადგილზე: გაცილებით ნაკლები, ვიდრე ვიმსახურებდი.
7. უმაღლესი მიღწევა, წინა სამუშაო ადგილზე: მოპარული საწერ-კალმები, რომლებიც ამჟამად გამოფენილია ჩემს სახლში.
8. წინა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი: იხ. პუნქტი 7.
9. გყავთ თუ არა ავტომობილი? — დიახ. თუ შემეკითხებოდით, გყავთ თუ არა ავტომობილი, რომელიც გადაადგილდებაო? — მაშინ, განსხვავებულ პასუხს გაგცემდით.
10. გაქვთ თუ არა ჯილდო, მადლობა ან გაგიმარჯვიათ თუ არა რომელიმე კონკურსში? — 2-ჯერ გამოვიცანი ლატარიის ბილეთში სწორი რიცხვები.
11. 5 წლის შემდეგ როგორ ცხოვრებას ისურვებდით? — სადმე, კუნძულზე ვიცხოვრებდი, ჩემზე შეყვარებულ მოდელთან ერთად. ისე, ასეთ ცხოვრებაზე არც ახლა ვიტყოდი უარს, თუ მეტყვით, ეს როგორ მოვახერხო.
12. ადასტურებთ თუ არა, რომ სიმართლეა, რაც ზემოთ დაწერეთ? — სცადეთ, დაამტკიცოთ, რომ ვტყუი.
13. რატომ გსურთ სამსახურის დაწყება? — ვალები მაქვს, ვიხრჩობი!

ჩვენმა ხელმძღვანელმა არჩევანი სწორედ ამ ადამიანზე შეაჩერა და სამსახურში მიიღო. ვფიქრობ, რომ არ შემცდარა. თუმცა, თავიდან ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ მისმა მუშაობამ ამაში დამარწმუნა“.

ქურდობა

„ერთ-ერთ ქარხნაში ვმუშაობ. ამას წინათ, უამრავი 200-ლიტრიანი კასრი მოიტანეს, თეთრი საღებავით სავსე. გადავწყვიტე, ერთი კასრი სახლში წამეღო, მაგრამ როგორ უნდა გამომეტარებინა ცენტრალურ გასასვლელში, სადაც დაცვა დგას?.. ბევრი ვიფიქრე და ასეთი ხერხი მოვიგონე: ჩემი მეგობარი დავიხმარე, კასრი სპეციალურ საგორავზე შევდგით, ფუნჯებით შევიარაღდით და ქარხანაში გაყვანილ ლიანდაგს მივყევით. ყოველ 5 მეტრში ნიშანს ვადებდით — ვითომ უფროსებისგან გვქონდა დავალებული. ასე გავიარეთ ცენტრალური გასასვლელი და ჩვენი კასრიანად სამშვიდობოს გავედით. აი, ასეთი ეშმაკობა ჩავიდინე ამ ზაფხულს. P.S. თუ ჩემმა უფროსმა წაიკითხა, მერე მაჩვენებენ ეშმაკობას...“



თავაზიანი ჩინელი

„ალბათ, თქვენც შენიშნეთ, რომ ამ ბოლო დროს, თბილისში ჩინური მაღაზია მომრავლდა. ჰოდა, მე კერძო სახლში ვცხოვრობ და 2 ჩინელი მდგმური მყავს. ერთ დღეს, თავიანთ მაღაზიაში მუშაობა შემომთავაზეს. რა თქმა უნდა, გამიხარდა. მათ ქართული არ იცოდნენ და თუ რამის სწავლა უნდოდათ, ხელებით მანიშნებდნენ — აგვიხსენიო; მერე ჩემს ნათქვამს იზეპირებდნენ და ასე ნელ-ნელა სწავლობდნენ (თუმცა, მაგრად იტანჯებოდნენ) ქართულს. ერთ მშვენიერ დღეს მკითხეს: როგორ არის ქართულად — „გამატარე, ქალბატონო“. მეც ვასწავლე, რომ ეს ასე უნდა ეთქვათ: „ბეცივით ნუ დაეთრევი, ქალო!“ ჰოდა, გაოცებული კლიენტების სახეები უნდა გენახათ, როცა ჩინელისგან ასეთ მიმართვას ისმენდნენ. რამდენიმემ კარგადაც გამოლანძღა. მერე მიხვდნენ, რომ რაღაც მოვატყუე და ლამის მომკლეს, მაგრამ მაღლევე შემირიგდნენ და ამ ხუმრობაზე თვითონვე იცინოდნენ“.

„აქაცა რეკავს!“

„ერთ-ერთ ფირმაში ვმუშაობ. სამსახურის ინტერესებში შედის, რომ თანამშრომლებს მობილური ტელეფონები გვქონდეს. ჰოდა, მობილურების შესაძენად, საკმაოდ დიდი თანხა გამოყვეს და ძვირად ღირებული აპარატები დაგვირიგეს. ერთ მშვენიერ დღეს, სამუშაო ოთახში შევდივარ და რას ვხედავ?! — ერთ-ერთ თანამშრომელს ჩაუბღუჯია თმა, მაგიდაზე დამხობილა და ღმუის. გადავირიე, მეგონა, რაღაც უბედურება შეემთხვა. აღმოჩნდა, რომ სამსახურის მიერ ნაჩუქარი ტელეფონი ტუალეტში ჩავარდნია და ამას განიცდიდა. ხელით ვიწვალე, მაგრამ ვერ ამოვიღეო, — წუხდა. მისი ამბავი თითქმის ყველა თანამშრომელმა შეიტყო, ჩვენს

ოთახში მოიყარეს თავი და მისთვის რჩევებსაც არ იშურებდნენ: ახლა, უნიტაზით იარე და მობილური ტელეფონი მობილურ უნიტაზში გექნებაო — გულზე ხეთქავდნენ მას. უეცრად, დაზარალებულმა ხმა ამოიღო და თქვა: ტელეფონი მუშაობს... სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში მართლაც, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა, რომელიც ტუალეტიდან გამოდიოდა. ყველანი იქით გავცვივდით. მართლაც, უნიტაზში ჩავარდნილი ტელეფონი რეკავდა... ეს ამბავი ბედნიერად დამთავრდა: მოწვეულმა სანტექნიკოსმა ტელეფონი ამოიღო, პატრონმა კი გარეცხა, გაწმინდა და დარეკვა სცადა. ტელეფონი ჩვეულებრივად მუშაობდა. ტელეფონის მოდელს არ ვიტყვი, თორემ, რეკლამა გამომივა. კარგად“.

ინტრიგანი მამა

„მე და ჩემი მეგობარი ზაზა ერთ კომპანიაში ვმუშაობთ და საღამოობით სახლშიც ერთად ვბრუნდებით ხოლმე. ორივე, დაოჯახებული ვართ და ერთმანეთისთვის ძალზე ახლობლები. ამ ზაფხულს ცოლ-შვილი დასასვენებლად ერთად გავუშვით და მარტო დავრჩით. ერთ საღამოს, 2 ნაშა „მოვხსენით“, ჩვენი შავბნელი საქმე გავაკეთეთ და სახლში დავბრუნდით. დილით კი, ერთმანეთს დავურეკეთ და წინა დღის ამბები განვიხილეთ: ვინ — როგორ, ვინ — რამდენი, ვინ — რამდენჯერ და ა.შ. საღამოს კი, მამაჩემმა თვალმოჭუტულმა მითხრა: დღეს ისეთ მაგარ კასეტას მოვუსმინე, რომ ძალიან მინდა, შენს ცოლსაც მოვასმენინოო... თვალები ლამის ბუდიდან გადმომცვივდა. ტელეფონზე ლაპარაკის დროს, მამაჩემს მალულად მაგნიტოფონი ჩაურთავს და მთელი ჩემი ლაპარაკი ჩაუწერია. მოკლედ, მთელი თვის განმავლობაში ეს კასეტა დამოკლეს მახვილივით ეკიდა ჩემს თავზე. მამაჩემის ყველა კაპრიზს უსიტყვოდ ვასრულებდი და ვცდილობდი, არ გამებრაზებინა. ცოლ-შვილის ჩამოსვლის წინადღეს კი, კასეტა გამომიწოდა და მითხრა: ეს კასეტა — შენ და 100 დოლარი შენზეა; თუ ქალებში უფრო ფრთხილად არ ივლი, სხვა დროს გაცილებით ძვირი დაგიჯდებაო... სიხარულისგან კასეტა ლამის დავღეჭე და გადავყლაპე. აი, ასე ჩამწარდა ზაფხული“.

ჯარისკაცების მამა

„მე და ჩემი მეგობარი გერმანიაში წავედით. ჩვენი საერთო მეგობარი დაგვხვდა, რომელიც უკვე 3 წელია, იქ ცხოვრობს. ჩრდილოეთ გერმანიაში არის ქალაქი ლუბეკი, რომელსაც ერთი მხრიდან ბალტიის ზღვა აკრავს. რა თქმა უნდა, მან ქალაქი დაგვათვალიერებინა. საღამო ხანს კი, სანაპიროზე გავედით. იქვე ახლოს ერთი მათხოვარი იჯდა, რომელიც პატარა „გარმოშკაზე“ რომელიღაც გერმანულ სიმღერას ასრულებდა, წინ ამობრუნებული ქუდი ედო და გამვლელ-გამომვლელი ფულს უყრიდა. როდესაც ჩვენი ქართული ლაპარაკი გაიგონა, „სულიკო“ გვიმღერა. ლამის გადავირიე. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, რომ

ფული მეჩუქებინა, მაგრამ მხოლოდ 100-ევროიანი და რამდენიმე ქართული კუპიურა მქონდა, ამიტომ 10-ლარიანი ამოვიღე და მისკენ წავედი. ჩემმა მეგობარმა მითხრა: ეგ მარტო ევროებს იღებს, თავი დაანებეო. ვუპასუხე: რადგან ქართულად იმღერა, ქართულ ფულსაც აიღებს-მეთქი. როდესაც მათხოვარმა ჩვენი ლაპარაკი მოისმინა, ქუდს ხელი დაავლო და ჩქარი ნაბიჯით გაგვშორდა. მე დავეწიე და სახელოში მოვქაჩე. გაჩერდა და ქართულად მითხრა: ლარი რა ჯანდაბად მინდა? მაგით აქ ვერაფერს ვიყიდი და ვერც ევროში გადავცვლიო. ქართულად რომ დაილაპარაკა, მთლად გადავირიე. იქვე, პატარა რესტორანში დავპატიჟე და ვთხოვე — თავისი თავგადასავალი მოეყოლა, რადგან არც ისეთი ახალგაზრდა იყო, რომ გერმანიაში ახალი ჩამოსული ყოფილიყო. მან საოცარი რამ მიამბო: „კახელი კაცი ვარ; გურჯაანს არ ვიყავი გაცილებული; ცოლი ადრე მომიკვდა და ტყუპი ბიჭი დედაჩემმა გამაზრდევინა; ბიჭებმა სკოლა კარგად დაამთავრეს და ჯარში წასვლამ მოუწიათ; ორივე ლატვიაში, ერთ ნაწილში მსახურობდა; მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ; არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ერთს, როგორც ჩანს, რაღაც შეემთხვა და თავი ჩამოუხრჩვია; ეს მეორეს უნახავს, ჯერ შველა უცდია, ყვირილი აუტეხავს, თურმე ხმამაღლა ბღაოდა... მთელი ნაწილი შეკრებილა, საავადმყოფოშიც წაუყვანიათ, მაგრამ მკვდარი ყოფილა და რაღას უშველიდნენ?! ამ ორომტრიალში, მეორე ძმა იქიდან ისე გამოპარულა, რომ ვერავის შეუნიშნავს; საწოლზე დასძინებია; ბიჭები თურმე თითის წვერებზე დადიოდნენ, რომ არ გაეღვიძებინათ, მაგრამ დილით ნახეს, რომ ისიც მკვდარი იყო; როგორც ჩანს, ნერვიულობისგან ძილში გული გაუხდა ცუდად და ისე „გაიპარა“, რომ ვერავინ გაიგო; ამ დროს, დედაჩემი უკვე გარდაცვლილი იყო, მე კი ინსულტით საავადმყოფოში ვიწექი და ისე მძიმედ ვიყავი, რომ არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი; როდესაც ნაწილიდან დეპეშა მოსულა, რომ ბიჭები დაიღუპნენ, ნათესავებს მათთვის მიუწერიათ, რომ მათი ახლობლები ცოცხლები აღარ იყვნენ; ნაწილის ხელმძღვანელობას ძმები იქვე ახლოს, სოფლის სასაფლაოზე დაუკრძალავს; მე გადავრჩი, მაგრამ მთელი 3 წლის განმავლობაში საწოლს ვიყავი მიჯაჭვული; ბიჭების ამბავს არავინ მეუბნებოდა; ვნერვიულობდი, მაგრამ მამშვიდებდნენ: ერთმა იქ ცოლი მოიყვანა და მეორე ძმაც დარჩენილაო; მათ ნათქვამს ვერ ვიჯერებდი, რადგან ვიცოდი, ჩემი შვილები უყურადღებოდ არ დამტოვებდნენ, თან, გული ცუდს მიგრძნობდა; გამოჯანმრთელებისთვის იმიტომ ვიბრძოდი, რომ ჩემი შვილები მომეკითხა; მართლაც, ფეხზე დადგომა შევძელი თუ არა, მივყიდ-მოვყიდე, თუკი რამ გამაჩნდა და ლატვიაში წავედი; სამხედრო ნაწილში რომ მივედი, სიმართლე იქ გავიგე... გონზე მოსასვლელად, კარგა ხანი დამჭირდა; ერთი ჯარისკაცი გამომაყოლეს და შვილების საფლავი მიჩვენეს — კარგად იყო მოვლილი, ზედ ვარსკვლავიანი კვარცხლბეკიც იდგა; რამდენიმე დღე იქიდან ფეხი არ გამომიდგამს; მათ საფლავებს შუა ვიწექი და სიკვდილს ვნატრობდი; მერე, სოფლიდან ვიღაც კაცმა მომაკითხა და სახლში ძალით წამიყვანა; იმ ფულით, რაც მქონდა, სოფელში ერთი პატარა სახლი ვიყიდე და ჩემი შვილების სიახლოვეს დავბინავდი; საქართველოში რაღა მინდოდა?!. ახლაც იქ ვცხოვრობ, მაგრამ უკვე მოვხუცდი და მუშაობა აღარ შემიძლია, ამიტომ, იქიდან გერმანიაში „პარომს“ მოვყვები ხოლმე და აქ ვმათხოვრობ; 3-4 დღეში, 500 ევროს „ვაკეთებ“ და უკან ვბრუნდები; სანამ მეყოფა, ვიმყოფინებ, მერე კი ისევ გადმოვალ და ასე...“ აი, ასეთი საოცარი ამბავი მოვისმინე ამ ზაფხულს. თუ მისი ნათესავები ამ ამბავს წაიკითხავენ, ალბათ, დიდი ხნის უნახავი ახლობლის ამბავს შეიტყობენ და გაიგებენ, რომ ცოცხალია, რადგან როგორც მან თქვა, მას შემდეგ, რაც სოფლიდან წამოვიდა, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა და შესაძლოა, მკვდარიც კი ვგონივარო... ახლა კი, კარგად და — მაპატიეთ, თუ გუნება გაგიფუჭეთ“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

სტრიპტიზი ბარში

„ფილტვი გამისკდა და ოპერაციას ბეწვზე გადავურჩი. ავადმყოფობის გამო, ისევ თბილისში ვარ და ამ სიცხეში უწყლოდ ვიხარშები. მერე, თქვენი საშუალებით, ერთი ადამიანი გავიცანი — პ. ნოზაძე, რომელსაც საოცარი შინაგანი სამყარო აქვს“.

„ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა, თანაც — 2 ცოლი და 3 შვილი ჰყავს. უბედურება კი ისაა, რომ მის გარეშე ვეღარ ვძლებ და სულ მის გვერდით მინდა ყოფნა. ძალიან მიყვარს“.

„ის, რაც ამ ზაფხულს მოხდა, არასდროს დამავიწყდება: პირველად ვარ შეყვარებული და მასაც ვუყვარვარ. უცნობი“.

„რა მოხდა და მგონი, შეყვარებული დავკარგე — ზღვაზე ვიყავი და რომ დამირეკა, ვუთხარი: ისე მაგრად ვერთობი, საერთოდ არ მახსენდები-მეთქი. გაბრაზდა და აღარც დამირეკა. აი, ეს მოხდა. იქნებ, გადაუაროს და დამირეკოს?..“

„ახალი ის მომხდარა, რომ „გზავნილებისთვის“ ელ. ფოსტის მისამართი დაგიმატებიათ. ალბათ, მოკლე მესიჯებს აღარც კი მოგწერენ“.

„ბანაკში ვიყავი და იქ ისეთი მაგარი ადამიანები გავიცანი, რომ ძველ ნაცნობებს ვეღარ ვეგუები. ჩემს გემრიელ ლოგინს, საგარეჯოს რკინის საწოლი მირჩევნია. სახლში ვზივარ და აქაურ ნივთებს ბანაკისას ვადარებ. მალე ალბათ ჭკუიდან საბოლოოდ გადავალ“.

„მეგობრებთან ერთად ზღვაზე ვიყავი. ერთ დღეს, ერთს ჩანთა მოჰპარეს, მეორეს — მობილური, ახლა დავდივართ ცარიელები და გვეშინია, ჩვენც არ „მოგვიპარონ“. ანა“.

„ვარციხის ბანაკში ვიყავი და დევი შემიყვარდა. ძალიან მაგარი დრო გავატარე, რაზმში ვიბლატავე, გოიმებს ყაყაჩოები დავარქვი და დევის ქალს მაგრად ვეკაიფე. იტალიას ბიჭის გულისთვის ვუგულშემატკივრე, რაზმის რჩეული ვიყავი და მაგარი გოგო მერქვა, მაგრამ რად გინდა?! ისევ ის იდიოტი დავრჩი. V-რაზმელი თეკი“.

„იმდენი რამ მოხდა, რომ მოსაყოლიც ბევრი დამიგროვდა. ჯერ იყო და, თბილისში ვიხრუკებოდი, მერე ცემში გადავინაცვლე და იქიდან ჭიათურაში სიცხიანი ჩავედი. მერე იქ მოვიხრუკე და მოხრუკული გურიაში წავედი. ჩოლოქზეც მაგარი დრო გავატარე — ზღვა, ატრაქციონები, კარგი გოგონები, ახალი ნაცნობები და მეგობრები. კოლოც ბლომად „გავიცანი“, მაგრამ ჩემი თბილისი ყველაფერს მირჩევნია. 25-ში ჩამოვდივარ და მერე მე ვიცი. ახლა კი გავიქეცი, ძალიან მეძინება“.

„ჩემი სიყვარული ვიპოვე და ძალიან ბედნიერი ვარ. მარი, ამ შემოდგომას ქორწილში არ მეწვევი?..“

„ო-ო, მარი, თემა არ მომწონს, რადგან ამ ზაფხულს ჩემს ცხოვრებაში ახალი არაფერი მომხდარა. პაწაწუნა ბათუმელს ვეღარ ვნახულობ და ვგლოვობ!“

„იცით, გუშინ რა მოხდა?. ჩემი რუსი მეგობრის 400-დოლარიანი მობილური მის ნათესავს მდინარეში ჩაუვარდა. იმ ბიჭის სახე უნდა გენახათ — ნერვიულობისგან ისე ცახცახებდა!.. საბოლოოდ, მობილური წყლიდან ამოვიღეთ, მაგრამ გაფუჭდა“.

„შარშან, ქობულეთში ერთი ბიჭი გავიცანი. ერთმანეთი მოგვეწონა და მალე შეყვარებულებიც გავხდით. ერთ ქალაქში ვცხოვრობთ და ნაცნობების საერთო წრეც გვაქვს. ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, რომ აღარ ვუყვარვარ. თურმე, მატყუებდა და ჩემი რეაქცია აინტერესებდა. მეც არაფრად ჩავაგდე მისი ნათქვამი. ის კი გაცოფდა, ეგონა, შევეხვეწებოდი... მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მაგრამ არ შევურიგდები, რადგან მას მიაჩნია, რომ მართალია“.

„ახლა ხევსურეთში ვარ, მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ადგილზე. გუშინ პირიქითა ხევსურეთს ვესტუმრეთ. ვინახულეთ შატილი, ანატორი და მუცო. ეს რაღაც საოცრებაა. ყველა დადებითმა ემოციამ ერთად მოიყარა თავი. როცა ამ მთებს უყურებ, სურვილი გიჩნდება, ჩაეხუტო. ამ დროს, უბედური ადამიანიც კი თავს ბედნიერად იგრძნობს“.

„ამ ზაფხულს აფხაზეთში ვიყავი, ზღვაზე დავისვენე და მაგარი დროც გავატარე. მინდა, ჩემი იქაური ახლობლები მოვიკითხო. შოკო“.

„გზავნილებს“ ვკითხულობდი და ერთი მესიჯი ნაცნობი სიტყვებით დაიწყო. ხალხნო, ეს იცით, რა დიდი სიხარული ყოფილა?! ამ ზაფხულს ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ მოხვდა!..“

„ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. მე შევქმენი ჩემი მეორე, ვირტუალური სამყარო — ძალიან ლამაზი და საყვარელი. მან რეალური ცხოვრება დამავიწყა. ეს იყო „ჩატი“. იქ გავიცანი ძალიან კარგი ადამიანები — ვეკი, მირო და გიგა, რომლებიც ჩემი უახლოესი მეგობრები და უსაყვარლესი ადამიანები გახდნენ. სწორედ მათ ამიხილეს თვალი და რეალურ ცხოვრებაში დამაბრუნეს, სადაც უსაყვარლესი ქმარშვილი მყავდა. ლალა“.

„ეს ზაფხული სოფელში, ბებიასთან გავატარე, სადაც მე და ერთ ბიჭს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ერთხელ, ეზოს გარეთ ვისხედით, ღამე იყო და ერთმანეთს ვკოცნიდით. ვერც კი გავიგეთ, როგორ დაგვადგა ბებიაჩემი თავზე. მეზობელი გოგონას სარაფანი მეცვა, ბებოს დანახვაზე გავიქეცი და მას ირინა ვეგონე. ჩემი შეყვარებული კი მაგრად გამოლანძღა. მეორე დღეს, მთელმა სოფელმა იცოდა „ირინას“ ამბები და ბებომ მასთან მეგობრობა ამიკრძალა. მითხრა: გოგო რომ სოფელში ბიჭს კოცნას დაუწყებს, ის არ არის სამეგობროო. ასე გადამარჩინა ირინას სარაფანმა. მე და გიო კი ისევ ერთად ვართ“.

„ჩემს ქმარზე ისე გამიტყდა გული, რომ მალე ალბათ რქები ამოუვა“.

„დასასვენებლად ჯერ მთაში ვიყავი, ახლა კი ზღვის სტუმარი ვარ. აქ ერთი მაგარი ბიჭი გავიცანი. ის 21 წლის იყო და თავისი ვაჟკაცობით მომხიბლა. მეგონა, ბედი ვიპოვე-მეთქი, ვიდრე ბარში მაგიდაზე აცეკვებული არ ვნახე — ირგვლივ გოგონების წრე ერტყა და ის მაგიდაზე სტრიპტიზს ცეკვავდა. რომ დამინახა, მაგიდიდან ჩამოხტა და ერთ გოგოს ამოეფარა. იმანაც შეიფერა და ფერება დაუწყო. მივედი, ფეხებშუა ფები ამოვარტყი და მგონი, უშვილოდ დავტოვე. თორნიკე, მიცანი?“

„ღამის 4 საათზე მეგობრებმა ქეიფი მოვიწადინეთ და კონიაკით ისე გავილეშე, რომ დილით სიკვდილს ვნატრობდი. ეჰ, ბოლო ჭიქა არ უნდა დამელია“.

„ამ ზაფხულს ის მოხდა, რომ მგონი, ჩემი 9-წლიანი ოჯახი დამენგრა — ქმარს სატელეფონო რომანი ვერ ვაპატიე. ყველაფრის მიუხედავად, ის მაინც ძალიან მიყვარს და არ მინდა, რომ 2 პატარა ბიჭს მამა დავაკარგვინო. ჩემო შუმახერო, გთხოვ, გონს მოდი, მიყვარხარ!“

ამჯერად „გზავნილებს“ აქ ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სულელური ნაბიჯი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან ელ. ფოსტის მისამართზე: marorita77@yahoo.com მაილტო: marorita77@yahoo.com>. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომდევნო ხუთშაბათამდე.

ის ერთი თბილისელი კაცია. სახელად გოჩა ჰქვია, გვარად მანველიძეა. ადრე ვაკეში, ჭავჭავაძეზე ცხოვრობდა; ფალიაშვილზე მდებარე 54-ე სკოლაში სწავლობდა. ბავშვობაში მოკრივეც ყოფილა, ნაკრების წევრი და თბილისის ჩემპიონიც. მოგვიანებით უკრაინაში სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, რადგან თავიდანვე იზიდავდა სამხედრო საქმე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საქართველოში გაჩაღებულ ომებში ჩაება. სამხედრო პირი, აბა, სხვას რას იზამდა?!. ომის ყველა საშინელება, რომ იტყვიან, საკუთარ ტყავზე გამოცადა. ბოლოს, ნანახმა და განცდილმა არ მოასვენა და ყველაფერი ფურცელზე გადაიტანა. ასე დაწერა პირველი რომანი — „სარანგი“, რომელსაც „მორიელი“, „იდუმალი ორდენი“, „მგლები“ მოჰყვა. ამ უკანასკნელმა არნახული პოპულარობა მოუტანა, რასაც ნამდვილად არ ელოდა. წერა დღეს უკვე მისი მთავარი საქმიანობაა...

ერთი ღამის კოშმარი, ძალიან ბოგონეზა და ტუვედ ჩავარდნილი

გოჩა მანველიძის ახალი საფიქრალი

ლალი ფაცია

— **პროფესიით სამხედრო ხარ და რამ აგაღებინა ხელში კალამი?**

— იმ ყველაფერმა — ცუდმა და კარგმა, რაც ცხოვრებაში შემხვედრია, რაც დამიგროვდა და რისი ხმამაღლა თქმის სურვილიც მქონდა... განათლება ხარკოვში მივიღე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო სასწავლებელი დავამთავრე, იქიდან ლეიტენანტის წოდებით გამომიშვეს. ქართულ არმიაში მაიორის ჩინამდეც მივაღწიე. შემდეგ უარი ვთქვი სამხედრო სამსახურზე.

— **რატომ?**

— აფხაზეთის დაკარგვამ იმოქმედა...

— **ვიცი, რომ აფხაზეთის ომში ორჯერ ხარ დაჭრილი...**

— დიახ. ომში მისი დაწყებიდან დამთავრებამდე ვიყავი. და საერთოდ, ყველა ომში, რომელიც 90-იან წლებში ჩვენში იყო: სამაჩაბლოში, თბილისის ომში, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებშიც ვმონაწილეობდი.

— **რას იტყვი, რა იყო ეს ყველაფერი?..**

— მგონი, ერთი ღამის საშინელი და ჯოჯოხეთური კოშმარი, სხვა სახელი ამას არა აქვს. ეს იყო ღამე, რომელიც წლები გაგრძელდა...

— **იქნებ, გაიხსენო შენი განვლილი ცხოვრებიდან ეპიზოდი, რომელმაც შენზე საოცრად იმოქმედა.**

— ...ჭუბერის უღელტეხილზე გადმოყვანილი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც მოკვდა და მას მამა ასაფლავებდა... იყო კიდევ ერთი ასეთი საშინელი ფაქტი, რომელიც ჩემს მეგობარს, თანაკურსელს შეემთხვა. ის ოდესაში ცხოვრობდა. მასზე იმოქმედა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოწოდებამ — ქართველები საქართველოში დაბრუნდითო! მან ოდესიდან ბინა სოხუმში გადაცვალა, რადგან ზღვისპირა ქალაქს იყო შეჩვეული და ამიტომ იქ დასახლდა. მალე აფხაზეთში ომი დაიწყო. ალიკას ჰყავდა წლინახევრის შვილი და მეუღლე, რომელიც მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. ომის დაწყებიდან სულ მალე, თვითმფრინავში ჩასვა ცოლ-შვილი და თბილისისკენ გამოუშვა, თვითონ ქალაქის დასაცავად დარჩა... მერე ჭუბერიდან გადმოვიდა და თბილისში ჩააკითხა ცოლ-შვილს. უთხრეს, არ ჩამოსულანო. გაირკვა, რომ ის თვითმფრინავი, რომელშიც ისინი ისხდნენ, აფხაზებმა ჩამოაგდეს. ალიკა შეიშალა, დაავადდა. ერთი პერიოდი, პარტიზანობდა. არავის ინდობდა, არც ქალს და არც ბავშვს. ვისაც კი გზად წააწყდებოდა, აფხაზსა თუ ქართველს, ყველას ხოცავდა. დღეს სად არის, არავინ იცის, გაქრა... ეს ჩემთვის შოკი იყო და მძიმე მოგონება.

ჩვენი ბატალიონიც განადგურდა. სალსალამათი ფაქტობრივად, აღარავინ იყო

— **ხომ არ გიფიქრია, ამ თემაზე რომანი დაგეწერა?**

— მაქვს გარკვეული მონახაზი, ადრეც მინდოდა დამეწერა, მაგრამ გამომცემლებმა, ვინც ჩემს წიგნებს ბეჭდავდნენ, მითხრეს — ამ თემაზე მკითხველის მოთხოვნა არ არისო... ალბათ მომავალში მაინც დავწერ.

— **გოჩა, წერ იმის შესახებ, რაც მკითხველს აინტერესებს, რაზეც მოთხოვნაა თუ წერ იმას, რაც გინდა და იმიტომ, რომ უნდა წერო?**

— ისიც არის, რომ არის დამკვეთი და ის, ვინც ამ დაკვეთას ასრულებს. აქამდე, სადაც ვმუშაობდი, დაკვეთის შემსრულებელი რატომღაც, თვითონ ადგენდა, რა უნდა მკითხველს და საზოგადოებას. არადა, არაერთ ადამიანთან მილაპარაკია, მათი აზრი მომისმენია. არსებობს სურვილი, შეიქმნას ნამუშევრები აფხაზეთის ომის თემაზე, რადგან ამხელა ომის გადატანის შემდეგ დიდტანიანი სერიოზული ნაწარმოები თითქმის არაფერი შექმნილა. სხვათა შორის, იყო ასეთი მცდელობა, დავით თევზაძემ მწერალთა კავშირიდან დაახლოებით 50 ავტორი მიიწვია და შესთავაზა, აფხაზეთის ომის თემაზე შეექმნათ მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ ამ მცდელობამ არ გაამართლა, რადგან შემდეგ, როგორც შევიტყვე, ყველა ვიგინდარას უნდოდა, ნაწარმოებში გენერლად წარმოჩენილიყო და ისტორიაში ასე დარჩენილიყო. ავტორებმა არ ისურვეს ასეთი დაკვეთის შესრულება. რა თქმა უნდა, ასეთ დაკვეთას მოაზროვნე მწერალი არ შეასრულებს.

— **იქნებ, აფხაზეთში შენი ტყვედ ყოფნის პერიოდიც გაიხსენო?**

— ტყვეობისას ისე მოხდა, რომ აფხაზები მოსისხლე მტრად ვეღარ აღვიქვი. ჩემში ასეთი გარდატეხა მოხდა. ბევრი კარგი ადამიანი შემხვდა, თუმცა ზოგი ისეთიც, რომელიც მდინარეში ჩავარდნილი ფოთოლივით მიჰყვებოდა სიტუაციას...

— **ტყვედ რამდენი იყავით?**

— უამრავი ადამიანი იყო, მათ შორის — ადგილობრივი მოსახლეობიდან

წამოკრებილი ქართველები. გაგრა რომ აიღეს, ისინი მაშინ აიყვანეს. ჩემი ნაწილიდან 27 კაცი ვიყავით, სამხედრო პოლიციაც გვერია... ერთი ასეთი ფაქტი მოხდა: გარეთ ვიყავით გამოსული, რაღაც სამუშაოს შესასრულებლად. იქვე ერთი 5-6 წლის აფხაზი ბავშვი იდგა, გვიყურებდა. საიდანღაც უზარმაზარი, ბომბორა ძაღლი მოვარდა და ამ ბავშვს კბილი დაასო. ხელში დიდი ჯოხი მეჭირა და ძაღლს მოვუქნიე, დავარტყი. ძაღლი გაიქცა. ბავშვი კი სახლში შევიდა. მან 15 წუთში მამა მოიყვანა, რომელიც გამომელაპარაკა. ცოტა ხანში მისი ცოლიც მოვიდა, რომელმაც საჭმლით სავსე კალათა მოიტანა. კაცს მეუღლისთვის უთქვამს — რაც კი შეგიძლია, კალათაში ყველაფერი ჩაულაგეო. აფხაზებმა იმ კაცს უსაყვედურეს — მეტი საქმე არ გქონდა? თუ ვინმეს პატივისცემა გინდოდა, აგერ, ჩვენი ჯარისკაცები აქ არ არიანო?!. მერე იმ კაცმა აფხაზურად დაიწყო ლაპარაკი. ვარაუდით ვხვდებოდი, რომ ამბობდა — ზედმეტია ჩემთვის ამ შენიშვნის მოცემაო... მაშინ არ შეგვეძლო იმის დაჯერება, რომ ქართული შეიარაღებული ჯარები გაგრას დატოვებდნენ. ასეთი რწმენა გვქონდა — ჩვენი ნაწილი ერთ-ერთი მობილური და ქმედუნარიანი გახლდათ. როცა შეტევა დაიწყო, გაგრაში გზატკეცილს ვკეტავდით. 3 საათის შემდეგ შეგვატყობინეს — ქალაქი აფხაზების ხელშია, თუ შეგიძლიათ, წადით, თავს უშველეთო. ჩვენ წასასვლელი არსად გვქონდა. ერთადერთი, რაც მოვახერხეთ, ის იყო, რომ შევედით იმ შენობაში, სადაც ვცხოვრობდით (ცენტრალური კომიტეტის ყოფილი სანატორიუმი იყო). მათ ალყა შემოგვარტყეს. ბრძოლა დაახლოებით 12 საათი გრძელდებოდა. შვიდსართულიანი შენობა იყო და ამ პერიოდში, სამსართულიანი გახდა... ჩვენი ბატალიონიც განადგურდა. საღ-სალამათი ფაქტობრივად, აღარავინ იყო. ასე ჩავცვივდით ტყვედ. რამდენიმე ჩვენი თანამებრძოლი ადგილზევე მოკლეს, მძიმედ დაჭრილები იყვნენ და მათზე ზრუნვა აღარ უნდოდათ. რამდენიმე მერე დახვრიტეს. ერთი წაიყვანეს და თავიანთი დაღუპულის საფლავზე დააკლეს... მოგვიანებით, მათთან ურთიერთობამ ცივილიზებული ფორმა მიიღო, საქმეში მათი უშუალო ხელმძღვანელობა ჩაერია. ჩვენით პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადიმერ (ვოვა) ანქვაბი იყო დაკავებული. იმ დროს ჩვენი ქვედანაყოფის მეორე ნაწილი თბილისში იმყოფებოდა, პერიოდულად ვცვლიდით ერთმანეთს. ტყვედ რომ აღმოვჩნდით, ნაწილის ბიჭები მოეთათბირნენ ირაკლი ბათიაშვილს და თავიანთი სვლით პირდაპირ სოხუმისკენ დაიძრნენ, იმ პირობით, რომ ტყვეებს აიყვანდნენ. საერთო ჯამში ტყვეები საკმაოდ შეაგროვეს... ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა: იქ კაზაკები იყვნენ. აფხაზებმა უარი თქვეს მათ გადაცვლაზე, თქვეს — ესენი დაქირავებული ხალხია, მათ თავიანთი სიცოცხლე წააგეს, უკვე დარჩნენ ჩვენთანო. მერე კაზაკებმა გვითხრეს — თუ გვენდობით, კი ვართ დაქირავებულები, მაგრამ ჩვენი საქმე ვიცით და გამოგვიყენეთ, მათ არ დაგვიფასეს სამსახურიო... შემდეგ, ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. ერთი დაიღუპა, ერთმა საბრძოლო მედალი მიიღო, ერთმა გაქცევა სცადა და მაშინ მოკლეს. სამი კი, ბოლომდე შემოგვრჩა. მათგან ერთ-ერთს, მძიმედ დაჭრილს ვუმკურნალეთ. სოხუმი რომ დაეცა და ყველაფერი დამთავრდა, გვითხრეს — ჩვენთან თუ რაიმე პრეტენზია არა გაქვთ, სახლებში გაგვიშვითო. ვუყიდეთ ბილეთები, ჩავსვით თვითმფრინავში და გავუშვით.

— თქვენ გაცვლა როგორ მოხდა?

— ბოლოს, 10-11 კაცი ვიყავით დარჩენილი, აფხაზებიც — იმავე რაოდენობის. როცა გვცვლიდნენ, გუდაუთაში ჩამოფრინდა თვითმფრინავი. ამ საქმეს შუამავლობდა OPT-ს ჯგუფი, გადაცემა „ვზგლიადის“ შემადგენლობა — ლიუბიმოვი და ლისტიევი. რეალურად, არძინბას ბიძაშვილსა და სირიელ პოლკოვნიკზე გაგვცვალეს, ის მუბარაქის *(ეგვიპტის პრეზიდენტი. — ავტ.)* დაცვის ხელმძღვანელი იყო. აფხაზებს ინსტრუქტორის რანგში ჰყავდათ, რომელიც ტყვედ ბათიაშვილის სამსახურმა აიყვანა. ქართველებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გვგულშემატკივობდა. ის კაცი დათმო ბათიაშვილმა და ასე გაგვცვალეს არძინბას ბიძაშვილსა და სირიელ პოლკოვნიკში. როცა ვბრუნდებოდით, ლიუბიმოვმა ხელი ჩამომართვა და მითხრა — მოხარული ვიქნები, თუ თეთრი ცხენით აფხაზეთში დაბრუნებულებს გნახავთ, სტუმრისა და მეგობრის რანგშიო. მე ასე ვუპასუხე: Мы вернёмся, но только не на белых конях, а на зелёных танках-მეთქი. ამ კადრმა შემოიარა რუსეთის ყველა არხი. ამბობდნენ — ქართველი ტყვე, რომელსაც ცვლიან, მაინც იმუქრებაო...

— „სარანგში“ სწორედ აფხაზეთის ომის ფაქტები გამოიყენე, არა?

— პირველი რომანი, რომელიც დავწერე, „სარანგი“ იყო. ის ყველა ჩემს ნაწარმოებს შორის, გამორჩეულია, ძალიან მიყვარს. თითქოს ჩემი სიცოცხლის ნაწილია...

— ხალხმა უფრო მეტად გაგიცნო და შეგიყვარა შენი რომანით — „მგლები“...

მე და ჩემს შვილს ბევრი საერთო თვისება, იღეა და მიზანი გვაქვს

— სწორედ ამან გამაკვირვა და გარკვეულწილად, გულიც დამწყვიტა. თემასაც ხომ მნიშვნელობა აქვს. აფხაზეთის თემა კანონიერი ქურდების თემამ როგორ უნდა დაჩრდილოს?! მაგრამ გემოვნების საკითხია... „მგლები“ ძირითადად, მაინც ახალგაზრდობამ აიტაცა. სასაცილოა, მაგრამ ჩემზე ასეთი ჭორიც მომისმენია — კანონიერი ქურდი იყო და წოდებაზე უარი თქვაო...

— პოპულარული ხარ და შენზე ჭორაობენ, ეს ბუნებრივია. ისე, მაინც რატომ მოგინდა კანონიერ ქურდებზე რომანის დაწერა?

— თემა საინტერესო იყო, თან, ამ თემაზე ბევრი ინფორმაციაც მქონდა. ასევე მყავს ერთი-ორი მეგობარი ისეთი, რომ...

— რა გინდოდა „მგლებით“ გეთქვა?

— მაინცდამაინც კანონიერი ქურდების ინსტიტუტის წინ წამოწევა არ მინდოდა. უფრო მეტად მსურდა, საპატიმროებში არსებული ვითარება დაენახათ, მაგრამ ყველაფერი რატომღაც უკუღმა გაიგეს — თითქოს კანონიერი ქურდობა კარგია. იმას არ მიაქციეს ყურადღება, ასეთ ყოფას, ადამიანებს, ვინც ასეთი ცხოვრების წესს ირჩევს, უარყოფითი რა აქვს. მაგრამ მაინც მგონია, რომ მკითხველი პერსონაჟით მოიხიბლა, კონკრეტულად — ლუკა გეგეშიძით.

— რომანს „მგლები“ რატომ დაარქვი?

— ამ პერსონაჟს მეტსახელად მგელო ჰქვია. მინდოდა, „მგელო“ რომანისთვის დამერქმია, მაგრამ იქ სხვა საინტერესო პერსონაჟებიც არიან, რომლებიც მგლური წესებით ცხოვრობდნენ, დაუნდობლები იყვნენ... ძნელია მგლის მოთვინიერება, გაწვრთნა. ეს თვისება მათშიც დავინახე და ამიტომაც დავტოვე ბოლოს სათაურად „მგლები“.

— ახალ დეტექტიურ რომანს, რომელსაც მკითხველი ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე წაიკითხავს, „თეთრი სიკვდილი“ დაარქვი. ამ ნაწარმოებს როგორ შეურჩიე სათაური?

— ყოველთვის მიჭირს პერსონაჟებისა და ნაწარმოებისთვის სახელების შერჩევა. „თეთრი სიკვდილი“ ალეგორიულად, ნარკოტიკს ნიშნავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი ნარკომაფიაზეა, მის მფარველ ხელისუფლების წევრებზე, პოლიციელებზე, იმ ცუდსა და უარყოფითზე, რაც ამას მოჰყვება. რომანში დღევანდელი ვითარებაა ასახული. საერთოდ, ყველა ხელისუფლება ერთსა და იმავე ტენდენციას ამჟღავნებს; გამსახურდიას დროსაც ასე იყო და შემდგომაც: სათავეში როცა მოდიან, ნაკორმანიის თემას მაშინვე დაეტაკებიან, ატყდება ბუმი... სინამდვილეში, ამაში ამ სფეროს გადანაწილებისკენ მისწრაფებას ვხედავ. გადის დრო და ეს თემა აღარავის ახსოვს, თითქოს ყველაფერი კარგად არის. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ბაზარი გადანაწილდა, ახალი პატრონები გამოუჩნდა. ყოველდღიურად მატულობს ნარკომანების, ნარკოტიკებისგან დაღუპულთა რაოდენობა; პრაქტიკულად, არავის იჭერენ, არ

ხდება ნარკოტიკების შემომავალი არხების გადაკეტვა...

— რას გვპირდება რომანი „თეთრი სიკვდილი“?

— ბევრ საინტერესო მძაფრ შეგრძნებას. მინდა, ახალი რომანი შემეცნებითი ხასიათის იყოს. ის, ვინც ვალდებულია, ამაზე ილაპარაკოს და დუმს, ხალხს „ჭურში“ ამყოფებს. ვიღაცამ მაინც უნდა თქვას, რასთან გვაქვს საქმე, რას მივიღებთ მომავალში.

— აქ ნარკოტიკების მომხმარებლებს გულისხმობ?

— მომხმარებლებსაც, რეალიზატორებსაც, მათ მფარველებსაც. მთელი ქსელია აღწერილი — ვინ რას აკეთებს, ვის რა ფუნქცია აკისრია.

— „მგლებს“ გადაწონის „თეთრი სიკვდილი“?

— დიდი სურვილი მაქვს, ასე მოხდეს. უკვე თვითონ გამიჩნდა ამ სახელის ჩრდილში მოქცევის სურვილი. სადაც მივალ, ყველას „მგლები“ აკერია პირზე. ლამის ყმუილი დაიწყონ *(იცინის)*... ბევრჯერ ვინაობაც დამიმალავს, მითქვამს — გოჩა მანველიძე არა ვარ-მეთქი. არ შეიძლება, ასე შეიზღუდოს ადამიანი. მისვამენ უამრავ კითხვას: ვმეგობრობ თუ არა კანონიერ ქურდებთან? მთავრობისგან რაიმე შევიწროება ხომ არ მიგრძნია?..

— ისე, მართლა ხომ არ გქონია რაიმე პრობლემა?

— არა. ისე, „სარანგი“ რომ იბეჭდებოდა, მაშინ შევარდნაძე იყო პრეზიდენტი და მისი პრესსამსახურიდან დამირეკეს. არ მოეწონათ, იარაღით ვაჭრობის თემას რომ შევეხე. იქნებ, შეცვალოო, — მითხრეს... ვუპასუხე — უკვე დაწერილი და დაბეჭდილია, ვერ შევცვლი-მეთქი. დაბეჭდილიც რომ არ ყოფილიყო, არ შევცვლიდი.

— ვიცი, რომ 12 წლის შვილი, თორნიკე გყავს. ის თუ კითხულობს შენს რომანებს?

— ცოტა ხნის წინ, „მგლები“ წაიკითხა და არ მოეწონა, რაც ძალიან გამიხარდა... მე და ჩემს შვილს ბევრი საერთო თვისება, იდეა და მიზანი გვაქვს. ცოტა ხნის წინ მეგობრებმა ძაღლი გვაჩუქეს — როტვეილერის ლეკვი. ახლა მე, ჩემს შვილსა და ძაღლს — დიანას მეგობრული კომპანია გვაქვს შექმნილი. ჩემი დრო დაყოფილია 4 სხვადასხვა ზომის ნაწილად. უმეტეს დროს შვილს ვუთმობ, მერე — სამუშაოს, ოჯახს და მეგობრებს.

— ვინ არიან შენი მეგობრები?

— ჩემი სამეგობრო წრე მყავს, რომელშიც ვტრიალებ. ვერ ვიტყვი, რომ კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი, მაგრამ არ ვცდილობ, ახალგაცნობილ ადამიანებთან ახლო ურთიერთობა გავაბა, ძველები მირჩევნია — ვინც უკვე გამოცდილი მყავს მეგობრობაში.

— სულ ბოლოს, რას ეტყოდი შენს მკითხველს?

— იკითხონ ჩემი ახალი რომანი, უკმაყოფილო არ დარჩებიან.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ!

■

ანუშკები

როდესაც ჩვენი ბებიები და ბაბუები ახალგაზრდები იყვნენ, მაშინ ქალ-ვაჟი ერთმანეთს მაჭანკლის საშუალებით უკავშირდებოდა. მაშვალი ამით ფულს შოულობდა და თანაც, კეთილ საქმეს აკეთებდა. დასაქორწინებელი ახალგაზრდების სურათები ჯიბით დაჰქონდა, სავარაუდო მეწყვილეს უჩვენებდა, სიტყვიერ ქებასაც დაურთავდა, მოაწონებდა და საქმესაც გაჩარხავდა. მაშინ ოჯახები ძირითადად, ასე იქმნებოდა. ჟამთა ცვლასთან ერთად, მაჭანკლობის ინსტიტუტიც დაიხვეწა და ხანუმა მობილურმა ტელეფონმა და ინტერნეტმა შეცვალა. ამჯერად, სწორედ ასეთ „მაშვალს“ — ინტერნეტნაცნობობას შევეხებით.

internetnacnoboba

paemans niSnaven, xvdebian da... morig imedgacruebas ganicdian...

მარი ჯაფარიძე

განსხვავება ძველ ხანუმასა და ინტერნეტს შორის, მხოლოდ მასშტაბებშია, თორემ პრინციპი იგივე რჩება: განათავსებ ფოტოს სპეციალურ საიტზე, შეავსებ ანკეტას, სადაც თავს შეიქებ და მოაწონებ საპირისპირო სქესს და ინტერნეტმანქანა თავის საქმეს თვითონვე გააკეთებს. უამრავი ამბავი მსმენია, ასე გაცნობილი ადამიანების შესახებ. პროფესიონალურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. ვიდრე უშუალოდ მის შესახებ გიამბობდეთ, ჯერ რიცხობრივ მონაცემებს გადავხედოთ. გაცნობის საიტი საერთაშორისო გახლავთ და მასში თითქმის მთელი პლანეტაა ჩართული. თუ სტატისტიკის მიხედვით, დღეს საქართველოში ერთ მამაკაცზე 11,5 ქალი მოდის, საიტზე სულ სხვა ვითარებაა. საქართველოდან იქ 8 ათასამდე ქალი და 20 ათასამდე მამაკაცია დარეგისტრირებული. გარდა ამისა, 1300 გეი და 1500 ლესბოსელი ეძებს მეწყვილეს. მოკლედ, აქ ყველანაირი ჯურის ადამიანს შეხვდებით და მეც ხელიდან არ ვუშვებდი მათთან გასაუბრების შანსს.

დავიწყე იმით, რომ ინტერნეტიდან ერთი საინტერესო, ახალგაზრდა გოგონას ფოტო გადმოვქაჩე და საიტზე განვათავსე. მას ანუშკები დავარქვი და ჩემთან დაკონტაქტების მსურველები თავიდანვე გავაფრთხილე, რომ ასეთი თამამი ფოტოს განთავსება იმის საფუძველს არ აძლევდათ, რომ უხეშად და უხამსად მოემართათ ჩემთვის. არ მეგონა, ჩემი პერსონაჟი ასეთ ინტერესს თუ გამოიწვევდა. 2 დღეში 2000-ზე მეტი გაცნობის მსურველი დამეკონტაქტა. ქართველი მამაკაცები თურმე, ანუშკების გარეგნობასთან ერთად, მისმა განცხადებამ დააინტერესა — იმის თაობაზე, რომ ეძებს არა საქმროს, არამედ მეგობარ მამაკაცს და რომ კარგი შემოსავალი აქვს და ყველანაირად უზრუნველყოფილია. 20-25 წლის მამაკაცები ძირითადად, მისი შემოსავლით იყვნენ დაინტერესებულნი. საკმაოდ ბევრი იყო ასეთი გამოხმაურება: „მონა არ გჭირდება?.. ვიქნები შენი ნებისმიერი სურვილის შემსრულებელი, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ“. უფრო ზრდასრული მამაკაცები გაცილებით სერიოზულ წინადადებებს სთავაზობდნენ — ქორწინებასა და უანგარო მეგობრობას ან ოცნებების ახდენას. როგორც ყოველთვის, ქართველები ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ და არც ეს საიტია გამონაკლისი. დროგამოშვებით, სხვადასხვა ფირმა რეკლამას გთავაზობს. ეს, რა თქმა უნდა, უფასო რეკლამაა. ფულს არ იხდი, ეფექტი კი გარანტირებული იქნება. ასე და ამგვარად, იყო საქორწინო კაბების, მაღაზიის, ქოლგების, რესტორნებისა და ბარების, სატელიტური ანტენებისა და ათასგვარი მომსახურების რეკლამა. მათ შორის ერთ-ერთმა, გაცილებით დიდი ინტერესი გამოიწვია: იქ, გარკვეული თანხის საფასურად, ინტიმურ მომსახურებას გთავაზობენ. რაღა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გავუშვი და ყველაფერი დაწვრილებით გამოვიკითხე. ჩემსა და ამ საიტს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— გამარჯობა, ანუშკები, თუ თავს მარტოსულად გრძნობ, ჩვენ გთავაზობთ, გაერთო ჩვენთან ერთად. გვაქვს ინტიმური მომსახურება ქალბატონებისთვის. თქვენს ნებისმიერ მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ.

„არავითარ საიტზე არა ვარ დარეგისტრირებული“

— თქვენი მომსახურება ძვირია?

— საათში — 20-30 დოლარი.

— საინტერესოა, არჩევანი გაქვთ? შეგიძლიათ, ნებისმიერ კლიენტს გემოვნების მიხედვით შეურჩიოთ მამაკაცი?

— დიახ, ჩვენ გვყავს ნებისმიერი ასაკის, გარეგნობისა და ეროვნების თანამშრომლები. ზანგიც კი. ოღონდ, მარტო ქალბატონებს ვემსახურებით.

— ეს ოფისია?

— დიახ, ოფისია. მობრძანდებით, შეარჩევთ თქვენთვის სასურველ მამაკაცს და აქვე, ოთახში განმარტოვდებით. თუ გნებავთ, თან წაიყვანთ.

— საინტერესოა, არასოდეს გამიგონია ასეთი მომსახურების შესახებ. შერჩევა სურათებით ხდება?

— როგორც თქვენ ინებებთ: გნებავთ — სურათებით, გნებავთ — ყველას გამოვიძახებთ, თქვენ წინ ჩავამწკრივებთ და აირჩიეთ. ინკოგნიტოდ დარჩენის გარანტიას ვიძლევით.

— თქვენს ზანგ თანამშრომელს ბევრი კლიენტი ჰყავს?

— დიახ, ყველაზე კარგად ეგ მუშაობს. უამრავი ქალბატონი სარგებლობს მისი მომსახურებით. თურმე ქართველ ქალებს ჰყვარებიათ ეგზოტიკური მამაკაცები...

— თქვენს ფირმას რა ჰქვია?

— ეს გახლავთ შპს „გაამოთ“...

აი, ასე შორს წავიდა ქართული ბიზნესი. მაგრამ თუ ერთნი, კოლექტიურ ბიზნესს ეწევიან, სხვები ინდივიდუალურად ჩალიჩობენ:

ირაკლი, *25 წლის:*

— ვარ „ბიჭი გამოძახებით“, თუ დაინტერესდებით, შემეხმიანეთ. სერვისი უმაღლეს დონეზეა. თუ დამიკავშირდებით, იმედგაცრუებული არ დარჩებით.

— მაინც რა შედის შენს სერვისში?

— სექსის ყველა სახეობა, პარტნიორის სურვილის გათვალისწინებით. ყველა ქალს აქვს სექსუალური ფანტაზია და ჩემი საქმეა, რეალობად ვაქციო იგი.

— ფასი? რა ღირს შენი მომსახურება?

— 2 საათი — 100 ლარი, მთელი ღამე — 200 ლარი. ისე, კლიენტსაც გააჩნია, ყველასთან არ დავდივარ.

— შენი სურათი მიჩვენე!

— თუ არ მოგეწონები, ფულს არ გამოგართმევ. ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა, რომ ვინმეს არ მოვწონებოდი. ვიდრე ამ საქმეს დავიწყებდი, მოდელი ვიყავი.

— აღმიწერე შენი თავი.

— სიმაღლე — 193 სმ, წონა — 95 კგ, წაბლისფერი თმა, სპორტული აღნაგობა.

— რამდენ კლიენტს ემსახურები დღეში?

— 3 ქალს უპრობლემოდ გავწვდები...

— ბევრი კლიენტი გყავს?

— კლიენტების რაოდენობასა და ვინაობაზე არ ვლაპარაკობ... შენ რას იზამ *(როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსო)?*

— მე რას ვიზამ და, ჩვენს საუბარს ინტერვიუდ ჩამოვაყალიბებ და მომავალ კვირაში გამოვაქვეყნებ... დიდი მადლობა!

— აუ, რა მაგრად გავიქაჩე! ისე, ძალიან უნამუსოდ მოიქეცი, არ გითქვამს, რომ ინტერვიუს ჩამორთმევას აპირებდი. მე წინააღმდეგი ვარ! მორაგბე ბიჭი ვარ, ჟიგოლოს იარლიყი არ ამაკრა, ქალბატონო ჟურნალისტო! კიდევ კარგი, სურათი არ გამოგიგზავნე, თორემ, მერე გენახა სკანდალი და ამბავი. ისე, შესაძლოა, ჩემი ფოტო რედაქციაშიც გქონდეთ, თუ კარგად მოძებნით...

აი, რით არიან დაკავებული ქართველი მორაგბეები... ნეტავ, რამდენი აქვთ ხელფასი?..

საიტზე საკმაოდ ბევრი კეთილი ადამიანის პოვნა შეიძლება. ისინი ძირითადად, ასე იწყებენ საუბარს: „გამარჯობა, ანუშკები, აქ ბევრ გაიძვერა ადამიანს შეხვდები, არავის დაუჯერო და არ გაება მათ მიერ დაგებულ მახეში. კარგი გოგო ხარ და თავი არ დაიღუპო. ამ საღამოს რას აკეთებ?“

ბევრი მამაკაცი სვამდა უცნაურ შეკითხვას და ინტერესდებოდა — მართლა ქალი ვიყავი თუ არა? გამიკვირდა და ერთ-ერთს მიზეზი ვკითხე. აღმოჩნდა, რომ საიტზე უამრავი მამაკაცი ყოფილა დარეგისტრირებული ქალის სახელით. ასეთი, შემდეგ, მამაკაცთან „ჩათაობას“ გააბამს, თავს მოაწონებს და ტელეფონზე ბალანსს შეავსებინებს — როგორც ჩანს, ესეც ერთგვარი ბიზნესია...

ჩემი გაკვირვება, საიტზე ცნობილი ადამიანების გამოჩენამ გამოიწვია. მაგალითად, იქ აღმოვაჩინე: ლელა წურწუმიას, ეკა კვალიაშვილის, შალვა ნათელაშვილისა და თვით პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ანკეტები. მაგალითად, ლელა წურწუმიას ანკეტაში მითითებული აქვს: „ვეძებ საინტერესო ხალხს, რომლებთანაც ვისაუბრებდი ჩემს შემოქმედებაზე. აქ ჩემი ანკეტის გახსნით, მინდოდა, გამეგო, რას ფიქრობს საზოგადოების რაღაც ნაწილი ჩემზე. აქ არა ვარ იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ ვარ მე. ვარ მომღერალი, ლელა წურწუმია და თუ გნებავთ, დაიჯერეთ, თუ არა და, იმათ დაველაპარაკები, ვისაც სჯერა“... ლელას დავეკონტაქტე, რამდენიმე კითხვა დავუსვი, რომელზეც დაუზარებლად მიპასუხა, მაგრამ ეჭვი შემეპარა, რომ ეს მართლაც ლელა იყო. ამიტომ ტელეფონით დავუკავშირდი და კომენტარი ვთხოვე. ის ამ დროს, მამულიჩასა და შვილთან ერთად, ბათუმში იმყოფებოდა:

— ლელა, ინტერნეტთან „მეგობრობთ“?

— არა, კომპიუტერის მომხმარებელი არა ვარ. თუ რაიმე მჭირდება, მამულიჩა აკეთებს ჩემ მაგივრად. ჩემს სახელზე მოსულ წერილებსაც ის სცემს პასუხს.

— საკმაოდ პოპულარულ გაცნობის საიტზე თქვენი ფოტოები და ანკეტაა განთავსებული. მაშ, ეს თქვენ არა ხართ?

— არა, არავითარ საიტზე არა ვარ დარეგისტრირებული. როგორც ჩანს, ვიღაც სარგებლობს ჩემი სახელით. იცით, როგორ უნდა მოიქცეთ? დაუსვით შეკითხვა — რა მარკის საცურაო კოსტიუმი აცვია ჩემს შვილს და თუ პასუხს ვერ გაგცემთ, ესე იგი, გატყუებთ.

როდესაც ეს შეკითხვა დავუსვი თვითმარქვია ლელას, პასუხი საერთოდ ვერ მივიღე.

ეკა კვალიაშვილს სასაცილოდ არ ეყო ის ამბავი, რომ ვიღაც მის მაგივრად ლაპარაკობს გაცნობის საიტზე: ეგ სხ-

ვიღაც ჩემს ფოტოებსა და სახელს იყენებს და გაცნობის საიტზე ლაპარაკობს; მაგრამ ეს სულაც არ მაღელვებს...

ვამაც მითხრა. თურმე, ვიღაც ჩემს ფოტოებსა და სახელს იყენებს და გაცნობის საიტზე ლაპარაკობს; მაგრამ ეს სულაც არ მაღელვებს, რადგან ვინც მიცნობს, მაინც არ დაიჯერებს, რომ მე ვარ; თუ ვიღაცას ეს მოსწონს, ილაპარაკოსო, — მითხრა სატელეფონო საუბრისას.

რაც შეეხება ლეიბორისტთა ლიდერ შალვა ნათელაშვილს — მას საკმაოდ მოკრძალებული ანკეტა აქვს და თავის შესახებ მხოლოდ იმას ამბობს, რომ: არის 42 წლის, იცის რუსული ენა და მიმოწერისთვის, სასიყვარულო ურთიერთობისთვის, რეგულარული და ჯგუფური სექსისთვის სიამოვნებით გაიცნობდა 18-დან 80 წლამდე ასაკის ქალბატონს... სამწუხაროდ, თავად ბატონმა შალვამ ამ თემაზე სალაპარაკოდ ვერ მოიცალა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც ეკასა და ლელას შემთხვევაში იყო, მისი ანკეტაც ვიღაც თაღლითის შედგენილია. თუმცა, რატომღაც „დამიწუნა“ და ჩემთან კონტაქტზე არ გამოვიდა.

ბატონი პრეზიდენტი ბოლოსთვის შემოვინახე, რადგან მას ფრიად საინტერესო ანკეტა აქვს და სურათთან ერთად, ასეთი მონაცემებით იწონებს თავს: „ასაკი — 39 წელი, ზოდიაქოს ნიშანი — მშვილდოსანი. ახალგაზრდა, სიცოცხლისმოყვარული მამაკაცი, გაიცნობდა 18-35 წლის ქალბატონს ან ქალბატონების წყვილს, გართობის მიზნით. მინდა, ვიპოვო „სექსბომბა“ რეგულარული, ჯგუფური და ვირტუალური სექსისთვის. სიმაღლე — 193 სმ, წონა — 120 კგ, დაკუნთული. პროფესია — პრეზიდენტი. ვარ მატერიალურად უზრუნველყოფილი. არა მაქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ვიცი ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და რუსული ენები (უკრაინული გამორჩა, როგორც ჩანს. — ავტ). ცხოვრებისეული პრიორიტეტები: საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შემოქმედებითი რეალიზაცია, ბევრი სექსი, სულიერი წონასწორობა, მატერიალური კეთილდღეობა, კარიერა. თავისუფალ დროს წავალ სასეირნოდ, რესტორანში ან ღამის კლუბში. ჩემი ინტერესებია: პოლიტიკა და სამართალი, მოგზაურობა და სექსი. არ ვეწევი, მიყვარს დალევა, არასოდეს მიმიღია ნარკოტიკი. სექსუალური ორიენტაცია — ჰეტეროსექსუალი. აღმაგზნებს ყველაფერი, რაც მოძრაობს და სუნთქავს“...

ამ წვრილმანი საკითხის გამო, რა თქმა უნდა, ვერ შევაწუხებდით ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ ვერაფრით მოიცლის, საიტზე საჭორაოდ. მე კი ანკეტის ავტორის ფანტაზიით აღვფრთოვანდი...

ყველა ეს ანკეტა მოხალისე ადამიანის შედგენილია, მაგრამ მე იქ უამრავი ჩემი რესპონდენტი, საკმაოდ ცნობილი ადამიანი, თანამდებობის პირი თუ შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი ვნახე, რომელთაც მართალია, საიტზე სურათი ყველას დასანახავად არა აქვთ „გამოჭიმული“, მაგრამ თუ სთხოვ, აუცილებლად გამოგიგზავნიან. მათი დასახელება არ იქნება მიზანშეწონილი, თორემ, არ დაგზარდებოდით...

ახლა ჩვეულებრივ მოკვდავთ დავუბრუნდეთ. ჩემმა პერსონაჟმა ერთ-ერთი ასეთი გამოხმაურება მიიღო: „ვარ გეი, ერთადერთი ქალი ხარ, რომელთან ურთიერთობის სურვილიც გამიჩნდა. იქნებ მიშველო და განმკურნო? თუ არ მიშველი, დავრჩი ცისფერი და ეგაა“. კიდევ, რაც ქართველი მამაკაცების შესახებ ამ

საიტიდან შევიტყვე, ის გახლავთ, რომ მათი უმეტესობა ასაკს იპატარავებს და შესაძლოა, 40 წლის მამაკაცი, 25 წლის ბიჭად ასაღებდეს თავს. რამდენიმე ქალბატონს დავეკონტაქტე და საიტის შესახებ აზრი ვკითხე.

ნინო, *34 წლის:*

— მამაკაცების უმეტესობა აქ იმისთვის არის დარეგისტრირებული, რომ ქალები შეაბან და ლოგინში ჩაიწვინონ. არავის ნდობა არ შეიძლება. ყველა, ოცნების კოშკებს აგიგებს, სინამდვილეში კი, მხოლოდ ერთჯერად კონტაქტზე ფიქრობს. თუ შენიშნეს, რომ გათხოვება გინდა და არასერიოზულ ურთიერთობას არ ეძებ, მაშინვე ჯანდაბაში გადაიკარგებიან. ძირითადად, დასაქმებული და შეძლებული მამაკაცები ჭარბობენ, მაგრამ მათგან მხოლოდ არასერიოზულ წინადადებას თუ მიიღებ. ასე რომ, დიდი იმედების დამყარება ამ საიტზე არ შეიძლება. ყველა ქვეყანაში მას დანიშნულებისამებრ იყენებენ. ქართველები კი სხვაგვარად ვაზროვნებთ.

სალომე, *31 წლის:*

— საიტზე გაცნობილ 6 მამაკაცს შევხვდი. საშინელი განცდა მქონდა, ვნერვიულობდი, მაგრამ როდესაც შევხვდი, დავმშვიდდი, რადგან მათი დასაწუნი არაფერი მქონდა. ერთ-ერთ მათგანთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა გავაბი, მაგრამ სულ რამდენჯერმე შემხვდა, შემდეგ სადღაც გაქრა და არც მიცდია მისი მოძებნა. აქ თუ ერთხელ შემოხვედი, ისე ჩაგითრევს, რომ თავს ვეღარ დააღწევ. ახალ ადამიანთან ურთიერთობა ძალზე საინტერესოა, რაღაცას ახალს იგებ, ყველას თავისი ხასიათი აქვს და უცებ იგრძნობ მის უარყოფითსა და დადებითს. მერე, ურთიერთობა ვითარდება და თუ ორმხრივი ინტერესი გაჩნდა, შესაძლოა, ღამეებიც კი გაათენო კომპიუტერთან. თუმცა, შეხვედრის შემდეგ, რატომღაც, ყველაფერი უფერულდება. თითქოს მიწაზე ეშვები, რეალურად აღიქვამ ყველაფერს და კვლავ იმედგაცრუება გელის. ხვდები, რომ ის, ოცნების პრინცი კი არა, ერთი ჩვეულებრივი მამაკაცია და მეტი არაფერი...

„კომპეტენტური“ აზრი არც მამაკაცებმა დამამადლეს:

ლევანი, *39 წლის:*

— აქ ყველა ქალი მხოლოდ ერთი მიზნითაა შემოსული: ყველას გათხოვება უნდა ან — მდიდარი საყვარელი. თუ მიუხვდი და პირდაპირ უთხარი, შესაძლოა, გადაირიოს და თვალებიც კი ამოგჩიჩქნოს — ეს როგორ მაკადრეო?! არადა, იცი, როგორი „უჭირავთ“?!. ქალი საღამოს, ტრასაზე რომ დადგება და თუ უთხარი — წამოდი, უნდა გაგჟიმოო, — გადაირევა, მაგრამ თუ ყავაზე დაპატიჟებ, მაშინვე ჩაგიხტება მანქანაში... თუმცა, ორივე ეს ფრაზა ერთსა და იმავე შინაარსს გულისხმობს. ასეა, ბატონო, კარგად ვიცნობთ თქვენს მოდგმას და იმიტომ!..

დავითი, *36 წლის:*

— საქმე ის არის, რომ ამ საიტზე უამრავი ქალი გავიცანი, ბევრს პირადადაც შევხვდი, მაგრამ მხოლოდ ერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. შევხვდით კიდეც და უზომოდ შემიყვარდა. ჩემი და მაიას შეხვედრის შემდეგ თავისი ანკეტა გავაუქმებინე და მშვიდად ვიყავი. მთელი 6 თვის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. საიტზე ჩემი თანამშრომელი მამაკაცებიც არიან დარეგისტრირებული. რა თქმა უნდა, ერთმანეთს აზრსაც ვუზიარებთ ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემი თანამშრომელი მამაკაცი, საგანგებოდ გამოპრანჭული, პაემანზე წავიდა. ყველამ ვიცოდით, რომ საიტზე გაცნობილ ქალს ხვდებოდა. მეორე დღეს, გახარებული მოვიდა სამსახურში — მაგარი ქალი გავიცანი და მაგარი სექსიც გვქონდაო. ტელეფონი ამოიღო და შეხვედრის დროს გადაღებული სურათიც გვიჩვენა, გულზე რომ გავმსკდარიყავით. არ ვიცი, რა იგრძნეს სხვებმა, მაგრამ მე მართლა გამისკდა გული: სურათიდან მაია შემომყურებდა... იმავე დღეს გავარკვიე მასთან ურთიერთობა და ერთმანეთს დავშორდით. კარგა ხანს განვიცდიდი ამ ამბავს, ახლა კი უკვე გამიარა და არც ერთ ქალს აღარ ვენდობი. მხოლოდ ერთჯერადი ურთიერთობით შემოვიფარგლები, ისიც — მათთან, ვინც თავად მთანხმდება, ქალს შებმას აღარ დავუწყებ...

აი, ასეთი განწყობილებით არიან განმსჭვალული ერთმანეთის მიმართ საპირისპირო სქესის წარმომადგენლები. თუმცა, ერთმანეთის გარეშე მაინც ვერ ძლებენ — პაემანს ნიშნავენ, ხვდებიან და... მორიგ იმედგაცრუებას განიცდიან... ისევ ეძებენ, ისევ ხვდებიან და ასე ტრიალებს კარუსელი... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. საფეთქელთან ამოსულ თმას კაწაწი ჰქვია.

2. ერთი პერიოდი, კაზანოვა ინკვიზიციისათვის შპიონაჟს ეწეოდა.

3. დეუავიუ ფრანგული სიტყვაა და ქართულად — „უკვე ვნახეს“ ნიშნავს.

4. ადამიანებს დედალი ძაღლები უფრო ხშირად კბენენ, ვიდრე ხვადები.

5. ქერათმიან და თეთრ-ყირმიზ ახალგაზრდა კაცს, ბრაზილიაში გალეგოს ეძახიან.

6. ღამურა ვამპირები მხოლოდ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობენ.

7. ლაფაჩი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნელს, ზანტსა და დოყლაპიას ნიშნავს.

8. საღეჭი რეზინი Wrigley-ს პირველი პროდუქტი იყო, რომელსაც შტრიხკოდი ჰქონდა.

9. რუზველტის საფლავზე, მის ქანდაკებასთან ერთად, მისი ძაღლის ქანდაკებაც არის დადგმული.

10. „მკრტიჩიანს ძალზე სევდიანი თვალები ჰქონდა“, — ნაღვლიანად იხსენებს მეგობარს ბუბა კიკაბიძე.

11. „ვ რასიი ესტ დვა ვარიანტა რაზიტია საბიტიი — ხუდში ი მალოვეროიატნი“, — ამბობენ რუსები.

12. მოსახევი კალენდარი პირველად რუსეთში გამოიცა. ცნობილ რუს გამომცემელს — სიტინს ეს იდეა ლევ ტოლსტოიმ მიაწოდა.

13. ოლეგ ტაბაკოვი 1973 წელს ლონდონში სპეციალურად მიიწვიეს, რათა იქ გოგოლის „რევიზორი“ დაედგა.

14. გლადიატორს ალესილ იარაღს მხოლოდ არენაზე აძლევდნენ. ვარჯიშის დროს, იგი მხოლოდ ხის ხმლით იბრძოდა.

15. მხატვრულ ფილმ — „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ აკიმის როლის შემსრულებელი ჯაბა წულაძე საფრანგეთის მოქალაქეა.

16. „ჩემთვის სულერთია, რას წერენ გაზეთები ჩემ შესახებ, სანამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება“, — ამბობდა მსახიობი კეტრინ ჰეპბერნი.

17. „ეს კაცი ტელეგრაფის სტილში წერსო“ — მასხრად იგდებდნენ კრიტიკოსები ერნესტ ჰემინგუეის თხრობის ლაკონიურ სტილს.

18. იერუსალიმის გათავისუფლებას

ჩვენი ახალი რუბრიკის სტუმარი ამჯერად, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ბატონი გოგა ხაინდრავა გახლავთ, რომელიც ხელისუფლებაზე კი არ არის გაბრაზებული, არამედ, მას შვილებისა და შვილიშვილების მომავალი ადარდებს, ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე ზოგიერთი მოვლენა მის აღშფოთებას იწვევს. იმის გამო, რომ ახლა საქართველოში ყველაზე „ცხელი“ ამბავი თურქეთში მომხდარი ტრაგედიაა, ჩვენც საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

ტრაგიკომედია

„ცოტა წვიმა აჯობა, ოჯოგ თავი ჩოგ აგოყოს“

ნათია ქივიძე

— თურქეთში მომხდარ ტრაგედიაში მტყუან-მართალი არავინ არის. ამაში დამნაშავე ალბათ ჩვენი ყოფაა, რადგან ხალხი, საკუთარი მცირე შემოსავლის გამო, იძულებულია, 1600 კმ ავტობუსით გაიაროს (XX საუკუნეში ძირითადი ტრანსპორტი მაინც ავტობუსია და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხალხს შესაძლებლობა არა აქვს). ამ დროს კი, დაზღვეულნი არაფრისგან ვართ. თურქეთში მომხდარ ამბავს ყველანი განვიცდით და ამის გამო, გული გვტკივა. ხალხი კონსულს რომ გაუბრაზდა, არ ვიცი, ისინი რამდენად მართლები იყვნენ, ასეთ საკითხზე კომენტარის გაკეთება ძალიან ძნელია, რადგან მხოლოდ რაღაც ნაწყვეტები ვნახე ტელევიზიით. ამის შემდეგ, მთელი ღამე ვერ დავიძინე და წარმომიდგენია, იქ, ადგილზე რა ხდებოდა... ჩვენს კონსულს თურქეთში ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ის, ასეთ სიტუაციაში უკან არაფერზე დაიხევდა და დაზარალებულებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდა. ეს არის უბედურება, რომელიც ყველამ განიცადა და კონსულიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია...

საქართველოში ყველაზე მეტად ხალხის დაჭერები, სიკვდილები და მართლმსაჯულების არარსებობა მაბრაზებს. ეს სამარცხვინოა ჩვენი ქვეყნისთვის და იმაზე მეტყველებს, რომ როგორც სახელმწიფო, ვერ ჩამოვყალიბდით, რადგან სახელმწიფოს ძირითადი საყრდენი არის მართლმსაჯულება. იქ კი, სადაც სამართალი არ არის, იმედი ქრება და სადაც იმედი არ არის, იქ, რაღაც პერსპექტივებზე ლაპარაკი ძნელია. ამიტომ ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც ამ ხელისუფლებას ხალხის წინაშე მიუძღვის, არის ის, რომ მან პრაქტიკულად ქვეყანაში მართლმსაჯულება გააუქმა და გადააკეთა შპს-დ, სადაც შეკვეთებს ბოკერია და ადეიშვილი იძლევიან. ეს შეკვეთები კი, როგორც წესი, აბსოლუტურად უკანონოა. მაგალითად ავიღოთ რობაქიძის საქმე — რობაქიძის მამას ხელში ეჭირა ვიდეოკასეტა, რომელიც გადაღებული იყო მისი შვილის მკვლელობის ღამეს და ეს კასეტა თითქმის ყველა ტელევიზიით აჩვენეს. მოსამართლემ მას განუცხადა: იქ ჩხუბი არ მომხდარაო. ე.ი. მან თქვა, რომ კასეტა, რომელიც შენ გაქვს და რაც შიგ ხდება, სიყალბეაო. რობაქიძის მამა საშინელ დღეში აღმოჩნდა, რადგან მიხვდა, რომ მას შვილიც მოუკლეს და — იმედიც. მას შვილის სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ იმის მოსმენა სურდა — შენი შვილი უდანაშაულოდ მოკლეს და ამისთვის ბოდიშს გიხდითო. ამას რაღა ბოდიში უშველიდა?.. მაგრამ სამართალდამცველმა ესეც არ აღიარა. ის კი არა და კარი ცხვირწინ მიუხურეს და უთხრეს: მოგიკლეს? ახლა ჯანდაბამდე გზა გქონიაო... ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრება ხომ ტრაგიკომედიაა. ტრაგედია ირაკლისთვის არის, კომედია კი — ამათთვის. მთელ ამ აურზაურში, რომელიც კოდორის ხეობაში მოხდა, ერთადერთი ბათიაშვილის დაპატიმრებაა ძალზე სასაცილო. ბათიაშვილი მოღალატეა? ირაკლი, კაცო? როგორ გეკადრებათ?! ის არის კაცი, რომელიც კა-გე-ბეს არ შეუშინდა; ის არის კაცი, რომელიც 9 აპრილს ბოლო წუთამდე იდგა მთავრობის სახლის წინ. მაშინ, როცა იქ, არც ერთი ლიდერი აღარ იყო და იქიდან გონდაკარგული გამოათრიეს, საავადმყოფოში მიიყვანეს და ძლივს გადარჩა. სხვათა შორის, ახალი მთავრობის წევრებისგან განსხვავებით, ის არის კაცი, რომელმაც კა-გე-ბე დაშალა, ამათ კი პირიქით, ააწყვეს (პირველად გიორგაძემ ააწყო, ამათ კი გააძლიერეს). ამ ყველაფრის შემდეგ, მაინც ირაკლი ბათიაშვილია მოღალატე? — სასაცილოა. ამას ვინ ირწმუნებს? ეს არის ლაქა, რომლის ჩამორეცხვაც ძნელი იქნება. ემზარ კვიციანი საკუთარი ტელეფონით 120 ადამიანს ელაპარაკა და ყველა მათგანი ეტყოდა ალბათ — როგორ ხართ, ბიჭებო? მანდ სისხლი არ დაიღვაროსო. ამის გამო ირაკლი ბათიაშვილს იჭერ, მოღალატედ აცხადებ და ამ ყველაფერს ამბოხის ინტელექტუალურ მხარდაჭერას უწოდებ? პროკურორებმა, ინტელექტი რა არის, ის არ იციან და ინტელექტუალური მხარდაჭერის არსი საიდან ეცოდინებათ?!

რაც შეეხება პრეზიდენტს, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ როგორ უნდა უნდოდეს ყველაფერი ამწუთას — მოუვა თუ არა აზრი, მაშინვე უნდა გაკეთდეს და მორჩა. თვე-ნახევარში კოდორში ქალაქი როგორ უნდა ააშენოს? კი, ბატონო, ამის გაკეთება შეიძლება, თუ მთელი ქვეყანა ტანზე ტანსაცმელს შემოიხევს, მაგრამ რისთვის? 6 თვეში იყოს და წესიერი, მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, არა სპონტანური, არამედ დალაგებული და გააზრებული იყოს, არ სჯობია? კარუსელი 2 დღეში, კოდორი — თვე-ნახევარში, ევროკავშირი — 9 თვეში — არ არის ასე ცხოვრება აწყობილი. სად გვეჩქარება? ეს კი არ მაღიზიანებს, უბრალოდ მადარდებს, რადგან შვილიშვილი მყავს უკვე. 51 წლის ვარ და მშვენიერი ცხოვრება მაქვს გამოვლილი და ახლა, ჩემი

ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება დასჭირდათ-მეთქი, ვერ ვიტყვი

შვილისა და შვილიშვილის მომავალი მაინტერესებს... ან ის რა დევიზია — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მოწინააღმდეგეაო, ოპოზიცია ჩვენი მტერიაო და ა.შ. მე ასეთ გზაზე გავლილი ორი პრეზიდენტი მახსოვს და ორივე სად მივიდა, ეს ყველამ კარგად იცის. ღმერთმა დაიფაროს მიხეილ სააკაშვილი ასეთი გზისგან, რადგან ის ახალგაზრდა კაცია... პრეზიდენტი საკუთარი გარემოცვის ტყვე იყო, როცა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა: მე ქვეყანა მაქვს გასაერთიანებელი და არ მაინტერესებს ჩვენი ევროპელი სკეპტიკოსებიო. ასეთ განცხადებებს ქვეყანაში, როგორც წესი, პრეზიდენტი აკეთებს. ქვეყანა გასაერთიანებელი ოქრუაშვილს კი არა, ქვეყნის პრეზიდენტს აქვს, მინისტრებთან ერთად... ძალიან მომეწონა ფილარმონიის წინ გახსნილი ახალი „ფანტანი“, ლამაზია და ბავშვებიც მშვენივრად გრილდებიან, მაგრამ რა დროს „ფანტანია“, როცა თემქას, მუხიანსა და გლდანს ორი კვირის განმავლობაში, 40 გრადუს სიცხეში წყალი არა აქვს? ამასთანავე, ნახეთ მერიის წინ რაღაც უშველებელ და საშინლად უგემოვნო რაღაცას რომ აშენებენ? მე შიგნიდან მაქვს ნანახი და ვიცი, რაც არის — საშინელებაა... გააკეთებენ ამ ყველაფერს და მერე ყვირიან: ეს გავაკეთეთ და ის გავაკეთეთო. ხელისუფლება ხარ და უნდა გააკეთო. რა, მაგ ყველაფერში დახარჯული ფული ჯიბიდან ამოიღე? ეს ხომ ხალხის ფულია და შენც ვალდებული ხარ, რომ ამ ფულით ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ გააკეთო.

ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება დასჭირდათ-მეთქი, ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ისეთი ობიექტური ვითარება შეიქმნა, რომ ასე უნდა მომხდარიყო, რადგან როცა საკითხი დადგა: ოქრუაშვილი თუ ხაინდრავა, ბუნებრივია, ხაინდრავა უნდა წასულიყო... ჩემ მიმართ პრეტენზიები გამოთქვეს უმრავლესობის წარმომადგენლებმა და პარლამენტის თავმჯდომარემ. ბურჯანაძემ განაცხადა: ხაინდრავამ საკუთარი შესაძლებლობები ამოწურაო. რატომ გადაწყვიტა ასე? — თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავს, პასუხი გამცეს ამ კითხვაზე...

რაც შეეხება ჩვენს კულტურასა და ხელოვნებას, ამ მხრივ სამდურავი ნამდვილად არაფერი მაქვს — ცოტა წვიმა აკლია, რომ სოკომ თავი ამოყოს. მიხვდით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. ჩვენს ხელოვნებს ცოტა ხელის წაკვრა სჭირდებათ, თორემ ისე, უნიჭიერესი ხალხი ვართ. არაჩვეულებრივი მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები გვყავს. ვინ თქვა, საქართველოში კინო მოკვდაო?! ასე სულაც არ არის. არაჩვეულებრივი რეჟისორები გვყავს, როგორც კინოსი, ასევე თეატრის. უბრალოდ, ფილმის გადაღება ძვირი სიამოვნებაა და ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. რაც შეეხება შოუბიზნესს, ეს საერთოდ ცალკე საუბრის თემაა და თუ გნებავთ, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ვინღა ჩივის, სულთან სალადინის გადამკიდე რიჩარდ ლომგული ისე დაიღუპა, რომ ეს ქალაქი თვალითაც ვერ იხილა.

19. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ოფიციალურად აღიარეს, რომ ფიდელ კასტროზე განხორციელებული 600 წარუმატებელი თავდასხმიდან, რვა ნამდვილად ჩვენი მოწყობილი იყოო.

20. ჟირაფები და აქლემები სიარულისას ერთდროულად ორ მარცხენა — წინა და უკანა ფეხს, შემდეგ კი, ერთდროულად ორ მარჯვენა — წინა და უკანა ფეხს დგამენ. ასეთი სახით დედამიწაზე მხოლოდ ეს ორი ცხოველი გადაადგილდება.

21. შეერთებულ შტატებში ამას ჯიმის ქუდს ეძახიან, გერმანიაში — პარიზელს, საფრანგეთში — ინგლისურ კაპიუშონს, იტალიაში — ხელთათმანს, ლივანში — პალტოს, სამხრეთ ამერიკაში — ფრანგულ წერილს. ჩვენ მას პრეზერვატივს ვეძახით.

22. „მნე სკაზალი, შტო ნა უკრაინე ზაპრეტილი პაკაზ მულტფილმა „რუსალაჩკა“, ტაკ კაკ ვ ეტოი იმენი, სვეშენნოე სლოვო „სალა“ საჩიტაეტსა სო სლოვომ „რუს“ — ამბობდა თავის ერთ-ერთ საესტრადო გამოსვლაში მიხაილ ზადორნოვი.

23. 1745-1754 წლებში, პარიზში ახალშობილი გოგონების რაოდენობა ბიჭებთან შედარებით გაცილებით გაიზარდა, ვიდრე მთელ საფრანგეთში. ამ საკითხით ლაპლასი დაინტერესდა და გამოარკვია, რომ ამის მიზეზი პარიზში არსებული უპატრონო ბავშვების თავშესაფარი იყო. პროვინციელი მშობლები ბიჭებს, როგორც მომავალ მუშახელს იოლად ვერ ელეოდნენ. რაც შეეხება ახალშობილ გოგონებს, თავშესაფარში მათი დატოვების ფაქტები გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდა.

24. სპარტელთა მეფე ლეონიდეს თერმოპილეს ხეობაში, სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად არც ერთი უშვილო მეომარი არ წაუყვანია.

25. როდესაც ჩარლზ ბებიჯს გადაჭარბებული კაცთმოძულეობის გამო საყვედურობდნენ, იგი პასუხად იტალიაში ნანახ წყლის საქაჩის ამბავს ღიმილით ჰყვებოდა, რომელზეც ასეთი წარწერა იყო: „ეს საქაჩი პატრონმა ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით ააგო, რათა დაღლილ მგზავრებს წყურვილის მოკვლის საშუალება ჰქონოდათ.“ ბებიჯმა სპეციალურად შეისწავლა ამ კონსტრუქციის მუშაობის პრინციპი და აღმოაჩინა, რომ მოქაჩული წყლის ძირითადი ნაწილი პატრონის სახლში მიედინებოდა, დაღლილი მგზავრებისათვის განკუთვნილ მილში კი, წყალი ძლივს მოწანწკარებდა.

„რატის საუკეთესო თვისება — ერთგულებაა“ — გვითხრა ტელეწამყვანმა **ეკა ტოგონიძემ**, რომლისთვისაც პოლიტიკოს რატი სამყურაშვილის ცოლობა მხოლოდ პერანგების უთოობის გამოა ძნელი. დაოჯახების შემდეგ, მათ ერთმანეთში რაიმე განსხვავებული თვისება არ აღმოუჩენიათ, რადგან მათი ურთიერთობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და შესაბამისად, ერთმანეთის გაცნობაც კარგად შეძლეს. თუმცა, როგორც ეკამ თვითონ აღიარა — ორივენი საკმაოდ რთული ადამიანები არიან.

„ჭიკვარიით“ დანიშნული ცოლი, „ვარჯიშებგული ბოლიტიკოსი“ და ხიუსი ეუბნალისტი

სოფო ჭონიშვილი

— რატი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შემთხვევით გადამაწყდა, გამაჩერა და სახელი მკითხა. მსგავს შემთხვევებში, ყოველთვის ცივად ვიქცეოდი, სრულ იგნორირებას ვუკეთებდი იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს გაცნობას ასეთი ხერხით ცდილობდნენ. გამონაკლისი არც რატისთან მიმართებაში დავუშვი. ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ერთმანეთს ისევ შემთხვევით შევხვდით — მეგობრებთან ერთად კაფეში ვიყავი, სადაც რატიც (თავის მეგობრებთან ერთად) შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ ჩემი და მისი მეგობრები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ამიტომ, ისე გამოვიდა, რომ ის საღამო ერთად გავატარეთ. შემდეგ, როცა ბიჭები გოგონებს სახლამდე გვაცილებდნენ, რატიმ დამიმარტოხელა და უნივერსიტეტში მომხდართან დაკავშირებით მომიბოდიშა... მხოლოდ მაშინ მიეხვდი, რომ ეს ის ბიჭი იყო, რომელმაც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ჩემი გაცნობა მოინდომა — ამ ამბავზე ორივეს გაგვეღიმა. შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ის ხან აქტიურ ფაზაში იყო, ხან — პასიურში. შეიძლება, თვეები ისე გასულიყო, რომ ერთმანეთი არ გვენახა. ბოლოს, როცა ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით, მივხვდით, რომ დაოჯახება ჩვენი ურთიერთობის ერთადერთი ლოგიკური გაგრძელება იყო.

— ერთმანეთით ერთი ნახვით მოხიბლეთ?

— რატის დანახვისას, ჩემი პირველი რეაქცია, თავდაცვა იყო იმ უცხო მამაკაცისგან, რომელიც ჩემს გაცნობას ჩემთვის მიუღებელი ხერხით ცდილობდა. რაც შეეხება რატის, როგორც თვითონ ამბობს — დამინახა თუ არა, მიხვდა, რომ ის ადამიანი ვიყავი, ვინც მას სჭირდებოდა და ვისაც ყოველთვის ეძებდა. რატისგან განსხვავებით, მე შედარებით მეტი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ მასში რაღაც „აღმოჩენები“ გამეკეთებინა.

— თქვენს პირველ პაემანს ხომ ვერ გაიხსენებდი?

— ამის გახსენება გამიჭირდება, რადგან თავდაპირველად, ერთმანეთს ძირითადად, მეგობრების წრეში ვხვდებოდით (ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა), ხოლო შემდეგ, როცა რატი პარლამენტის წევრი გახდა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, საქმემაც დაგვაკავშირა. შეიძლებოდა, დამერეკა და მისთვის, როგორც ოფიციალური პირისთვის, კითხვით მიმემართა. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, უბრალო ნაცნობები ვიყავით, შემდეგ ეს ნაცნობობა იმდენად მოულოდნელად და ჰარმონიულად გადაიზარდა სხვა გრძნობაში, რომ...

— რადგან საკუთარი გრძნობების გასარკვევად წლები დაგჭირდათ, ეი. ერთმანეთის ხასიათი კარგად შეისწავლეთ. და მაინც, დაოჯახების შემდეგ, ერთმანეთში რაიმე ისეთი თვისება ხომ არ აღმოგიჩენიათ, რაც მანამდე არ იცოდით?

— იქიდან გამომდინარე, რომ მართლა ბევრი დრო მქონდა იმისთვის, რომ რატი კარგად გამეცნო, მასში ჩემთვის უცნობი თვისება არ აღმომიჩენია. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ უფრო მეტად ყურადღებიანი აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ ქართველი მამაკაცების უმრავლესობის მსგავსად, რატიც მშობლების მზრუნველობით იყო განებივრებული, მეგონა, ნაკლებად იქნებოდა საკუთარი ნივთების მოვლითა და საოჯახო საქმეებით დაკავებული, მაგრამ დაოჯახების შემდეგ (რაც მარტო ვცხოვრობთ), ამ საკითხში აშკარად გააქტიურდა და საოჯახო საქმეების მოგვარებას ჩემთან ერთად ცდილობს... რაც შეეხება იმას, თუ როგორია დაქორწინების შემდეგ, მან ჩემში კულინარიული ნიჭი აღმოაჩინა (*იცინის*), რომელიც სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო — გათხოვებამდე კერძი არასდროს გამიკეთებია, რადგან სამზარეულოში ყოველთვის დედა ტრიალებდა. ახლა, როცა სხვა გამოსავალი არ მაქვს, ვცდილობ, ჩემს მეუღლეს გემრიელი კერძები თავადვე მოვუმზადო.

ვცდილობ, ჩემს მეუღლეს გემრიელი კერძები თავადვე მოვუმზადო.

— რაიმე შენეულ რეცეპტს ხომ არ გაგვიმხელ?

— არანაირი კონკრეტული რეცეპტებით არ ვსარგებლობ — მაცივარში რაც მაქვს (ბოსტნეულსა და რძის ნაწარმს მაქსიმალურად ვიყენებ), ყველაფერს გამოვიყენებ ხოლმე და საბოლოოდ, გემრიელი „სუპი“ ან სალათი გამომდის. რატის უფრო მსუბუქი კერძები უყვარს და ამ საქმეში ჩემი ნიჭიერებით აღფრთოვანებულია.

— თვითონ თუ ეხერხება სამზარეულოში ტრიალი?

— არა და ეს მიხარია კიდეც, რადგან როცა სამზარეულოში ვტრიალებ და ვინმე დახმარებას მთავაზობს, მიმაჩნია, რომ ის მხოლოდ ხელს შემიშლის. მირჩევნია, მარტო ვიყო და არავინ მიყურებდეს. მერე, სუფრის ალაგებაში თუ მომეხმარება, ამაზე უარს ნამდვილად აღარ ვიტყვი... ოჯახის საქმეებიდან ჯერჯერობით, ყველაზე მეტად მზარეულობა მომწონს, რადგან ვფიქრობ, რომ მომზადებული კერძის გამო, მეუღლის კომპლიმენტებს ყოველთვის გულუხვად დავიმსახურებ, თორემ იმის გამო, რომ სარეცხი კარგად გარეცხე, არავინ შეგაქებს.

— მშობლები თქვენს გადაწყვეტილებას როგორ შეხვდნენ?

— ჩვენი მშობლები დიდი ხანი ელოდნენ ჩვენს გადაწყვეტილებას (*იცინის*). გვეუბნებოდნენ: თქვენს შეუღლებას საშველს თუ დააყენებთ, ძალიან გაგვახარებთო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმას ძალიან ვაჭიანურებდით. ეშინოდათ, რომ ისეთი არაფერი მომხდარიყო, რაც ერთმანეთს დაგვაშორებდა.

— თქვენ თუ მიიჩნევდით, რომ ურთიერთობა „გაწელილი“ იყო?

— ჩვენ ასე არ ვფიქრობდით. უბრალოდ, გვერდიდან, სხვების თვალით ჩანდა ასე.

— ერთმანეთს სიურპრიზებს თუ უწყობდით?

— შეყვარებულობის პერიოდში, რატი იმდენად ბევრ სიურპრიზს მიკეთებდა, რომ ყველაფრის გახსენება მიჭირს კიდეც. ხშირად, კართან ულამაზესი ყვავილების თაიგულს მიტოვებდა ხოლმე. ოჯახის წევრებს ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ უცხოსთვის ყვავილები არ გამოერთმიათ. ქართველი ბიჭების ამბავი მოგეხსენებათ — ისინი ფიქრობენ, რომ თუკი მათგან

C M Y K

საჩუქარს იღებ, ე.ი. მათ მიმართ სიმპათიით ხარ განწყობილი. ამიტომ თაყვანისმცემლები თაიგულს სადარბაზოში ტოვებდნენ... რატის მიერ დატოვებულ ყვავილებს კი, მისი განსაკუთრებული გემოვნებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვცნობდი... როცა საზღვარგარეთ მიდიოდა, იქიდანაც განსაკუთრებული საჩუქრები ჩამოჰქონდა — ერთხელ, ამსტერდამის მუზეუმიდან, ვან გოგის ნახატით დამშვენებული ჭიქა და ამ მხატვრის შემოქმედების ამსახველი ძალიან კარგი წიგნი ჩამომიტანა. ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული კი, ის ბეჭედი იყო, რომელითაც სიმბოლურად დამნიშნა (ოფიციალური ნიშნობა არ გვქონია). არ ველოდი, რომ რატის ასეთი კარგი და დახვწილი გემოვნება ექნებოდა სამკაულების სფეროში — ლურჯი ემალის ბეჭედია, რომელიც ოქროს წინწკლებითაა დაფარული და მასში სამი ბრილიანტის თვალია ჩასმული. ამ ბეჭედს ჭიამაია დავარქვი.

— შენ თუ უძღვნიდი საჩუქრებს?

— თავიდან — არა (*იცინის*), მაგრამ მერე, მეც ვჩუქნიდი ხოლმე მისთვის სასურველ ნივთებს. საერთოდ, საჩუქრების მირთმევა ძალიან მიყვარს. როცა გავიგებდი, რომ რატის რაღაც მოეწონებოდა, ხელფასიდან ფულს ვაგროვებდი და ვყიდულობდი. რა თქმა უნდა, მას ეს ძალიან ახარებდა და სიამოვნებდა.

— რამდენად კონფლიქტური ადამიანები ხართ?

— კონფლიქტურები ვართ-მეთქი, ვერ გეტყვი, მაგრამ ორივეს ძალიან რთული ხასიათი გვაქვს. ხშირად ხდება ისე, რომ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რადიკლურად განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ეს ჩვენი კონფლიქტის მიზეზი არ ხდება, პირიქით, ამ დროს ურთიერთობა უფრო საინტერესოა. პრაქტიკულად, ვერც მეგობრებისთვის და ვერც მშობლებისთვის ვერ ვიცლით — განუწყვეტლივ ვლაპარაკობთ. ასე იყო შეყვარებულობის დროსაც და ერთმანეთის კარგად გაცნობა ამიტომაც მოვახერხეთ.

— რა შეგიძლია თქვენს ქორწილზე გვიამბო?

— ქორწილი 17 ივნისს გვქონდა — ჯვარი სამების ტაძარში დავიწერეთ. ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი სწორედ ეს პროცესი იყო. მღვდელი ხმამაღლა და გამოთქმით აღასრულებდა ღვთისმსახურებას — თითქმის ყველა სიტყვა მახსოვს და ალბათ, ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება. როცა ჯვრისწერის პროცესი დასრულდა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ დაგვლოცა და ბევრი შვილის ყოლა გვისურვა. შემდეგ კი, სასტუმრო „მეტეხში“ წავედით, სადაც საქორწილო სუფრა გაიმართა.

— ვინ იყვნენ თქვენი მეჯვარეები?

— რატის მეჯვარე, კახი კალაძე იყო. მე ორი მეჯვარე მყავდა — ნინო ექვთიმიშვილი (ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი) და არჩილ ელიზბარაშვილი.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— ორზე მეტის. საერთოდ კი, ეს ღვთის ნებაა.

— საქორწილო მოგზაურობაში იყავით?

— ვიყავით, მაგრამ ამ თემაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

— როგორ ფიქრობ — პოლიტიკოსის ცოლობა ძნელია?

— ჯერჯერობით ძნელი მხოლოდ პერანგების უთოობაა... ეს — ხუმრობით, ისე კი, ადამიანის (მით უმეტეს პოლიტიკოსის) პოპულარობის ზრდასთან ერთად, მისი

ჯერჯერობით ძნელი მხოლოდ პერანგების უთოობაა...

მისამართით გამოთქმული კრიტიკაც მატულობს. რაც უფრო აქტიური ხარ, მით მეტად გესხმიან თავს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს თავდასხმა ხშირად, ლოგიკას მოკლებულია და რეალობისგან შორს დგას. ამ ბოლო დროს, უსამართლო კრიტიკას ყურადღებას აღარ ვაქცევ.

— ერთმანეთის ჩაცმულობაში თუ ერევით?

— რა თქმა უნდა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მეუღლე ჩემს ჩაცმულობაში, უფრო ზუსტად კი, საეთერო ტანსაცმლის შერჩევაში ძალაუნებურად ერევა — ზოგი რამ მოსწონს, ზოგი — არა. როცა ადამიანი გვერდით გყავს, მაშინ მის ჩაცმულობას ყურადღებას ნაკლებად აქცევ, მაგრამ როცა მას ფართო აუდიტორიის წინაშე უწევს გამოსვლა, შენიშვნები აუცილებელია. რატის ძალიან მოსწონს, როცა კლასიკურად მაცვია, თვითონ კი, სპორტულ ფორმაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. ერთმანეთის გემოვნებას ვენდობით.

— ჰალსტუხის შეკვრა თუ ისწავლე?

— (*იცინის*) ჰალსტუხის შეკვრა მხოლოდ ისეთი წესით ვიცი, რომელიც რატის არ მოსწონს — უპირატესობას მსხვილ კვანძს ანიჭებს, ასეთი კვანძის გაკეთება კი, თავადაც არ ეხერხება, ამიტომ მათ ისე ინახავს, რომ არ გაიხსნას და თუ შემთხვევით გაიხსნება, ეს ნამდვილი ტრაგედია იქნება მისთვის (*იცინის*).

— ამბობენ: კაცი სიმთვრალეში უნდა გამოცადოო... სანამ გაჰყვებოდი, თუ გამოცადე რატი სიმთვრალეში?

— როგორ არა?! რატი ნასვამი, დაოჯახებამდე უფრო ხშირად მინახავს, ვიდრე მას შემდეგ. სხვათა შორის, ძალიან კარგი სიმთვრალე აქვს — ფხიზელი, დინჯი და სერიოზულია, სიმთვრალეში კი, მთლიანად იხსნება და ამიტომ, როცა რატი სვამს, მიხარია (*იცინის*).

— შეგიძლია, შენი მეუღლის დადებით და უარყოფით თვისებებზე გვლაპარაკო?

— რატის საუკეთესო თვისება — ერთგულებაა. გარდა ამისა, ის ძლიერი ნებისყოფის ადამიანია, ძალიან მობილიზებულია და ამავე დროს, ძალიან უყვარს შრომა. მას ადვილად შეუძლია, სიზარმაცეს სძლიოს... რაც შეეხება უარყოფითს, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ბრაზიანია, მაგრამ უსამართლო არ არის და ამიტომ, მისი გაბრაზებაც ასატანია.

— შენზე რას ამბობს, როგორ გახასიათებს?

— ამბობს, რომ რთული ხასიათი მაქვს — ჯიუტი ვარ. მოსწონს ის, რომ მხიარული გახლავართ და მიიჩნევს, რომ დადებითი აურის მატარებელი ადამიანი ვარ.

— დასასვენებლად წასვლას არ აპირებთ?

— შეიძლება, სამსახურის გამო ქალაქიდან საერთოდ ვეღარ გავიდე. ჩემ გამო, რატისაც თბილისში უწევს დარჩენა. ისე, ძალიან მინდა, რატის სოფლებში — ბუნიკაურსა და უსახელოში (ჭიათურის რაიონი) წავიდე, მისი ნათესავები გავიცნო და ვნახო ის ადგილი, სადაც ჩემი მეუღლე ბავშვობაში ყოველ ზაფხულს ატარებდა.

— თავისუფალ დროს, ცოლქმარი სად ან როგორ ერთობით ხოლმე?

— მას შემდეგ, რაც ერთად ვცხოვრობთ, ეს საკითხი ჩვენთვის ბევრად უფრო გამარტივდა — ერთმანეთის სანახავად რაღაც ადგილების შერჩევა აღარ გვჭირდება. შემიძლია, სამსახურში მშვიდად ვიმუშაო და იმაზე არ ვიფიქრო — ნეტავ, საქმეს მალე მოვრჩე, რომ პაემანზე არ დავიგვიანო-მეთქი. სიმართლე გითხრათ, სახლში ყოფნა ორივეს ძალიან გვიყვარს და კარგადაც ვერთობით ხოლმე. საღამოობით, უნივერსიტეტის ბაღში ვსეირნობთ. როცა თავისუფალი დრო გვაქვს, მაშინ მშობლებთან მივდივართ ან ბიძას ვსტუმრობთ — ელიაზე, საიდანაც მთელი თბილისი, განსაკუთრებით ღამაზად კი — წმინდა სამების ტაძარი მოჩანს.

— შენი აზრით, რა არის მთავარი ოჯახური იდილიისთვის?

— ოჯახში წინა პლანზე ყოველთვის გრძნობა უნდა იყოს. სხვა ყველაფერს (ყოფით პრობლემებს) ბევრი დრო არ უნდა დაუთმო და ამის გამო, უთანხმოება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. ეს ყველაფერი ძალზე უმნიშვნელოა, დღეს არის და ხვალ აღარ იქნება... ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ამაღლებული წუთები, როცა ყველაზე მნიშვნელოვანი, თუნდაც ერთი გამოხედვა, ერთი სიტყვა ან შეხება იყო. ამაზე ძვირფასი ხომ არაფერია... ■

„სადღაც წასვლის პრობლემა ყოველთვის მქონდა, მშობლები სულ მეჩხუბებოდნენ და ჩემდა უნებურად, მატყუარა „გავიჩითე“, — გვითხრა მსახიობმა გიორგი ყიფშიძემ, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ მას შვილი არასდროს მოატყუებს... 17 წლის ასაკში, გიორგი თბილისიდან რამდენიმე წლით წავიდა და უკან ყურგახვრეტილი დაბრუნდა. მის ქართველ თანატოლებს ამაზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ და როგორც თვითონ გიორგი ამბობს — საყურე კი არა, ყური მხოლოდ იმიტომ შერჩა თავის ადგილზე, რომ ვერელი ბიძა ჰყავდა...

შემცდარნი ბიჭის გახვმეცდილი ყოფა და ოცდაცდილი ადგილას გამჭოშილი ჩანგალი

„ვიკი ბიჭს თუ კინოში გაჰყვებოდა — ე.ი. ცუდი ყოფაქცევის იყო“

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერობა ასოცირდება ბავშვობასთან, მხიარულებასთან, დაუფიქრებელ საქციელთან.

— ამ ასაკში, შენ რა დაუფიქრებელი საქციელი ჩაგიდენია?

— რა და ის, რომ ჩემთვის უცნობი გოგო ისე მოვიტაცე, არც ვიცოდი — მიყვარდა თუ არა. უბრალოდ, მომეწონა და ვიფიქრე — ჩემი უნდა გახდეს-მეთქი.

— დღეს ამას ნანობ?

— არაფერსაც არ ვნანობ, რადგან რაც მაშინ გავაკეთე, ძალიან ლამაზი და კარგი იყო.

— გოგოს მოტაცება კაცური საქციელია?

— პრინციპში, არა, მაგრამ მომეწონა და რა უნდა მექნა?! ისე, ყოველთვის ჯობია, ადამიანი ჯერ გაიცნო, დრო გავიდეს და თუ ერთმანეთს ყველაფერში გაუგებთ და შეგიყვარდებათ, ოჯახის შექმნაზე მერე იფიქროთ.

— როგორი ბავშვი იყავი?

— ცელქი და ჩუმჩუმელა. ისეთი თვალები მქონდა, თითქოს ჭიანჭველასაც არ დავადგამდი ფეხს. ამ დროს კი, შეიძლებოდა, ისეთი რამე გამეკეთებინა, რომ ვიღაცები ძალიან გამემწარებინა.

— რას გულისხმობ?

— მაგალითად, როცა ჩვენთან სტუმრები მოვიდოდნენ და ქეიფს დაიწყებდნენ, მე მაგიდის ქვეშ ვძვრებოდი და მათ სხვადასხვა ადგილას ხან ჩანგალს ვურჭობდი, ხან — დანის წვერს. ერთხელ, ზაზა მიქაშავიძეს ჩანგალი უადგილო ადგილას ისე შევარჭვე, რომ კაცი წამოხტა და აღრიალდა. ჯინსი ეცვა და იმას კი არ ყვიროდა — ეს რა მიქნაო! — არამედ იმას: დაილოცოს ჯინსის მომგონი, თორემ, რა მეშველებოდაო?!

— ამის გამო, მშობლები არ გაგიბრაზდნენ?

— მამაჩემს ჩემი დატუქსვის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ მაგიდის ქვეშიდან რომ გამომიყვანეს, ვიკითხე: რა მოხდა-მეთქი? — და თან ისეთი უმანკო სახე, საწყალი თვალები და დაბნეული გამომეტყველება მქონდა, რომ ყველას შევეცოდე...

— როგორი მოსწავლე იყავი?

— სამოსანი ვიყავი, მაგრამ სინამდვილეში, შედარებით მაღალი ნიშნები მეკუთვნოდა, რადგან უფრო მეტი ვიცოდი, ვიდრე მასწავლებლებს ეგონათ.

— ეს რას ნიშნავს?

— იმას, რომ გაკვეთილის მოყოლა მერიდებოდა, დაფასთან გასვლის მრცხვენოდა...

— რატომ, მაშინ ბიჭისთვის გაკვეთილის მოყოლა „ტეხავდა“?

— არა, კი არ „ტეხავდა“ და ამის გამო არავინ დამცინებდა, მაგრამ მორიდებული ვიყავი, თითქოს რაღაც მბოჭავდა...

— მაშინ ის მითხარი, ბიჭებისთვის „ტეხავი“ პონტად რა მიიჩნეოდა?

— ლაჩრობა, ღალატი, ვიღაცის „ჩაშვება“, არაკაცური საქციელის ჩადენა...

— შენ არასდროს და არავინ „ჩაგიშვია“?

— რას მეკითხები?! არა, რა თქმა უნდა!

— მოღალატეს როგორ უსწორდებოდით?

— როგორ და — ვცემდით. ერთხელ, ვიღაცამ რაღაცაში „ჩამიშვა“ და მას მეგობრებთან ერთად მივადექი — ისე ვცემეთ, რამდენიმე დღის განმავლობაში ფეხზე ველარ დგებოდა.

— ის მარტო დაგხვდათ?

— კი.

— და რამდენიმე კაცი ერთს რომ ურტყამს, ეს კაცური საქციელია?..

— პრინციპში — არა, მაგრამ იმ სიტუაციაში ასე იყო საჭირო... მაშინ სხვანაირი ჩხუბი ვიცოდით, ერთმანეთს მარტო ხელს ვურტყამდით და ვყვიროდით. ახლა კი, ვიღაც მოვა და არაფერსაც არ გეტყვის, ისე დაგახლის ტყვიას და გაგაგორებს.

— მაშინ იარაღი არ გქონდათ?

— არა, კაცო! მაშინ სად იყო ცეცხლსასროლი იარაღი?! დანას თუ ჩაიდებდი, თავი მაგარი გეგონა.

— ეი. ცივი იარაღი გიზიდავდათ. ვინმე თუ დაგიჭრია?

— დანა არასდროს გამომიყენებია, მიუხედავად იმისა, რომ ჯან-ღონით არ გამოვირჩეოდი. სხვათა შორის, არც მე დავუჭრივარ ვინმეს.

— გაკვეთილებიდან „შატალოზე“ არ მიდიოდით?

— როგორ არა! ყველაზე ხშირად, „მზიურში“ მივდიოდით.

— იქ როგორ ერთობოდით?

— სულელ ბავშვებს, რა უნდა გვექნა?.. ვაგროვებდით ფულს და ვყიდულობდით „პერაშკებს“, რაღაც წვენებს, რომლებშიც საწრუპი მილი იყო ჩარჭობილი. კიდევ, დავდიოდით კინოში...

— ინდური ფილმების საყურებლად?

— აბა, რა უნდა გვექნა, როცა სხვა „პრასვეტი“ არ იყო?!

— კინოში შეყვარებულთან ერთად მიდიოდი?

— რას ამბობ! მაშინ ეს რომ გაგეკეთებინა, ხალხის ყბიდან რა ამოვიდოდა?! — გოგო ბიჭს კინოში თუ გაჰყვებოდა, ე.ი. ცუდი ყოფაქცევის იყო.

— თეატრში არ მიდიოდით?

— თეატრი იმდენად მქონდა მობეზრებული (რადგან შეიძლება ითქვას, იქ გავიზარდე), რომ „შატალოზეც“ იქ როგორ წავიდოდი?!

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი ხოლმე?

— როგორ არა?! გაკვეთილზე ვმაიმუნობდი, რაღაც-რაღაცებს ვლაპარაკობდი და საქმე იქამდე მიდიოდა, რომ კლასიდან მაგდებდნენ. მერე კი, სიგარეტის მოსაწევად გავრბოდი.

— მოწევა რომელ კლასში დაიწყე?

— მეცხრეში ვიყავი.

— და სიგარეტს იოლად შოულობდი?

— სიგარეტის შოვნა რა პრობლემა იყო?! მას ძირითადად, ქუჩაში ვთხოულობდით ან კიდევ, სხვა უბნებში ვყიდულობდით: გამყიდველებს ვეუბნებოდით — დედამ ან მამამ გამოგვიშვა-თქო.

— ტუალეტში არ ეწეოდი?

— სახლში? გაგიჟდი?! მაშინ, სიგარეტის მოწევას ვინ გაბედავდა?! სკოლის ტუალეტში — კი, მაგრამ სახლში რომ მოვდიოდი, მერე რაღაც ფოთლებს ვლეჭავდი ხოლმე. როცა მეთერთმეტე კლასში გადავედი, სკოლაში მოწევა „ნაგლად“ დავიწყე — მასწავლებლებს თავს აღარ ვარიდებდი.

— მშობლებმა რომ გაიგეს, როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— სიგარეტს რომ ვეწეოდი, მშობლებმა მაშინ გაიგეს, როცა სკოლას ვამთავრებდი. თუმცა, მანამდეც ხვდებოდნენ რაღაცას, მაგრამ მათ თვალწინ პირველად მაშინ „გავაფუილე“.

— მერე, როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— სახლში რაღაცაზე ჩხუბობდნენ და ისეთი დაძაბული სიტუაცია იყო, რომ ვერაფერი მითხრეს... მერე, კვიპროსში წავედი და ერთი წელი იქ დავრჩით. მაშინ 16-17 წლის ვიყავი. სწორედ იმ დროს მომარიდეს აქაურობას, როცა შეიძლებოდა, შარში გავხვეულიყავი. თან, რაღაც, ისეთი დაძაბული პერიოდი იყო — შუქიც კი არ გვქონდა. იქიდან საყურით ჩამოვედი. ყური ჩემს დაბადების დღეზე — 22 ნოემბერს (როცა 17 წლის გავხდი) გავიხვრიტე.

— აქ რომ ჩამოხვედი, ამაზე შენს თანატოლ ბიჭებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— ამის გამო, ვიღაც-ვიღაცები სულ მეჩხუბებოდნენ და მაშინ, ჩემი ძმაკაცები და ბიძაჩემი ამომიდგნენ მხარში. ბიძაჩემი ვერელია (ვერელები კი იმ დროს „გრიმიტობდნენ“) და თან, ისეთი სერიოზული მასტია, რომ მაგის წყალობით, ყურზე საყურე და საერთოდ, ყური შემრჩა, თორემ, ის ვიღაცები მისი მოჭრით მემუქრებოდნენ (*იცინის*).

— მერე, ამ საშიშროების წინაშე რომ დამდგარიყავი, საყურეს მაინც არ მოიხსნდი?

— არა, არასდროს არაფერს არ ვთმობდი.

— მშობლები რაიმეში გზლუდავდნენ?

— სადღაც წასვლის პრობლემა ყოველთვის მქონდა და ამიტომ ვიპარებოდი ხოლმე. მეზობლები, რაღაცის ბრახუნის ხმას რომ გაიგონებდნენ და ვიღაც იკითხავდა — რა ხდებაო? — პასუხობდნენ: რა და გიორგიმ ჩემოდანი გადმოაგდო, ეტყობა, სახლიდან იპარებაო... ხან ბაკურიანში მივდიოდი, ხან — ბორჯომში, გუდაურში და ა.შ. თბილისში რომ ჩამოვიდოდი, მთელი 2 დღე მშობლების ჩხუბის ატანა მიწევდა.

— შენი შვილი სადმე რომ გაიპაროს, არ დატუქსავ?

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი არ გაიპარება. 12 წლის ბავშვს — არა, მაგრამ მერე, ყველგან გავუშვებ, რადგან ვიცი, რომ ეს აუცილებელია — ამ ასაკში ბავშვს დამოუკიდებლად სურს რაღაცის გაკეთება.

— 13 წლის ბავშვს მარტო გაუშვებ?

— ჰო. ოღონდ, სადაც წავა, იქ ჩავაკითხავ, მის თავს ვიღაცას ჩავაბარებ. ისე ვიზამ, რომ თავი კომფორტულად იგრძნოს და არ შემომჩივლოს — აი, ყველა წავიდა და მე კი არ მიშვებთო.

— აუცილებელია თუ არა, რომ თინეიჯერი შვილი მშობელმა აკონტროლოს?

— აუცილებელია, ოღონდ, ეს ისე უნდა გააკეთო, რომ ბავშვმა ვერ იგრძნოს, რომ აკონტროლებენ. მას მშობლების მიმართ უნდობლობა არ უნდა გაუჩნდეს, თორემ, მერე აუცილებლად მოგატყუებს. მე და ჩემი შვილი ვძმაკაცობთ და დარწმუნებული ვარ, რომ ის არასდროს მომატყუებს.

— შენ მშობლებს რას უმალავდი?

— თითქმის ყველაფერს, რადგან მეგონა, რომ მეჩხუბებოდნენ და უეცრად, ჩემდა უნებურად, მატყუარა „გავიჩითე“. რა საშინელებაა, არა?!

— ძველი ბიჭის სახელი შენც გიზიდავდა?

— რა თქმა უნდა! თავის დროზე, ქუჩაში ვიდექი და სწორედ იქ ვისწავლე გაჭირვებულის გვერდში დადგომა, მეგობრობა. თუ ბიჭს ეს გზა გავლილი არა აქვს, ის ძალიან სუსტია.

— რას გულისხმობ?

— რას და იმას, რომ ის ვერ დაიცავს თავის უფლებას ან მის გვერდით მყოფ ქალბატონს, ოჯახს, შვილს... იმისთვის, რომ ცხოვრებაში ნაბიჯის წინ გადადგმა შეძლო და ვიღაცამ უკან არ დაგახევინოს, ამ ყველაფერში, მეტ-ნაკლებად, მაინც ქუჩა გეხმარება. მაგრამ იქ ბევრი ცუდი რაღაცის სწავლაც შეიძლება. ამიტომ, თუ ცოტაოდენი ჭკუა მაინც გაქვს, შავისა და თეთრის გარჩევა შეგიძლია, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

— ანუ, თუ ქუჩაში მოხვდები, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი უნდა იყო?

— ამას არ გეუბნები?! მე გამიმართლა იმაში, რომ სწორ დროს და სწორ ადგილას აღმოვჩნდი, როცა აქაურობას მომაშორეს. იმ პერიოდში, როცა გარდატეხის ასაკში ვიყავი, მოხდა ისე, რომ რაღაც სხვა ვნახე და მივხვდი, რომ ქუჩაში უაზროდ დგომა — დეებილობაა. იქ თუ ჩარჩი, მაგრად დაგერხა...

— შენი თაობის თინეიჯერებისგან დღევანდელები რითი განსხვავდებიან?

— ბევრი რამით. ჯერ ერთი, ერთმანეთის მიმართ გულწრფელები არ არიან, ნამდვილი მეგობრობა არ იციან, სიტყვას — „ძმაკაცი“ ადვილად ამბობენ და მას სიმბოლურად უწოდებენ ვიღაცას. თითქოს ყველაფერმა ფასი დაკარგა...

— შენი თინეიჯერობის დროს ასე არ იყო?

— არა, მაშინ ნაცნობები დაყოფილი იყვნენ რამდენიმე კატეგორიად: უბრალოდ ნაცნობები, მეგობრები, ძმაკაცები, „ტრუსიკის“ ძმაკაცები და ა.შ. თუ ადამიანს ძმაკაცს უწოდებდი, მისი გულისთვის ყველაფერზე უნდა წასულიყავი... მაშინ არ იყო იმხელა ინფორმაცია, რომლის მიღების საშუალებაც დღევანდელ ბავშვებს აქვთ. ჩვენ ინფორმაციის დეფიციტს განვიცდიდით... დღეს ჩემი შვილი კომპიუტერს რთავს და იქ უყურებს ფილმს, შედის ინტერნეტში და ა.შ. მასთან შედარებით, მე დაუნი ვიყავი — „სოსკას“ ვლეჭავდი. სად მქონდა ასეთი რაღაცები?!. ჩემს დისშვილს წლინახევრის ასაკში ისეთი „რობოტები“ ჰქონდა, რომ იმ სათამაშოებით ახლაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

— აი, რატომ იყო ადრე ბავშვი გონებაჩლუნგი, არა?..

— ჰო, ეს ფრაზა დღესაც მიზანში ხვდება. სათამაშო კომპიუტერი რომ მქონოდა, ხო აზრზე ხარ, დღეს რა მაგარი ვიქნებოდი!..

— რა განსხვავებას ხედავ ქართველ და უცხოელ თინეიჯერებს შორის?

— ჩვენები რაღაც, მაინც დაკომპლექსებულები არიან და ამ კომპლექსის დაფარვას უზრდელობით ცდილობენ. როცა ვიღაც ყვირის: თავისუფალი ვარო და ბებიას „პალოჩკას“ დაუდებს, ის თავისუფალი კი არა, უზრდელია.

— თქვენს თაობაში უზრდელები არ იყვნენ?

— როგორ არა! მაგრამ ჩემ გარშემო ისეთი ადამიანები არ იყვნენ, ვინც დავუშვათ, უფროსს სკამს არ დაუთმობდა.

— არც მასწავლებლისთვის დაგიცინიათ?

— მასწავლებელს ვაბრაზებდით, მაგრამ ეს სხვა რამეა... უცხო ადამიანს, ისიც, ასაკით უფროსს, „შენობით“ მიმართო — ეს როგორ შეიძლება?! ეგ კი არა, ის მიკვირს, „რუსთავი 2“-ზე რომ იყო მილიონერების გადაცემა — „იდეა, ფული და ერთი შანსი“: ერთი კაცი მივიდა, თქვა — კრამიტი თუ რაღაც გამოვიგონეო. იქნებოდა ასე, 80 წლის კაცი. სოფლიდან თბილისში ძლივს ჩამოვიდა, ფეხზე ქალამნები ეცვა, კანი დამწვარი ჰქონდა და ა.შ. ის სათვალიანი ბიჭი კი, იქ რომ იჯდა და ჭკუაზე არ იყო, მიუბრუნდა და ეუბნება: შენა და, ეს რა მოგებას მოგვიტანსო? — თუ რაღაც... რადგან ბევრი ფული აქვს, ე.ი. შეიძლება, ამხელა კაცს ასე მიმართოს?.. მიმაჩნია, რომ ეს არასწორია — სტატუსმა და ფულმა უფროსების პატივისცემა არ უნდა დაგვავიწყოს.

— თინეიჯერულ ასაკში თუ ცდილობდი, რომ სხვებისგან რაიმით გამორჩეული ყოფილიყავი?

— ყოველ შემთხვევაში, თავხედობით და უზრდელობით არასდროს გამოვირჩეოდი. ვარცხნილობაზე რა გითხრათ, მით უმეტეს — დღეს, როცა ყველას ისეთი ვარცხნილობა აქვს, რომ გული გაგისკდება... ისე, ყოველთვის გამორჩეული ვიყავი, რაც მომწონდა, იმას ვიცვამდი, რაც მევასებოდა, იმას ვაკეთებდი. მაგალითად, მეხურა ბერეტი; პირველად უბანში „ესპადრელები“ მე ჩავიცვი და დამცინეს — ქალი ხომ არა ხარო?!.

ისე, ყოველთვის გამორჩეული ვიყავი, რაც მომწონდა, იმას ვიცვამდი, რაც მევასებოდა, იმას ვაკეთებდი

მოგვიანებით, საყურე გავიკეთე. მაგრამ ამ ყველაფერს იმისთვის არ ვაკეთებდი, რომ სხვებისგან რაღაცით გამორჩეული ვყოფილიყავი — უბრალოდ, მევასებოდა. ახლა სხვა სიტუაციაა, თინეიჯერები სხვებს ჰბაძავენ.

— თინეიჯერობაში ვისი ფანი იყავი?

— ძალიან მომწონდა ჯგუფი „ქუინი“. ყველგან მისი პლაკატი მქონდა გაკრული, მის სიმღერებს გიჟივით ვუსმენდი; როცა ჯგუფის რომელიმე წევრს დაბადების დღე ჰქონდა, მე და ჩემი მეგობრები დღესასწაულის პონტში, სუფრას ვშლიდით, ლიმონათით ვლოცავდით და ა.შ.

— ტორტსაც უცხობდით?

— აბა, დაბადების დღე ტორტის გარეშე ვის გაუგონია?!. როცა ფრედი მერკური გარდაიცვალა, ძალიან ცუდად გავხდი, მაგრად განვიცადე...

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— იყვნენ მხიარულები, ზრდილობიანები და წაიკითხონ სულხან საბას იგავ-არაკები და „ბიბლია“.

— ფიქრობ, რომ ისინი წიგნებს არ კითხულობენ?

— უმეტესი მათგანი წიგნს არც კი ეკარება — „ვიდეოგანათლების“ მიღება ურჩევნიათ. ეს ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, მათ ფანტაზიის უნარი დაუქვეითდათ. როცა წიგნს კითხულობ, შენ წინ საოცარი სამყარო იშლება, ფანტაზიორობ, ხოლო როცა ფილმს უყურებ, მხოლოდ რეჟისორის ნაზრევს მიჰყვები და ტვინის განძრევაც კი გეზარება. ასე არ შეიძლება, რადგან სწორედ ამას მოაქვს გაუნათლებლობა და გონებრივი სიჩლუნგე.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*



როცა ფრედი მერკური გარდაიცვალა, ძალიან ცუდად გავხდი, მაგრად განვიცადე...

ვამცხვაურება

ქეთა, *15 წლის:*

„ადრე ერთ ბიჭს ვხვდებოდი (რომლისთვისაც მიკოცნია), მაგრამ მერე მას დავშორდი, რადგან სანდრო გავიცანი. სანდრო მართლა ძალიან მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ადრე ვისაც ვხვდებოდი, იმ ბიჭმა მითხრა: ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ერთმანეთს დაგაშოროთო. ძალიან მეშინია — მან თუ სანდროს უთხრა, რომ მისთვის მიკოცნია, შეყვარებულს დავკარგავ, არადა, ძალიან მიყვარს. გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა?“

ლევან წულაძე:

— ჯობია, სანდროს შენ თვითონ უთხრა ყველაფერი, ვიდრე სხვა დაგასწრებს და გულს გაუხეთქავს. ამით, შენც გათავისუფლდები შიშისგან. თუ შეყვარებული ამის გამო მიგატოვებს, არ ინერვიულო, რადგან ცხოვრება მშვენიერია და ის აუცილებლად გაპოვნინებს ისეთ პიროვნებას, რომელიც შენი ღირსი იქნება.

მარი, *15 წლის:*

„20 წლის ბიჭი შემიყვარდა, გიო ჰქვია. ტელეფონით გავიცანი და მართლა ძალიან მიყვარს. მას რამდენიმე დღის წინ (როგორც თვითონ მითხრა), ტელეფონი მოჰპარეს და ვეღარ მეკონტაქტება. რა ვქნა?“

ლევან წულაძე:

— თუ მის სიყვარულში და იმაში, რომ მას ტელეფონი არ დაუკარგავს, დარწმუნებული არა ხარ, მაშინ შეეშვი, არ ინერვიულო. თუ უყვარხარ, აუცილებლად დაგირეკავს.

ანუკი, *19 წლის:*

„მყავს შეყვარებული, რომელთანაც სულ კონფლიქტი მაქვს. რამდენიმე თვის წინ, ტელეფონით გავიცანი ბიჭი, რომელიც მგონი, ამაზე მეტად შემიყვარდა, თან ვიცი, ვინც არის — ძალიან მაგარი ტიპია და როცა შეხვედრას მთხოვს, უარს ვეუბნები იმიტომ, რომ მეშინია, მგონია, არ მოვეწონები. თან — ჩემს პირველ შეყვარებულს რა ვუყო?.. ბატონო ლევან, იქნებ, რაიმე მირჩიოთ“.

ლევან წულაძე:

— არასდროს არაფრის შეგეშინდეს, სიყვარულში აუცილებლად გამბედავი უნდა იყო. შეხვდი მას და თუ დაგიწუნებს, ამის გამო თავს ნუ მოიკლავ, რადგან ის შენი ღირსი არ იქნება. თამამად გადადგი ნაბიჯი და სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლე. რაც შეეხება შენს პირველ შეყვარებულს: დაფიქრდი — ისევ გიყვარს თუ არა? — და სანამ რაიმეს გაარკვევ, თუ იმ პერიოდში, პარალელურად სხვას შეხვდები, ეს დიდი დანაშაული არ არის — ამით მას ხომ არ ღალატობ!..

მარი, *15 წლის:*

„ერთ ბიჭს 3 წელი ვუყვარდი. მთელი ამ ხნის მანძილზე, მას ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა კი ვხვდები, რომ მიყვარს. არ ვიცი, ახლა ჩემ მიმართ რას გრძნობს. მირჩიეთ რაიმე, გთხოვთ“.

ლევან წულაძე:

— მასთან მიდი და შენი გრძნობა თამამად გაუმხილე, არაფრის შეგეშინდეს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი შენს სასიკეთოდ გადაწყდება.

ეკა, *17 წლის:*

„ლიკა, მოგესალმები. მესიჯს კახეთიდან გწერ. თქვენი რუბრიკა ძალიან მომწონს, „ჩეტს“ მაგონებს. თქვენი რჩევა მჭირდება — ბიჭს დავშორდი, მაგრამ მას ისევ ვუყვარვარ და მთხოვს, რომ ზოგჯერ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს, ისე, მეგობრულად. მეუბნება: ძალიან მენატრებიო. მე კი მგონია — რომ ვნახო, ჩემი დავიწყება უფრო გაუჭირდება და არ ვხვდები. როგორ მოვიქცე?“

ლევან წულაძე:

— ალბათ, სწორად იქცევი, რადგან საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძალიან მტკივნეულია.

თეო, *13 წლის:*

„სამი მეგობარი ვართ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ერთ-ერთმა მიგვატოვა, სხვას დაუმეგობრდა. ის სხვა კი, ის ბიჭია, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, — ვერ იტანდა. გული მტკივა, იმიტომ, რომ ჩვენს ყველა საიდუმლოს მას უყვება. ბატონო ლევან, მირჩიეთ, რა ვქნა?“

ლევან წულაძე:

— თეო, ეს არ უნდა გეწყინოს, რადგან ცხოვრება უცნაური რამ არის. სიყვარული კი, ისეთ რაღაცას გაგაკეთებინებს, რომ შენ თვითონვე გაგიკვირდება — ასე რატომ მოვიქეციო? ასე რომ, მას უნდა აპატიოთ და მოღალატედ არ შერაცხოთ.

ნია, *16 წლის:*

„ჩემზე გადაკიდებულია ბიჭი, რომელიც სულ მეკაიფება, მაკვირდება და ნერვებს მიშლის. ნეტავ, რა უნდა?! მისთვის არაფერი დამიშავებია, ის კი თავს არ მანებებს. მირჩიეთ რამე ან იქნებ, ამიხსნათ — რატომ იქცევა ასე?“

ლევან წულაძე:

— ალბათ, იმიტომ გაკვირდება, რომ ძალიან მოსწონხარ ან სულაც, უყვარხარ და ყურადღების მიქცევას ამ ხერხით ცდილობს.

ლიზი, *15 წლის:*

„ლევან, ძალიან ნიჭიერი და კარგი ადამიანი ხართ, გაიხარეთ, წარმატებებს გისურვებთ!“

ტოვიკა, *15 წლის:*

„გოგოებო, ბიჭებზე ნუ ბრაზობთ. მართალია, ხშირად გულს გვიკლავენ, მაგრამ

ისინიც ადამიანები არიან. აბა, სამყარო მათ გარეშე წარმოიდგინეთ — უაზრობაა, არა?“

მარეხი, *22 წლის:*

„გამარჯობა, ლიკა. სახლის სახურავზე „ზაგარს“ რომ იღებდნენ, იქ სხვა დღესაც დაბრუნდი?.. ის სტატია რომ წავიკითხე, ძალიან ბევრი ვიცინე. ისე, თუ მოინდომებ, შემიძლია, სვანეთში დაგპატიჟო — იქ „ზაგრის“ მიღებასაც შეძლებ და სვანეთსაც ნახავ“.

აჩრდილი, *19 წლის:*

„მე ამ ცხოვრების რა გამეგება/ და არც ვარ ღირსი, ეს რომ ვიცოდე/ ღმერთო, მიშველე, მომეცი შვება/ და შენი შვილი მარად მიწოდე/ მე სიყვარულის რა გამეგება,/ ეს გრძნობა ალბათ, სხვასთან ბობოქრობს,/ ეს გრძნობა ალბათ, იქ გამეფდება,/ ჩემში კი, კვლავაც სევდა ბოროტობს./ და მე ვინა ვარ? ალბათ ნაგავი,/ ვგრძნობ, რომ გამწყრალი მიყურებს ღმერთი,/ შორს დათესილი უშნო ნარგავი,/ უკანასკნელი ვარ, ერთადერთი/ ლიკა, ამ ლექსის ავტორს მინდა ვუთხრა, რომ საუცხოო ადამიანი და ჩემი საყვარელი მეგობარია“...

ოგოგა, *21 წლის:*

„ვარსკვლავები ჩამომსხდარან ხეზე/ და ღელეში ჩახატულან ერთად/ შენ ყოველთვის გამწყრალი ხარ ჩემზე/ მე ყოველთვის ყოფნა მინდა შენთან.../ ძალიან მენატრები, ლანკა. თავს შენი საყვარელი სიმღერების მოსმენითღა ვირთობ, ღამეებს შენზე ფიქრში ვათენებ... დღეში რამდენჯერაც შენს სურათებს ვკოცნი, იმდენი წელი იცოცხლე, თუნდაც — უჩემოდ... ლიკა, მაპატიე, მესიჯს ასე გვიან რომ გწერ, მაგრამ ლამისაა, შევიშალო“.

ფისუნია, *19 წლის:*

„მის ანომალია, ნუ გეშინია, თავს არავინ მოიკლავს. შენი შებმა უნდათ და ამიტომაც იმუქრებიან“.

ფოთი, *29 წლის:*

„სიყვარული მჭირდება, ცუდად ვარ. თუმცა, აქ რჩევა ვერაფერს მიშველის. ტანჯულისთვის არ დამიცინია, მაშინ, რა მოხდა?!. ახლა წავიკითხე თქვენი სტატია და ისევ სევდამ მომიცვა, სიცივეს ვგრძნობ. ლიკა, უშნო არა ვარ, მაგრამ მას არასდროს ვყვარებივარ... არაფრის შეცვლა არ მინდა, რაც მოხდა, იმის ღირსი ვარ, თუმცა... მინდა, ყველას ვურჩიო — ნუ დასცინით ნურავის, ცოლებს ზურგს ნუ შეაქცევთ, მოეფერეთ მათ. ტანჯვაა, როცა ქალს შეგწევს ძალა, იყო თბილი, ხოლო პასუხად იღებდე სიცივეს. სხვაზე რომ ვფიქრობ, ეს მეუღლის ბრალია — როცა ის ზურგშექცევით წევს და ხვრინავს, მე რომანტიკულ მამაკაცზე ვოცნებობ, რომელიც ჩემზე გიჟდება, მეხვევა და მეფერება. მას კი შეუძლია, თვეობით არ გამეკაროს... დავცინე მოკლეკაბიანს — მოკლე კაბა შემიყვარდა, დავცინე შარვლიანს და... დავცინოდი ქალებს, რომლებსაც ქმრებიც ჰყავდათ და საყვარლებიც... ლიკა, ალბათ მიხვდი, ბოლო შტრიხი ჩემი ბედის ირონიისა სწორედ ის არის, რომ ყოველი მეორე ცდილობს, ჩემში ვნება იპოვოს. კარგია, რომ ბევრისთვის არ დამიცინია და მივხვდი — ჩემივე დაცინვა მანადგურებდა. დარწმუნებული ვარ, მე რომ მებრძოლა ტარიელისთვის, ახლა მსოფლიოში უბედნიერესი წყვილი ვიქნებოდით“...

sanam cocxlebi varT... 60-ani wlebi

მანანა იამვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-33

იყო და არა იყო რა

ლიზიკო ქავთარაძისაგან განსხვავებით, ჩვენ სხვა დროში ვიზრდებოდით, მას უძრაობის ხანას ან ჩვენებურად ჭაობს ეძახდნენ. პოლიტიკური თუ სოციალური უკმაყოფილება ძირითადად, სამზარეულოში ირჩეოდა და იქვე კვდებოდა. მშობლები, მეტწილად შეგუებულები იყვნენ რეალობას და თუ ზოგიერთი მათგანი შინაგანი პროტესტის გამო კომუნისტურ პარტიაში არ შედიოდა და ცდილობდა, ნაკლები შეხება ჰქონოდა არსებულ მმართველობასთან, ბავშვებს ისე ზრდიდა, რომ მათ უკონფლიქტოდ გაევლოთ ადაპტაცია და ჩვეულებრივი, საბჭოთა ბავშვის ცხოვრებით ეცხოვრათ.

ახლა ვფიქრობ, რომ ეს მათი მხრიდან არაგონივრული საქციელი იყო, რადგან ჩვენ ჰაერში ვიჭერდით ყველა წამოცდენილ ფრაზას, ღრუბელივით ვისრუტავდით ბებიებისგან ზღაპარივით მოყოლილ წარსულის ამბებს, ძველ წიგნებში ვიქექებოდით და საბჭოთა იდეოლოგიის უღრან ტყეში დაკარგულებს, ლოგიკურ სინათლემდე მიღწევა ძალიან გვიჭირდა. გარდამავალი ასაკის ბუნებრივი პროტესტი კი, მაინც მშობლებს ატყდებოდათ თავს. თაობათა კონფლიქტი ჩვენ შორის ბარიერს ზრდიდა და ორივე მხარეს აზარალებდა.

მსოფლიოს ვერავითარი „რკინის ფარდით“ ვერ გაემიჯნებოდი. ისეთი უწყინარი მოვლენა, როგორიც გრძელი თმა და ტრაპეციის ფორმის ჯინსის შარვალი იყო, ტრადიციულად აღზრდილ პედაგოგებსა და მშობლებში გადამეტებულ პროტესტს იწვევდა. განსაკუთრებით, ბიჭებს ხვდებოდათ. პედაგოგებს, მილიციის „ბავშვთა ოთახთან“ ერთად, მათზე ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული. მორიგი ეგზეკუცია უცაბედად გვატყდებოდა თავზე. აი, სკოლის დიდ აივანზე შეგვყარეს. ცენტრალურ ადგილას სკამი დგას და იქვე, თეთრ ხალათში გამოწყობილი პარიკმახერი დამსჯელ იარაღს, მექანიკურ საპარს მანქანას ნერვიულად აჩხაკუნებს. დირექტორის მოადგილეს და „ბავშვთა ოთახის“ ინსპექტორს თავჩაქინდრული პატარა „დამნაშავე“ მოჰყავთ და სკამზე სვამენ. პარიკმახერი გულუბრყვილოდ კითხულობს — რამდენი ავიღოო? მოადგილე, დაბალი ტანის ჩაჯირკვული, კოტიტათითებიანი ქალი გაბრაზებით ართმევს პარიკმახერს იარაღს და ურჩი თმის აპარსვას ცდილობს. პარიკმახერი ხელებს ასავსავებს — ასე არა, ჯერ მაკრატლით შევჭრათო. ჯირკა ბოროტად იღიმება, მაკრატელს იმარჯვებს და თმას ოკრობოკროდ სჭრის. შემდეგ, საპარს მანქანას იღებს და ბავშვის თავზე ჯვრის ფორმის ხნულები გაჰყავს. ჩვენ ვტირით, ბიჭები ტუჩებს იკვნეტენ. ჯირკა ბავშვების გვარებს ხმამაღლა კივის და გვემუქრება — მინიქვედაბოლოებით არ დაგინახოთო. ქვადქცეულ ჩვენს გადაპარსულ ამხანაგს კი, სკამიდან აგდებს: წადი და ახლა გაბედე ურჩობაო. ბიჭი ნელ-ნელა ერკვევა, შეურაცხყოფისგან დარცხვენილი თვალს ვერ გვისწორებს, ჩვენი თანაგრძნობაც აღიზიანებს, მეგობრების წრეს უხეშად არღვევს და გარბის.

ერთ დღეს, მამიდებმა გვითხრეს, რომ ჩხირკედელა მეზობლის ბიჭს რადიო „თავისუფლების“ გადაცემა დაეჭირა

მეორე დღეს, ბებიაჩემის, კოჭებამდე კაბას ვიცვამ და სკოლაში ასე მორთული მივდივარ. კიბის თავთან ჯირკა დგას, ფორმაზე თეთრი საყელოების და თმაზე ბაბთის არსებობას გვიმოწმებს. რა თქმა უნდა, შემამჩნია და იწყება „ცირკი“, რომელიც ჩემთვის სავალალო შედეგით, „ბავშვთა ოთახში“ აღრიცხვაზე აყვანითა და სკოლაში მამის დაბარებით მთავრდება, რომლის შეწუხებაც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია.

მათი ჩხუბი და კივილი მთელ სკოლას ესმოდა, ჩვენ სეირს ვუყურებდით და კარგად ვიხალისეთ.

ჯირკას, ჩვენს სკოლაში დიდხანს არ გასვლია მაკარენკოს მეთოდები, ერთ ბიჭს ჯინსის შარვალი დაუხია. გამწარებული მშობელი სკოლაში მოვარდა, შარვალში ორასი მანეთი გადავიხადე და დამიბრუნეო. ჯირკა არ შეეპუა — სადაც გინდა, იქ მიჩივლე, კომბინატორები ხართ, საიდან ამდენი ფულიო? მათი ჩხუბი და კივილი მთელ სკოლას ესმოდა, ჩვენ სეირს ვუყურებდით და კარგად ვიხალისეთ. ამ ამბის შემდეგ, ჯირკა სკოლიდან მოაშორეს. ჩვენ კი ამოვისუნთქეთ, მაგრამ მალე შევიტყვეთ, რომ სხვა სკოლაში დირექტორად დაენიშნათ.

იქნებ, ეს სიზმარი იყო? იქნებ, ეს ამბავი სხვა სკოლაში მოხდა? იქნებ, დირექტორს სხვა სახელი ერქვა? — თავს არ ვდებ ამ ამბის სინამდვილეზე, მიტევება მხოლოდ ამ ფორმით შემიძლია...

ფაქტი ერთია, თუ მაშინ „ბავშვთა ოთახში“ „ფიქსირებული იყავი, ბიოგრაფია მომავლისთვის უკვე გაფუჭებული გქონდა. ბიჭებისთვის ამას უფრო მძიმე შედეგი მოჰქონდა, სამომავლოდ ციხის „საგზურს“ გულისხმობდა, რადგან იქ, გეგმური სტატისტიკის გასამართლებლად, ხისთავიანი ინსპექტორები დაჟინებით იკვლევდნენ ამ პატარა „ხულიგნებს“ და „ნარკომანებს“. ასეთი მძიმე იარლიყი კი, მათ ასაკში ძნელი მოსაშორებელი იყო.

ეს უცნაური რეპრესიები მოდის გამო, მაგრამ უკვე სხვა ფორმით, უნივერსიტეტშიც გრძელდებოდა. ვთქვათ, გოგონებს უნივერსიტეტში შარვლით არ უშვებდნენ და სხვა წვრილმანები, მაგრამ ჩვენ უკვე გავიზარდეთ და უფროსების ამ უცნაურობებს ირონიული პატივისცემით ვეპყრობოდით.

დაჟანგული „რკინის ფარდის“ ნახვრეტებიდან, ჩვენი სულის საკვებად და გასახარად აღწევდა ახალი მუსიკა, მაღალი ხარისხის კინოფილმები და რაც მთავარია — რადიო „თავისუფლება“.

ახლა, როდესაც რომელიმე შენობის კედელზე ან მესერზე ინგლისურ წარწერას: Beatles ან Pink Floud-ს მოვკრავ თვალს, მეღიმება, ეს ხომ ჩვენ დავიწყეთ! ვერ დავიჩემებ ჩემი უბნის პირველობას, რადგან ასეთი წარწერები თბილისის ყველა კუთხეში სპონტანურად ჩნდებოდა. ეს უბოროტო ხულიგნობა იყო, თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩემი აზრით, რაღაც ძაფებით უკავშირდებოდა 90-იანი წლების კედლის წარწერებს: „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!..“ მაგრამ იქამდე ძნელი, მძიმე და ტკივილიანი გზა გვედო.

ჩვენ და ჩვენი „თავისუფლება“

აღარ მახსოვს, რამდენი წელია ვუსმენ რადიო „თავისუფლებას“. ახლა მან გარკვეულწილად თავისი ფუნქცია ამოწურა და საქართველოში არსებულ სხვა გადაცემებთან ერთად, საინფორმაციო ჭაპანს ეწევა, მაგრამ ძველი ხიბლი მაინც არ დაუკარგავს.

დღესაც ყურში ჩამესმის ათასი ხმაურითა და წივილით სავსე, ეთერში უცებ, შორიდან მოსული ცნობილი არია „დაისიდან“, რომლითაც 60-იან წლებში „თავისუფლება“ თავის გადაცემას იწყებდა. შემდეგ წლებში, იგი „სულიკომ“ შეცვალა, მაგრამ ეთერს ზათქითა და გრიალით ისე ახშობდნენ, რომ გუმანით ვხვდებოდი — რა თემაზე იყო საუბარი ან ვინ ლაპარაკობდა. საბედნიეროდ, თბილისის გარეთ, ჩემს სოფელში გადაცემა უკეთესად ისმოდა და ზაფხულობით, დანიშნულ დროს, მეც გულისფანცქალით ველოდი გულნარა ურატაძის დაბალი ხმის გაგონებას, რომელიც ისეთივე მშობლიური და საყვარელი იყო ჩემთვის, როგორიც გორაკზე შემოდგმული ძველი ქვითკირი.

რუსულ გადაცემებთან შედარებით, ქართული ინფორმაციულად მწირი იყო და საქართველოს აწმყოს იშვიათად ასახავდა. ქართულ „თავისუფლებაში“ უმეტესად მოგონებებს კითხულობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ და ომისდროინდელ ამბებს იხსენებდნენ. დიქტორებს, ჩვენგან განსხვავებული, ხშირად კუთხური კილო ჰქონდათ, რაც ძალიან უცნაური და საინტერესო მოსასმენი იყო. მაგალითად, გულნარა ურატაძე იმგვარად უქცევდა, როგორც ახლა სალომე ზურაბიშვილი. იყო კიდევ ვინმე კიტა ჭალელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ამბებს ჰყვებოდა და დასავლეთში მიმდინარე პროცესებს აშუქებდა.

სწორედ ეს კიტა ჭალელი იყო დამნაშავე, რომ მე და ბებია შუაღამემდე რადიოს ვიყავით მიწებებულნი და ვცდილობდით, ისეთი კუთხე მოგვეძებნა, სადაც ხმა ნორმალურად ისმოდა.

რადიომოყვარული ბებიები

ეს ამბავი თბილისში, დედაჩემის მამიდებისაგან დაიწყო. მათთან სტუმრად ხშირად დავდიოდით. ისინი პლეხანოვზე, ერთ პატარა ქუჩაზე — ჰოფმანის ზღაპრებიდან გადმოსულ სახლში ცხოვრობდნენ (მაშინ სახურავის მობინადრე კარლსონზე არაფერი ვიცოდით). უსასრულო კიბეს მაღლა, მანსარდის სართულზე ავყავდით, სადაც კეთილი მამიდები — ბაბო და მათიკო გველოდნენ. მათიკო გაუთხოვარი იყო; ბაბოს მეუღლე კოლექტივიზაციას გადაჰყვა, ხოლო ერთადერთი ვაჟი — მიშა წერეთელი, ფინეთის ომში დაიკარგა. ბაბო შვილს სულ ეძებდა და ელოდა. მთავარი სალაპარაკო თემაც ის ამბები იყო, რომლებსაც ომის დროს, საზღვარგარეთ დარჩენილ ჯარისკაცებზე ჰყვებოდნენ.

ოთახში, სხვა ძველებურ ავეჯთან ერთად, ეტაჟერზე ომამდელი, ჩამორთმევას სასწაულით გადარჩენილი რადიომიმღები იდგა. ერთ დღეს, მამიდებმა გვითხრეს, რომ ჩხირკედელა მეზობლის ბიჭს რადიო „თავისუფლების“ გადაცემა დაეჭირა და მოხუცებს კიტა ჭალელის ხმა გაეგონათ. „ნამდვილად ჩვენებურია. იქნებ, თქვენი კიტაა? აუცილებლად მატრონას (ბებიაჩემს) შეატყობინეთ. იქნებ, ჩვენს მიშაზე იცის რამე; იქნებ, გადაცემაში თქვას“. მოხუცები გახარებულები იყვნენ. კიტა კურცხალია, მამის დეიდაშვილი ფრონტზე უგზოუკვლოდ იყო დაკარგული. მამაჩემი, მიშა და კიტა ერთად შეზრდილები იყვნენ და ნათესაობის გარდა, მეგობრობაც აკავშირებდათ. მაშინ „თავისუფლებასთან“ რაიმე კონტაქტი გაციმბირებას უდრიდა, მისი მოსმენაც კი დანაშაულად მიიჩნეოდა, მაგრამ მოხუცები ამ პატარა კანონდარღვევას არად აგდებდნენ და ყოველ საღამოს, მოუთმენლად ელოდნენ რადიოს ხმას.

ერთ დღეს, უსიამოვნო ამბავი მოხდა — მამიდების მეზობელი ბიჭი რადიოხულიგნობისათვის დაიკავეს და მილიციამ მამიდებისთვის ძველი რადიოს ჩამორთმევაც განიზრახა. მამა სასწრაფოდ გაეშურა „რადიომოყვარულების“ საშველად. ამბავი კარგად დამთავრდა, არასრულწლოვანი მეზობელი მკაცრი გაფრთხილებით გადარჩა, მოხუცებს რადიომიმღები დაუბრუნეს და ბაბო მამიდას დაჰპირდ-



სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, თბილისში, „პიონერთა სასახლის“ შენობაში გამოცხადდა, რითაც ძალიან ვამაყობდი.

ნენ, რომ საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ მეშვეობით, მიშა წერეთლის ადგილსამყოფელს გაარკვევდნენ.

მახსოვს, მათიკო, დისგან ფარულად ჩვენთან მოვიდა. დედამ ჩაი გააწყო და უფროსები მაგიდას შემოუსხდნენ. მამა დაფიქრებული იყო, მათიკო კი, ტიროდა. აღმოჩნდა, რომ ნათესავები ბაბოს შვილის დაღუპვის ბარათს უმალავდნენ და მათიკოს მისთვის სიმართლე არ გაუმჟღავნებია. ის ისე გარდაიცვალა, რომ სჯეროდა — მისი შვილი, ცოცხალი და ბედნიერი, დასავლეთის რომელიღაც ქვეყანაში ცხოვრობდა.

რაც შეეხება კიტა ჭალელს, მამა დარწმუნებული იყო, რომ ხმით და კილოთი იგი ნამდვილად კიტა კურცხალიას ჰგავდა. მეტი კი, კა-გე-ბეს შიშით, არ გამოუკვლევია.

„თავისუფლებაში ჩამონტაჟებული“

იმ ზაფხულს, მატრონა ბებიასთან პირველად გამიშვეს სოფელ ჭორვილაში — მარტო. მამამ თან რადიოლა V გამატანა, რომ ბებიას კიტას გადაცემები მოესმინა. გადაცემების შემდეგ, გვიან ღამით, ბებია ჩვენი ოჯახის ამბებს მიყვებოდა. მაშინ გავიგე, რომ ჩემი დიდი ბაბუა — პორფილე იაშვილი გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძესთან თანამშრომლობდა და მეგობრობდა. შემდეგ, ონის მაზრის ერობის თავმჯდომარე იყო და ქუთაისის ციხეში გარდაიცვალა. პატივისცემის ნიშნად, მოსახლეობამ მისი ცხედარი ქუთაისიდან ონამდე ფეხით წაასვენა და საფლავი ვერცხლის გვირგვინით შეუმკო. მისი შვილები სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ჯერ ერთი დაიჭირეს, შემდეგ კი — მეორე, რომელიც პარიზიდან ახალდაბრუნებული იყო. იგი მეტეხის ციხიდან გაიქცა და გაქცევის დროს, მძიმედ დაჭრეს, მაგრამ მაინც მოახერხა რაჭაში ასვლა და სახლში გარდაიცვალა. მათი უმცროსი ძმა — არისტო კი, ორ ბიძაშვილთან ერთად, ქვაგახვრეტილასთან 3 დღის განმავლობაში აკავებდა რუსის ჯარს. შემდეგ, ბათუმში გაიქცა, მაგრამ ემიგრაციაში არ წასულა, რადგან დაქვრივებული მგლოვიარე დედა ვერ მიატოვა. ბებია ასევე მიყვებოდა საჩხერის სოფლებში ბოლშევიკებისა და ოსების თარეშზე, კოლექტივიზაციაზე, დაობლებული მამაჩემის ვაჟკაცობაზე, რომელმაც 9 წლის ასაკიდან იტვირთა მოხუცი ბებიისა და ბაბუის, დაქვრივებული დედის და მცირეწლოვანი დის მოვლა-პატრონობა.

იმ ზაფხულს, თითქოს უცებ გავიზარდე, 14 წლის ვიყავი და ჩემთვის ბებიისაგან მოსმენილი ამბები ძნელი გადასახარში იყო. უძილობა დამჩემდა, მთელი ღამე რადიომიმღების რეგულატორს ვატრიალებდი და უკვე რუსულად ვისმენდი „ამერიკის ხმას“, „ისრაელის რადიოს“, „ბიბისის“ და „თავისუფლებას“. ბებია, ჩემი ასეთი არანორმალური რეჟიმის წინააღმდეგ ვერაფერს აწყობდა. ამასობაში, დედა და ბავშვები ჩამოვიდნენ. როგორც ეტყობა, განზრახ გამიფუჭეს რადიო და მითხრეს: კვების ბატარეები დაჯდაო. ცოტა ვიჩხუბე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე და სანაცვლოდ, ღამღამობით კითხვას შევუდექი. წერეთლების სახლებში აღმოჩენილი წიგნები რომ არ მეყო, სოფელ გორისის ბიბლიოთეკიდან გამომქონდა დოსტოევსკის რომანები — ქართულად. საშინელი თარგმანი იყო, მაგრამ მაინც ვკითხულობდი. აკრძალვამ რომ არ გაჭრა, დედამ ჩემს ბიძაშვილებთან — სოფელ სავანეში გამგზავნა. იქ, დედის მრავალრიცხოვან ნათესავში უამრავი ჩემი ტოლი ბავშვი დამხვდა. საღამოობით ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს ვუყვებოდით. ჩემს ფანტაზიას, გაგონილს თუ შეთხზულს, ფართო გასაქანი მიეცა. რადიო „თავისუფლების“ შესახებაც ბევრს ვყვებოდი. შეძენილი ცოდნის გაზიარებამ თანდათან დამაწყნარა, მძიმე კითხვები და გადასახარში პრობლემები გააანეიტრალა, რადგან მათ ბავშვები ერთმანეთის დახმარებით ვუმკლავდებოდით. საერთო ბავშვური თამაშები, ახლობლებთან ღია ურთიერთობა, ცხოვრებას მშვენიერს და ადვილს ხდიდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, უკვე გააზრებულად ვუსმენდი დასავლეთის რადიოსადგურებს. საბჭოთა ხელისუფლება მათ „მტრულს“ ეძახდა და ალბათ, რადიოტალღების ჩახშობით „გვიფარავდა“ დასავლეთის „გამრყვნელი ზემოქმედებისაგან“. ჩვენ კი, იმდენად ვიყავით ამ „გარყვნილებას“ დაწაფებული, რომ უამრავ ხერხს ვხმარობდით, რათა რადიოტალღების ჩახშობა აგვერიდებინა. ჩემს დანჯღრეულ VEF-ს ხან ქალაქგარეთ დავათრევდით, ხან ექსპედიციებში და ხან ზღვაზე. თბილისში სხვა ხერხს მივაგენით: ერთი ჩხირკედელა მეგობარი — სერგო გვყავდა (რუსული სკოლიდან), რომელმაც ძველი რადიომიმღებიდან ისეთი ძლიერი აპარატურა გამართა, რომ ყველაფერს თითქმის შეუფერხებლად ვიჭერდით. მასთან ჩვენი უბნის მრავალეროვანი „დისიდენტურა“ ვიკრიბებოდით და ვუსმენდით სხვადასხვა „დამღუპველ“ გადაცემას.

ერთხელ, სერგოსთან მოხუცი მეზობელი — ისაკ აბრამოვიჩი მოვიდა და სთხოვა: ისრაელის რადიო დამიჭირეო. სერგომ ხათრით უარი ვერ უთხრა. მას შემდეგ, ისაკ აბრამოვიჩი ჩვენი შეკრებების მუდმივი წევრი გახდა. ჩუმად იჯდა ხოლმე, მაგრამ როდესაც ისრაელის რადიო ებრაულად მისალმებას იტყოდა, ცრემლებს ვერ იკავებდა. მოხუცი მეზობლისაგან სარგებელსაც ვნახულობდით — ხან შოკოლადი მოჰქონდა, ხან ნაყინი ან ლიმონათი. თავისი ოცნება, ისრაელში წასვლა ვერ აისრულა, ძალიან მალე გარდაიცვალა. დასაფლავებაზე ყველანი ვიყავით; პატივსაცემად, საფლავზე მიხაკების დიდი თაიგულიც დავტოვეთ.

იმ პერიოდში, პირველად მოვისმინე ჩვენი ჰიმნი — „დიდება“ და გავიგე, რომ სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, თბილისში, „პიონერთა

სასახლის“ შენობაში გამოცხადდა, რითაც ძალიან ვამაყობდი. ჩემი სომეხი მეგობრები კი, რატომღაც მეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მაშინ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სომხეთთან ომზე რაღაც-რაღაცები ვიცოდი და იმდენი მოვახერხე, რომ ისინი დაშნაკების მაგივრად, დარცხვენილი მიხდიდნენ ბოდიშს. ეს მეგობრობის ჟესტი იყო, კამათის დროს მეც რაღაცას ვთმობდი და ისინიც. კეთილგანწყობილი დიპლომატიის ამ გაკვეთილებს უქმად არ ჩაუვლია, მათთან დღესაც ვმეგობრობ და შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს.

სომხურ ენასთან დაკავშირებით, ირაკლი შენგელაიას ამბავსაც მოგიყვებით. მას ენების შესწავლის დიდი ნიჭი ჰქონდა და როგორც ლათინური ისწავლა, ისე, როდესაც დასჭირდა, სომხურ ენაშიც გაიწაფა. 60-იანი წლების ბოლოს, ირაკლი სოფელ სინდიველაში წავიდა — მასწავლებლად. სოფელში ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ. ახალგაზრდა მასწავლებელმა მოსწავლეებთან მალე დაამყარა მეგობრული ურთიერთობა, ბავშვები სკოლის შემდეგაც ხშირად დადიოდნენ მასთან სტუმრად. სახლში ირაკლისაც ყველასთვის უკვე ნაცნობი და გამოცდილი VEF ჰქონდა. „თავისუფლება“, რა თქმა უნდა, სოფელში შედარებით უკეთ ისმოდა. ქართული, ერთსაათიანი გადაცემის შემდეგ, იწყებოდა გადაცემა სომხურ ენაზე, რომელსაც მხოლოდ თბილისში ახშობდნენ. ირაკლი ენის გასატეხად სომეხ მოსწავლეებთან ერთად, სომხურ გადაცემებსაც უსმენდა. თამრიკო ჩხეიძეს ვეკითხები, როგორ უსმენდა რადიო „თავისუფლებას“?

„რას ჰქვია, ვუსმენდი? — გაიკვირვა თამრიკომ და სიცილით დაამატა — ვუსმენდი კი არა, ჩამონტაჟებული ვიყავი შიგ“. ჯერ VEF მქონდა, შემდეგ, უცხოური რადიომიმღები შევიძინე. საყურადღებო ინფორმაციებს მაგნიტოფონზე ვიწერდი, მიმოხილვებს ვწერდი, რომლის შესახებაც შემდეგ, ჩვენს ჯგუფში ვკამათობდით. მახსოვს, მომწონდა „ამერიკის ხმის“ გადაცემა — „სობიტიე-რაზმიშლენიე“. დასავლეთის რადიოსადგურებმა ძალიან ბევრი რამ მოგვცა ჩვენი მსოფლმხედველობის, პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბების მხრივ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფონდის საჩუქარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მისი ტანსაცმელი ებრაელებმა გაიყვეს. ვის ერგო წილის ყრის შედეგად მაცხოვრის კვართი?

2. ვინ წამოაყენა წინადადება — ქალთა საერთაშორისო დღედ 8 მარტი დაეწესებინათ?

3. დაასახელეთ ამერიკელი რეჟისორი, რომელსაც ინგლისის დედოფალმა — ელისაბედ მეორემ რაინდის წოდება მიანიჭა.

4. ილფისა და პეტროვის ნაწარმოებში — „ოქროს კერპი“, ოსტაპ ბენდერმა ბალაგანოვს 50.000 მანეთი აჩუქა. რისთვის დააპატიმრეს ბალაგანოვი ამ ამბიდან ერთი საათის შემდეგ?

5. ამ პოეტს, ხშირად ახალგაზრდა თაობის კრიტიკას საყვედურობენ. „თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ფუფუნებაში იცხოვროს?“ — ჰკითხეს ერთხელ მას. — „კარგი, თუ ძმა ხარ, ვერა ხედავ, ეგ სიტყვა ორჯერ რომ იფურთხება?!“ — იყო პასუხი. დაასახელეთ ეს პიროვნება.

6. დაასახელეთ ქართველი მსახიობი, რომელიც რობერტ სტურუას მიერ დადგმულ „რიჩარდ მესამეში“ სამ როლს ასრულებს.

7. სად მშობიარობდნენ ხევსური ქალები?

8. დაასახელეთ ქვეყანა, რომლის მოსახლეობის 40%-ს იტალიელები შეადგენენ.

9. რატომ არავინ იხრჩობა მკვდარ ზღვაში?

10. რატომ ატარებენ ინდოელი შეშის მჭრელები კეფაზე ნიღბებს?

11. ამ ქართველ მწერალს ერთხელ ვიღაც ინგლისელი გააცნეს, რომელმაც მშობლიურ ენაზე გაუბა საუბარი. „უთხარით, რომ სკოლაში გერმანულს მასწავლიდნენ“, — სთხოვა თარჯიმანს მწერალმა. ინგლისელი მაშინვე გერმანულად ალაპარაკდა. მწერალი შეიშმუშნა და თარჯიმანს კვლავ თხოვნით მიმართა: „ახლა ისიც უთხარით, რომ ისინი კი მასწავლიდნენ, მაგრამ მე არ ვსწავლობდი!“ — დაასახელეთ ეს მწერალი.

12. ამ დიქტატორს ფარული კამერები ყველგან, მათ შორის ქალიშვილისა და სიძის საძინებელ ოთახშიც ჰქონდა დამონტაჟებული. დაასახელეთ იგი.

13. რას ნიშნავს სიტყვა რაყიფი?

14. დაასახელეთ კომპოზიტორი, რომელმაც თავისი V სიმფონია ლენინგრადის ბლოკადის პირობებში დაწერა.

15. ეს მტაცებელი თევზი კიბოთი არასდროს ავადდება. მისი გონებრივი აქტივობა, ასაკის მატებასთან ერთად, ოდნავადაც არ ქვეითდება.

ანეკდოტები

* * *

სავაჭრო აგენტი მტვერსასრუტს უკეთებდა რეკლამას. შესასვლელში თავისივე მოტანილი ნაგავი დაყარა და დიასახლისს ეუბნება:

— თუ ჩემი მტვერსასრუტი ყველაფერს პირწმინდად არ აიღებს, მზად ვარ, ნაგავი შევჭამო... სად მიდიხართ, ქალბატონო?

— კოვზს მოგიტანთ, სამი დღეა, დენი არ გვაქვს.

* * *

სვანმა იმდენ ხანს კრიბა არასწორი პაროლი, სანამ კომპიუტერი არ შეშალა ჭკუაზე და არ დაითანხმა.

* * *

ორი მონადირე მაჩვის ნაკვალევს მიადგა.

— წადი, ნახე, საით წავიდა.

— შენ რას იზამ?

— მე კი წავალ და ვნახავ, საიდან მოვიდა.

* * *

კახელი ეუბნება მეგრელს:

— შარშან, ჩემმა სიდედრმა ამ მუხაზე ჩამოიხრჩო თავი.

— ნერგი ხომ არ გაქვს, ნერგი?!...

* * *

თბილისში ჩამოსული ლევანა ნაშას აბამს:

— მესტნი ხარ, ლასტოჩკა?

* * *

— ექიმო, ცხვირით ვერ ვსუნთქავ.

— შენც პირით ისუნთქე.

— გმადლობთ.

— გმადლობთ კი არა, ფული გადაიხადე!

* * *

დირექტორი კლასში შედის და ხედავს, რომ ნახევარი კლასი ტირის, ნახევარი იცინის.

— რატომ იცინით? — ეკითხება დირექტორი.

— გეოგრაფიის მასწავლებელი გადავარდა ფანჯრიდან.

— თქვენ რაღა გატირებთ?

— ვერ მოვასწარით დანახვაااა!

* * *

ბიჭი და გოგო ლოგინში წვანან და ვერაფერს ახერხებენ. ბოლოს, გოგო ამბობს:

— ახლა კი, ერთ-ერთ თქვენგანს ნამდვილად მოუწევს ადგომა.

* * *

— ხვალ ჩვენთან დედაჩემი ჩამოდის!

სიჩუმე...

— ცოტა ხნით, სულ რამდენიმე კვირით!

სიჩუმე...

— გესმის, რა ვთქვი?

სიჩუმე...

— მშვენიერია, მე ვიცოდი, რომ შენ არ გაბრაზდებოდი.

მძიმე ამოსუნთქვა.

— ნუ მიყვირი!

* * *

ცოლი დგას სარკესთან და ქმარს

ეკითხება:

— რა მოგწონს ჩემში ყველაზე მეტად: ჩემი ლამაზი სახე თუ მშვენიერი ტანი?

— შენი იუმორის გრძნობა!

* * *

სვანს ქუჩაში ოთხი ტიპი დახვდა და დაყაჩაღება დაუპირა. მან ოთხივე სცემა. საქმის გასარჩევად სვანი ქურდთან აიყვანეს. ქურდი ეკითხება:

— მოყევი, როგორ იყო.

— მივდიოდი ქუჩაში. დამხვდა 4 კაცი დასაყაჩაღებლად — ოთხივე ვცემე. ხომ ვარ მართალი?

— კი, რაზეა ბაზარი.

— რაზეა ბაზარი და მივდიოდი ქუჩაში. დამხვდა 4 კაცი დასაყაჩაღებლად. ოთხივე ვცემე. ხომ ვარ მართალი?

— კი, ძმაო, რაზეა ბაზარი.

— მოკლედ, კიდევ ერთხელ გიხსნი და კიდევ თუ ვერ გაიგე, შენს თავს დააბრალე! — გაბრაზდა სვანი.

* * *

— მიხო, ქალი რომ იყო, „ფლეიბოის“ პირველ გვერდზე შენს შიშველ ფოტოს დააბეჭდვინებდი?

— რავი, გააჩნია, რამდენს მომცემდნენ.

— ეეე, ქალები ყველა ერთნაირები ხართ!

* * *

მიხო ვენახშია. მარო მობილურზე ურეკავს:

— სახლში ზაქარა შამამივარდა, ან მამისწრებ, ან არა!

— რომელი ზაქარა, ცოლი რომ გაექცა?

— ჰო, ჰო, ეგა...

— ნუ გეშინია, მარო, ეგ ვერაფერს გიზამს.

* * *

„ახალი რუსები“ სვამენ.

— მოდით, დავლიოთ ჩვენი ძმაკაცის სადღეგრძელო — გამოცდა წარმატებით ჩაებარებინოს.

ამ დროს, შემოდის ძმაკაცი.

— რა ქენი? ხუთი?!

— არა, ოთხი.

— რატომ?

— მეხუთეს უკვე ყელი ჰქონდა გამოჭრილი.

* * *

— ბრალდებულო ძაძამია, როგორ მოახერხეთ, რომ დაზარალებულს შვიდი ჭრილობა მიაყენეთ?

— მომეცით დანა და გაჩვენებთ!

* * *

„განცხადება: ვყიდი უნიკალურ ძროხას, რომელსაც ჯიქნით სამი თითის კომბინაციის ჩვენება შეუძლია.“

* * *

— ბიჭო, რა მოწყენილი ხარ, რა გჭირს?

— ჩემს ცოლს შიდსი აღმოაჩნდა!.. რა დაგემართათ, ვიხუმრე, ბიჭებო, რამ გაგაფითრათ?!

* * *

ჩემოდნებიანი ქალის გვერდით მანქანამ დაამუხრუჭა.

— დაბრძანდით, ქალბატონო, წაგიყვანთ. ისეთი მძღოლი არ გეგონოთ, ზოგიერთები რომ არიან, მხოლოდ ახალგაზრდა და ლამაზი ქალები რომ მიჰყავთ.

* * *

— ექიმო, ცუდად არის ჩემი საქმე, ამ ბოლო დროს უმნიშვნელო რამეც კი მაღიზიანებს.

— ვერ გავიგე, ერთხელაც გამიმეორეთ.

— ყრუ ხარ, შე დეგენერატო?!

* * *

ქმარი შინ დაბრუნდა. ცოლთან საყვარელი დახვდა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ქმარი ეუბნება საყვარელს:

— კარგი, მე ქმარი ვარ, მაგრამ ვერ გავიგე, შენ რაღა გრჯის?

* * *

— ქალბატონო რამდენი წლის ბრძანდებით?

— სამოცდაათის.

— გათხოვილი ხართ?

— ჯერ არა!

ჯვრიანის სავანაჭირო

„ვზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მცხეთელ ებრაელებს.
2. ეს წინადადება 1910 წელს, კლარა ცეტკინმა წამოაყენა.
3. სტივენ სპილბერგი.
4. ამ ამბიდან ერთი საათის შემდეგ, ბალაგანოვი ტრამვაიში, ერთი მანეთის ქურდობისთვის დაიჭირეს.
5. გიზო ნიშნიანიძე.
6. ამ სპექტაკლში, ავთანდილ მახარაძე ედვარდ მეოთხის, კარდინალისა და მასხარას როლებს ასრულებს.
7. ხევსური ქალები ბოსელში მშობიარობდნენ.
8. არგენტინა.
9. მკვდარი ზღვის წყალში მარილის იმდენად მაღალი კონცენტრაციაა, რომ აქ არავინ იძირება.
10. ვეფხვებისაგან თავის დასაცავად. ეს მტაცებელი ადამიანს ყოველთვის ზურგიდან ესხმის თავს.
11. ნოდარ დუმბაძე.
12. ჩაუშესკუ.
13. სიყვარულში მოცილეს რაყიფი ჰქვია.
14. შოსტაკოვიჩი.
15. ზვიგენი.

ჩვენი ფოტოგრაფია

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-33

ზაზა ვაჩნაძე

იმ მიწის ნაკვეთის გამო, რომელიც ნიკა ბერიძემ თბილისის მახლობლად შეიძინა, მისი ღვიძლი ბიძაშვილი, მოსკოველი ბიზნესმენი ლადო აშკარად მტრად მოეკიდება, ამასთანავე, ნიკას უმცროს ძმას — ირაკლისაც ამოიყენებს მხარში. თავდაპირველად, მისგან ნაკვეთის ყიდვას ცდილობს, მაგრამ ნიკა გაჯიქებულია და ლადო მასთან ბრძოლის სხვა ხერხებს მიმართავს.

დროდადრო, ნიკა გართობისთვისაც იცლის და ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსნის, მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილ თათიკოსთან განცხრომას ეძლევა. ერთ დღეს კი, მისი ფირმის ოფისში პარლამენტარი ნანა მელაძე გამოცხადდება და მალე მათ შორის, მხურვალე რომანი გაჩაღდება...

— ...30 ათასი?! რა ამბავია, ბიჭო, 30 ათასი? — არ მოეწონა ლადოს დასახელებული ციფრი.

— რა-ა? წავიდა ის დრო, 500 დოლარად რომ კლავდნენ კაცს... — თქვა ლუკამ და ზეთისხილის კურკა გადმოაგდო პირიდან. — გეძვირა?

— მოიცა, რა, თუ ძმა ხარ! — წამოხტა ლადო სკამიდან. — ამ ფულს ხე კი არ ისხამს!..

ეს ყველაფერი ირაკლის ბინაში ხდებოდა. ლუკას სპეცრაზმელის ფორმა ეცვა.

— ნაკლებში არ წამოვა არავინ და შენ როგორც გინდა. არ გვინდა, რა, ეს ვაჭრობა, — თქვა ლუკამ და სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

— მოვიფიქრებ, — თქვა ლადომ.

— შენი ნებაა. — ლუკა წამოდგა, კედელზე მიყუდებული ავტომატი აიღო, ნიღაბი ჩამოიცვა და კარი გამოაღო. — შენს პასუხს დაველოდები და გეგმა მერე შევადგინოთ.

— გეგმაზეც მე უნდა ვიფიქრო?! — წამოხტა ლადო.

— ხომ უნდა იცოდე, არა?! მაშ როგორ! — გაუკვირდა ლუკას და ნიღბის ჭრილიდან მომზირალი თვალები ლადოს დაუმიზნა.

— კაი, კაი... — ჩაიბურტყუნა ლადომ. — გასაგებია, — და სკამზე დაეხეთქა.

— კარგად მეყოლეთ! — თქვა ლუკამ და კარი გაიკეტა.

— არ „გაბლატავებულან“ ეს ჩემალალები! 30 ათასი რა ამბავია?! — ისევ აღშფოთება გამოხატა ლადომ.

— იციან, რომ ვერ „გააბაზრებ“... ყველაფერი ძვირდება. ეტყობა, სიცოცხლეც... — თქვა ირაკლიმ და თავისი ბრძნული ნათქვამისა თვითონვე გაუკვირდა. — ისე, მაგ თანხაში მეც გავაგორებ ნებისმიერს... — ეს ისე წამოსცდა ირაკლის, თორემ, ყველამაც იცოდა, რა მშიშარაც იყო და პირველ რიგში კი — თვითონ.

— რაო, რაო?! — სიტყვაზე დაიჭირა იმწამსვე ლადომ და თავისი „ბრჭყალებიანი“ თვალები ჩაასო. — ცუდი აზრი არ არის...

— კაი, კაცო, ისე ვთქვი, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა... — ეგრევე უკან დაიხია ირაკლიმ.

— მაინც იფიქრე მაგაზე, — გადაუგდო ანკესი ლადომ. — ის კაცი უნდა მოკვდეს და რაღა სხვაგან წავიდეს ეს ფული?!

რაღაც შავი ზარი ჩამოეკიდა ირაკლის სულში... ზარის ენა კედლებს ეხეთქებოდა, მაგრამ ხმას არ გამოსცემდა. „თუ დარეკა, გასკდება კიდეც გული“, — გაიფიქრა ირაკლიმ. მერე გულისცემა შენელდა და ირაკლი რეალობას დაუბრუნდა. ფულის სუნი ეცა. მერე დოლარების შრიალიც აშკარად ჩაესმა...

— მოდი, თავი დამანებე! — გამოცრა კბილებში და ლადოს თვალების „ბრჭყალებს“ ხელი აუკრა.

მაგრამ სატანას ხმალი ქარქაშიდან უკვე ამოეღო.

ნიკამ ბებია დაიმარტოხელა. ელისო გაზქურასთან იდგა და ბადაგში ფქვილს ურევდა. თათარას აკეთებდა. ნიკამ გააბოლა და ჰკითხა:

— ელისო, სწორად მოვიქეცი, რომ ჩამოვედი და დავრჩი?

— შეგაშინეს უკვე, არა?.. — მიუბრუნდა ელისო. — აბა, რა გითხრა. მეც მერევა ტვინი. ეს ამდენი დაჭერა, მკვლელობა... „ახალ ამბებს“ „უჟასები“ დაარქვა ხალხმა... ვინ იჭყლიტება ყველაზე მეტად ამ დროს?.. მოაზროვნე, ალბათ, შემოქმედი — ანუ ინტელიგენცია. ვინ განიცდის ერის რღვევას ყველაზე მეტად?.. შენისთანები, — დასვა წერტილი ელისომ.

— მართალი ხარ. სილამაზის გარეშე ცხოვრება საიქიოზე უარესია.

— კი, კი... — დაეთანხმა ელისო. — ეს ქალაქი გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან — მოყვარეს.

— დეტალები?.. ყველგან მძღოლი უთმობს ადამიანს გზას, აქ — პირიქით. ყველგან გამყიდველი უხდის ადამიანს მადლობას, აქ — პირიქით.

— აფთიაქში ყალბი წამალი იყიდება. ქრისტეს მოსვლა სხვა რა არის?!

— კაი, კაი... მეორედ მოსვლა, აპოკალიფსი... მე შენგან სულ სხვა რამის გაგება მინდოდა...

— მაინც? — შეეკითხა ელისო. — თქვი!

— ისეთი ხმები მომდის, რომ ჩემმა ნაყიდმა მიწამ... — ნიკამ ვერ დააბოლოვა. არ იცოდა, როგორ ეთქვა... — მოკლედ, უნდა შემიწიროს, ეტყობა. ჰო, უკვე პრობლემები გამიჩინა. რაღაც უნდა იყოს იმ მიწაში, ძალიან დიდი სიმდიდრე.

— სიმდიდრე? — თითქოს ეწყინაო ელისოს. — იცი, რა, ნიკა?.. ჩვენ „მაუგლიზე“ გაზრდილი თაობა ვიყავით... კობრას, ოქროს სკიპტრა რომ მოჰპარეს და იმ სკიპტრის გამო ჯუნგლები გადაწვეს... მე ვერანაირი რჩევას ვერ მოგცემ. ალბათ, შენ თვითონ უნდა გამოძვრე მაგ სიტუაციიდან.

— ელისო, შენ ქვეშიდან გამოსულხარ ოდესმე? — მაგრად აინტერესებდა ნიკას.

— თუ რუსთაველს დავუჯერებთ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, — ხომ გაგიგონია? — კითხვა შეუბრუნა ელისომ. — იცი, რა?.. ჯერ უნდა დარწმუნდე, ღირს კი ამ ალიაქოთად და სიცოცხლედ ეგ შენი მიწა, და მერე უნდა იფიქრო იმაზე, ქვეშიდან გამოხვიდე თუ მაღლიდან გადაიარო. დღეს იმდენ სისულელეზე ატყდება ხოლმე კაკოფონია...

ამ დროს სამზარეულოში სოლომონი შემოვიდა.

— ეს რა ხდება?! ასეთი რამე გინახავთ? — სოლომონს წიგნი ეჭირა ხელში. — აი, ნახეთ, როგორ დახტიან ასოები! — და სოლომონმა გადაშლილი წიგნი მაგიდაზე დადო. — აი, უყურეთ, უყურეთ! რას დახ-

C M Y K

ტიან, ხედავთ?! აი, სად ახტა დ, აი — ბ, აი — ა. ხედავთ, რა მაგრად დახტიან?! როგორ დახტიან, რანაირად?

— რაღაცაშია საქმე... ცუდად არ იყოს, — ამის თქმა მოასწრო ელისომ და სოლომონი დაბარბაცდა. ნიკამ მოასწრო და ხელი სტაცა მამას, თორემ, სოლომონი უკან ვარდებოდა.

— რა უნდა ვქნათ, ელისო? — ნიკამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— წავიყვანოთ, ჯერ დავაწვინოთ საწოლზე, — არ დაიბნა ელისო. — ალბათ, გადაღალა. ამწუთას სტიმულატორს დავკრავ.

სოლომონი გათიშული იყო, მაგრამ მშვიდად სუნთქავდა. ეძინა ტკბილად, თითქოს არაფერიო.

— რახან დაიძინა, ეძინოს, — თქვა ელისომ. — ნემსს მერე გავუკეთებ, როცა გაიღვიძებს.

— „სასწრაფო“ არ სჭირდება? — იკითხა ნიკამ.

— არა, გამოიძინოს, გაუშვი... როგორც კი, ასოები დახტიანო, — თქვა, მაშინვე ვიფიქრე, არ დაეცეს-მეთქი და კიდევ კარგი, მოასწარი, რომ თავი არ დაარტყა რამეს. — ელისოს სოლომონის ხელი ეჭირა და პულსს უსინჯავდა. — ნორმალური პულსი აქვს. ეს მარტო აღარ დაიტოვება. რას კითხულობს ამას? — ელისომ წიგნი აიღო ხელში. მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ იყო. — გადამრევს ეს კაცი, — თქვა ელისომ. — ნახე, რას კითხულობს თურმე.

როგორც კი ამ პატარა „ელეთმელეთმა“ გადაიარა, ბებიამ და შვილიშვილმა საუბარი განაგრძეს.

— მოიცა, მოიცა... — გაახსენდა ელისოს. — ერთი პაციენტი მყავს. ისე კი, კარგა ხანია, აღარ მუშაობს... პროფესორი იყო თავის დროზე, გეოლოგი... ჰო. სახლში მუზეუმი აქვს, ქვები და დინოზავრის ძვლებიც კი... სულ იმას გაიძახის — ზეპირად ვიცი, ამ მიწაში რაც დევსო. მოგცემ ტელეფონს და დაურეკე, დაელაპარაკე, იქნებ, იმან იცოდეს რამე.

და ელისომ ნიკას თავისი პაციენტის, ვალერიან ნოზაძის ტელეფონის ნომერი მისცა.

ამ გაუგებრობაში იყო ნიკა, როცა ნანამ დაურეკა. საშინლად მომენატრე, რომ არ გნახო, გავაფრენ, მოვკვდებიო, — უთხრა... და პაემანი დაუნიშნა. ათზე კონსერვატორიის წინ მანქანაში ვიჯდებიო. იასამნისფერი „გოლფია“, 515-იო... ბრძოლის წინ რომ „ას გრამს“ ახუხვინებდნენ ჯარისკაცებს, ჩემი საქმე ისეაო, — გაიფიქრა ნიკამ და პაემანზე გამოცხადდა.

ჩახტა თუ არა მანქანაში, ნანამ ისეთი „დოლგოიგრაიუში“ „დაუზასა“, ნიკას საერთოდ ყველაფერი დაავიწყდა: ნაკვეთიც, მამაც, ახლობლებიც, მეგობრებიც და თავისი წარმომავლობაც.

ნანამ ისეთი საიდუმლო გზებით იარა, ნიკა ვერ სცნობდა.

— ხომ გევასება: მოყუჩებული, პატარა სასტუმროები, თავისი პატარა რესტორნებითა და კაფეებით. გევასება, ჰო? იცი, რამდენია?! — უთხრა ნანამ და მანქანა პატარა სასტუმროსთან გააჩერა.

ვესტიბიულში მაღალი, სიმპათიური ქალი დახვდათ. გაცხარებული, ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა ტელეფონში. ასე რომ, შემოსული წყვილისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ნანამ ნიკას ანიშნა და ორივენი კიბით სარდაფისკენ დაეშვნენ. ყველა მაგიდასთან წყვილი იჯდა, რამაც ნიკა ხუმრობის ხასიათზე დააყენა.

— ეს რა, შეყვარებულთა რესტორანია? — ჩასჩურჩულა მან ნანას.

— სიგიჟემდე შეყვარებულების... — უპასუხა ნანამ და შეეკითხა. — არ გშია?

— მშია, — უპასუხა ნიკამ.

— იცოდე, ეს ღამე — ჩემია... — წინასწარ გააფრთხილა ნანამ და მაგიდის ქვეშ ნიკას ფეხი ფეხებშუა მოიქცია.

— მთელი ღამე? — დაინტერესდა ნიკა.

— ჰო, დილამდე. აქ ცოტა შევკაიფდეთ და მერე სხვაგან უნდა წაგიყვანო. — ნანამ ვისკი მოატანინა. პატარა ფუჟერებში ცოტ-

ცოტას ასხამდა, პირში იგემოვნებდა და ასე წრუპავდა. — მხოლოდ 3 ჭიქა, ჯერ მეტი არა... — გააფრთხილა ნანამ.

ფორტეპიანოსთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. ეტყობოდა, რომ კარგად იყო აღზრდილი. აი, გოგონა კი, რომელიც მღეროდა, ნამდვილი სასწაული იყო. ნიკას საოცრად მოეწონა მისი ხმა. გოგონა ძირითადად, ინგლისურ სიმღერებს ასრულებდა. უფერული სახე ჰქონდა, ვერც სიმპათიურიაო, იტყოდი, მაგრამ ურთულეს რეპერტუარს ისე ადვილად ერეოდა, რომ ნიკა მისი ვინაობითაც კი დაინტერესდა.

— მუსკომედიის სოლისტია, ხათუნა ჩქვანავა. აქ სწორედ მაგის მოსასმენად ჩამოგიყვანე. თეატრში ფიფქიას როლს ასრულებს, აქ კი — „ქვინების“ რეპერტუარს, — აუხსნა ნანამ. — რა ქნას, თეატრი კვდება და რაღაცით ხომ უნდა ირჩინოს თავი!

ღვთაებრივმა სითხემ თავისი ქნა და ნიკა და ნანა ძალიან მალე აიცეკვა.

— წავიდეთ აქედან... — ჩასჩურჩულა ყურში სხეულზე შემოტმასნილ ნანას ნიკამ.

— მოგინდა?.. — ყურის ბიბილოზე ნაზად უკბინა ნანამ. — წამომყევი.

ნომერში ორი საწოლი იდგა. ნიკა რატომღაც გამგელებული ჩანდა. გაჯახუნდა თუ არა კარი, ქალს კინაღამ კაბა შემოაფლითა, ისეთი სისწრაფით გადააძრო თავიდან. ნანას მსხლისებრი ძუძუები კბილებით გადათელა და ტუჩებზე დააკვდა. ქალიც გიჟს ჰგავდა, აღარ აცლიდა კაცს... მათი მგრძნობიარე ხელები ისე დასრიალებდნენ ერთმანეთის სხეულებზე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. უკანასკნელი ამოსუნთქვა და ამოწივლება და ორივე თითქმის ერთდროულად გაშეშდა...

— რა გვჭირს?.. — იკითხა ნანამ.

— ალბათ, რაღაც ჩამიყარე სასმელში... — ჯერაც ღრმად სუნთქავდა ნიკა.

— ჯადოსნური ბალზამი, — თქვა ნანამ და ხელის ზურგით ნიკას ლოყას მოეფერა. — ვერ გამიგია, რატომ არის აკრძალული, სექსი...

— ვინ გითხრა, რომ აკრძალულია? — არ დაეთანხმა ნიკა. — სულაც არ არის აკრძალული, უბრალოდ — ვითომ აკრძალულია.

— არა, მაინც აკრძალულია, — თქვა ნანამ. — ბოროტმა ადამიანებმა აკრძალეს... ყველაზე უმაღლესი ნეტარება...

— ალბათ, ასე იყო საჭირო და იმიტომ, — თქვა ნიკამ. — „ოდეს ტურფა გაიაფდეს“, — ხომ გაგიგონია?!

— მართალია, რომ ამბობენ, კაცებს ყველა ქალის გაჟიმვა უნდათო? — იკითხა ნანამ.

— ალბათ, მართალია... ჰო, რა იყო?! რაც მეტ ქალთან ცხოვრობ, მით მეტთან და მეტთან გინდა... ჰო, ასეა. მე ასე ვარ და ალბათ, სხვებიც... — აღიარა ნიკამ.

— აი, ქალებს კი, მთელი სიცოცხლე შეუძლიათ, მხოლოდ ერთ კაცთან იყვნენ და სხვებისკენ საერთოდ, არც გაიხედონ, — თქვა ნანამ და ხელი ნიკას სხეულს ჩააყოლა...

მეორე „პარტია“, წესისამებრ, უფრო დიდხანს გაგრძელდა. რაღაც მომენტში ისევ გაგიჟდნენ ორივენი.

— ალბათ, ყველაზე სექსუალური დღე თუა, თორემ, ასე რამ გაგვაცოფა, ვერაფერი გამიგია, — თქვა ნანამ როცა მორჩნენ და ხმამაღლა გადაიკისკისა...

— შევბრუნდეთ რესტორანში თუ წავიდეთ? — ჰკითხა ნანამ ნიკას, როცა ცოტა მოწესრიგდნენ.

— როგორც შენ გინდა. ჩემთვის სულერთია, — უპასუხა ნიკამ.

— ჰო, ვიცი თქვენი ამბავი, კაცების: უკვე სულერთია... — გაიცინა ნანამ.

— მაშინ, წავიდეთ.

— აბა, სად მივდივართ, თუ გამოიცნობ? — ჰკითხა ნანამ, როცა ორივენი მანქანაში ჩასხდნენ.

— წარმოდგენა არა მაქვს, — თქვა ნიკამ.

— კიდევ კარგი, აღარ დააყოლე — ჩემთვის სულერთიაო... — გაიცინა ნანამ. — ცოტა ფული მომრჩა და მინდა, ვითამაშო.

— სად? სამორინეში?! — გაუკვირდა ნიკას.

— ჰო, — თქვა ნანამ.

— პარლამენტარი ქალი — სამორინეში, აი, ეს მესმის!.. — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— ნიკა, შენ როგორ გგონია, აღარ მოვიდა დრო, რომ ძველი სტერეოტიპები და-

ვამსხვრიოთ?! რა, ისევ კომუნისტურ საზოგადოებას ხომ არ ვაშენებთ! თუკი იმის უფლება გვაქვს, რომ მთელი ქვეყნის დასანახავად, ერთმანეთი წიხლქვეშ გავიგდოთ, „ბორჯომის“ ბოთლი ჩავარტყათ თავში ან თვალი გამოვთხაროთ და ხელი მოვტეხოთ, სამორინეში შესვლის უფლება რატომ არ უნდა გვქონდეს, ვითომ?! მე ძალიან აზარტული ვარ ყველაფერში... — წამით გაჩუმდა და მერე მაგრად გაიცინა ნანამ. — თან — მაგარი მაქსიმალისტიც. ასე რომ არა, ვერაფერსაც ვერ მივაღწევდი... მოკლედ, რაც აკრძალული არ არის, ის დასაშვებია, ხომ ასეა? ჰოდა, მაშ, წინ! — და ნანამ ბოლომდე მიაჭირა გაზის პედალს. „გოლფი“ შრიალით მისრიალებდა ლამპიონებით განათებულ ვაჟას გამზირზე.

— ერთი წუთით, — თქვა ნანამ, როდესაც მანქანა გააჩერა. მერე ტუჩებზე პომადა წაითხუპნა, ლოყაზე რაღაც „ხალი“ მიიკრა, თავი თავშლით წაიკრა, თვალებზე დიდჩარჩოიანი მუქი სათვალე გაიკეთა და მანქანიდან გადმოვიდა.

სამორინეში, სადაც ნანამ და ნიკამ შეაბიჯეს, პირველი, რაც ნიკამ იგრძნო და მერე ვერაფრით გათავისუფლდა ამ შეგრძნებისგან, ეს იყო უარყოფითი აურა... მოკლეკაბიანი გოგონები, რომლებიც უფრო მეტად, სლავური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ და თავიანთი, იქნებ, ლამაზიც, მაგრამ უმეტესწილად, უინტელექტო გამომეტყველებით, მასზე არავითარ ეფექტს არ ახდენდნენ, პირიქით — აღიზიანებდნენ კიდეც.

...ნანას ვერც წითელმა ფერმა უშველა და ვერც შავმა. ნელ-ნელა უცარიელდებოდა ჯიბე. ნიკა არ თამაშობდა. ლუდის ბოკალი ედგა გვერდზე და თავისთვის კაიფობდა.

...სამორინე როგორღაც „მიეხლაფორთებინათ“. ჭყეტელა მწვანე და წითელი ფერები ჭარბობდა. ფარდები კი, საერთოდ, „სხვა ოპერიდან“ იყო. „უგემოვნების გენიალური ნიმუშია“, — გაიფიქრა ნიკამ. ის გაკვირვებული ადევნებდა თვალს, თუ რა აზარტით თამაშობდა ნანა, როგორ განიცდიდა ყველაფერს, რა სისწრაფით აყოლებდა თვალს ბურთულას და როგორ იჭამდა ტუჩებს, თან, რაღაცას ლაპარაკობდა კიდეც. ალბათ — რადგან ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა... ნანამ ბოლო „ფიშკა“ ნიკას მიაწოდა — შენ დადეო, უთხრა. ნიკამ წითელ ოციანზე დადო, თავისი დაბადების დღის თარიღზე. მოიგო. ნანამ არ აცალა, წაართვა „ფიშკები“ და ისევ თვითონ გააგრძელა თამაში. „გიჟია, — გაიფიქრა ნიკამ. — იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ეცლია...“

— ცუდად აგორებდა, აფერისტობდა, გეფიცები, — უთხრა ნანამ ნიკას, როცა მაგიდას მოსცილდნენ. — ცოტა დამრჩა, წამოდი, „სეკა“ მინდა ვეთამაშო. — ხელი მოჰკიდა და ფეხათრეული ნიკა „სეკას“ მოთამაშეებისკენ წაათრია...

ნიკა გაკვირვებული უყურებდა, როგორ აგებდა და რა თავხედურად იქცეოდა ნანა. ლამის შეეჭამა თვალებით კრუპიე.

— ალაგებს, აწყობს, თაღლითობს!.. — უცბად იყვირა ნანამ. — ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩაალაგა 3 ტუზი!

მთელმა დარბაზმა მათკენ მიიხედა.

— როგორ გეკადრებათ! — ეს იმდენად მოულოდნელი იყო კრუპიესთვის, რომ კინაღამ კარტი გაუცვივდა ხელიდან.

— ძალიანაც მშვენივრად მეკადრება! — ხმას აუწია ნანამ და ახლა სხვებს მიუბრუნდა: — ცხრაჯერ დამირიგა და ცხრაჯერვე „დამწვა“!..

— ქალბატონო, აქეთ წამობრძანდით, — იდაყვში ხელი მოჰკიდა მაგიდასთან სასწრაფოდ მისულმა მორიგემ.

— ხელი გამიშვი, შე პირუტყვო! — იყვირა ნანამ და მთელი ძალით მოუქნია ხელი. დარბაზმა ექო მისცა და ტყლაშანის ხმა ბევრად ძლიერი გამოვიდა, ვიდრე თვით დარტყმა იყო.

— შენი დედა მო-ნ!.. — იყვირა მცველმა, ნანას ხელი გადაუგრიხა და კარისკენ გააქანა.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ნიკამ წესიერად ვერც კი მოასწრო აღექვა, თუ რა ხდებოდა. მცველმა მთელი ხმით აკივლებული ნანა ჰოლში გაათრია.

— ვინა ხარ, შენი ქალობა მო-ან! — ღრიალებდა პოლიციელი. — თუ არ გაჩერდები, წაგიყვან და ჩაგაყუდებ თხუთმეტი „სუტკა“, შე ჩათლახო!

ნიკამ მცველს ხელი დაუჭირა და მხარი დაარტყა.

— რა ხდება, მოერიე?! ქალია, ბიჭო!.. — დაუყვირა მან მორიგეს, რომელსაც კოლეგა წამოეშველა და უეცრად ნიკამ თავში მძიმე დარტყმა იგრძნო. მერე ყბაშიც მოხვდა და ნიკა ტროტუარზე გადავარდა. ნანა მივარდა და წამოდგომაში მიეხმარა. ნიკას აღარ ესმოდა, რას ეუბნებოდა ნანა, თავი უბეჟუოდა და ყურებიც დაგუბებული ჰქონდა...

ნანამ მეორე დღეს დაურეკა და ბოდიში მოუხადა. ჩემი დალევა არ შეიძლება, სულ ასე მემართება, პათოლოგიური სიმთვრალე მაქვსო...

— ბოლო-ბოლო რამდენი წააგე? — შეეკითხა ნიკა.

— შვიდასი დოლარი, — უპასუხა ნანამ.

— საზიზღარი სანახავი იყავი... — უთხრა ნიკამ.

— ვიცი. არ დამკარგო, ნიკა!.. — სთხოვა ნანამ.

ნიკამ არაფერი უპასუხა. როგორც ქალი, აღარ აინტერესებდა. როგორც პარლამენტარს — არ იცნობდა. როგორც დამკვეთისთვის, მისთვის სამუშაო უნდა შეესრულებინა, ამიტომ, უნდოდა თუ არ უნდოდა ნიკას, მათი ურთიერთობა მაინც უნდა გაგრძელებულიყო...

მასთან თეონას გაბუტვის შემდეგ, ნიკა ყოველ დილით ცდილობდა, შვილს როგორმე დალაპარაკებოდა, მაგრამ თეონა მამას არ ურიგდებოდა და ნიკას დილიდანვე უფუჭდებოდა ხასიათი. იმ დილასაც სცადა, დაჰკავშირებოდა თეონას, მაგრამ ისევ ცივი უარი მიიღო.

თაზო ჯერაც ვერ გადიოდა ქუჩაში, ცალ ფეხს კი ადგამდა, მაგრამ მეორე ჯერაც მაგრად სტკიოდა და ყავარჯნით ხელში, შინ დაბრახუნებდა. მან ჩუმად გამოაღო კარი და ნიკას ოთახში შეიჭყიტა. რომ დაინახა, ნიკას გაღვიძებოდა და ჭერს მისჩერებოდა, კარი თამამად შეუღო.

— ნიკუშ, ვისკი მაქვს ძაან მაგარი, კანადური, მოსულა? — იმხელა თხოვნა ჩააქსოვა თაზომ ნათქვამში, თითქოს მსოფლიოს ბედ-იღბალი ამ ვისკის ბოთლზე ეკიდა.

ნიკას ღიმილმა გადაჰკრა. რა დღეშია ეს ბედოვლათიო, — გაიფიქრა, როცა აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— სამუშაო მაქვს, — ცივად მოჭრა ნიკამ და ჭერში ცქერა გააგრძელა.

თაზომ მოკეტა. შევიდა, სკამზე დაჯდა, თან ნიკას თვალს არ აცილებდა.

— სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, არ გაგიგონია?.. — ჰკითხა მან ნიკას ცოტა ხნის შემდეგ.

— ქუდს საერთოდ არ ვიხურავ... — უპასუხა ნიკამ.

— ჰოო? — მაგრად გაუტყდა თაზოს. — არც ჩაბალახს?.. — მაინც გააგრძელა ნიკას „შეკერვა“ თაზომ.

— შემეშვი, რა! — გაბრაზდა ნიკა. — გავითიშო დილიდან და მერე ვიქანაო ქუჩაში, არა?!

— ვერ გავიგე, რა! დამალევინე-მეთქი, ხომ არ მითხოვია, — დაგალევინებ-მეთქი და გწყინს?! — ჩაიბურტყუნა თაზომ და გავიდა.

თაზო იმის კაცი არ იყო, მარტო დამჯდარიყო და ეყლურწა. საერთოდ, ვერ იტანდა მარტოობას, უყვარდა ხალხმრავლობა, დიმპიტაურ-დამპიტაური, მარჯვნივ და მარცხნივ ლოშნა და კოცნა, კაცი იქნებოდა თუ ქალი... არ არსებობდა, რაიმე გამოსავალი არ ეპოვა და მაინც არ დაელია... და თაზომ იპოვა გამოსავალი: სოლომონი! როგორ დამიმტკიცებენ, რომ მე დავალევინე?! შევჯდები ვირზე და აბა, თუ ბიჭები არიან, ჩამომიყვანონო...

სოლომონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისე ჩაბღუჯა ჭიქა და გადახუხა, თაზოს, „სინიორ რობინზონის“ პაპუასების ბელადი გაახსენდა, რომელმაც „კოკა-კოლა“ ყლურწა და „დაკაიფებული“, უკან გადავარდა... სოლომონს თვალები უბრწყინავდა, ჭიქას ხელს არ უშვებდა. თან თვალს მალ-მალ კარისკენ აპარებდა, ვინმემ არ შემოგვისწროსო, ფრთხილობდა.

— რა მიეცი ამ სასმელში? — ჰკითხა მან ჩურჩულით თაზოს.

— მაჩუქეს, — უპასუხა თაზომ. — ლუარამ ჩამომიტანა დუბაიდან.

— კაი დასალევია. სცოდნიათ იქაურებს ალკოჰოლის გემო, — ჩაილაპარაკა სოლომონმა და შავი პურის ნაჭერზე დადებული „შპროტი“ გაღეჭა.

— კანადური ვისკია. არაბებს სასმლის გემო როგორ ეცოდინებათ?! მაგათ ჰაშიში და დაბოლება ევასებათ მაგრად... — აუხსნა

თაზომ.

— ერთიც მივუწკარუნოთ! — თვალი ჩაუკრა სოლომონმა.

თითოც გადაჰკრეს.

— არ ეწევი? — წელში გასწორდა და მოწევის ხასიათზე დადგა სოლომონი.

— კი, მაგრამ რომ გავიდე, ელისო დამიჭერს, — უპასუხა თაზომ.

— ახლავე, — თქვა სოლომონმა, ადგა და თაროზე, წიგნებს უკან დამალული „ქემელის“ კოლოფი და სანთებელა დააძრო. — ნიკას მოვპარე, — ეშმაკურად ჩაიცინა სოლომონმა.

— აუ, მაგრად გაასწორე! — უთხრა თაზომ. სოლომონმა ფანჯარა გამოაღო და სიძე-სიმამრმა სიგარეტი გააბოლა.

სოლომონი ისე ბუნებრივად იქცეოდა, თაზო დაეჭვდა — ეს ხომ არ გვაბითურებს ყველას, საერთოდო?..

— სოლომონ, შენ ხომ არ იტყუები? აი, ვითომ რომ ყველაფერი გავიწყდება და არ გახსოვს, რამდენი წლისა ხარ? — შეეკითხა თაზო.

— ვის არ ახსოვს? რა არ მახსოვს? — გაუკვირდა სოლომონს.

— აბა, რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა თაზომ.

— ცხრამეტის? — კითხვითვე მიაჩერდა თაზოს სოლომონი და თაზომ ინანა, რომ ასეთი შეკითხვა დაუსვა...

— მომისმინე, მაგარ რაღაცას მოგიყვები. მეშვიდეში ვარ და ქალისთვის არ მიკოცნია ჯერ... — დაიწყო ეგრევე მოყოლა სოლომონმა.

— მეშვიდეში?! — გაუკვირდა თაზოს.

— ლამაზი გოგოები გვყავდა კლასში, ძალიან ლამაზი. ვაჟთა და ქალთა სკოლები იმ წელს გაგვაერთიანეს, ჰო. ჰოდა, ფიზკულტურის გაკვეთილი გვაქვს... ეზოში ვართ გასულები და მასწავლებელმა გასაღები მომცა — წადი, ბირთვი გამოიტანე, ბირთვის კვრაში უნდა გავარჯიშოთო. მეც წავყვები, რა, მასწო! — ერთი, ბელა გვყავდა, ოქროპირიძე. ლამაზი, ნამდვილი თამარ მეფე იყო... შევედი დარბაზში და საკუჭნაო გავაღე, სადაც ეს ბირთვები იყო. ესეც შემომყვა და ფეხებში მედება რაღაც უცნაურად... ვიპოვე ეს ბირთვი, ავიღე და კარი არ დამიკეტა?! არ მიშვებს გარეთ! შემომხვია ხელები და მკოცნის... მე გული ფეხებში წამივიდა. უკვე დაქალებული იყო კარგად და ეს ძუძუები რომ მომასრისა ზედ... გამივარდა ეს ბირთვი და პირდაპირ ცერზე დამეცა. მომტეხა ცერი! ისე ავბღავლდი ტკივილისგან, თავდაყირა დავდექი. ჰო, ჰო... გაგიგია? პირველ კოცნაზე ფეხი მოვიტეხე!.. არ გამიცია. ვუყვარდი, თურმე... — დაასრულა მოყოლა სიმამრმა.

— მეშვიდეში — არა, მაგრამ მეათეში კი გავიგე კოცნის გემო. აბა, მოგიყვებოდი, მაგრამ შენ მაინც ვერ დაიმახსოვრებ... — უთხრა თაზომ და სასმისები შეავსო.

ამ სიამტკბილობაში იყვნენ, როცა ელისომ შემოაღო უეცრად კარი და სათქმელი პირზე შეეყინა.

— რა ხდება აქ?! — ძალაუნებურად წამოსცდა ელისოს.

— ვქეიფობთ, — მიუგო მშვიდად სოლომონმა.

ელისოს კინაღამ გული წაუვიდა.

— ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! — დაუწყო დატუქსვა თაზოს. — ამ კაცის დალევა როგორ შეიძლება, გვღუპავ მთელ ოჯახს?!

სოლომონმა მაშინვე ბოთლს სტაცა ხელი.

— აი, ჩემი ჯალათი! — ხელი ელისოსკენ გაიშვირა. — მოვიდა, დაგვეცა... ამ ბოთლს არ წაგართმევინებ! ვჭუკჭუკებთ ჩვენთვის, ვყვებით ამ მთისას, იმ ბარისას...

— ინსულტი გაქვს გადატანილი, კაცო, ინსულტი! — უყვირა ელისომ. — შენა ხარ საცემი, შენ! — მიუბრუნდა ის თაზოს და თავში ჩაუკაკუნა. — ამ კაცს რომ რამე მოუვიდეს!..

— მეტი რაღა უნდა მოუვიდეს?!. — გააწყვეტინა თაზომ. — თავისი სახელი აღარ იცის და ჩვენ ვერა გვცნობს. უბრალოდ, ექსპერიმენტს ვატარებ, იქნებ, ტვინი გადმოუბრუნდეს და ისევ გაახსენდეს ყველაფერი-მეთქი.

— საკუთარ სიმამრზე ექსპერიმენტს ატარებს ბიჭი!.. — აღშფოთდა ელისო.

— მე კარგი მინდა ამ კაცისთვის, თორემ... — გაჯიუტდა თაზო.

— ნიკა, მოდი, ნახე, რას შვრებიან! — გასძახა ნიკას ელისომ.

— რას შვრებიან? — მაშინვე შემოიხედა ნიკამ.

— სვამენ! ბოთლი აქვს ზურგს უკან დამალული. — ჩაუშვა სიძე შვილთან სიდედრმა.

— არ მომეკარო, თორემ ჩაგარტყამ, იცოდე! — დაემუქრა ნიკას სოლომონი.

— როგორც გააგიჟე, ახლა შენ თვითონ მიხედე! — მიუბრუნდა ნიკა თაზოს.

— ჰოდა, წადით, რა, თქვენ თქვენს გზაზე და მე მივხედავ ამ კაცს, — თქვა თაზომ.

— ჰო, რომ უფრო კარგად გამობრუჟო და გიჟის პერანგი დაგვჭირდეს, არა?! — გადაირია ელისო.

— პირიქით, პირიქით. კაი ხასიათზე დადგება და გემრიელად დაეძინება, — თქვა თაზომ.

— ეჰეე! ესენი უკვე გვარიანად გამობრუჟულან, როგორც ჩანს, — თქვა ელისომ და სოლომონს მიუბრუნდა: — ბიჭო, არ გინდა, რომ ცოტა ხანს კიდევ უყურო ამ მზეს?

— არ მინდა, არა, თვალებსა მჭრის ეგ შენი მზე. მე დალევა მინდა! — გამოუცხადა სოლომონმა.

— დაანებე თავი! — უთხრა ელისოს ნიკამ, ხელი ჩაიქნია და სამზარეულოში შევიდა.

— ჰო, დაგვანებეთ, რა თავი! — თქვა თაზომ. — მე აქ არა ვარ?! მე თვითონ მივხედავ. მაინც ვერ გავდივარ სახლიდან...

— აღარ დაალევინო, იცოდე! — დაემუქრა ელისო თაზოს.

— არის, უფროსო! — მხედრულად გაეჭიმა თაზო.

ელისო გამოერიდა.

— ჰოდა, ასე... — დაჯდა და ბოთლი მაგიდაზე დადგა სოლომონმა. — რას ვყვებოდი?

— კლასელმა რომ გაგჟიმა და შენ ფეხი მოიტეხე... — უპასუხა შექეიფიანებულმა სიძემ.

მესამე დღეს ნიკას ოდნავლა სტკიოდა ტრავმირებული ყბა. იჯდა და კომპიუტერთან მუშაობდა. კიდევ კარგი, ნანას კოლეჯის პროექტი შავად თითქმის დამთავრებული ჰქონდა, თორემ, მის საყვარელ მუზას შთაგონების ცეცხლი მთლად ჩაჰქრობოდა და ახლა ამაოდ ცდილობდა, გონება მოეკრიბა. ეკამ დილითვე დარეკა: ობიექტზე ვარ და შემაგვიანდებაო, — უთხრა. გარეთ წვიმამ დასცხო. მაგრად წამოუშინა. ნიკა ფანჯარასთან მივიდა და უყურებდა, რა სწრაფად გაჩნდა ნიაღვრები ქუჩაში. უეცრად, იმ წვიმასა და თქეშში, ქუჩის ბოლოს, მთლად გალუმპული ნანას სილუეტი გამოჩნდა. ჩანთა მხარზე გადაეგდო, ორივე ხელში თითო ქოში დაეჭირა და ფეხშიშველი მოაპობდა ნიაღვრის ტალღებს. ნიკა მიხვდა, რომ ნანა მასთან მირბოდა და კარი წინასწარ ბოლომდე გამოუღო. ნანა კისკისით შემოვარდა ოფისში. ნიკამ ხელები გაშალა.

— რა ხდება, მოგდევენ?

ნანა ოთახის შუაში გაჩერდა, თან დაბლა იყურებოდა. აკვირდებოდა, როგორ ჩამოსდიოდა ტანზე შემოტმასნილი, თხელი, მოვარდისფრო კაბიდან წურწურით წვეთები.

— ვერ შეეფარე სადმე? — ჰკითხა ნიკამ.

— არ შემეძლო: საშინლად მენატრებოდი, ვერ დაველოდებოდი გადაღებას. — ნანას თვალები ველურივით უელავდა. თმაგაშლილი, ღრუბლებიდან გამჭოლად შემომავალი, მოცეკვავე სხივების ფონზე, საოცრად ლამაზი სანახავი იყო. ნიკა გაშტერდა, თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს, რომელსაც ლიფი არ ეკეთა, სავსე მკერდი კი, სირბილის გამო, ისე უფეთქავდა, თითქოს კერტებიანად ამოვარდნას ლამობსო და ნიკამ ვეღარ გაუძლო ცდუნებას. ხელი თავისით გაექცა, წელზე შემოაჭდო და რამდენიმე წამში, ორივენი ვნების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. რაღაც პირველყოფილი, ველური მაჭარივით ტკბილი გემო დაჰკრავდა ნანას მკერდს. რაღაც უხილავი ძალა ერთმანეთს აწებებდა ვნებით აღტყინებულ ორ, საწინააღმდეგო სქესის არსებას და ირეალური სიტკბოების ნექტარს ასმევდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მასტოპათია — ვიმკურნალოთ დროულად

მასტოპათია მკერდში არსებული კეთილთვისებიანი წარმონაქმნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სრულიად უსაფრთხოა — ყოველთვის არსებობს დაავადების პროგრესირების ალბათობა.

მასტოპათიასთან შეხვედრა ქალების თითქმის ნახევარს უწევს. დაავადება შეიძლება პერიოდულად გამოვლინდეს და გაძლიერდეს — იმუნური სისტემის დასუსტებისას ან სტრესების დროს. რისკ-ჯგუფში შედიან ქალები, რომელთაც დარღვეული აქვთ ჰორმონული ფონი, აღენიშნებათ ღვიძლთან, საკვერცხეებთან, ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემები. მისი განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია, უარის თქმა ბავშვის დედის რძით კვებაზე, მემკვიდრულობა, მენსტრუაციის ნაადრევად დაწყება და აბორტები (განსაკუთრებით, პირველი ორსულობისას).

მასტოპათიის პირველი ნიშნებია გამაგრებული უბნების წარმოქნა და ტკივილი მკერდში. ასევე საყურადღებოა გამონადენი მკერდიდან, კანის შეჭმუხვნა ან პირიქით, შეშუპება, შესივება, იღლიის ლიმფური კვანძების მკვეთრი გადიდება.

მასტოპათიის არსებობაზე მცირე ეჭვის გაჩენისთანავე, უმჯობესია, ექიმს გაესინჯოთ. ის გეტყვით, გაქვთ თუ არა შიშის საფუძველი და როგორ უნდა მოიქცეთ შემდგომში. 30 წლამდე ასაკის არანამშობიარევ ქალებს მასტოპათიის გამოსავლენად ენიშნებათ ულტრაბგერითი გამოკვლევა. უფრო ასაკოვნებს და მათ, ვისაც უკვე ჰყავს შვილები — მამოგრაფია ულტრაბგერასთან ერთად.

დაავადება შეიძლება ორგვარი იყოს: **დიფუზური** და **კვანძოვანი** მასტოპათია. პირველი წარმოადგენს სარძევე ჯირკვლის ქსოვილის ზრდის შედეგად წარმოქმნილ გამკვრივებულ წილაკებს. ამ ფორმას, ძირთადად, ჰომეოპათიური პრეპარატებით და ფიტოთერაპიით მკურნალობენ. ზოგჯერ, სრული განკურნებისთვის ჰორმონული თერაპიაც გამოიყენება. ნუ გადადებთ მკურნალობას „სახვალიოდ“ — დიფუზური მასტოპათია შეიძლება კვანძოვანში გადაიზარდოს, ის კი, თავის მხრივ, ავთვისებიან სიმსივნედ გადაგვარდება. თუ ექიმი კვანძოვანი მასტოპათიის დიაგნოზს სვამს, კეთდება პუნქცია (მასტოპათიის კერიდან ნემსით იღებენ მასალას გამოკვლევისათვის). თუ კვანძოვანი ფორმის დიფუზურში გადაყვანა შეუძლებელია, ინიშნება ოპერაცია. იმის მიუხედავად, რომ მასტოპათიის ფონზე ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის შემთხვევები ძალზედ იშვიათია, უმჯობესია, არ გავრისკოთ და ექიმის მითითებით მკურნალობა დროზე დავიწყოთ.

P.S. დიფუზური მასტოპათიის სამკურნალოდ, ადრე ბრომქაფურისა და კალიუმის იოდიდის პრეპარატები გამოიყენებოდა. მათი გამოყენებისას აღინიშნებოდა გვერდითი ეფექტები — საკვერცხეებისა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა. ამჟამად კი, ძირითადად, ჰომეოპათია, ფიტოთერაპია და ანტიოქსიდანტური პრეპარატები გამოიყენება. ჰორმონების მიღება ყოველთვის გამართლებული არ არის. ზოგჯერ, მათ გამოყენებას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ გირჩევთ თვითმკურნალობას — წამლები მხოლოდ ექიმის კონტროლით უნდა სვათ. ■

რატომ ცოცხლობენ მამაკაცები ქალებზე ნაკლებს?

მათი ქცევისა და ორგანიზმის თავისებურებების გამო — კვლევის შედეგად, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები. მათ ასევე დაადგინეს, რომ განსხვავებულია მამრობითი და მდედრობითი სქესის ინდივიდთა სიცოცხლის ხანგრძლივობა არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ ცხოველებსა და ფრინველებშიც. სპეციალისტთა აზრით, ამ მოვლენის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, რეპროდუქციულ ფუნქციათა შორის განსხვავებაა.

ქალის ორგანიზმი განწყობილია იმისათვის, რომ არა მხოლოდ გააჩინოს ჯანმრთელი შთამომავლობა, არამედ შემდგომში გამოკვებოს კიდევაც იგი. ხოლო გაჩენისა და გამოკვების შემდეგ, ის კვლავ აგრძელებს ზრუნვას მასზე და ასწავლის ბრძოლას გადარჩენისათვის. მამრობითი ინდივიდები კი, განწყობილნი არიან მეტი შვილის გაჩენისაკენ და მათთვის დამახასიათებელია აგრესიული სექსუალური ქცევა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მამაკაცებს, ევოლუციის პროცესში „გარემოსთან ურთიერთობის“ ფუნქციები ერგოთ — კაცობრიობის ძლიერი სქესის წარმომადგენლები დადიოდნენ სანადიროდ, მოიპოვებდნენ საკვებს ოჯახისათვის, იბრძოდნენ. ამ ყველაფრის გარდაუვალი შედეგი კი ის იყო, რომ ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მამაკაცისას.

კაცობრიობის განვითარების პროცესში, ადამიანთა არსებობის პირობები თანდათანობით კომფორტული გახდა, ევოლუციის შედეგად შეძენილი ქცევის თავისებურებებიც შენარჩუნდა. მამაკაცები დღესაც ეძებენ თავგადასავლებს, გამუდმებით რისკავენ. ისინი უფრო აგრესიულად მართავენ ავტომობილს, რაც ზრდის ავარიაში მოხვედრისა და სიკვდილის ალბათობას. მამაკაცებს უყვართ ექსტრემალური სპორტის სახეობები. გარდა ამისა, „მამაკაცური ქცევის სტილის“ ქვეშ, ადამიანი ქვეცნობიერად მოიაზრებს ისეთ მავნე ჩვევებს, როგორიცაა: კარგად დანაყრება, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება. ეს ყველაფრი კი, რაღა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

გარდა ამისა, მამაკაცთა იმუნური სისტემა ქალებისაზე გაცილებით სუსტია. მშვენიერი სქესის წრამომადგენლებში გაცილებით უფრო მაღალია ტკივილის ზღვარი, მათი ორგანიზმი უკეთ აბსორბირებს ცხიმებს და საერთოდაც, ის უფრო ამტანია. ეს თავისებურებები კი, ქალის სიცოცხლის მეტ ხანგრძლივობას განსაზღვრავს. ■

კოსმეტიკა შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს

იებიანი რძე

ადამიანის სურვილი — ლამაზი იყოს, მარადიულია. ჯერ კიდევ ველური ქალი ისვამდა სახეზე ჟანგმიწას, თიხას, ქონს, ცხვირში რგოლს იყრიდა, ჩინელი ქალი ფეხებს იმახინჯებდა...

სწორედ, საკუთარი გარეგნობით დაუკმაყოფილებლობამ განაპირობა კოსმეტიკის შექმნა — ხელოვნება, რომელიც ქალის სილამაზის კულტივირებას ეძღვნება; ხელოვნება, რომლის სამსხვერპლოზეც მიაქვთ როგორც მეცნიერული, ისე მხატვრული ცოდნა, რადგან იგი სარგებლობს ქიმიის, მედიცინის, ფერწერისა და ქანდაკების სამსახურით.

კოსმეტიკა ისეთივე ძველია, როგორიც სამყარო — ფერუმარილი, თმის საღებავი უხსოვარი დროიდან არსებობს. ტეტის დედამ, დედოფალმა შუტმა, — პირველი ეგვიპტელი ფარაონის მეუღლემ, ჯერ კიდევ ექვსი ათასი წლის წინათ შეადგინა პირველი კოსმეტიკური რეცეპტი.

კოსმეტიკურ საშუალებათა შორის, უძველეს დროში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სურნელოვანი ნელსაცხებლები, რომელთაც გულუხვად ისვამდნენ მთელ სხეულზე. ბერძენი ქალები პუდრად იყენებდნენ გამხმარ, კარგად დაფქულ სურნელოვან ყვავილებს.

რომაელები განსაკუთრებული სიბეჯითით ეწეოდნენ კოსმეტიკის ხელოვნების კულტივირებას და ამ სფეროში მრავალი ფაქიზი საშუალება შექმნეს. მათთან სილამაზის ერთ-ერთ უმთავრეს და არსებით ელემენტად პირისახის ცინცხალი ფერი მიიჩნეოდა და ამისათვის სისტემატურად იყენებდნენ ცხელ აბაზანებს, მასაჟსა და სხვადასხვაგვარ კოსმეტიკურ ნიღაბს.

ნერონის ცოლი — ბრწყინვალე პოპეია, ყოველდღე ვირის რძეში ბანაობდა.

მომხიბვლელი რომაელი ქალბატონები თავიანთ მონებს მთელი სხეულის, განსაკუთრებით კი, პირისახისა და ხელების მასაჟს აკეთებინებდნენ, ხოლო ღამღამობით სპეციალურ ნიღაბს იდებდნენ, რისთვისაც პურის ნატეხების, ცერცვის ცომისა და რძისაგან განსაკუთრებულ პასტას ამზადებდნენ — ასეთი ნიღაბი დილამდე ედოთ ხოლმე. გარდა ამ უბრალო საშუალებისა, იყენებდნენ აგრეთვე საკმაოდ რთულ კოსმეტიკურ პრეპარატებს, რომლებიც უპირატესად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შეჰქონდათ და ძალიან ძვირად ფასობდა. ამგვარ საქონელს შორის, განსაკუთრებული ადგილი ეკავა სუნამოებს, რომლებსაც არისტოკრატიულ წრეებში ფართოდ იყენებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუნამოების დამზადების წესები მაშინაც ისეთივე იყო, როგორიც ახლაა.

შუა საუკუნეებში, როცა ყოველგვარი მეცნიერება და ხელოვნება დაცემის გზას დაადგა, კოსმეტიკაც მიივიწყეს. მას სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ რენესანსის ეპოქაში დაეტყო. ისევ შემოვიდა მოდაში ძველრომაელთა მიერ პატივდებული ნიღბები, რომლებსაც განებივრებული ქალბატონები და ის მამაკაცები იყენებდნენ, რჩეულ საზოგადოებას რომ მიეკუთვნებოდნენ.

საფრანგეთის მეფემ — ანრი მესამემ თავად შექმნა ნიღაბი, რომელიც მზადდებოდა ფქვილის, ახალი ნაღების, კვერცხის ცილისა და თაფლისაგან. ამ საკვირველ ნარევს პირისახეზე იდებდნენ — იგი მკვრივდებოდა, პირისახის კონტურებს იღებდა და მთელ ღამეს რჩებოდა. ამგვარი ნებაყოფლობითი წამების ჯილდო კი პირისახის დიდებული ფერი იყო, თუმცა, იგი მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ინარჩუნებდა სიხასხასეს.

XV საუკუნეში „ქვის ნიღბები“ (როგორც მას თანამედროვეები უწოდებდნენ), მოდიდან გამოვიდა. იგი სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან დამზადებულმა ღვინის, შამპანურის, ხენდროს, ჟოლოს, ყურძნის წვენისგან შეზავებულმა აბაზანებმა შეცვალა.

იმ დროს, ძალიან პოპულარული იყო ხელოვნურად მიწებებული ხალები, რომელთაც შავი აბრეშუმის ქსოვილისაგან ამზადებდნენ და ვარსკვლავის, ნახევარმთავრის ან კომეტების ფორმას აძლევდნენ. ამ ხელოვნურ ხალებს, დაახლოებით 8-10 ცალს, პირისახეზე (ძირითადად, ტუჩების კუთხეებში და საფეთქლებზე) იწებებდნენ. ის შემდგომში, აზოტმჟავა-ვერცხლით ან ლიაპისით ამომწვარმა „ხალებმა“ შეცვალა.

იმ შემთხვევაში, როცა ბუნებრივი ხალი ძალიან დიდი ან ბევრი ჰქონდათ, ისე რომ, ულამაზეს სახესაც კი აფუჭებდა, მათ მოსაშორებლად ან დასაპატარავებლად ქირურგს მიმართავდნენ ხოლმე.

ნაპოლეონ პირველის ცოლმა — ჟოზეფინა ბოგარნემ, როგორც ამბობენ, გმირულად გადაიტანა პირისახიდან სამოცდახუთი ლაქის ოპერაციული გზით მოშორების პროცედურა. მანვე გამოიგონა ახალი კოსმეტიკური საშუალება: პირისახის კანში რძის შეზელა, რომელშიც იები იყო მოხარშული, რათა კანს სითეთრე შეენარჩუნებინა. ■

– რამდენად სწრაფად ვითარდება ორგანიზმში ტუბერკულოზი, და რამდენად საშიშ დაავადებას წარმოადგენს?

ნიკოლოზ ნასიძე – ტუბერკულოზის ექსპერტი, ტუბერკულოზის მკურნალობისა და კონტროლის პროგრამის წარმომადგენელი:

– ტუბერკულოზის მიკობაქტერიები სათანადო მკურნალობის არარსებობისას აზიანებენ ფილტვის ქსოვილს, იწვევენ მძიმე და ზოგჯერ, შეუქცევად ცვლილებებს ორგანიზმში, რაც შესაძლოა პაციენტის სიკვდილის მიზეზი გახდეს. თუ ადამიანმა დროულად არ მიაქცია ყურადღება საეჭვო სიმპტომებს, მან შეიძლება ძალიან გვიან მიმართოს ექიმს, როცა მკურნალობას გაცილებით მეტი დრო და მონდომება სჭირდება და შესაძლოა, უშედეგოც აღმოჩნდეს. ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულმა პირმა (თუ იგი არ იტარებს სათანადო მკურნალობას) ერთი წლის განმავლობაში შეიძლება დააინფიციროს 10-15 ჯანმრთელი ადამიანი. განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან ოჯახის წევრები და მასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი პირები.

- ✔ ხველა, ღამის ოფლიანობა, სიცხე – აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ფთიზიატრს!
- ✔ ტუბერკულოზის გამოკვლევა და მკურნალობა უფასოა!
- ✔ დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ფთიზიატრს შეუძლია!
- ✔ დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე: **911926** (კონსულტაცია უფასოა) ®

ინგლისელი ოსტატების შედევრი — ფერადი ბრილიანტებით მოოჭვილი თეთრი ოქროს გულსაბნევი; 1915 წ.

ბრძენნი დიდი ხანია ირწმუნებიან, რომ წიგნი საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ ამ ჭეშმარიტების წვდომა ყველას როდი ძალუძს. ცოტა ხნის წინ ამ დასკვნამდე ბელგიელი მეცნიერებიც მივიდნენ, რომლებმაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს კითხვით მიმართეს: „50 დასახელებისგან შემდგარი სიიდან საჩუქრად რის მიღებას ისურვებდით?“ აღმოჩნდა, რომ ქალბატონებმა საპატიო პირველი ადგილი 'ბრილიანტებს მიაკუთვნეს, მეორე ადგილი — უძრავმა ქონებამ დაიკავა, უკანასკნელი — 50-ე ადგილი ხელსაქმის მოწყობილობას დაეთმო, წიგნები კი ბოლოს წინა, 49-ე ადგილზე აღმოჩნდა!

სხვათა შორის, ეს შედეგები სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ქალებს წიგნის კითხვა და ხელსაქმე არ უყვართ. სიყვარულით ალბათ უყვართ კიდეც, მაგრამ წუთითაც კი არ ავიწყდებათ მერილინ მონროს ყველასათვის ცნობილი სიმღერის სიტყვები იმის შესახებ, რომ „გოგონების საუკეთესო მეგობრები სწორედ ბრილიანტებია“. როგორც ჩანს, ეს სიმღერა ძლიერ სქესსაც გულში ჩაუვარდა. აღმოჩნდა, რომ მამაკაცებსაც ძალიან სიამოვნებთ, როდესაც საყვარელ ქალებს ბრილიანტებს უძღვნიან. თუ მკითხველს ამის არ სჯერა და ამ მამაკაცთა სახელობითი სიის გამოქვეყნებას დაჟინებით მოითხოვს — ინებეთ!

ტრილიონ დოლარად ღირებული „მეგობრები გოგონებისთვის“

ამ სიაში პირველი ადგილი ქალების ცნობილ გულთამპყრობელს, ბრუნეის სულთნის ძმას, პრინც ჯეფრის უკავია. ქალები პრინცს ეთაყვანებიან და მას მხოლოდ „სულიკოსა“ და „ანგელოზს“ უწოდებენ. გულუხვმა „ანგელოზმა“ მისი მრავალრიცხოვანი საყვარლისთვის მირთმეულ ბრილიანტებში ორ წელიწადში 500 მლნ დოლარის დახარჯვა მოახერხა, რამაც მისი გვირგვინოსანი ძმის გაოცებაც კი გამოიწვია, რომელსაც მშვენიერი სქესის გულის მოგება არავისგან ესწავლება. ხაზინის გაპარტახების გამო, მბრძანებელი იძულებული გახდა, ძმისთვის საყვედური ეთქვა და ერჩია, რომ ქალბატონების გასახარებლად, შედარებით იაფფასიანი საჩუქრები — ყვავილები, ტკბილეულობა ან თოჯინები შეეძინა. „მორჩილი“ ძმა ბრძნულ რჩევას სასწრაფოდ დამორჩილდა და მორიგ საყვარელს 250.000 დოლარად ღირებული თოჯინა „ბარბი“ აჩუქა, რომლის კაბაც საფირონებითა და ბრილიანტებით იყო მოოჭვილი...

ბრუნეის პრინცს ტოლი არ დაუდო არანაკლებ ცნობილმა „სულიკომ“ — კომპიუტერულმა მაგნატმა ბილ გეიტსმა. მან „კილოგრამობით“ ბრილიანტები შეიძინა და მეუღლის თითები, მაჯები, ყელი და ყურები ძვირფასი თვლებით შეამკო. გეიტსმა ეს არ იკმარა და საყვარელ მეუღლეს უნიკალური მანიკიურის გაკეთება შესთავაზა... ბილ გეიტსის სიტყვა და საქმე ერთი იყო, ნიუ-იორკის სალონის ხელმარჯვე ოსტატებმა მისის გეიტსის ფრჩხილები, ლაქთან ერთად, ოქროს მოხდენილ ღერძებზე დამაგრებული 39 ბრილიანტის თვლითაც დაამშვენეს. გეიტსმა, რომელსაც ეს სიამოვნება 52.000 დოლარი დაუჯდა, ცოლს აღუთქვა, რომ იგი მანიკიურის განახლებას ორ კვირაში ერთხელ შეძლებდა.

ამერიკელმა ბიზნესმენმა ტონი ო'რეილიმ მანიკიურზე ფიქრით თავი არ შეიწუხა, უბრალოდ, მეუღლე „სოტბის“ აუქციონზე მიიყვანა და სთხოვა, მისთვის სასურველ ბრილიანტზე თითი დაედო. მეუღლის თითმა მოკრძალებულ ქვებს გვერდი აუარა და ჟაკლინ კენედის ნაქონ 40-კარატიან ბრილიანტისთვლიან ბეჭედზე „დაეშვა“. ტონიმ თვალისმომჭრელად მოელვარე ლოტში 2,3 მლნ დოლარი ისე გადაიხადა, რომ წუთითაც არ დაფიქრებულა.

„გულუხვ მამაკაცთა“ სიაში ყველაზე ორიგინალური, ტაილანდის ერთ-ერთი მოქალაქე აღმოჩნდა, რომელმაც ალმასებით საყვარელი... კატა დაასაჩუქრა. ოთხფეხა ლამაზმანმა პატრონისგან საჩუქრად ბრილიანტებით მოოჭვილი ვარდისფერი საქორწინო კაბა მიიღო. ამ სამოსში გამოწყობილი კატა საქორწინო ცერემონიაზე „როლს-როისით“ მიბრძანდა, სადაც მას ასევე ძვირად ღირებულ სამოსში გამოპრანჭული, იშვიათი ჯიშის სასიძო ელოდა. როდესაც ამგვარი საჩუქრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება, შესაძლოა, ძლიერი სქესის რომელიმე აღშფოთებულმა წარმომადგენელმა იკითხოს: „ბოლოს და ბოლოს, როდის ამოიწურება ამ უსარგებლო ქვების მსოფლიო მარაგი?!“ ძვირფასო მამაკაცებო, გამაგრდით! — ბრილიანტების მარაგი არასოდეს ამოიწურება. როგორც ცნობილია, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მიწის წიაღიდან 4 მილიარდი ალმასია ამოღებული, რომელთაგან 30 მილიარდი უმშვენიერესი ბრილიანტია დამზადებული (წვრილი ნამსხვრევები სათვალავში ჩასაგდები არ არის); მათი საერთო წონა 200 ტონას შეადგენს, ფასი კი — ტრილიონ დოლარს აღწევს. კერძო კოლექციებსა და სამალავებში ამ სიმდიდრის მხოლოდ მესამედი ინახება. დანარჩენი ორი მესამედი მყიდველს ელის! მომავალში კი ალმასის საბადოებიდან კიდევ მრავალ უმშვენიერეს ეგზემპლარს ამოიღებენ! ასე რომ, „გოგონების საუკეთესო მეგობრები“ ადამიანთა მზერას კიდევ დიდხანს დაატკბობენ, სულებს კი — ააფორიაქებენ.

ისტორია არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როდის აღმოაჩინეს პირველი ალმასი. ერთი ვერსიის თანახმად, მიწის წიაღიდან პირველი ალმასი 3000 წლის წინ ინდოეთში ამოიღეს. ინდური

ეს 620-კარატიანი უზარმაზარი ალმასი 1970 წელს დასავლეთ აფრიკაში იპოვეს

სამხრეთ აფრიკის ალმასის საბადოები

ალმასები მუდამ ცნობილი იყო სიწმინდითა და ზომებით. მინერალს ძირითადად ჰოლკონდის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოიპოვებდნენ, წარმოუდგენელ სიღრმეზე გათხრილი შახტები ათეულობით კილომეტრზე იყო გადაჭიმული. მოპოვებული კრისტალები მნახველს სიმაგრით აოცებდა. ალმასი ცეცხლში არ დნებოდა, რის გამოც მინერალს „უკვდავი“ და „ღვთიური“ უწოდეს. იმ დროს, რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, რა „წრთობას“ გადის ალმასი დაბადების მომენტიდან. ისინი ხომ 80-100 კმ სიღრმეში, წარმოუდგენლად მაღალ ტემპერატურაზე იბადებიან. უმძლავრესი მიწისქვეშა ბიძგების წყალობით, მიწის წიაღში ღრმა არხები წარმოიქმნება, სადაც ალმასის შემცველი მადანი კიმბერლიტი იმალება.

უძველეს წყაროებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ დიდი ხნის მანძილზე ალმასი ლალზე, საფირონსა და მარგალიტზე ნაკლებად ფასობდა. ძველ დროში ევროპაში ალმასის მოწახნაგების შესახებ არაფერი იცოდნენ, ინდოელი ოსტატებისთვის კი ალმასის დაწახნაგების ტექნიკა კარგად იყო ცნობილი, მაგრამ მათ ამ ცოდნის გამოყენება არ შეეძლოთ, რადგან მიიჩნეოდა, რომ ამგვარი დამუშავების შემდეგ ალმასი მაგიურ ძალას კარგავდა. ამიტომ ალმასების დამუშავებას კანონი კრძალავდა. იმ უძველეს ხანაში აღმოსავლეთსა და ევროპაში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ელვარებას მოკლებულ, შეუხედავ მტკიცე მინერალს ოდესმე „ქვების იმპერატორის და იმპერატორთა ქვას“ შეარქმევდნენ და თაყვანისცემის ობიექტად გადააქცევდნენ.

მომავალი „იმპერატორის“ ტრიუმფს დიდად შეუწყო ხელი XV საუკუნეში ბურგუნდიის ჰერცოგის კარლოს მამაცის სასახლის კარზე დატრიალებულმა ამბავმა. ერთხელ, ფლამანდიელმა იუველირმა ლუდვიგ ბერკემმა რამდენიმე მსხვილი ალმასი განსაკუთრებული წესით დააწახნაგა. ბრილიანტად წოდებული (ფრანგ. brillant — ელვარება), თვალის დამაბრმავებლად მოელვარე „ახალშობილი“ ქვების ხილვისას, იუველირს აღფრთოვანებისგან მეტყველების უნარი წაერთვა. ელვარე ქვები ბერკემმა ჰერცოგს მიართვა, რომელიც საჩუქარმა აღტაცებაში მოიყვანა. „როგორც იქნა, საიმედო იარაღი მაქვს — იგი ჩემს მტრებს დააბრმავებს და უკუაქცევს“, — ამბობდა გახარებული ჰერცოგი. კარლოსმა ოსტატებს საჭურვლის ბრილიანტებით შემკობა უბრძანა. უნდა ითქვას, რომ ეს, ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც „ქვების იმპერატორის“ მეშვეობით მტრების შეშინება სცადეს. ბედისწერამ ბრილიანტებს სულ სხვა ბედი გაუმზადა — ბრილიანტები მზერას ატყვევებს და ადამიანებს მისი დაუფლების დაუოკებელ სურვილს აღუძრავს.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყვითელი ბრილიანტი — „ჰუნა“

ლეგენდის თანახმად, კარლოსმა ინდური „ნადავლი“ ალმასის დაწახნაგება სწორედ ბერკემს დაავალა. დამუშავების შედეგად უზარმაზარი, მსხლის ფორმის ბრილიანტი იშვა, რომელმაც მოგვიანებით ჰერცოგის მუზარადი დაამშვენა. ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ ქვა მოიპარეს. საბოლოოდ ბრილიანტი ფრანგი დიდებულის ნიკოლა დე სანსის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც ქვას საკუთარი სახელი შეარქვა და მალე „სანსი“ საფრანგეთის მეფის ჰენრი -ის კუთვნილება გახდა. მისგან კი ნისლიან ალბიონზე გადაინაცვლა, სადაც ინგლისის გვირგვინოსანთა მზერას დიდხანს ატკბობდა. შემდეგ მოხეტიალე ალმასი შორეულ რუსეთში აღმოჩნდა და უმდიდრესი მეწარმის პაველ დემიდოვის კოლექციაში დაიდო ბინა. დემიდოვის გარდაცვალების შემდგომ, მისი მეუღლე ავრორა შერნვალი საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, „სანსი“ თან წაიღო და ამის შემდგომ, ბრილიანტის კვალი სამუდამოდ დაიკარგა. ერთხანს ამბობდნენ, თითქოს XX საუკუნის 60-იან წლებში ბრილიანტმა ნიუიორკის აუქციონზე „ამოყვინთა“ და დემიდოვის შთამომავლებმა მასში უზარმაზარი თანხა გადაიხადეს, მაგრამ ეს ჭორი არ დადასტურდა — ბრილიანტის შედგომი ბედი დღემდე უცნობია. სამაგიეროდ, „სანსის“ სხვა ცნობილი „ნათესავები“ (ინდოეთში ნაპოვნი ქვები) ხელიდან ხელში გადადიოდა, დაკარგვასაც გადაურჩა და დღეს მათ „სიმშვიდეს“ ათასნაირი ეშმაკური სიგნალიზაციის სისტემა იცავს. ამ ქვებიდან განსაკუთრებით ცნობილი ლეგენდარული ალმასი „კოხინორია“ (სპარსულად — „სინათლის მთა“), რომელიც ოდესღაც დიდი მონღოლების საკუთრება იყო. „კოხინორმა“ „სანსის“ მსგავსად მსოფლიოში დიდხანს იმოგზაურა და „უბედური“ ქვის რეპუტაცია მოიპოვა. ვერაგმა ალმასმა მის 18 მფლობელს (მათ შორის, ინდოელი და ირანელი მმართველები და მხედართმთავრებიც იყვნენ) უამრავი ვნება მოუტანა: ერთნი მძიმე სენისგან ან ბრძოლის ველზე დაიღუპნენ, სხვები გაგიჟდნენ, დაბრმავდნენ ანდა გაღატაკდნენ. ბოლოს და ბოლოს, ინდოეთის მაჰარაჯამ ალმასისგან გათავისუფლება გადაწყვიტა და 1849 წელს „კოხინორი“ ინგლისის დედოფალ ვიქტორიას გადასცა, რომელმაც ალმასის დაწახნაგება ბრძანა. დამუშავების შემდეგ, 186-კარატიანი ალმასის წონა 108 კარატამდე შემცირდა, მაგრამ სამაგი-



მოდის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულ 13 მლნ-დოლარიან კაბას ბრილიანტების მთელი თანავარსკვლავედი ამშვენებს

მერილინ მონროს ცნობილი სიმღერა „ჯოჯონების საუკეთესო მეგობრები ბრილიანტებია“ ბევრს ჭკუაში დაუჯდა

MK

ეროდ, საოცარი ელვარება შეიძინა და „დაჭკვიანდა“. სიყვარულითა და აღფრთოვანებით მოცული უმშვენიერესი ალმასი სამეფო ოჯახში „მოშინაურდა“ და მის დიდებას დღემდე ერთგულად ემსახურება. რასაც ვერ ვიტყვით მის „ძმაზე“, „ჰოუპად“ წოდებულ ცისფერ ბრილიანტზე (hope — იმედი) რომელსაც მისი მრავალრიცხოვანი მფლობელისთვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. „ჰოუპი“ ვერც დაწახნაგებამ „დააშოშმინა“. ალმასი XV საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში დააწახანგეს. ამის შემდეგ, მისი რამდენიმე მფლობელი ზედიზედ მოწამლეს, დანარჩენები კი — გაღატაკდნენ. შემდეგ შეუბრალებელი ალმასი ინგლისელი ბანკირის ჰენრი ჰოუპის ხელში აღმოჩნდა. ახალმა მფლობელმა ქვას საკუთარი სახელი უწოდა — და მალე ერთ მდიდარ ამერიკელს მიჰყიდა. ამ უკანასკნელმა ქვის — „ბოროტმოქმედებათა“ საბოლოოდ აღკვეთა გადაწყვიტა და „ჰოუპი“ ვაშინგტონის სმიტსონის ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა.



ეს ბრილიანტებით მოოჭვილი ფეხსაცმელი ლოს-ანჯელესის აუქციონზე 2 მლნ დოლარად გაიყიდა

„უბედურების მომტანი“ ქვების სიაში ინდური წარმოშობის კიდევ რამდენიმე ალმასი მოხვდა. მათ შორისაა საქსონიის მთავართა საკუთრება — მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის მწვანე ბრილიანტი „დრეზდენული“, დიდებული „შავი ორლოვი“, რომელიც სამეფო კვერთხს ამშვენებდა და ნაპოლეონ ბონაპარტეს ხმლის მშვენება — ალმასი „რეგენტი“. ინდური ალმასებისაგან განსხვავებით, სამხრეთაფრიკული და ბრაზილიური ალმასები (ეს საბადოები XV საუკუნეში აღმოაჩინეს) თავიანთი მფლობელების მიმართ გაცილებით „გულმოწყალენი“ აღმოჩნდნენ. სამხრეთ აფრიკის მაღაროში ნაპოვნმა, მსოფლიოში უდიდესმა (3106 კარატი) „კულინანად“ წოდებულმა ალმასმა „მოახერხა“, რომ პრობლემები არავისთვის შეექმნა: ალმასი თავდაპირველად ტრანსვაალის რესპუბლიკის მთავრობამ შეიძინა და შემდგომ ინგლისის მეფეს საჩუქრად გადასცა. ალმასმა ლონდონამდე მშვიდობიანად ჩააღწია (მისი მოპარვა ბევრს უნდოდა, მაგრამ ქურდებს ხელი მოეცარათ), სადაც „კულინანი“ წყნარად გახერხეს და თითოეული ნაწილი დააწახნაგეს; „კულინანის“ პირმშო ბრილიანტებმა — 530-კარატიანმა „აფრიკის დიდმა ვარსკვლავმა“ და 317-კარატიანმა „აფრიკის მცირე ვარსკვლავმა“ ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინი დაამშვენა. „ბედნიერ ალმასთა რიგს მიეკუთვნება 205-კარატიანი სამხრეთაფრიკული ყვითელი ბრილიანტი, რომელსაც რატომღაც, „წითელი ჯვარი“ შეარქვეს და 201-კარატიანი, ცრემლის ფორმის ბრაზილიური „სამხრეთის ვარსკვლავი“.



1996 წ. „სოტბის“ აუქციონზე კენედების ოჯახის კუთვნილი ბრილიანტები გაიყიდა

სპეციალისტთა აზრით, ბრილიანტად მხოლოდ დამუშავებული ალმასი მიიჩნევა, რომელზეც სხვადასხვა სახის წახნაგია ამოკვეთილი. ალმასის დაწახნაგების რამდენიმე სახეობა არსებობს. მათ შორისაა, საკუთრივ ბრილიანტის დაწახნაგება, რომელსაც მრგვალი ქვების დამუშავების დროს იყენებენ: 57 წახნაგი ჭადრაკული პრინციპითაა განლაგებული, მათი ფორმა კი რომბს მოგვაგონებს. სწორკუთხა ქვებისთვის საფეხურევან დაწახნაგებას იყენებენ — ერთმანეთის თავზე განლაგებული წახნაგები სამკუთხედებს ქმნის. დაბოლოს, წვრილი ქვების „ვარდისებრი“ დაწახნაგება, როდესაც ალმასის ძირი სავსებით ბრტყელი რჩება, ამოზნექილი წვერი კი ერთმანეთთან შეერთებული 12, 24 ან 32 წახნაგისგან შედგება. ბრილიანტის შეფასების მთავარ საერთაშორისო მაჩვენებლად ოთხი „C“ მიიჩნევა: clarity — სიწმინდე, colour — ფერი, cut — დაწახნაგება, პროპორციები და carat weight — წონა კარატებში. ყველაზე ფასეულად, უფერო ბრილიანტი მიიჩნევა, რომელსაც ძლიერი ელვარება და სინათლის გამაოგნებელი თამაში ახასიათებს. ასეთ ქვებს „წმინდა წყლის“ ბრილიანტი ეწოდება. უფერო ბრილიანტს არაფრით ჩამორჩება ე.წ. მკვეთრი შეფერილობის მინერალები, რომელიც ბუნებაში ძალზე იშვიათად გვხვდება. „მკვეთრი“ ალმასი შეიძლება იყოს ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი, ფორთოხლისფერი ან მწვანე შეფერილობის. ალმასების უმრავლესობას კი, გახუნებული ტონალობის მოყვითალო, ჩალისფერი, მურა, ჭუჭყიანი მწვანე ან მოლურჯო შეფერილობა აქვს, რაც მათ ღირებულებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

ბრილიანტებით დახუნძლული პლატიის კოსტიუმი 18 მლნ დოლარადაა შეფასებული

ამ საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, რომ ნამდვილი ბრილიანტის, ნაყალბევისგან გარჩევა იოლი საქმეა. ჭეშმარიტი „ქვების იმპერატორის“ გაფხაჭნა შეუძლებელია: ნამდვილი ბრილიანტი ხელში დაჭერის დროს არ თბება და მუდამ ცივი რჩება, წყლით სავსე ჭიქაში უჩინარი ხდება, დაბოლოს — ბრილიანტი არ იორთქლება და მუდამ გამჭვირვალე რჩება.

ალმასს ოდითგანვე „უბედურებისგან დამცველ და ბედნიერების მომტან ჯადოსნურ თილისმად“ მიიჩნევდნენ. ძველთაგანვე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მემკვიდრეობით ან საჩუქრად მიღებულ ალმასს განსაკუთრებული დამცავი ძალა ჰქონდა. ამ რწმენას ბევრი დღესაც იზიარებს და ფიქრობს, რომ მის მიერ ნაყიდი მოელვარე ქვები მაგიურ ძალას მოკლებულია, მაგრამ მაინც, „საუკეთესო მეგობრის“ შეძენას საკუთარი გემოვნებით ამჯობინებს. მთავარია, მტკიცედ გჯეროდეთ, რომ ძვირფასი შენაძენი თქვენთვის აუცილებლად ბედნიერების მომტანი იქნება. ■

სესხება-გასესხება
შპს „ევრიკა+“
სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.
გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!
მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართ. (ბაჯღონალდსის მხარეს)
☎ 95-23-66; 99-69-00
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

ფოტოგრაფის ალბომიდან





სარფში ბუნებამ გართობის დიდებული საშუალება შექმნა. ზღვისპირას მდებარე კლდეს ყოველდღიურად, ასობით დამსვენებელი იპყრობს. ისინი გაბედული ნახტომით უმტკიცებენ ერთურთს, რომ ნამდვილად მაგრები არიან...

იური ბეხითოვი

ცხოველიც, ყასაბიც, „კილერიც“, მაგრამ მაინც – მსოფლიო ჩემპიონი...

მსოფლიო ჩემპიონატი ყოველთვის თავს გვამახსოვრებს ერთი რომელიმე მძაფრი ან თუნდაც სკანდალური მომენტით. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ 1986 წლის მუნდიალი, როდესაც დიეგო მარადონამ „ღმერთის ხელის“ დახმარებით გახსნა ანგარიში ინგლისელებთან გამართულ ნახევარ-ფინალურ მატჩში. ან კიდევ, 2002 წლის ტურნირი კორეასა და იაპონიაში, როდესაც რივალდომ ვარსკვლავისთვის ნამდვილად შეუფერებელი საქციელით მსაჯს თურქი ფეხბურთელი მოედნიდან გააგდებინა. გამონაკლისი არც 2006 წლის მსოფლიო პირველობა გახლდათ. ბუნებრივია, მიხვდით — ფინალურ მატჩში ზინედინ ზიდანსა და მარკო მატერაცის შორის მომხდარ ინციდენტს ვგულისხმობთ, რომელზეც დიდი და პატარა დღემდე არ წყვეტს სჯა-ბაასს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სკანდალური კონფლიქტური სიტუაციის წყალობით, მანამდე ბევრისთვის უცნობი მარკო მატერაცი, მთელი ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა.

ალექსი რეხვიაშვილი

ცხოველი, ყასაბი, „კილერი“, ამაზრზენი მაგალითის მიმცემი ახალგაზრდობისთვის... როგორც ხედავთ, არაერთი მეტსახელი აქვს მარკო მატერაცის, რომელიც ცოტა ხნის წინ მთელმა მსოფლიომ გაიცნო. თავად იტალიელი ფეხბურთელი ამჯობინებს, რომ მას უბრალოდ „მატრიცას“ ეძახდნენ. მარკომ თავის საიტზე შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „მათ, ვინც მიცნობენ, იციან, რომ კარგი ბიჭი ვარ, ყველა დანარჩენი კი, საწინააღმდეგოს ამბობს“.

რამდენიმე დღის წინ, მსოფლიო ჩემპიონი 33 წლის გახდა. ალბათ, არცთუ ისე ხელსაყრელი ასაკია საიმისოდ, რომ ფეხბურთელმა სახელი გაითქვას. მაგრამ „ინტერის“ მცველმა ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო: ზინედინ ზიდანთან მისი შეტაკება გასული მუნდიალის ყველაზე დასამახსოვრებელ მოვლენად იქცა. ამ კონფლიქტზე უკვე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ მის შესახებ ლაპარაკი თითქოს ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ზიზუზე ყველამ ყველაფერი იცის, აი, მატერაცი კი, ამით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

მარკო მატერაცი 1973 წლის 19 აგვისტოს, ქალაქ ლეჩეში დაიბადა. მამამისი იტალიაში ცნობილი მწვრთნელია, რომელსაც არაერთ კლუბში უმუშავია — როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ. მატერაცი-უმცროსი ცნობილ ფეხბურთელად „პერუჯაში“ და შემდეგ, ინგლისურ „ევერტონში“ იქცა. 2000-2001 წლების სეზონში მან სერია A-ში მცველთა შორის რეკორდი დაამყარა — ჩემპიონატში 12 გოლი გაიტანა.

იტალიის ნაკრებში მატერაცი, ჯოვანი ტრაპატონის მწვრთნელობისას გამოჩნდა, ხოლო მარჩელო ლიპიმ ის მსოფლიო ჩემპიონატზეც წაიყვანა, სადაც ნესტასა და კანავაროს მთავარი დუბლიორის როლი არგუნა. აპენინებზე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ მატერაცი იქცეოდა მთავარ გმირად (თუნდაც, უარყოფითი გაგებით). ტოტისაგან, დელ პიეროსაგან, ტონისაგან ასეთი რამ უფრო მოსალოდნელი იყო... ლეჩეს მკვიდრმა მართლაც, ყველა გააოცა.

ზიდანთან შეტაკების შემდეგ, ყველა, მატერაცის ხეპრეობაზე ლაპარაკობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გასულ მსოფლიო პირველობაზე ამ მცველმა 2 გოლიც გაიტანა (აღარაფერს ვამბობთ ფინალურ მატჩში გამართულ პენალტების სერიაში რეალიზებულ თერთმეტმეტრიანზე). გარდა ამისა, მან დაცვაში ისე წარმატებულად ითამაშა, რომ ნესტას ტრავმაც ყველას დაავიწყდა. ერთი სიტყვით, მატერაციმ სრულიად გაამართლა მარჩელო ლიპის ნდობა, ხოლო ერთ-ერთ მატჩში მისი მოედნიდან გაძევება ყველამ შეცდომად მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატერაცის არაერთი „გმირობა“ ჩაუდენია მოედანზე, რომლის გამოც მას „კილერი“ შეარქვეს. ამბობენ, რომ ცხოვრებაში ის ნორმალური, მშვიდი, მეოჯახე ბიჭია, მაგრამ საფეხბურთო ბატალიებში მონაწილეობისას რატომღაც, ყოველთვის თავს კარგავს. ამასთან, სულაც არ არის საჭირო, რომ ის მინდორზე იმყოფებოდეს: მაგალითად, თავისი ყველაზე ხანგრძლივი და გახმაურებული დისკვალიფიკაცია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას მიიღო. 2004 წლის დასაწყისში „ინტერი“ მოკრძალებულ „სიენას“ ხვდებოდა, რომლის შემადგენლობაშიც, მცველი ბრუნო ჩირილო თამაშობდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში, მატერაცი ხმამაღლა მოუწოდებდა პარტნიორებს, რომ ისინი, ბურთით თუ უბურთოდ, პირდაპირ ჩირილოზე წასულიყვნენ, რადგან მარკოს ის მეტოქეებს შორის, ყველაზე სუსტ წერტილად მიაჩნდა. რა თქმა უნდა, ჩირილოს ასეთი რამ არ ესიამოვნებოდა. მათ შორის პირდაპირი სიტყვიერი კონფლიქტი კი, მატჩის შემდეგ, მუშტი-კრივში გადაიზარდა. ორთაბრძოლაში მატერაციმ იმარჯვა, რომელმაც ჩირილოს სახე დაუსისხლიანა. ამ უკანასკნელს ბევრი აღარ უფიქრია და ცხვირპირჩამტვრეული, რამდენიმე ტელეარხის ეთერში გამოჩნდა. ამან თავისი შედეგი გამოიღო: მატერაცის რვატურიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ისე კი, ამ ინციდენტის შემდეგ, იტალიაში ჩირილოსაც ბევრი ამტყუნებდა. მას სისუსტესა და საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენის მცდელობაში ადანაშაულებდნენ.

მატერაცის მუშტები მხოლოდ ყველასათვის უცნობ ჩირილოს როდი მოხვედრია. მარკოს ერთ-ერთ მსხვერპლად, „მილანის“ ყოფილი ფორვარდი, ანდრეი შევჩენკოც ქცეულა. 2003 წელს, მილანური დერბის მსვლელობისას, მატერაციმ უკრაინელ ვარსკვლავს ყველაზე მტკივნეულ ადგილას ჩაარტყა. იმავე სეზონში შევას მარკოსაგან კიდევ არაერთხელ მოხვდა, სახეშიც კი. „კილერის“ უხეშობა საკუთარ თავზე, ინძაგის, პირლოსა და რუი კოშტასაც გამოუცდიათ.

მატერაცის მუხანათობის კიდევ ერთი მსხვერპლი — „ინტერის“ ახალბედა, ზლატან იბრაგიმოვიჩი, რომელმაც კარგად გაიგო, თუ რით განსხვავდება იტალიის სერია A სხვა ქვეყნების ჩემპიონატებისგან, — მომავალი სეზონიდან „კილერის“ გვერდით ითამაშებს.

იტალიელ ფეხბურთელს ევროსარბიელზეც გამოუჩენია თავი. დღემდე არ ავიწყდებათ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედ-ფინალში „ვილიარეალისა“ და „ინტერ-

ზიზუს თავური

ის“ მატჩის ეპიზოდი. იმ საღამოს მატერაცის სამიზნედ, ხუან პაბლო სორინი იქცა, რომელსაც სახეში იტალიელი „კილერის“ იდაყვი მოხვდა. მთავარმა მსაჯმა, ყველას გასაოცრად, ამ მომენტს ყურადღება არ მიაქცია. მას მატერაცი ყვითელი ბარათითაც კი არ დაუსჯია. არადა, საფინალო სასტვენის შემდეგ, სორინის სახიდან სისხლი სდიოდა.

შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ფაქტია: გადაჭარბებული უხეშობის მიუხედავად, მატერაცი სერია A-ში ბოლო 5 სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გააძევეს მოედნიდან. ვის უნდა ეჩვენებინა მისთვის წითელი ბარათი?.. რა თქმა უნდა მას — ერთადერთსა და განუმეორებელს, მსაჯთა კორპუსის კოლორიტ პიერლუიჯი კოლინას!.. ეს „პარმასა“ და „ინტერის“ შეხვედრის დროს მოხდა, რომელიც ფრედ (2:2) დასრულდა. გაძევება მატერაცემ არა უხეშობისთვის, არამედ საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დაიმსახურა...

ცხადია, მატერაცის საკმაო რაოდენობით ოპონენტი ჰყავს. ზიდანთან შეტაკების შემდეგ მათი რიცხვი რომ ერთი ათად გაიზრდებოდა, არც ეს უნდა გაუკვირდეს ვინმეს. მაგრამ იტალიაში ამ ეპიზოდისთვის მარკო მაინცდამაინც არ გაუკრიტიკებიათ. ბევრი სულაც მიიჩნევს, რომ ფიფა, მატერაცის უსამართლოდ მოექცა და მას არაადეკვატური სასჯელი გამოუტანა. შეგახსენებთ, რომ ზიდანს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ხოლო მარკოს — ორმატჩიანი. საინტერესოა ისიც, თუ როგორ შეხვდებიან საფრანგეთში მოედანზე მატერაცის გამოსვლას, როდესაც ამ ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს. ცხადია, ფრანგებს საძაგელი იტალიელი მცველისადმი სიძულვილის გამოხატვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში მიეცემათ, თუ მას „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ახალი მთავარი მწვრთნელი, რობერტო დონადონი შეიყვანს.

მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად

ჯერჯერობით კი, მატერაციმ მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ის კარიერას სწორედ ამ კლუბში დაასრულებს.

დისკვალიფიკაციის შესახებ მარკომ შვებულებაში ყოფნისას შეიტყო. „უმჯობესია, თუ კომენტარს არ გავაკეთებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე მსოფლიო ომი დაიწყება...“ — უთქვამს მაშინ „კილერს“. მისი სიმშვიდე ადვილი ასახსნელია: მითქმა-მოთქმა მალე მინელდება, ხოლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მას არავინ ჩამოართმევს — ისევე, როგორც სკუდეტოს, რომელიც ზაფხულის დასაწყისში „ინტერის“ თითოეულ წევრს მოულოდნელად არგუნა „ბედმა“.

მალე „ინტერი“ იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაებმება. თუ გავითვალისწინებთ, რომ „იუვე“ სერია B-ში დააქვეითეს, „მილანი“ დასუსტდა, ხოლო ლურჯ-შავმაისურიანთა გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა (მათ ვიეირა, იბრაგიმოვიჩი, კრესპო და გროსო შეუერთდნენ), „ინტერისთვის“ სკუდეტოსკენ მიმავალი გზა ფაქტობრივად, ხსნილი უნდა იყოს. ჩემპიონთა ლიგაშიც კი, მილანელებს ამჟამინდელი შემადგენლობით ნამდვილად კარგი პერსპექტივა ეშლებათ. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა ბუფონის შეძენასაც ცდილობს. ასე რომ, ორმატჩიანი დისკვალიფიკაციისა და ჯარიმის სახით 3.183 ევროს გადახდა, მარკო მატერაცის ცუდ გუნებაზე ნამდვილად არ დააყენებს. ■

„ჩელსის“ თავჯაცმა მსოფლიო ჩემპიონი თადარიგში „გადააგდო“

„ჩელსის“ ფრანგი მცველი უილიამ გალასი მთელ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გაატარებს — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ალბიონელთა პორტუგალიელმა თავჯაცმა ჟოზე მოურინიომ. საქმე ის გახლავთ, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონმა და წლევანდელი მუნდიალის ვიცე-ჩემპიონმა კლუბის ხელმძღვანელობას ხელფასის გასამმაგება (კვირაში 67-დან 170 ათას დოლარამდე გაზრდა) მოსთხოვა და ამ საკითხის გადაწყვეტამდე, აშშ-ში დაგეგმილ ტურნირზე გამგზავრებაზე უარი თქვა.

საინტერესოა, რომ კლუბის მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა გამოთქვა მზადყოფნა, ფეხბურთელის ხელფასი 143 ათას დოლარამდე გაეზარდა, მაგრამ გალასი ამან არ დააკმაყოფილა და შემდეგ მოითხოვა, რომ ის სხვა კლუბს მიჰყიდონ. ჟოზე მოურინიოს თქმით, გალასს, ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად, გუნდის წინაშე ბოდიშის მოხდა მოუწევს. მოარული ხმებით, არ არის გამორიცხული, რომ „ჩელსი“ მას, ეშლი კოულის სანაცვლოდ, ლონდონის „არსენალს“ შესთავაზებს. ■

„იუვენტუსი“ მატარეზეს დაბრკოლებას არ უქმნის...

იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ განაცხადა, რომ 2006/2007 წლების სეზონი დათქმულ დღეს — 9 სექტემბერს აიღებს სტარტს და ამას, „იუვენტუსის“ მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი ხელს არ შეუშლის. „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, A და B-სერიებში 9-10 სექტემბერს სეზონის გახსნის შესახებ და არა მგონია, ამას რაიმემ შეუშალოს ხელი. კარგად მესმის, რომ „იუვენტუსი“ საკუთარი ისტორიის მანძილზე ყველაზე დრამატულ მომენტს განიცდის და თანავუგრძნობ ტურინელებს, მაგრამ სხვა გუნდებმა რა დააშავეს?! ისინი ხომ სეზონის გახსნისთვის ემზადებიან“, — განაცხადა მატარეზემ.

აქვე დავძენთ, რომ სამოქალაქო სასამართლოს პირველი სხდომა, რომელიც განიხილავს სერია B-ში „იუვეს“ გადაყვანის გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხს, 6 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი

სასამართლო კოლეგიას თათბირი ახალი დაწყებული ჰქონდა, როდესაც კაბინეტის ზღურბლზე პროცესში მონაწილე პროკურორი, ვაჟა კენჭაძე გამოჩნდა. სასამართლო შემადგენლობის თავმჯდომარემ, თამაზ ჩაჩავამ უმალ თავი მიანება სისხლის სამართლის საქმის მასალებს, პროკურორს უკმაყოფილო მზერა მიაპყრო და თქვა:

— რით შემიძლია, გემსახუროთ?

მოსამართლის უკმაყოფილო და ამასთან ერთად ოფიციალურმა ტონმა აშკარად გააღიზიანა პროკურორი. თუმცა, მან არაფერი შეიმჩნია და შინაურულად მიუგო:

— რამდენიმე საკითხის შეთანხმება მსურს.

— სასამართლო პროცესთან დაკავშირებით? — თამაზმა სისხლის სამართლის საქმის საქაღალდეზე დააკაკუნა თითები.

— დიახ, — მოკლედ დაუდასტურა ვაჟამ.

პროკურორის პასუხი მოულოდნელი აღმოჩნდა თამაზისთვის. სასამართლო პროცესის მზადების პერიოდში, ვაჟა არაერთხელ შეხვდა მას და მათი ყოველი შეხვედრა მხოლოდ ძმები ჭელიძეების საქმეს უკავშირდებოდა — სასამართლო პროცესს, რომლის დასრულებასაც მოუთმენლად ელოდა საზოგადოება.

თამაზი თავიდანვე უარყოფითად მოეკიდა მისთვის ამ საქმის გადაცემას. ამაში სხვა ვერაფერი დაინახა, თუ არა პირადად მის წინააღმდეგ გაჩაღებული ფარული ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი. უფრო სწორად, ეს ბრძოლის დასასრულის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებდა ძმები ჭელიძეების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლის მიხედვითაც, ვერც ერთმა მოსამართლემ ვერ შეძლო საბოლოო და სამართლიანი განაჩენის გამოტანა. ამავდროულად, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ყველა საეჭვო გარემოებაზე პასუხს, რომლითაც ერთობ მდიდარი იყო სისხლის სამართლის საქმე.

აქამდე ამ გარემოებებზე ვერც ერთმა მოსამართლემ ვერ მოახერხა ამომწურავი პასუხის გაცემა. უფრო სწორად კი, თითოეულმა მათგანმა თავი აარიდა ამ გარემოებებზე ღიად საუბარს და სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მომდევნო მოსამართლეს გადაულოცა. ასე აღმოჩნდა რამდენიმე სქელტანიანი საქაღალდისგან შემდგარი სისხლის სამართლის საქმე თამაზთან. მართალია, საქმის გადაცემისას მისთვის, როგორც მოსამართლისთვის, რაიმე თხოვნით არავის მიუმართავს და არც პირდაპირი განკარგულება მიუციათ, მაგრამ მასში არსებულმა მრავალმა გარემოებამ თავისთავად მიახვედრა, რომ ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა. მისი ვარაუდი საქმის მიღებიდან მეორე დღესვე დადასტურდა, მაშინ, როდესაც მისი სამუშაო კაბინეტის კარი პროკურორმა ვაჟა კენჭაძემ შემოაღო. თამაზი პროკურორის სტუმრობას არ გაუოცებია. ის ხშირად მონაწილეობდა უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესში და აქედან გამომდინარე, ხშირად უწევდა მასთან შეხვედრა. მაგრამ იმ წუთებში თამაზი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პროკურორის სტუმრობა ძმები ჭელიძეების საქმეს უკავშირდებოდა. ეს მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა თამაზისთვის. მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ხელისუფლებას ამ მძიმე საქმის რაც შეიძლება სწრაფად და მისთვის სასურველი შედეგით დასრულება სურდა. ამისთვის სისხლის სამართლის საქმეს მხოლოდ ხელისუფლების დაკვეთით მოქმედი მოსამართლეები აწარმოებდნენ. მაგრამ სისხლის სამართლის საქმე იმდენად მდიდარი იყო ძიებისა და სასამართლო პროცესების დროს დაშვებული შეცდომებითა თუ აშკარა კანონდარღვევებით, რომ ამ მოსამართლეებმაც ვერ შეძლეს ძმები ჭელიძეებისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. მიუხედავად ამისა, პროკურატურასა და მის ზურგს უკან მდგომ ხელისუფალთ მაინც არ განელებიათ ეჭვმიტანილთათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით სასამართლო პროცესის დასრულების სურვილი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე არ უნდა მოხვედრილიყო თამაზ ჩაჩავასთან — მოსამართლესთან, რომელიც ცნობილი იყო პრინციპულობითა და დამოუკიდებლობით, — ამასთანავე, პროცესში პროკურორად ვაჟა კენჭაძის მონაწილეობით. თავის მხრივ, ვაჟა კენჭაძე „მშობლიურ“ სისტემასა და სასამართლოში ასევე სახელგანთქმულ იურისტად მიიჩნეოდა. მაგრამ ის, მოსამართლისგან განსხვავებით, სრულიად სხვაგვარი ავტორიტეტით სარგებლობდა: თამაზი და მისი მრავალი კოლეგა, რომლებსაც სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ხშირად უწევდათ მასთან ურთიერთობა, პროკურორს ხელისუფლების ნებისმიერი დაკვეთის მორჩილ აღმსრულებლად მიიჩნევდნენ. ამიტომაც თამაზს უცნაურადაც კი მოეჩვენა, ავანტიურისტად ცნობილი პროკურორის აღნიშნულ სასამართლო პროცესში ჩართვა. მოგვიანებით, მოარული ჭორიც გაიხსენა, რომლის მიხედვითაც, გენპროკურატურას უკვე მიღებული ჰქონდა აპარატიდან კენჭაძის დათხოვნის გადწყვეტილება და ამისთვის მხოლოდ შესაფერის საბაბს ელოდა. ამან მართლაც, საგონებელში ჩააგდო მოსამართლე. ამ სისხლის სამართლის საქმის მისთვის გადაცემა, ხელმძღვანელობის მხრიდან დაგებულ მახედ მიაჩნდა. თუ მართლაც ასე იყო, მაშინ გამოდიოდა, რომ კენჭაძეს იმ დეტონატორის როლი ეკისრებოდა, რომელსაც ნაღმი უნდა აემოქმედებინა და მოსამართლესთან ერთად დაღუპულიყო. თამაზის შეფასებით, საფრთხე საკმაოდ რეალური იყო. პროკურატურისა და სასამართლოს ხელმძღვანელობისთვის ხომ შესანიშნავად იყო ცნობილი, რომ ის მუშაობის სტილს არ შეიცვლიდა და ჭელიძეების პროცესს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავდა. ეს კი მთელ სისტემასა და მოსამართლეებთან მისი აშკარა დაპირისპირების ტოლფასი იქნებოდა, რაც უთუოდ მისი მარცხით დასრულდებოდა. რას მოიმოქმედებდა ასეთ ვითარებაში კენჭაძე, თამაზისთვის უცნობი იყო. მაგრამ ამასთან ერთად, ის მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ პროკურორი ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს მის ჩიხში მოქცევას. მართალია, ასეთ შემთხვევაში, კენჭაძე მასთან ერთად აღმოჩნდებოდა უფსკრულის პირას, მაგრამ პროკურორისთვის, რომლისთვისაც ხელისუფლებას უკვე გამოტანილი ჰქონდა განაჩენი, ეს გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა.

თამაზს დაახლოებით მაინც ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორი მომავალი ელოდა კენჭაძეს. მას საყვედურით დაითხოვდნენ პროკურატურიდან და სამუდამოდ აუკრძალავდნენ უწყებაში გამოჩენას. შესაძლოა, მისი საკითხით პრესა და ტელევიზიაც დაინტერესებულიყო. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ხელისუფლება, მის ხელთ არსებული ბერკეტების მეშვეობით, უახლოეს მომავალში მიავიწყებდა საზოგადოებას შერისხულ პროკურორთან დაკავშირებულ ამბავს. შემდეგ კი...

ამ პროცესების დასრულების შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლები მათთვის გაწირულ პროკურორს რომელიმე კომერციულ სტრუქტურაში გამოუნახავდნენ თავშესაფარს, იქ, სადაც ის მშვიდად იგრძნობდა თავს, მეტი შემოსავალი და საზოგადოებისა თუ პრესის თვალთახედვის არეში მოხვედრის ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა. საკუთრივ რომელ სტრუქტურაში — ეს მოსამართლისთვის სრულიად უმნიშვნელო იყო. იმ წუთებში მას სულ სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელო-

ვანი საკითხი აღელვებდა: როგორი იქნებოდა პროცესის დასრულების შემდეგ პირადად მისი მომავალი...

იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები კენჭაძის, უფრო სწორად — მისი ხელმძღვანელების სცენარით წარიმართებოდა, ის თავისთავად იქცეოდა ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებლად. არსებობდა მეორე შესაძლებლობაც. ეს იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ღია დაპირისპირება. თამაზს ეს სრულიად სამართლიან გზად ესახებოდა, მაგრამ ამ გზის არჩევის შემთხვევაში, ის დარტყმის ქვეშ მოაქცევდა რამდენიმე მოსამართლეს, რომლებიც მასზე ადრე აწარმოებდნენ ჭელიძეების საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ თამაზი არ ეთანხმებოდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ის მაინც ითვალისწინებდა ადამიანურ ფაქტორს. მას კარგად ესმოდა, რომ რიგი გადაწყვეტილებებისა მოსამართლეებს უხეში, ძალადობრივი ჩარევის შედეგად მიაღებინეს და ამიტომაც არ სურდა, უნებისყოფო კოლეგების იმ წუმპეში ჩაძირვა, რომლიდანაც ისინი ამოსვლას ველარასოდეს მოახერხებდნენ. თუმცა, მოსამართლე სხვა შესაძლებლობასაც ხედავდა. ის ვარაუდობდა, რომ ამდენი მოსამართლის შეცვლის შემდეგ, ხელისუფლება სხვა განაჩენზეც იქნებოდა თანახმა და სწორედ ამის გამო მოხვდა ეს სისხლის სამართლის საქმე მის ხელში. მაგრამ კენჭაძესთან პირველსავე შეხვედრამ დაანახვა, რომ მისი ვარაუდი მცდარი იყო. ხელისუფლება, რომელსაც ამ შემთხვევაში კენჭაძე წარმოადგენდა, არ აპირებდა უკან დახევას და სწორედ მისი ხელით გეგმავდა ძმები ჭელიძეების დასამარებას.

— დილა მშვიდობისა, ბატონო თამაზ, — მეგობრული ტონით წამოიწყო პროკურორმა, შემდეგ, მიპატიჟების გარეშე, მიუჯდა მაგიდას და სახეში მიაშტერდა მასპინძელს.

— გამარჯობათ, — ცივად დაუბრუნა სალამი თამაზმა, რომელსაც დაუპატიჟებელ სტუმრობაზე მეტად, პროკურორის, მოხარშული თევზის მსგავსი, გადმოკარკლული და უზომოდ დიდი თვალები აღიზიანებდა.

— დღეს დილით შევიტყვე, რომ ახალი საქმე მიგიღიათ წარმოებაში. სწორედ ამის თაობაზე გესტუმრეთ. ოღონდ, არ ვიცი, მოგილოცოთ თუ თანაგრძნობა გამოვხატო, — უცვლელი ტონით განაგრძო კენჭაძემ.

— ჭელიძეების საქმეს გულისხმობთ? — კითხვა დაუბრუნა თამაზმა.

— დიახ, — დაუდასტურა პროკურორმა.

— მაშინ მისამართი შეგშლიათ, — მოიღრუბლა თამაზი, — ეს ჩემი ყოველდღიური სამუშაოა და ამაში ვერაფერს ვხედავ სასიხარულოს და, მით უმეტეს, საწყენს!..

— მე კი სრულიად სხვა წარმოდგენა მაქვს ამ საქმეზე, — მშვიდად შენიშნა კენჭაძემ.

— საინტერესოა... მაინც რისთვის გაღელვებთ საქმე, რომელთანაც არაფერი გაკავშირებთ? — გაიკვირვა თამაზმა.

— სამწუხაროდ, მაკავშირებს... — კენჭაძემ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — როგორც ჩანს, ძალიან მოვაბეზრეთ თავი ჩვენს ხელმძღვანელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე არც ერთს არ გაგვწირავდნენ!..

— ესე იგი...

— დიახ... — არ დაასრულებინა კენჭაძემ. — ჩვენ ერთად მოგვიწევს ამ პროცესის წარმართვა!..

— პირადად მე, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, — ჩაილაპარაკა თამაზმა.

— არა მგონია, რომ ასე გულგრილად ეკიდებოდეთ საკუთარ კარიერას, — ფრთხილად შეაპარა პროკურორმა.

— კარიერას?.. — გაუკვირდა თამაზს, — რა შუაშია ჩემი კარიერა?!

— მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, — შესთავაზა კენჭაძემ.

— დიდი ინტერესით მოგისმენთ, — დაეთანხმა თამაზი.

— მაშინ, პირდაპირ დაგისვამთ კითხვას: როგორი იქნება თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება?.. — ჰკითხა კენჭაძემ.

— კითხვა ნაჩქარევი მეჩვენება!.. — მოიღრუბლა თამაზი. — ყველაფერი სასამართლო პროცესზე გაირკვევა — მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთად შევისწავლით და სამართლებლივ შეფასებას მივცემთ თქვენი კოლეგების მიერ მოპოვებულ მონაცემებს!.. — დაასრულა მოსამართლემ.

— გამოდის, რომ თქვენ არ გსურთ გულახდილი საუბარი. მე კი იმედი მქონდა, რომ თავიდანვე გავუგებდით ერთმანეთს... — მოჩვენებითი გულისტკივილით თქვა კენჭაძემ.

— ესე იგი, ჩემი გულწრფელობის იმედი გქონდათ? — ჰკითხა თამაზმა.

— დიახ, — სწრაფად დაუდასტურა ვაჟამ.

— მაშინ, მე გულახდილ პასუხს გაგცემთ, მაგრამ სანაცვლოდ, თქვენგანაც იმასვე მოვითხოვ, — თვალი თვალში გაუყარა თამაზმა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა კითხვაზე გიპასუხებთ, — გამოცოცხლდა პროკურორი.

— თქვენს კითხვაზე კი, მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შემიძლია: ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ანუ ძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებსა და აი, ამ სახელმძღვანელო დოკუმენტზე! — თამაზმა სისხლის სამართლის კოდექსს დაადო მარჯვენა და კვლავ პროკურორს შეხედა. — ახლა კი, თქვენგან ველი გულახდილობას!..

— რა გაინტერესებთ? — ჰკითხა კენჭაძემ.

— პირდაპირ მითხარით: რას ნიშნავს თქვენი სტუმრობა?

— თქვენ უკვე გაეცანით საქმის მასალებს? — პროკურორმა სწრაფი მზერა ესროლა სქელ საქაღალდს.

— ჩათვალეთ, რომ გავეცანი.

— ესე იგი, თავადაც ხვდებით, რომ საბოლოო განაჩენზე ძალიან ბევრი ადამიანის ბედია დამოკიდებული.

— განსასჯელებს გულისხმობთ?

— არა... მე მგონი, თავადაც ხვდებით, რომ მათი მომავალი უკვე გადაწყვეტილია! — ცივად შენიშნა კენჭაძემ.

— ვინ გადაწვიტა მათი ბედი? — დაინტერესდა თამაზი.

— ჩვენ!

— ვინ, ჩვენ? მე და თქვენ?!

— საზოგადოებამ!.. — მკაფიოდ წარმოთქვა პროკურორმა. — სისხლის სამართლის დამნაშავე ვერ იცხოვრებს ჩვენ გვერდით! — ასეთია საზოგადოებრივი დაკვეთა და იმავეს მოითხოვენ ჩვენგან ხელისუფლება და პრეზიდენტი!..

პროკურორის უგერგილო მონოლოგმა სიცილი მოჰგვარა თამაზს.

— რა ვთქვი სასაცილო?! — მოიღრუბლა კენჭაძე.

— უმორჩილესად გთხოვთ, შეწყვიტოთ ეს პროპაგანდა და პირდაპირ მითხრათ: მაინც ვისი მომავალია დამოკიდებული ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაზე? — იკითხა თამაზმა.

— კეთილი, — დაეთანხმა კენჭაძე, — მაშინ, პირდაპირ გეტყვით, რომ პროცესის საბოლოო შედეგზე დამოკიდებულია თქვენი მომავალი და კეთილდღეობა!..

— აღარ მიმაჩნია მიზანშეწონილად ამ საუბრის გაგრძელება!.. — დაუფარავი ბრაზით მოსხიპა თამაზმა, რითაც თანამოსაუბრეს აგრძნობინა, რომ მისი წასვლის დრო იყო. — თანაც, იმაზე ბევრად მეტი დრო დაგითმეთ, ვიდრე ვგეგმავდი!..

— მაპატიეთ, მნიშვნელოვან საქმეს თუ მოგაცდინეთ, მაგრამ ვიდრე ბოლომდე არ გეტყვით სათქმელს, ვერ დაგემშვიდობებით, — მშვიდად ჩაილაპარაკა კენჭაძემ.

— ნახვამდის, — სწრაფად დაუბრუნა თამაზმა და სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიუბრუნდა.

— მაპატიეთ, ბატონო თამაზ, მაგრამ მე ახლა მაქვს ჩემი შეხედულებების გამოთქმის საშუალება, შემდეგ უკვე გვიან იქნება...

— რისი თქმა გსურთ?

— მე კარგად გიცნობთ და ისიც ვიცი, თუ როგორი იქნება თქვენი პოზიცია ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მაგრამ მაინც უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენც არა ხართ შეუმცდარი მოსამართლე. ამიტომაც გირჩევთ, კარგად გადახედოთ საკუთარ წარსულს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ! — მკაცრად ისროლა კენჭაძემ.

თამაზმა ზიზღით სავსე მზერა ესროლა პროკურორს. ის წესების დარღვევით თამაშს იწყებდა და რამდენიმე თვის წინ მომხდარ უსიამოვნებას ახსენებდა. საქმე მის მიერ გამოტანილ მცდარ განაჩენს ეხებოდა, რომელიც მოგვიანებით, ზემდგომი კოლეგიის მიერ იქნა გაუქმებული. მართალია, განაჩენი ძალაში არ შესულა და აქედან გამომდინარე, განსასჯელის ინტერესები არ შელახულა, მაგრამ მცდარი განაჩენი მაინც იქცა განხილვის საგნად, რამაც თამაზს მრავალი უსიამოვნება მოუტანა. მას მოუწია იმის მტკიცებამ, რომ შეცდომა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მოწმეების მიერ მიცემული მცდარი ჩვენებებით იყო გამოწვეული, რაშიც დაინტერესებული იყო ბრალდების მხარეც. ჩახლართული საქმის მოკვლევა რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. თამაზი გრძნობდა თავის დანაშაულს და პასუხისგებისთვისაც მზად იყო. მაგრამ მისდა გასაოცრად, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ამასაც პროკურატურის დაინტერესებამ შეუწყო ხელი. მოკვლევის მასალებიდან გამომდინარე, თამაზს

მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა. სამაგიეროდ, ბევრად რთულად იდგა პროცესში მონაწილე პროკურორისა და ცრუმოწმეების საკითხი. მათ საბრალდებო სკამზე მოხვედრა ემუქრებოდათ. ეს კი თავად პროკურატურამ არ დაუშვა. საბოლოოდ, ყველაფერი გარიგებით დასრულდა. პროკურატურის ხელმძღვანელობამ თამაზს, დუმილის სანაცვლოდ, ყველაფრის დავიწყება შესთავაზა... პირადად თამაზი წინააღმდეგი იყო ასეთი გარიგებისა და არც მოსალოდნელი სასჯელი აშინებდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაინც მიაღებინა პროკურატურისთვის სასურველი გადაწყვეტილება: საქმე ის იყო, რომ მისი უარის შემთხვევაში, პროკურატურა ახალი ძალით გააგრძელებდა ბრძოლას და საბოლოოდ, მაინც შეძლებდა, განსასჯელის ხარჯზე მისი მომხრეების დაცვას, ამას კი, უდანაშაულო ადამიანის გასამართლება და პატიმრობა მოჰყვებოდა. სწორედ ამიტომ მიიღო თამაზმა პროკურატურის პირობები. შეთანხმების შემდეგ, მისი და პროცესში მონაწილე სხვა პირების მიმართ მოკვლევა შეწყდა, განსასჯელი კი, ცოტა ხანში გაათავისუფლეს... თამაზი თითქოს კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ასეთი დასასრულით, მაგრამ ამ შემთხვევას საკუთარი კარიერისთვის სამარცხვინო ლაქად მიიჩნევდა და მისი შეხსენებაც ყოველთვის განსაკუთრებით აღიზიანებდა.

— მე არ მაშინებს საკუთარი წარსული!.. — ცივად გამოცრა თამაზმა.

— მე კი მგონია, რომ გაშინებთ და ამას თქვენი აღელვება მოწმობს... — მშვიდად შენიშნა პროკურორმა.

— არა, მე არ ვღელავ, უბრალოდ, ვღიზიანდები... მაგრამ ყოველივე ეს, მაინც არაფრით უკავშირდება ჭელიძეების საქმეს და ის შემთხვევა ვერაფრით იმოქმედებს ჩემს გადაწყვეტილებებზე!..

— საწყენია... თქვენგან განსხვავებით, მე კარგად ვარ განწყობილი თქვენ მიმართ და ამიტომაც არ მსურს იმ საქმის წარმოებაში დაბრუნება!..

— საბედნიეროდ, ეს თქვენს კომპეტენციაში არ შედის!.. — ბრაზიანად მიუგო თამაზმა.

— საუბედუროდ, ბატონო თამაზ, საუბედუროდ... ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს...

— რას მოიმოქმედებდით ასეთ შემთხვევაში? — არ დაასრულებინა თამაზმა.

— მარტივ და ყველასათვის მისაღებ გადაწყვეტილებას მივიღებდი... — აუჩქარებლად უპასუხა პროკურორმა. — ამ ამბავს განაჩენით დავუსვამდი წერტილს და დამნაშავეებს კოლონიაში გამოვეტავდი!..

— სხვათა შორის, მეც სწორედ ასე დავასრულებ ამ ამბავს, — შენიშნა თამაზმა.

პროკურორმა სწრაფი მზერა ესროლა თანამოსაუბრეს, შემდეგ კი ღიმილით დაუმატა:

— მაშინ, რაღაზე ვდაობთ, ბატონო თამაზ? მე ხომ სხვას არაფერს გთავაზობთ!..

— ვერაფერს ვხედავ სადავოს, მაგრამ თქვენს შემოთავაზებასაც ვერ მივიღებ!

— როგორ?.. — გაიკვირვა კენჭაძემ. — განა, ახლა არ ბრძანეთ: განაჩენით დავასრულებ საქმესო?!. მე სხვა არაფერი შემომთავაზებია თქვენთვის!

— მე არ მითქვამს, რომ სასამართლოს თქვენთვის სასურველი განაჩენით დავასრულებ!..

— მაშინ, როგორი იქნება თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება? — დაიძაბა პროკურორი.

— ამას სასამართლო დარბაზში შეიტყობთ, — უპასუხა მოსამართლემ.

— ბატონო თამაზ, ნუ გადააყოლებთ კარიერას იმ ცხვირმოუხოცავ ღლაპს!.. — დამრიგებლური ტონით ჩაილაპარაკა პროკურორმა.

— ვის გულისხმობთ?

— ჭელიძეების ადვოკატს, ანა მდივანს!..

მთელი საუბრის განმავლობაში, კენჭაძემ პირველად ახსენა პასუხისგებაში მიცემული ძმების ახალგაზრდა ადვოკატი და ამასთან ერთად, მოსამართლეს აგრძნობინა, რომ მის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი. თამაზს ეს სრულიად არ ეუცნაურა: მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ პროკურატურას ნამდვილი ომი ჰქონდა გამოცხადებული ახალგაზრდა ადვოკატისთვის. მაგრამ მის გაოცებას მხოლოდ ერთი გარემოება იწვევდა — ის, თუ როგორ შეძლო ახალგაზრდა ადვოკატმა პროკურატურის იმ შემოტევების მოგერიება, რომლებსაც ვერაფერი დაუპირისპირა მრავალმა გამოცდილმა მოსამართლემ.

— ვგონებ, თქვენც უარყოფითად აფასებთ ამ ავანტიურისტი ქალბატონის მოღვაწეობას... — შემპარავი ხმით განაგრძო პროკურორმა. — მან ხომ ეჭვქვეშ დააყენა რამდენიმე მოსამართლის პატიოსნება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არც თქვენ წინაშე დაიხევს უკან!..

— მე მგონი, ეს საკითხი თქვენ და თქვენს კოლეგებს უფრო უნდა გაღელვებდეთ, — შენიშნა მოსამართლემ.

— ცეცხლს ეთამაშებით!.. — მოიღრუბლა პროკურორი.

— მე იმაზე მეტი დრო დაგითმეთ, ვიდრე შესაძლებელი იყო... — ცივად მიუგო თამაზმა და სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიუბრუნდა.

— წარმატებას გისურვებთ, ბატონო თამაზ!.. — ბრაზნარევი ხმით ისროლა საუბრის დასრულებით უკმაყოფილო კენჭაძემ და სასწრაფოდ დატოვა მოსამართლის კაბინეტი.

თამაზს არაფრით იზიდავდა კენჭაძესთან, სასამართლო პროცესის დაწყებამდე საუბარი. მაგრამ გრძნობდა, რომ სხვანაირად თავიდან ვერ მოიშორებდა. ამიტომაც თათბირი შეწყვიტა, სისხლის სამართლის საქმე გვერდზე გადადო და პროკურორს სკამი შესთავაზა.

— შემიძლია, სულ რამდენიმე წუთი დაგითმოთ, — განაგრძო თამაზმა, როგორც კი კენჭაძე მის პირდაპირ დაჯდა.

— ბევრ დროს არ წაგართმევთ, მაგრამ — ერთი პირობით, — უპასუხა პროკურორმა.

— რა პირობით? — უმალ მოიღუშა მოსამართლე.

— თქვენთან პირისპირ საუბარი მსურს, — უთხრა კენჭაძემ.

— ჩემს კოლეგებთან დასამალი არაფერი მაქვს!.. — დაუფარავი ბრაზით მიუგო მოსამართლემ.

— არც მე... ყოველივე იმას, რასაც აქ ვიტყვი, სასამართლო დარბაზში დამსწრეთა წინაშეც გავიმეორებ. მაგრამ ახლა პირისპირ მსურს საუბარი, — გაჯიუტდა კენჭაძე.

— მე არ ვთხოვ კოლეგიის წევრებს თათბირის დატოვებას, — მაინც არ დაუთმო თამაზმა.

— მაშინ, მე ვთხოვ...

მოსამართლეს მისი შეჩერება და კაბინეტიდან დაუყოვნებლივ გაძევება სურდა. მაგრამ ვიდრე რაიმის თქმას მოასწრებდა, პროკურორმა სწრაფი მზერა ესროლა კოლეგიის წევრებს. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მათთვის:

— ისაუბრეთ... ჩვენ ხელს არ შეგიშლით, — სწრაფად ჩაილაპარაკეს კოლეგიის წევრებმა და სკამებიდან წამოიწიეს.

— ადგილებზე დარჩით! — მკაცრად თქვა თამაზმა, შემდეგ პროკურორს მიუბრუნდა, გამჭოლი მზერა მიაპყრო და დაამატა: — ჩემს სამუშაო კაბინეტში არავის მივცემ განკარგულებების გაცემის ნებას! ახლა კი ბრძანეთ, რისთვის გსურდათ ჩემთან შეხვედრა ან ახლავე დატოვეთ ჩემი კაბინეტი!

კოლეგიის წევრებმა ხმის ამოუღებლად შეასრულეს თავმჯდომარის განკარგულება, სკამებზე კვლავ დაეშვნენ და თვალები დახარეს. თამაზი მათგან სხვას არც არაფერს მოელოდა. სამაგიეროდ, გააოცა კენჭაძის ქცევამ. როგორც წესი, პროკურორი არასოდეს უშვებდა ხელიდან მასთან შეკამათების შესაძლებლობას. მაგრამ ამჯერად, არნახული სიმშვიდით მიიღო მოსამართლის მკვახე ტონი და დამორჩილება ამჯობინა:

— კეთილი, ბატონო თამაზ. მაშინ, თქვენი კოლეგების თანდასწრებით გეტყვით სათქმელს. — კენჭაძემ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — ნახევარ საათში სასამართლო პროცესის პირველი სხდომა შედგება...

— თუ მხოლოდ ამის სათქმელად მეწვიეთ, შემიძლია გიპასუხოთ, რომ ფუჭად დაგიხარჯავთ დრო — ეს მეც კარგად ვიცი, — დამცინავი ტონით მიუგო მოსამართლემ.

— ბატონო თამაზ, დღეს პირველი სხდომა შედგება და მე მაინტერესებს, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეთ, — თქვა კენჭაძემ.

პროკურორის მიერ დასმულმა კითხვამ მართლაც, გააოცა და ამასთან ერთად, გააღიზიანა მოსამართლე. მისთვის ნათელი გახდა, რომ იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კოლეგია განიხილავდა, მისმა კოლეგებმა აცნობეს პროკურორს. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ ჭელიძეების საქმით პროკურატურა და სასამართლო ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული და ახლა ყველა მისგან ელოდა სასურველ გადაწყვეტილებას.

— რა იცით ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ? — მოკლე პაუზის შემდეგ იკითხა თამაზმა.

— მხოლოდ ის, რომ თქვენ არ აპირებთ ჩვენი ინტერესების გათვალისწინებას, — უპასუხა პროკურორმა.

— ასე გაცნობეს ჩემმა კოლეგებმა?! — თამაზმა დამცინავი მზერა ესროლა კოლეგიის წევრებს.

— თქვენი კოლეგები აქ არაფერ შუაში

C M Y K

არიან. მე ისედაც შევძელი თქვენი გადაწვეტილების წინასწარ განჭვრეტა.

— გამოდის, რომ აღარაფერი გვქონია სალაპარაკო, — უპასუხა მოსამართლემ.

— გვაქვს, ბატონო თამაზ, გვაქვს... ახლა ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

— მაშინ თქვენ თვითონ მითხარით, რა გსურთ ჩემგან? — ჰკითხა თამაზმა.

— მხოლოდ ერთი რამ: ყველასათვის მისაღები განაჩენი... — ერთი ამოსუნთქვით თქვა კენჭაძემ.

— ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამაზე, — წინა შეხვედრები შეახსენა თამაზმა, — არ გაკმაყოფილებთ ჩემი მაშინდელი პასუხი?

— არა... და თვითონაც შესანიშნავად ხვდებით, რომ ჩემი ხელმძღვანელობა ვერასოდეს შეურიგდება სხვა განაჩენს.

— ამაზე თავის დროზე უნდა გეზრუნათ, — შენიშნა თამაზმა.

— მე და თქვენ ერთმანეთის მსგავს მდგომარეობაში ვიმყოფებით. საქმე სხვებმა გააფუჭეს და ახლა ჩვენ გვიწევს მათი შეცდომების გამოსწორება.

— ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე შეცდომასთან არა გვაქვს, — ჩაილაპარაკა თამაზმა.

— შესაძლოა, მაგრამ ამას აღარ აქვს მნიშვნელობა.

— აქვს და მე სწორედ ამ გარემოებებზე გავამახვილებ ყურადღებას.

— ეს მძიმე შედეგებს მოგვიტანს, — ამოიოხრა კენჭაძემ.

— თქვენ მოგიტანთ!..

— არა, ბატონო თამაზ. პროცესი თქვენთვისაც მძიმე შედეგით დასრულდება, — ამ სიტყვებთან ერთად, კენჭაძე მოსამართლისკენ გადაიხარა და ჩურჩულით დაასრულა: — არავინ მოგცემთ პროკურატურისთვის მიუღებელი გადაწყვეტილების გახმოვანების საშუალებას!..

— მემუქრებით?! — შუბლი შეიკრა თამაზმა.

— როგორ გეკადრებათ?! — კენჭაძე კვლავ სკამზე გასწორდა. — უბრალოდ მსურს, თქვენც და საკუთარ თავსაც მრავალი უსიამოვნება ავაცილო. თანაც გაითვალისწინეთ, რომ ამ გზით თქვენივე კოლეგების დაცვასაც შეძლებთ.

თამაზი ჩაფიქრდა. მართალია, ის უარყოფითად იყო განწყობილი კენჭაძის მიმართ, მაგრამ თავადაც ხვდებოდა, რომ პროკურატურა არ მისცემდა ჭელიძეებისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საშუალებას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა დასრულებულიყო სასამართლო პროცესი?.. ის ხომ უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. თუნდაც, 17 ან 20 წელიწადი — ანუ საპატიმრო ვადა, რომელიც რეალურად ემუქრებოდათ პასუხისგებაში მიცემულ ძმებს!.. რა თქმა უნდა, ეს არარეალური იყო. ასეთ შემთხვევაში კი, პროკურატურას უნდა ჰქონოდა გარკვეული გეგმა, რომლის ამოქმედებაც მხოლოდ თამაზის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. იმის განსაზღვრა, თუ რაში მდგომარეობდა ეს გეგმა, ახლა შეუძლებელი იყო, თანაც, მოსამართლეს საამისო დროც არ ჰქონდა: პროცესი ოციოდე წუთში უნდა დაწყებულიყო, მის კაბინეტში მყოფი პროკურორი კი, ახლავე ითხოვდა პასუხს.

— კეთილი... — მოსამართლე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიუბრუნდა კენჭაძეს. — მე არ მოგიწყობთ გილიოტინას!..

— ესე იგი... — კმაყოფილი იერით დაიწყო კენჭაძემ.

— მაგრამ პროკურატურის დამსჯელ იარაღადაც არ გადავიქცევი!.. — არ დაასრულებინა თამაზმა.

— რისი თქმა გსურთ? — კენჭაძე ისევ დაიძაბა.

— მე მოგცემთ უხერხული მდგომარეობიდან საგამოძიებო სამსახურისა და პროკურატურის გამოყვანის შესაძლებლობას.

— როგორ? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა კენჭაძემ.

— თქვენ თავად მოითხოვთ სისხლის სამართლის საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნებას, რის შემდეგაც, თავად აღმოფხვრით ყველა ხარვეზს და ბრალდებულებს გაათავისუფლებთ!.. — მბრძანებლური ტონით წარმოთქვა მოსამართლემ.

— ეს შეუძლებელია, ბატონო თამაზ!.. — მიუგო კენჭაძემ.

— რატომ? პროკურატურისთვის, მუნდირის ღირსება, საპატიმროში ორი ახალგაზრდის უსამართლოდ გამოკეტვაზე უფრო მაღლა დგას?! — ბრაზით ისროლა თამაზმა.

ცივი ტონით შეცბუნებულმა პროკურორმა მზერა აარიდა თამაზს და ისე ჩაილაპარაკა:

— ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი.

— მაშინ, რატომ იმყოფებიან ჭელიძეები საბრალდებო სკამზე?! — გაიკვირვა მოსამართლემ.

— ჩვენ მართლა ვიმსჯელეთ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე, მაგრამ ამის საშუალებას მათი ადვოკატი არ გვაძლევს, — უპასუხა პროკურორმა.

— როგორ?! — დაიბნა თამაზი. — მდივანი, ჭელიძეების გათავისუფლების წინააღმდეგია?!

— არა... მაგრამ როდესაც ჭელიძეების უხმაუროდ გათავისუფლება და საქმის შეწყვეტა შევთავაზეთ, მან ძიებისა და პროკურატურის ყველა იმ წარმომადგენლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა, რომელიც ამ საქმეში იყო ჩართული, — ამოიოხრა კენჭაძემ.

— და თქვენც უარი თქვით ჭელიძეების გათავისუფლებაზე და სასამართლო გზით გადაწყვიტეთ ადვოკატთან ბრძოლა?!

— დიახ, — დაუდასტურა პროკურორმა.

— ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო!..

— გეთანხმებით... მაგრამ ეს გადაწყვეტილება მე არ მიმიღია.

— თუმცა, პასუხისგება მაინც მოგელით, — შენიშნა მოსამართლემ.

პასუხად კენჭაძემ სწრაფი მზერა ესროლა, შემდეგ კი, გაუბედავად დაამატა:

— თქვენი წინადადება ძალაში რჩება?

— სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით? — ჰკითხა თამაზმა.

— არა... ჩვენთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

— რა გსურთ? — ჰკითხა თამაზმა.

— შესაძლოა, მდივანი საერთოდ არ გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ასეთ შემთხვევაში...

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მდივანზე ერთი თავდასხმა უკვე მოხდა. ის მძიმედ დაშავდა, მაგრამ მაინც არ მიატოვა საქმე...

— მართალი ბრძანდებით, — დაუდასტურა პროკურორმა.

— თქვენ რა, იმავეს გამეორებას ხომ არ აპირებთ? — ცივად იკითხა მოსამართლემ.

— ბატონო თამაზ, მე პროკურორი ვარ და არა — თავდამსხმელი!.. — გაღიზიანდა კენჭაძე.

— მაშინ, რით ასკვნით, რომ ადვოკატი პროცესს არ დაესწრება? — გაუკვირდა მოსამართლეს.

— ჩემთვის ცნობილია, რომ ის ავად არის.

— და თქვენ იმედი გაქვთ, რომ მას სხვა ადვოკატით ჩაანაცვლებთ და მე თქვენთვის სასურველი განაჩენის გამოტანაზე დამითანხმებთ?

— არა... თქვენგან განაჩენის იმედი აღარ მაქვს. მაგრამ იქნებ, თქვენ თავად გამოგეტანათ, საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების დადგენილება?..

— რომელსაც თქვენ გააპროტესტებთ?!

— დიახ, — დაუდასტურა კენჭაძემ.

— არა!.. — თავი გაიქნია თამაზმა. — ჩემგან რევერანსების მოლოდინი ნუ გექნებათ.

— ესე იგი, მაინც ჩემგან მოითხოვთ საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნებას? — აუჩქარებლად ჰკითხა კენჭაძემ.

— დიახ... ეს ერთადერთი შეღავათია, რომლის მოცემაც შემიძლია. ამასთან ერთად, გაფრთხილებთ, რომ თუ თქვენ არ გააკეთებთ ამას, საქმეს მე დავასრულებ, მაგრამ — თქვენთვის სრულიად მოულოდნელი განაჩენით... და კიდევ ერთი: ადვოკატის ავადმყოფობაზეც ნუ ააგებთ რაიმე გეგმას. ჩემთვის საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ დაიცავს ჭელიძეების ინტერესებს. ადვოკატის სხდომათა დარბაზში ყოფნა ან არყოფნა არაფრით აისახება ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაზე!.. — სიტყვის დასრულებისთანავე, თამაზი საქმის მასალებს მიუბრუნდა, რითიც პროკურორს აგრძნობინა, რომ მისთვის დათმობილი დრო ამოწურული იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადამიანთა ცოდვების სიმძიმით გაწყვეტილი, სვეტიცხოველსა და ჯვარს შორის გაბმული ჯაჭვი

შორენა მერკვილაძე

ჯვრის მონასტერი საქართველოს დედაქალაქის — მცხეთის აღმოსავლეთით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმართულ მთაზე მდებარეობს. იგი დაარსებულია VI საუკუნის მეორე ნახევარში. ისტორიული წყაროების მოწმობით, VI საუკუნეში, ქართლის ერისთავმა გუარამ დიდმა მცხეთის ახლოს მდებარე მთაზე „დადვა საფუძველი პატიოსანისა ჯუარისაი“ — მცირე ეკლესიისა. სწორედ ამ ადგილას 545-586 წლებში, გუარამის ღვაწლით აიგო პატარა ეკლესია — ჯვრის მცირე ტაძარი, მთაზე აღმართული სასწაულმოქმედი ხის ჯვრის გვერდით, რომელიც IV საუკუნის 40-იან წლებში ქართველთა განმანათლებელს — წმინდა ნინოს აღუმართავს.

IV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც საქართველოს იმჟამინდელმა მეფე მირიანმა თხოთის მთაზე ნადირობისას მომხდარი სასწაულის შემდეგ კაპადოკიელი ქალწულის — წმინდა ნინოს მიერ ქადაგებული ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა, თავად ეახლა წმინდა ქალწულს, მის წინაშე ხმამაღლა აღიარა ჭეშმარიტება და სთხოვა — ეკლესიის სახე ეჩვენებინა, რათა ღვთის სადიდებლად ტაძარი აეგო...

მირიან მეფის ბრძანებით, მცხეთის სამეფო ბაღში ორი პატარა ეკლესია ააგეს: პირველად ეკლესია მაყვლოვანში ააშენეს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე (იმ ადგილას, სადაც ამჟამად სამთავროს დედათა მონასტერია) და მას ზემო ეკლესია ეწოდა. შემდეგ, მცხეთის სამეფო ბაღში, უფლის კვართზე ამოზრდილი საკვირველი კვიპაროსის ხე მოჭრეს, მთავარ სვეტად გაამზადეს და უფლის სახელზე მეორე ქრისტიანული ტაძარი — ქვემო ეკლესია (სვეტიცხოველი) ააგეს.

ეკლესიების მშენებლობის დასრულების შემდეგ, წმინდა ნინოს თხოვნით, მეფე მირიანმა მოციქულები წარგზავნა საბერძნეთში, იმპერატორ კონსტანტინე დიდთან და სთხოვა — საქართველოში ღვთისმსახურები და მოძღვარნი გამოეგზავნა. კონსტანტინე დიდმა სიყვარულითა და პატივით მიიღო მირიან მეფისგან წარგზავნილი მოციქულები და საქართველოში მღვდლებთან და დიაკვნებთან ერთად, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე მართლმადიდებელი მამა — ანტიოქიის პატრიარქი ევსტათიც წარმოგზავნა, თან ქრისტეს რჯულს ახალშემდგარ ქართველთა მეფეს და ერს, საჩუქრად უძღვნა უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები — ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი (კვარცხლბეკი — ფიცარნი, რომელზეც მიმსჭვალული იყო ჯვარცმული მაცხოვრის ფეხები) და ორი სამსჭვალი, რომლითაც მიალურსმეს ჯვარზე უფალი იესო ქრისტე. ანტიოქიის პატრიარქმა მცხეთის სამეფო ბაღში აგებული ეკლესიები აკურთხა. მტკვრისა და არაგვის შესართავთან მოინათლა მირიან მეფე, ანა დედოფალი, დიდებულნი და მათთან ერთად, კიდევ მრავალი წარმართი. ქრისტიანულ რჯულზე მოქცეულ ქვეყანას ეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი განუწესა, ასწავლა საეკლესიო და საღვთისმსახურო წესები და კვლავ უკან გაბრუნდა.

ამის შემდეგ, წმინდა ნინო მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთაზე ავიდა და იქ განმარტოვდა. ძირითადად დროს ლოცვაში ატარებდა. მისი ლოცვით, კლდის ძირში სასწაულებრივად აღმოცენდა წმინდა წყარო, რომლის სიახლოვესაც ერთი საკვირველი, სურნელოვანი ხე იდგა, რომელიც იმ ადგილას უხსოვარი დროიდან მდგარა. ხე თურმე ზამთარ-ზაფხულ ფოთლებით ყოფილა შემოსილი. მისი ფოთლებით სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირები იკურნებოდნენ. საკვირველი ხის შესახებ ეპისკოპოს იოანეს შეუტყვია: „ღმერთმა დასაბამიდანვე თავის სამსახურად განამზადა ეს ქვეყანა და ეს ხეც ამჟამისათვის აღმოაცენა. რადგანაც ახლა მოეფინა ღვთის მადლი ქართლს, ჯვარცმული უფლის სადიდებლად მისგან ჯვრები შევქმნათ“, — უთქვამს მას.

ეპისკოპოსის კურთხევით, მირიან მეფის ძე — რევი თანმხლებ პირებთან ერთად, მცხეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთაზე ავიდა, საკვირველი ხე მოჭრეს, რტოებიანად წამოასვენეს და ქვემო ეკლესიის (სვეტიცხოვლის) სამხრეთ ნაწილში დასვენეს. ოცდაჩვიდმეტი დღის მანძილზე ხეს ფოთლები არ დასცვენია, მათ არც ფერი შესცვლიათ. შემდეგ მისგან სამი ჯვარი გამოუკვეთავთ და ეკლესიაში აღუმართავთ.

სვეტიცხოვლის ტაძარში ჯვრების აღმართვის შემდეგ, მცხეთელები რამდენიმე დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ჩვენებას ხედავდნენ: ღამით, ეკლესიას, თავზე ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა და გამთენიამდე კიაფობდა. განთიადისას ვარსკვლავებს ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა, ერთი აღმოსავლეთის მხარეს მიემართებოდა, მეორე — დასავლეთისკენ და უჩინარდებოდნენ. ცეცხლოვანი ჯვარი კი მდინარე არაგვის გაღმა გადიოდა, მცირე ხნით წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულ წყაროსთან, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა, შემდეგ ზეცად ამაღლდებოდა და უჩინარდებოდა.

მირიან მეფემ წმინდა ნინო იხმო და სასწაულის ახსნა სთხოვა: ამ სასწაულით უფალი საკვირველმოქმედი ხისგან გამოკვეთილი ჯვრების აღსამართ ადგილებს მიგვანიშნებს — უთხრა მან. წმინდანმა კეთილმსახურ მეფეს სთხოვა: აღმოსავლეთით და დასავლეთით, საითაც ვარსკვლავები მიემართებოდნენ, ხალხი დაეგზავნა, რათა გამოეძიებინათ — სად ჩერდებოდნენ ისინი. მეფე წმინდა ნინოს თხოვნისამებრ მოიქცა და მალევე გაირკვა, რომ აღმოსავლეთის მიმართულებით წასული ვარსკვლავი თხოთის მთას ადგებოდა, სადაც მირიან მეფემ ჭეშმარიტი უფალი ირწმუნა, მეორე, კახეთში — დაბა ბოდისში (ბოდბე) ჩერდებოდა, სადაც წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა და ამქვეყნიური ცხოვრება უნდა დასრულებულიყო. ამის შესახებ წმინდანმა წინასწარ უწყოდა. ამიტომ, როდესაც მირიან მეფესთან ჯვრების აღმართვასთან დაკავშირებით საუბრობდა, უთქვამს: „წაიღეთ ერთი ჯვარი და თხოთს აღმართეთ, სადაც ღმერთმა თავისი ძალა გაგიცხადათ, ხოლო მეორე — მეფეთა ქალაქ უჯარმაში, რადგან ბოდბე წინ არ აღუდგება ხალხმრავალ მეფეთა ქალაქს, ხოლო ბოდბეს, ღვთის სათნო ადგილს, თვითონ ვიხილავ“. მართლაც, აღმართეს ორი ჯვარი თხოთის მთაზე და უჯარმას, მესამე კი, წმინდა ნინომ იოანე ეპისკოპოსის სამეფო კარისა და ურიცხვი ხალხის თანხლებით, მცხეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთაზე წააბრძანა — მთელი ღამე მუხლმოყრილი ლოცულობდნენ პატიოსანი ჯვრის წინაშე წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულ წყაროსთან, იქ, სადაც სვეტიცხოვლის ტაძრის თავიდან წარმომართული ცეცხლოვანი ჯვარი ჩერდებოდა ზეცად ამაღლებამდე...

დილით წმინდა ნინომ ხელი დაადო ერთ ქვას, ეპისკოპოსი იხმო და ქვაზე ჯვრის გადასახვა სთხოვა. შემდეგ კი, იმ ადგილას, ბორცვზე ჯვარი აღმართეს და მის წინაშე ყველამ მუხლი მოიდრიკა. პატიოსანი ჯვრის აღმართვისთანავე, ქართლში ყველა კერპი დაიმსხვრა, მისი ძალითა და მადლით მრავალი სხვა სასწაულიც აღესრულებოდა — იკურნებოდნენ სნეულნი, უშვილოებს შვილიერების მადლი ენიჭებოდათ და სხვა, ამიტომ მას არა მარტო ქართველები, არამედ მთელ კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანებიც სცემდნენ თაყვანს. სწორედ წმინდა ნინოს მიერ, მცხეთის პირდაპირ მდგარ მთაზე, IV საუკუნეში აღმართული სასწაულმოქმედი ხის ჯვრის გვერდით ააშენებინა ორი საუკუნის შემდეგ (545-586 წლებში), ქართლის ერისთავმა გუარამ დიდმა პატარა ეკლესია — ჯვრის მცირე ტაძარი, რომელიც უამრავ მლოცველს იზიდავდა. ჯვრის ტაძარში ასულ მომლოცველთა სიმრავლემ, სულ მალე გაცილებით დიდი ტაძრის აგება მოითხოვა, ამიტომ გუარამის ძმ, სტეფანოზ ერისთავმა ახალი, დიდი ზომის არქიტექტურული ტიპის ტაძრის აგება განიზრახა. მისი თაოსნობით მართლაც აიგო მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი — უკვე არსებული ჯვრის მცირე ეკლესია და მის გვერდით აღმართული პატიოსანი ჯვარი ახალი ტაძრის ცენტრში მოექცა.

ჯვრის ახალი, ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძარი სავარაუდოდ, 586-605 წლებშია აგებული. მის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღიათ სტეფანოზ ერისთავის ძმას — დემეტრეს და შვილს — ადარნასეს, ასევე, სხვა ერისმთავართ და შეძლებულ დიდებულებს. სამწუხაროდ, ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელი მატიანეს არ შემოუნახავს.

ჯვრის მონასტერი პირველი ქართული ეკლესიაა, რომლის ფასადის გაფორმებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიეფურ ქანდაკებებს:

აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახული არიან ტაძრის მშენებლობის ინიციატორები — ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ ერისმთავარი, მისი ძმა — დემეტრე და ვაჟი — ადარნასე. სამხრეთის ფასადზე სტეფანოზ ერისმთავრის ოჯახის სხვა წევრები არიან გამოსახულნი, ამავე დროს ფასადს ამკობს ჯვრის ამაღლების გამოსახულება. ტაძრის სამხრეთით, დაახლოებით მთის კალთის უკანა ნაწილში შემორჩენილია არქიტექტურული ხანის პატარა დარბაზული სამლოცველო, რომელიც ამჟამად ნახევრად დანგრეულია და ხეებითაა დაფარული. მემატიანის ცნობით, ამ სამლოცველოს მცირე ხნით თავს აფარებდა წმინდა ნინო, როდესაც ამ მთაზე იყო განმარტოებული. მონასტრის ტერიტორიაზე, ასევე შემორჩენილია გალავნის ნაშთები, რომელიც ჯვრის მონასტრისთვის XV-XV საუკუნეებში შემოუვლიათ. 1997-98 წლებში, გალავანი ნაწილობრივ აღადგინეს.

მცხეთის ჯვარი დამპყრობლებმა არაერთგზის დაარბიეს და დააზიანეს (X საუკუნეში, არაბმა დამპყრობლებმა გადაწვეს კიდეც), ამიტომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, ზოგიერთი რამ აღდგენა-განახლებას საჭიროებდა, მაგრამ ჯვრის ტაძარმა ჩვენამდე მაინც პირვანდელი სახით მოაღწია.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში, როგორც თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, ჯვრის მონასტერიც დაიხურა. იმ პერიოდში, მის მახლობლად პიონერთა ბანაკი იყო განთავსებული. 1989 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ტაძარში ღვთისმსახურება კვლავ აღდგა. 1992 წლიდან, მონასტრის ტერიტორიაზე არსებული სანატორიუმის შენობები მონასტრის დაქვემდებარებაში გადავიდა და იქ ბერთა საცხოვრებელი სენაკები მოაწყვეს. ჯვრის მონასტერში ბერები 1996 წლიდან დამკვიდრდნენ და სამონასტრო ცხოვრებაც დაიწყო. ამავე პერიოდში, ტაძრის ცენტრში შემონახულ ხის ჯვრის დაბალ კვარცხლბეკზე, სადაც შუა საუკუნეებამდე მეფე მირიანის დროინდელი ჯვარი იყო აღმართული, კვიპაროსის ხისგან დამზადებული, 4 მეტრი სიმაღლისა და 400 კილოგრამი წონის ჯვარი აღმართეს, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევითაა დამზადებული. ჯვარზე გამოსახულია „სახარების“ ცამეტი სცენა და ის შემკობილია ვერცხლის ფირფიტებითა და ძვირფასი ქვებით...

„არსებობს გადმოცემა, რომ ძველად, ჯვრისა და სვეტიცხოვლის ტაძრებს შორის, ჯაჭვის მსგავსად კიბე იყო გაბმული, რომლითაც ბერებსა და მლოცველებს შეეძლოთ მცხეთიდან ჯვარზე ასვლა ან ჯვრიდან მცხეთაში დაბრუნება, მაგრამ ვინც ამ ჯაჭვის კიბეს ცოდვების მოუნანიებლად და გულმხურვალე ლოცვის გარეშე შეუდგებოდა, ფეხს ვერ იკიდებდა და ქვემოთ ვარდებოდა. ყოველდღიურად, სულ უფრო ნაკლებ ხალხს შეეძლო ამ საჰაერო გზის გავლა. ბოლოს კი, ადამიანთა ცოდვების სიმძიმით ჯაჭვიც გაწყდა“, — მოგვითხრობს არქიმანდრიტი რაფაელი წიგნში — „გადარჩენის საიდუმლო“.

■

იმ უთვალავ ადამიანს შორის, ვისაც 1937 წლის რეპრესიები შეეხო, უცნაური თავგადასავლით გამოირჩევა მიხეილ მგალობლიშვილი. იგი ერთ-ერთი (შეიძლება ერთადერთიც) ცოცხლად გადარჩენილი ადამიანია იმ საკნიდან, სადაც 50 სიკვდილმისჯილი იმყოფებოდა. მან დახვრეტისკენ მიმავალი ჯოჯოხეთური გზის ყველა ეტაპი გაიარა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა... დახვრეტა 10-წლიანი გადასახლებით შეუცვალეს. წლების შემდეგ, საკანში ნანახი და განცდილი, ყველასგან მალულად ფურცლებზე გადაიტანა, ხელნაწერი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შვილიშვილს გადასცა და თან გააფრთხილა: იცოდე, ეს არავის წააკითხოო...

მწერალი და რეჟისორი, მიხეილ ანთაძე რეპრესირებული ბაბუის და იმ „საშიში“ ხელნაწერის შესახებ მოგვითხრობს.

„ხელნაწერი მომცა და მითხრა — ეს არავის წააკითხო, ძალიან საშიშია“

დახვრეტას გადარჩენილი სიკვდილმისჯილის მოგონებები

თამუნა ქვინიკაძე

— ბაბუა კულტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. 1937 წლის დასაწყისში სამმართველოს ორი თანამშრომელი — გორდელაძე და ბოკუჩავა დაიჭირეს. ბაბუა სულ ამბობდა — თუ ისინი მავნებლები არიან, მაშინ მეც უნდა დავეჭირე, მათ გარეშე არც ერთი საქმე არ მაქვს გაკეთებულიო. 1937 წელი მისთვის დაჭერის მოლოდინში გაილია. დეკემბერში ბერია მოსკოვში იმყოფებოდა. მის მოვალეობას ვალერიან ბაქრაძე ასრულებდა. იმ დროს ოპერაში სამთავრობო კონცერტი ტარდებოდა. ამ კონცერტზე პასუხისმგებელი ბაბუა იყო. რეპეტიცია დილით იყო დანიშნული. გუნდის რამდენიმე მომღერალი რუსთაველზე შეხვედრია, ნასვამები იყვნენ. აღვშფოთდი, შევედი ოპერაში და გუნდის ხელმძღვანელს გავუჯავრდიო, ჰყვებოდა. პასუხად იმას უთქვამს — რა მოხდა, 5-6 კაცის არყოფნა 80-კაციან გუნდში რას შეცვლის, თუ გამოსვლას ვერ შეძლებენ, მოვხსნი და ეგ იქნებაო. მათი საუბარი ვიღაც „შინსახკომელს“ მოუსმენია. საღამოს, კონცერტის დროს, ბაბუა სამთავრობო ლოჟაში ბაქრაძესთან გამოუძახებიათ და საყვედური უთქვამთ — რა საქციელია, ნახევარი გუნდი არ არის სცენაზეო. მერე ერთმანეთისთვის გადაულაპარაკებიათ — ეს ამხანაგი უნდა შემოწმდესო... იმავე ღამეს, სახლში მიაკითხეს და წაიყვანეს. სახლი არ დაურბევიათ, ითხოვდნენ — იარაღი თუ გაქვთ, ჩაგვაბარეო.

— მისი შემდგომი ბედი თუ იყო ცნობილი ოჯახისთვის?

— არა, სანამ არ გაადასახლეს, არაფერი იცოდნენ. მაშინ ადამიანები რომ აჰყავდათ, ეუბნებოდნენ — „ტროცკისტულ მოძრაობაში“ ხარ მხილებულიო. სინამდვილეში არანაირი „ტროცკისტული მოძრაობა“ ქვეყანაში არ არსებობდა. როცა იჭერდნენ, როგორც „ტროცკისტს“, იმ პიროვნებას ჰქონდა გულუბრყვილო შეგრძნება საკუთარი უდანაშაულობისა, სჯეროდა, რომ წაიყვანდნენ, გამოიძიებდნენ, მის უდანაშაულობას დაამტკიცებდნენ და გამოუშვებდნენ. მაგრამ ეს იმედი არავის უმართლდებოდა... ბაბუა 1937 წლის დეკემბრიდან 1938 წლის მარტამდე ორთაჭალის ციხეში იყო. იმ კამერაში, სადაც ის იმყოფებოდა, კიდევ 50 სიკვდილმისჯილი ცხოვრობდა.

— როგორ იხსენებს ციხეში გატარებულ დღეებს? როგორ ცხოვრობდნენ სიკვდილმისჯილები დახვრეტის მოლოდინში?

— მათ არაადამიანურად ექცეოდნენ, სცემდნენ, ამცირებდნენ. ბაბუა ჰყვებოდა — ჩვენი საკნის გვერდით იყო ოთახი, სადაც ბარებს ინახავდნენ; როდესაც ჯარისკაცები ამ ბარების მანქანაზე შეყრას დაიწყებდნენ, საკანში ხმა შემოდიოდა და ამით ვხვდებოდით, რომ ჩვენი საფლავების ამოსათხრელად მიდიოდნენო... მერე უკან რომ დაბრუნდებოდნენ, იმ ბარებს მანქანიდან ასფალტზე დაყრიდნენ. ეს ხმა იმას მიანიშნებდა, რომ საფლავები უკვე გათხრილი იყო... მერე ველოდებოდით ზარგინავას, რომელიც პატიმრებს გვარებით იძახებდა. გასაღების ჩხაკუნის ხმაზე საკანში სამარისებური სიჩუმე ისადგურებდა, სიკვდილის მაუწყებელი ზარგინავას გამყინავი ხმის ყველა პატიმარს ეშინოდაო... იმ საკანში თურმე ერთი კაცი — გვარად მენაბდე — 6 თვე ცხოვრობდა. მის თვალწინ ასობით ადამიანი გაიყვანეს დასახვრეტად. ის კი იჯდა და იჯდა, მისი გვარი არ ამოუკითხავთ, როგორც ჩანს, შედგენისას გამორჩენიათ. შიშით ხმას ვერ იღებდა, ალბათ დახვრეტას იქ ყოფნა ერჩია... ბაბუა ისე წამოსულა, რომ ის მენაბდე იქ დაუტოვებია. ბევრ პატიმარს დაკითხვის გარეშეც ხვრეტდნენ.

— დახვრეტის წინ პატიმრებს დამამშვიდებელ წამალს უკეთებდნენო, გამიგონია. ამის შესახებ ბაბუა-თქვენს არაფერი უთქვამს?

— სპეციალურად ამ საქმეზე ექთანი მუშაობდა, პატიმარს წინააღმდეგობა რომ არ გაეწია. ამით საქმეს იადვილებდნენ.

— როგორ ფიქრობთ — რამ ან ვინ გადაარჩინა დახვრეტას მიხეილ მგალობლიშვილი?

— ამ კითხვაზე პასუხი თვითონაც არ იცოდა, დაჭერამდე 2 თვით ადრე, როდესაც ქართული კულტურის მოსკოვური დეკადის პროგრამაზე მუშაობდა, მათ ჯგუფს ერთი შინსახკომელი მეთვალყურეობდა. ბაბუას მასთან არ ჰქონია ცუდი დამოკიდებულება, ერთ ოთახში გვეძინაო, — ამბობდა, დაჭერის შემდეგ ეს პიროვნება იძიებდა მის საქმეს. ალბათ შეებრალა, დასახვრეტად ვერ გაიმეტა და 10-წლიანი გადასახლება მიუსაჯა. მას ბრალდებაში ეწერა „ტროცკისტულ მოძრაობაში“ მონაწილეობა, მაგრამ არ ეწერა, რომ მან ვინმე ჩააბა ამ „მოძრაობაში“. პატიმრებს ძალით აწერინებდნენ ხელს საკუთარ ბრალდებაზე.

— თუ არ მოაწერდი?

— ასეთ შემთხვევასაც იხსენებდა ბაბუა: მასთან ერთად მჯდარა ვინმე ბუნკევიჩი, რომელმაც ზეწოლას გაუძლო, ბევრი ტანჯეს და გვემეს, მაგრამ არ გატყდაო. მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარესთან, გერმანე მგალობლიშვილთან (რომელიც ასევე დაჭერილი იყო) მოუთხოვია დაპირისპირება.

— რატომ?

— მას უთქვამს ბუნკევიჩზე — „ტროცკისტული მოძრაობის“ მიმდევარიაო. ბაბუა ამბობდა: გერმანე მგალობლიშვილი რომ შემოიყვანეს, გავოგნდი, მარტო ჩონჩხი იყო დარჩენილი, ეს კაცი ყველაფერზე იყო ხელის მომწერიო... ის, რომ უდანაშაულო იყავი და ისე გსჯიდნენ, არავის ანაღვლებდა. იმ 50 კაციდან, რომელიც საკანში ბაბუასთან ერთად ცხოვრობდა, ცოცხალი არავინ გადარჩენილა.

— თქვენ თქვით, დაპატიმრების შემდეგ ოჯახმა მის შესახებ არაფერი იცოდაო. როდის გაიგეს სიმართლე?

— როცა ბაბუა გადაასახლეს, ციმბირიდან მოსწერა წერილი და თავისი ამბავი გააგებინა. მართალია, 10 წლით იყო გადასახლებული, მაგრამ 3 წელში გაათავისუფლეს. საქართველოში დაბრუნებულს, თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ ჯერ თეთრიწყაროში, შემდეგ კი — ბოლნისში დასახლდა. ბოლნისის კულტურის განყოფილება ჩააბარეს. დააარსა თეატრი, ჩამოაყალიბა ფეხბურთის გუნდი. ერთი პერიოდი სკოლის დირექტორადაც მუშაობდა. მოგეხსენებათ, ომის პერიოდში თუ როგორი გაჭირვება იყო ქვეყანაში. უჭირდათ მსახიობებსაც. ამიტომ მიშა მათ ბოლნისში გასტროლებს უწყობდა. თბილისიდან დიდი „გრუზავიკით“ მიდიოდნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, შაქრო გომელაური, მარჯანიშვილის თეატრის მთელი დასი. ბოლნისში, კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდა.

— გასაკვირია, რომ რეპრესირებული პიროვნება თანამდებობაზე დანიშნეს. მაშინ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა.

— ომი იყო და კადრები უჭირდათ. დედა იგონებდა: თბილისში, როცა მამა ჩუმად ჩამოვიდოდა, ქუჩაში მილიციელის დანახვაზე კრთებოდაო. ეს გაგრძელდა რეაბილიტაციის გამოცხადებამდე. შემდეგ კი, კინოსტუდიის მთავარ რედაქტორად დანიშნეს. 1937 წელსა და საერთოდ, რეპრესიებზე არავისთან საუბრობდა, ოჯახის წევრებთანაც კი. ის ხელნაწერი, რომელიც მე გადმომცა, 1972 წელს არის დაწერილი. როცა გადმომცა, სასტიკად გამაფრთხილა — იცოდე, ეს არავის აჩვენო და წაკითხო, ძალიან საშიშიაო. მასში ის ამბებია მოთხრობილი, რომლებიც მე მოგიყევით. ბაბუა 1977 წელს გარდაიცვალა. პირველად ხელნაწერი, ჩემთვის ძალზე სანდო ადამიანს — აკაკი ბაქრაძეს წავაკითხე. შემდეგ, წიგნად გამოვეცი.

— როგორი გამოხმაურება მოჰყვა?

— ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რეპრესირებული ადამიანები იკრიბებოდნენ და ერთად კითხულობდნენ. ამ თემაზე მანამდე, არაფერი ყოფილა გამოქვეყნებული. მერე ყველამ დაიწყო უჯრებში ჩამალული ხელნაწერების ამოლაგება, თითქოს ამ თემას ტაბუ მოეხსნა.

— რეპრესირებულთა ოჯახებთან, ნაცნობები ურთიერთობას ერიდებოდნენ, როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ თქვენს ოჯახში?

— მართლაც, ბევრ ახლობელს გაუწყვეტია კავშირი ჩვენს ოჯახთან. ბებია, წლების შემდეგ, იმ ადამიანებს, რომლებიც არ შეშინდნენ და ეხმარებოდნენ, დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა. ერთ-ერთი იყო საშა მიქელაძე, თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი. საოცრად უშიშარი ადამიანი გახლდათ. 1947 წელს დააპატიმრეს... 1937 წლის რეპრესიებს უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, იჭერდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. — რა დავაშავე? — ეკითხულობდნენ გაოგნებულები. ამ კითხვაზე კი, ყველას ერთსა და იმავე პასუხს სცემდნენ: — „იქ“ გეტყვიანო... ცოტა ხნის წინ გადმომცეს ჩემი მეორე პაპის (მამაჩემის პაპის) მემუარები. ის 1924 წელს დაუხვრეტიათ. კოტე დიმიტრის ძე ვაჩნაძე ტიპური ქართველი თავადის ცხოვრებით ცხოვრობდა. გურჯაანში ჰქონდა მამულები. სხვა თავად-აზნაურებთან ერთად დახვრიტეს.

— სად ინახებოდა მისი მემუარები?

— მის ქალიშვილს — მსახიობ ლიზიკო ვაჩნაძეს (მსახიობ გიორგი შავგულიძის მეუღლეს) ჰქონია შენახული. შარშან, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა ოჯახმა კი მე გადმომცა. მემუარებში ყველაფერი დოკუმენტური სიზუსტითაა აღნუსხული — როგორ სდევნიდნენ და იჭერდნენ თავადებს. სურვილი მაქვს, რომ ეს მემუარებიც წიგნად გამოვცე... ■

ეს ფოტო გადაღებულია ომის შემდგომ წლებში, იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც მიხეილ მგალობლიშვილი ბოლნისში ცხოვრობდა და ამ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელმძღვანელობდა. მისი მიწვევით იმ ხანებში საქართველოს ამ კუთხეს ხშირად სტუმრობდნენ ქართული ხელოვნების მუშაკები. ფოტოსურათზე ვხედავთ მარჯანიშვილის თეატრის გამსვლელი ბრიგადის წევრებს. ყველას ამოცნობა ვერ მოვახერხეთ. დგანან: მიხეილ მგალობლიშვილი, მიხეილ მგელაძე, ალექსანდრე სიხარულიძე, არჩილ გომიაშვილი, ალე ომიაძე, სესილია თაყაიშვილი... საბარგო ტაქსის კაბინაში — შაქრო გომელაური; ძარაზე სხედან: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ სხირტლაძე; ძარაზე დგანან: კოტე თოლორაია... გოგი ტატიშვილი, მერი დავითაშვილი... მარინე თბილელი



ყველაზე წარმატებულ ცნობილ ადამიანთა ათეული

ჟურნალ „ფორბსის“ თანამშრომლები დაინტერესდნენ ცნობილ ადამიანთა შემოსავლებით და დაიანგარიშეს, ვინ რამდენი გამოიმუშავა 2005 წლის მანძილზე. ჟურნალის მონაცემების მიხედვით, 2005 წლის ყველაზე წარმატებულ ცნობილ ადამიანთა ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: პირველ ადგილზეა ამერიკელი კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი, რომელმაც წლის განმავლობაში საკუთარ ქონებას 340 მლნ დოლარი შემატა — გამოდის, რომ ის წამში დაახლოებით 10 დოლარს გამოიმუშავებდა. რეჟისორი სტუდია Dreamworks-ის თანამფლობელი გახლდათ, რომელიც 2005 წლის Paramount Pictures-მა შეიძინა. „ფორბსი“ სპილბერგის ქონებას 2,6 მლრდ დოლარად აფასებს.

მეორე ადგილზეა ტელეწამყვანი ჰოვარდ სტერნი, მესამეზე — „ვარსკვლავური ომების“ შემქმნელი რეჟისორი ჯორჯ ლუკასი, მეოთხეზე — პოპულარული ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, მეხუთეზე — აშშ-ში ცნობილი ტელეწამყვანი ჯერი სეინფილდი, მეექვსეზე — გოლფის რამდენიმე ტურნირის გამარჯვებული ტაიგერ ვუდსი, მეშვიდეზე — „და ვინჩის კოდის“ ავტორი, მწერალი დენ ბრაუნი, მერვეზე — პროდიუსერი ჯერი ბრაკჰაიმერი და მისი „კარიბის ზღვის მეკობრეები“ გახლავთ, მეცხრეზე — ჰარი პოტერზე დაწერილი რომანების ავტორი, მწერალი ჯოან როულინგია. ათეულის ბოლო ადგილი კი სერიალის — „კანონი და წესრიგი“ შემქმნელს, დიკ ვილფს ხვდა წილად. ■

უმა თურმანის მარტოხელა გულომის კლუბი

როგორც ჩანს, უმა თურმანს სასიყვარულო ურთიერთობებში წარუმატებლობა და ოჯახში (უმა თურმანი ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს) მამაკაცის გარეშე ყოფნა მოჰბეზრდა და მან ე.წ. საქორწინო სააგენტოს მსგავსი, მარტოხელა ცნობილ ადამიანთა ნაცნობობის კლუბის გახსნა გადაწყვიტა.

უმშვენიერესი ვარსკვლავი ამბობს: „ცნობილ ადამიანებს საოცრად უჭირთ თავიანთი მეორე ნახევრის პოვნა, მეც ამ დღეში ვარ და სწორედ ამან მიბიძგა მარტოხელა ცნობილ ადამიანთა კლუბის გახსნისკენ“. ის, თუ საბოლოო ჯამში როგორი სახე ექნება კლუბს, მსახიობს ჯერ არ გადაუწყვეტია. შესაძლოა, ეს ინტერნეტპორტალი იყოს, რომლის მეშვეობითაც მარტოხელა ვარსკვლავები ერთმანეთს დაუკავშირდებიან. ■

ჯონი დეპის ახალი ამპლუა

ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი ჯონი დეპი თავის თაყვანისმცემლებს ახალ ამპლუაში მოევლინება. როგორც ჩანს, ბლოკბასტერში — „კარიბის ზღვის მეკობრეები“ კაპიტან ჯეკი-ბეღურის როლის შესრულების შემდეგ, მსახიობი ისე მოიხიბლა მეზღვაურთა ცხოვრებით, რომ მეზღვაურთა სიმღერების ალბომის ჩაწერა განიზრახა. ჯონი რამდენიმე ცნობილ შემსრულებელს დაუკავშირდა და ამ საქმეში დახმარება სთხოვა. მსახიობმა თავის პროექტში მონაწილეობა შესთავაზა ბრიტანელ მუსიკოსს ბრაიან ფერის და ირლანდიური როკჯგუფის U2-ს ფრონტმენს ბონოს. ჯონი დეპს ძალიან უნდოდა, რომ ამ პროექტში Rolling Stones-ის გიტარისტს, კიტ რიჩარდსაც მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მუსიკოსს ტრავმამ შეუშალა ხელი (რიჩარდსი პალმის ხიდან ჩამოვარდა და ტრავმა მიიღო) და ის იძულებული იყო, უარი ეთქვა ამ საინტერესო წამოწყებაში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი და U2-ს ფრონტმენი დუეტში შეასრულებენ მეზღვაურთა სიმღერებს. ■

აგილერა ქორწილში დახარჯულ მილიონებს არ მისტირის

პოპმომღერალი კრისტინა აგილერა სულაც არ ნანობს, რომ საკუთარი ქორწილი (შეგახსენებთ, რომ მისი რჩეული ჯორდან ბრატმანი გახლავთ) 2 მლნ დოლარი დაუჯდა. ვარსკვლავს ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა, რომ ოდესმე გათხოვდებოდა, მაგრამ როდესაც ამ ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა, გრანდიოზული საქორწინო ცერემონიის მოსაწყობად, ფული არ დაუშურებია. ჟურნალისტთან საუბარში კრისტინა აგილერა გამოტყდა, რომ ცხოვრებამ მას დამოუკიდებლობა და წარმატების მოპოვება ასწავლა, მაგრამ ამისგან განსხვავებით, ადამიანებთან ახლო კონტაქტში შესვლა, მისთვის ყოველთვის პრობლემა გახლდათ. „არასდროს მივეკუთვნებოდი ქალების იმ კატეგორიას, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ვიდრე თეთრ საქორწინო კაბას ჩაიცვამენ და გათხოვდებიან, — განაცხადა მომღერალმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში. — ეს ყველაფერი ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. ჩემს ცხოვრებაში პირველ ადგილზე ყოველთვის კარიერა იდგა და დასახული მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არასოდეს ვიშურებდი. ასე რომ, 25 წლის ასაკში გათხოვება, თავში აზრად არც კი მომსვლია“.

„შესაძლოა, ქორწილის ხარჯებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, გადავაჭარბე, — ამბობს პოპვარსკვლავი, — მაგრამ მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ნებისმიერ წვრილმანზე ნერვიულობს და დანახარჯს მისტირის...“ ■

Sony Pictures-მა უკვე მილიარდი გამოიმუშავა



წლეულს, კომპანია Sony Pictures-მა ჰოლივუდელ კონკურენტებს შორის პირველმა შეძლო მილიარდი დოლარის გამომუშავება. უკვე 8 აგვისტოსთვის ამ კომპანიის კუთვნილი სტუდიების მიერ გადაღებული ფილმების საკასო შემოსავალმა (მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე) 1,002 მლრდ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა მისმა უმთავრესმა მეტოქემ — კომპანია Walt Disney Co-მ მხოლოდ 999 მლნ დოლარის მოგროვება შეძლო. საკასო შემოსავლების მოგროვების მხრივ, „ლოკომოტივის“ როლი შეასრულეს Sony Pictures-ის მიერ წელს გამოშვებულმა სურათებმა — „და ვინჩის კოდი“ და „ყიჟინა. პულტით ხელში ცხოვრების გზაზე“. კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, ისინი მილიარდიანი ნიშნულის გადალახვას ზაფხულის ბოლოსთვის ვარაუდობდნენ. აღსანიშნავია, რომ Sony Pictures-მა იმ რეკორდის გამეორება შეძლო, რომელიც თავის დროზე კომპანია Warner Bros.-მა დაამყარა — რომლის შემოსავალიც ზედიზედ 5 წლის მანძილზე მლრდ დოლარს აჭარბებდა.

რაც შეეხება საერთაშორისო კინობაზრიდან მიღებულ შემოსავლებს, აქ პირველობა არავის დაუთმო კომპანია 20th Century Fox-მა, რომელმაც თავის „ყულაბაში“ მილიარდი დოლარის მოგროვება ჯერ კიდევ 10 ივნისს შეძლო. Sony Pictures-ს იმედი აქვს, რომ მსგავს შედეგს შემოდგომის დასაწყისისთვის მიაღწევს. ■

რობინ უილიამსი სპეცკლინიკაში მკურნალობს

ამერიკელი მსახიობი რობინ უილიამსი ალკოჰოლიზმისგან თავის დასაღწევად ყველა ღონეს ხმარობს. აგერ უკვე 20 წელია, რაც 55 წლის უილიამსი სასმელს არ გაჰკარებია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ კვლავ იგრძნო ალკოჰოლისკენ ლტოლვა და საკუთარი თავისა და ოჯახის საკეთილდღეოდ, სასწრაფოდ ზომების მიღება გადაწყვიტა. ამჟამად

რობინი ალკოჰოლიკების სპეცკლინიკაში მკურნალობის სრულ კურსს იტარებს.

ამის შესახებ საზოგადოებას The Sydney Morning Herald-ის ჟურნალისტმა მარა ბუკბაუმმა აცნობა. მისი თქმით, მსახიობი მუშაობის აქტიურ გრაფიკს შემოდგომისთვის დაუბრუნდება და ახალი ფილმების სარეკლამო კამპანიაში მიიღებს მონაწილეობას.

რობინ უილიამსის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი სურათი — „წლის ადამიანი“ გახლავთ. ბოლო ხანებში მან ასევე გაახმოვანა პინგვინი მულტიპლიკაციურ ფილმში — „ფეხბედნიერი“. შეგახსენებთ, რომ 1998 წელს, მსახიობის მიერ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლი სურათში — „ჭკვიანი უილ ჰანტინგი“, აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — „ოსკარით“ აღინიშნა. ■

შონ პენის მეზობლებს მოთმინების ფიალა აევსოთ



სხვა ჰოლივუდელი მაჩოების ფონზე გამორჩეული, შეუდარებელი შონ პენი რეალურ ცხოვრებაშიც ყველასგან განსხვავებული გახლავთ.

ამ ცოტა ხნის წინ, შონ პენის მალიბუში მდებარე ვილაზე საკანალიზაციო მილები დაზიანდა, ირგვლივ საშინელმა სიმყრალემ დაისადგურა და 45 წლის მსახიობის მილიარდერ მეზობლებს უშფოთველი ცხოვრება დაურღვია.

კალიფორნიის თვალწარმტაც სანაპიროზე მცხოვრები ჰოლივუდისა და შოუბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლები აღშფოთებას ვერ ფარავენ და თავბედს იწყევლიან, იმის გამო, რომ განგებამ მათ აბეზარი და უპასუხისმგებლო შონ პენი შეახვედრა მეზობლად: „აშკარაა, რომ მის სახლში კანალიზაცია წესრიგში არ არის, მაგრამ სიტუაციის გამოსასწორებლად ის რატომღაც თითსაც კი არ ანძრევს. წარმოიდგინეთ, რომ ამ სიმყრალის ატანა 45-გრადუსიან სიცხეში გვიწევს!“ „დასამალი არ არის, რომ შონის მეზობლები აღშფოთებას სრულიად სამართლიანად გამოხატავენ, — წერს გაზეთი Life — უკვე ორი თვეა, რაც მსახიობი თავის კეთილმოწყობილ ტრაილერში ცხოვრობს და კოლეგა-მეზობლების საყვედურებზე ყურსაც არ იბერტყავს. აბეზარი შონის ამ ყოვლად უპასუხისმგებლო საქციელით კი მის მეზობლებს სულ უფრო და უფრო ევსებათ მოთმინების ფიალა“. ■

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოშიც საკმაოდ ბევრი ცხელი წერტილი გვაქვს და ბევრი ტერიტორია დასაბრუნებელი, ქართველი სამხედროები საკუთარ ძალებსა და სიცოცხლეს ამერიკელებს ახმარენ და ერაყში მშვიდობას ინარჩუნებენ. გარდა ჯარისკაცებისა, ერაყში — სხვადასხვა ორგანიზაციაში სამუშაოდ ქართველი გოგონებიც მიჰყავთ. ერთ-ერთი მათგანი — 23 წლის ნინო ბურდული უკვე რამდენიმე თვეა ერაყში იმყოფება და მუშაობს. როგორ ცხოვრობენ იქ ქართველები? რამდენად საშიში ზონაა ერაყი? — ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე, თავად ნინომ (ინტერნეტის საშუალებით) გვიპასუხა.

სადამ ჰუსეინის ცოლის აუზი, ერაყული „ჰეიბარი“ და

ქალის სანაცვლოდ შეთავაზებული 50 აქლემი

ნათია ქივიძე

— რატომ გადაწყვიტე ერაყში გამგზავრება?

— პირველ რიგში, აქ ჩამოსვლა შემოთავაზებული სამსახურის ანაზღაურებამ გადამაწყვეტინა. ვფიქრობ, რომ ეს სამსახური ძალიან დამეხმარება კარიერულ წინსვლაში. ხომ იცით, როგორც ხდება საქართველოში — თუ ნაცნობი არ გყავს, ნორმალურ სამსახურსაც ვერ იშოვი და ვერც გამოცდილებას მიიღებ. აქ კი — ბევრ ისეთ რამეს ვსწავლობ, რაც მომავალში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამომადგება.

— როგორ შეიტყვე, რომ ერაყში ქართველი თანამშრომლები ესაჭიროებოდათ და შენ როგორ შეგარჩიეს?

— ერაყში რომ საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტი ესაჭიროებოდათ, ეს ინტერნეტის მეშვეობით შევიტყვე. მაშინვე გავგზავნე ჩემი მონაცემები — დამიკავშირდნენ და პირად გასაუბრებაზე დამიბარეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი შემატყობინეს: ერაყში წასასვლელად მოემზადეო. თბილისიდან სტამბოლში ჩავფრინდი. იქ 12 საათი გავჩერდი. იქიდან ამანში (იორდანია) გადავფრინდი, სადაც ქართველი წარმომადგენელი დამხვდა — სამი საათის განმავლობაში ჩვენი უფროსის ვილაში ვიყავი, მერე კი, ბაღდადში გადმოვფრინდი. რა თქმა უნდა, ამ დროის მანძილზე ის ქართველი წარმომადგენელი ჩემთან ერთად იყო, რადგან ვინმე რეკომენდაციას თუ არ მოგცემს და თან, ესკორტი თუ არ მიგაცილებს, ერაყში არც შეგიშვებენ. სხვათა შორის, ვიდრე იმ ვილამდე მივიდოდით, სადაც უნდა მეცხოვრა, რამდენჯერმე უკან, აეროპორტში დავბრუნდით, რადგან აფეთქებები იყო და გზა იბლოკებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, ადგილზე მივედით — იქ არა მარტო ჩვენი საცხოვრებელი, არამედ სამუშაო ოთახებიცაა განთავსებული. ეს ვილა თავიდანვე ძალიან მომეწონა. მეორე სართულზე თანამშრომლები ვცხოვრობთ, ხოლო პირველ სართულზე დიდი ოფისი გვაქვს... სხვათა შორის, საქართველოდან ერაყამდე მარტოს არ მიმგზავრია. ჩემთან ერთად პატარა ლეკვი იყო, რომელიც თბილისიდან წამოვიყვანე — გერმანული „ავჩარკაა“. მაშინ ერთი თვის იყო და თვითმფრინავში არ ამაყვანინეს, ბარგთან ერთად წამოიყვანეს. თურქეთში რომ ჩავფრინდით, იქაც კი არ მაჩვენეს. ვნერვიულობდი, ვიღაცებს ვეხვეწებოდი — ვაჭმევ და ისევ წაიყვანეთ-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვეს. საცოდავი ლეკვი 18 საათის განმავლობაში მშიერი იყო. ახლა ჩემთან არის, გაიზარდა და თავს კარგად გრძნობს. მას გენერალს ვეძახით.

— ალბათ, ერაყში სიტუაცია ძალიან დაძაბულია, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ სადაც მე ვარ, ამას „გრინ ზონას“ ეძახიან და ტერიტორია მაქსიმალურად კონტროლდება. აქ უნებართვოდ ვერავინ შემოვა და ვერც გადაიფრენს. ძალიან ბევრი „ჩეკ პოინტებია“, სადაც გვამოწმებენ ხოლმე. სხვათა შორის, გუშინ ქართველების „ჩეკ პოინტზე“ ვიყავი. ვფიქრობდი — აქ ინგლისური უმრავლესობამ არ იცის და ალბათ, ერაყელებთან კონტაქტი გაუჭირდებათ-მეთქი, მაგრამ ამ დროს, ერთმა ერაყელმა გამოირა და ბიჭებს დაუძახა: აბა, ბიჭებო, როგორ ხართ, რა არის თქვენკენ ახალიო?.. იცი, როგორ გამიკვირდა?! ქართველები აქ ძალიან კარგი რეპუტაციით სარგებლობენ, ყველას ვუყვარვართ. ჩემთან ერთად 4 ქართველი ცხოვრობს და რა თქმა უნდა, ერთმანეთთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვაქვს. მათაც ძალიან მოსწონთ ერაყი... „გრინ ზონაში“ მყოფთათვის ცხელი წერტილი „რედ ზონაა“, სადაც სიტუაცია ისე კარგად ვერ კონტროლდება, როგორც — აქ. „რედ ზონაში“ შესაძლოა, ქუჩაში ისე, არაფრის გამო გესროლონ. ხშირად გვესმის ბომბების, რაკეტების ხმა. ერთ დღეს, „კატიუშიდანაც“ კი გაისროლეს. უკვე ხმაზე ვცნობ — რას და როგორ ისვრიან. კარგად გავერკვიე მძიმე არტილერიაში. ჩვენს თავზე რაკეტებსაც ხშირად გადაუქროლია, მაგრამ ეს რაკეტები უმისამართოდ არის ნასროლი, რადგან მათ დამიზნების საშუალება არა აქვთ. მოკლედ, ჩვენი ადგილმდებარეობა თითქმის უსაფრთხოა, უბრალოდ, არავინ იცის, უმისამართოდ ნასროლი ტყვია ან ყუმბარა სად დავარდება და ვის მოხვდება.

— ქართველები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან თუ მეგობრობთ?

— სხვათა შორის, ჩვენი ოფისი საკმაოდ ინტერნაციონალურია ისევე, როგორც „გრინ ზონა“ და ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვართ, მაგრამ მთელი დღე ისეთი დაძაბული სამუშაო გრაფიკი გვაქვს, რომ პირადი ურთიერთობისთვის დრო არ გვრჩება.

— მხოლოდ მუშაობთ და არაფრით ერთობით?

— ომში ვართ და რით უნდა გაერთოთ *(იცინის)*? ერთი რესტორანი გვაქვს, სადაც არცთუ ისე იშვიათად მივდივართ ხოლმე. წუხელაც იქ აღვნიშნეთ ჩვენი ერთ-ერთი პროექტის დამთავრება. ბევრი სიარულით თავს არ ვიწუხებთ, თუ ძალზე აუცილებელი საქმე არ გვაქვს, შენობიდან არ გავდივართ ხოლმე. გარდა ამისა, გვაქვს სახლის კინოთეატრი და საღამოობით ფილმებს ვუყურებთ, თუმცა ამ დროს უკვე ისეთი დაღლილები ვართ, რომ ბევრ ჩვენგანს დარბაზშივე ეძინება. ვიდეოკასეტებსაც ვყიდულობთ და უკვე, საინტერესო ფილმების კოლექცია გვაქვს. ჩვენთან ერთი დიდი მაღაზიაა, სადაც ყველაფერი იყიდება. თუ რაიმე არ გვაკმაყოფილებს, შეგვიძლია „რედ ზონაში“ გადავიდეთ, სადაც არჩევანის მეტი საშუალებაა და საჭირო ნივთები იქ შევიძინოთ. საჭმელს სასადილოში ვჭამთ, მაგრამ იქაც აუცილებელია, რომ ბაჟი (სპეციალური

დოკუმენტი) გქონდეს — სხვაგვარად არ შეგიშვებენ. იქ თითქმის ყველანაირ კერძს ამზადებენ და რასაც გინდა, იმას მიირთმევ. სამწუხაროდ, ხინკალსა და ხაჭაპურს ვერ გვიკეთებენ. ქართველებს სასადილოშიც ვხვდებით ხოლმე. ისინი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში უყვირიან ერთმანეთს: ეე, ბიჭო, ესა და ეს წამომიღეო. სურათების გადაღებას ბევრ ადგილას გვიკრძალავენ... ადრე, სადამ ჰუსეინის ცოლის აუზზე დავდიოდით, მაგრამ ახლა რატომღაც აღარ მივყავართ. ბაჟი აუზზე რომ მიდიხარ, მაშინაც გჭირდება. მისი არქონის შემთხვევაში, სადაც წახვალ, ყველგან ბაჟის მქონე პიროვნება უნდა გამოგყვეს და პასუხისმგებელი უნდა იყოს, რომ შენ არაფერს დააშავებ. სხვათა შორის, მისი აღების უფლება მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს აქვთ, რომლებიც კოალიციაში შედიან. დანარჩენებს სხვა ფერის ბაჟი აქვთ, რის გამოც, აუზით ვერ სარგებლობენ. ასევე გვაქვს სავარჯიშო დარბაზი, საშხაპე... სადამ ჰუსეინსა და მის ცოლს პირადად არასოდეს შევხვედრივარ. ყოველ სამ თვეში ერთხელ, ყველა ჩვენგანი ორკვირიან შვებულებას იღებს, რათა სამშობლოში დაბრუნდეს. ასეთი შვებულება სექტემბერში მიწევს... გარდა ამისა, დაძაბული სიტუაციის და ოთხ კედელშუა ყოფნის გამო, საშუალებას გვაძლევენ, რომ აქვე, იორდანიაში (სადაც არის პეტრა, წითელი ზღვა, მკვდარი ზღვა) გავისეირნოთ და განვიტვირთოთ. მსგავსი ექსკურსიიდან ცოტა ხნის წინ დავბრუნდი და ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაზე მეტად მკვდარი ზღვა მომეწონა, რადგან იქ ვერ ჩაიძირები — ცურვა არ ვიცი და ცხოვრებაში პირველად ვიტივტივე წყალზე. უძველესი ქალაქი პეტრაც მოვინახულე და მისი სილამაზით აღფრთოვანებული დავრჩი. კურიოზიც შემემთხვა — ერთ ბედუინს ისე მოვეწონე, რომ ჩემს უფროსს შესთავაზა, მაგ გოგოში 50 აქლემს მოგცემო. საბედნიეროდ, უფროსმა იქ დასატოვებლად ვერ გამიმეტა... წითელი ზღვაც არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ მკვდარი სჯობდა.

ოთხ კედელშუა გამოკეტილები რომ ვართ, თავიდან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს რეალური შოუ იყო და თავი „ჯეობარში“ მეგონა

— ქართველ სამხედროებს თუ ნახულობთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა და მათ ჩვენი დანახვა ძალიან უხარიათ. მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს საუბრის უფლება არ გვაქვს, მათთან მაინც ხშირად მივდივართ. დღესაც მათთან ერთად ვიყავით, სურათებიც გადავიღეთ, მაგრამ მათ ვერ გამოგიგზავნით, რადგან ამის უფლება არ მაქვს. ერთ-ერთ ჯგუფს ერაყელი თარჯიმანი ქალები ჰყავს. ჩვენმა სამხედროებმა მათ ქართული სახელები — ნინო და ზინა შეარქვეს. დაგვინახავენ თუ არა, ეძახიან: ნინა, ზინა, აქ მოდით, ქართველი გოგონები უნდა გაგაცნოთო. ერთხელ, ერთი ზანგი მოვიდა და ქართულად მომესალმა: გამარჯობა, გოგოო. ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო... სხვათა შორის, ხშირად შემხვედრია კედელზე ქართული წარწერები: „ხაშური“, „ბათუმი“, „ქუთაისი“, „შავლეგო“ და ა.შ. მოკლედ, ერაყში საქართველო და ქართველები „მოდაშია“.

აქაურები ერთმანეთს ხოცავენ და მე ვინ ვარ მათთვის, რომ დამინდონ?

— ყველაზე მეტად ვინ და რა გენატრება?

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ყველაზე მეტად ქართული პური მენატრება, რადგან აქ ყველაფერი გაყინული ჩამოდის. რა თქმა უნდა, ყველა ძალიან მენატრება, მაგრამ ჩემი აზრით, ადამიანისთვის დამოუკიდებლად ყოფნა აუცილებელია. სამუშაოს გულს ვაყოლებ და ვცდილობ, ბევრი ვიმუშაო, რომ საფიქრელად დრო არ დამრჩეს — ფიქრის საშუალება რომ მქონდეს, უკვე თბილისში ვიქნებოდი, ერაყში ვეღარ გავძლებდი. ყველანი ვცდილობთ, რომ ერთმანეთი გავამხიარულოთ. ერთხელ რატომღაც ყველა ცუდ ხასიათზე ვიყავით და უფროსმა გვითხრა: ოღონდ არ მოიწყინოთ და ყოველ საღამოს გიცეკვებთო — ძალიან კარგი ადამიანია.

— თქვენი უფროსი რა ეროვნებისაა?

— ინგლისელია... ოთხ კედელშუა გამოკეტილები რომ ვართ, თავიდან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს რეალური შოუ იყო და თავი „ჯეობარში“ მეგონა.

— რას აპირებ მომავალში? შენი სამსახურით კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა — ბუღალტერიაში გამოცდილება მივიღე, საქართველოში კი ვინ მამუშავებდა?! ჯერ არ ვიცი, აქ რამდენ ხანს გავჩერდები. ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და შესაძლოა, კიდევ გავზარდო, რადგან მოგეხსენებათ, რომ აქ კარგი ხელფასებია. სხვათა შორის, ერთი საათის წინ ხელფასი 50%-ით გამიზარდეს და ძალიან მიხარია. ფულს დავაგროვებ და საქართველოში ისე დავბრუნდები, რათა დაბრუნებულს, თავის შენახვა არ გამიჭირდეს.

— მთელი საუბრის განმავლობაში უკმაყოფილება არაფერზე გამოგითქვამს. არსებობს თუ არა ისეთი რამე, რაც არ მოგწონს?

— როგორ არა, აქ ხომ ხალხი ყოველდღე იღუპება. გარეთ რომ გადიხარ, 1000 კამერა გიყურებს — როგორც კი რაიმეს არასწორად გააკეთებ, მაშინვე გესვრიან. როცა „რედ ზონაში“ გავდივართ, ჩვენს სიცოცხლეზე პასუხისმგებელი არავინ არის. ერთხელ, ბანკში მომიწია წასვლამ და ის ადგილი ვნახე, საიდანაც გვბომბავენ ხოლმე და სადაც სნაიპერები სხედან. აქაურები ერთმანეთს ხოცავენ და მე ვინ ვარ მათთვის, რომ დამინდონ? აქ ყოფნა სიცოცხლისთვის სახიფათოა, ამიტომ ყურადღება ზედმეტად არ უნდა მიიქციო.

— შენმა მშობლებმა როგორ მიიღეს შენი ერაყში გამგზავრების ამბავი?

— ჩვეულებრივად. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ გაარკვიეს, რომ იმ ზონაში, სადაც მე უნდა მეცხოვრა, დიდი საშიშროება არ მემუქრებოდა და შესაბამისად, ჩემს არჩევანზე უარი არ უთქვამთ. მათ თითქმის ყოველდღე ვესაუბრები ტელეფონით, ინტერნეტით...

— ეი. შენ ქართველ ახალგაზრდებს გამოცდილების მისაღებად და ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ერაყში გამგზავრებას ურჩევ?

— არა, რჩევით ვერავის დავეხმარები. ასეთი რამ ადამიანებმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტონ. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არც მაშინ, როცა აქ მოვდიოდი და არც ახლა, ერთხელაც არ გამჩენია შიშის გრძნობა. არც მაშინ ჩავვარდნილვარ პანიკაში, როცა ჩემგან 300 მეტრის მოშორებით რაკეტა ჩამოვარდა და ჩვენი სახლი კარგად შექანდა. უბრალოდ, ის ხალხი მეცოდება, ვინც უდანაშაულოდ იღუპება. აფეთქების ხმა რომ მესმის, ყოველთვის თავს ვიიმედებ, რომ იმ მომენტში იქ არავინ იქნებოდა... ჩემი აზრით, ადამიანს ბედისწერის უნდა სჯეროდეს. ჩვენი უფროსი ძალზე ხშირად გვეუბნება: თუ ტყვიას შენი სახელი არ აწერია, მაშინ ის ვერაფერს გიზამსო...

■

თბილისში რამდენიმე დღით მყოფ ლაზ ხელოვანს, მუსა კარალიშს ჩემი ძველი მეგობრის, კომპოზიტორ მერაბ მამულაშვილის წყალობით, საპატრიარქოს რადიოს სტუდიაში სიმღერის ჩაწერისას შევხვდი. კოლხური კულტურის ცენტრს (ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე), საპატრიარქოს რადიოს თანადგომით, სადაც მერაბთან ერთად მუსიკოსი ჭაბუკა ამირანაშვილი მუშაობს, საინტერესო პროექტი წამოუწყია: ქართველი მომღერლები თურქეთიდან და საქართველოდან დუეტებს წერენ, მუსიკას კი, ლაზური ფოლკლორი უდევს საფუძვლად. ამჯერად, მუსა, მერაბ მამულაშვილის მუსიკასა და მიხეილ ლაბაძის ტექსტზე შექმნილ სიმღერა „კალაშს“ (ნიავი) ახალგაზრდა მომღერალთან, „იურმალის“ პრიზიორ სოფო ხალვაშთან ერთად წერდა. სამომავლოდ, დუეტების ჩაწერას მომღერალ თამთა გოგუაძესა და სოხუმელ ახალგაზრდა შემსრულებელ ეკა შარანგიასთანაც ერთად აპირებს.

მცირერიცხოვანი ერების ქომაგი ხელოვანი, ლეგენდა ქართულ ღვინომე და ფუძიდან ამოსული „ჯინველოი ნანაი და...“

ირმა ხარშილაძე

მუსა კარალიშს:

— დავიბადე თურქეთის ქალაქ ვიწეში. მართალია, ახლა ამ ქალაქს ფინდიქლი ჰქვია, მაგრამ ლაზები დღესაც ვიწეს ეძახიან. იქ დავამთავრე საშუალო სკოლა და სწავლა ტრაპიზონში განვაგრძე. ორი წელი თურქეთში მასწავლებლად ვმუშაობდი, მერე კი გერმანიაში წავედი, იქ პედაგოგიურ სასწავლებელში ვსწავლობდი. შემდეგ, გერმანიაში დავრჩი და ნიურნბერგის ქალაქის საბჭოში, კულტურის საქმეთა რწმუნებულად ვმუშაობდი, ვდგამდი სპექტაკლებს, ვწერდი მუსიკას, ვაწყობდი პოდიუმს — მოკლედ, ვაკეთებდი ყველაფერს, რაც კულტურას უკავშირდებოდა. დღესაც კულტურულ საქმიანობას ვაგრძელებ. მუსიკისთვის ლექსებსაც თვითონ ვწერ. გერმანიაში გამოვუშვი ალბომი „ხიდი“, თურქულად — „ხინჯი“. ამით კულტურებს შორის ხიდის გადება მინდოდა. შევქმენი ჯგუფი, კონცერტებს გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ვატარებდით. ჩემს ჯგუფში გერმანიაში მცხოვრები ორი ქართველი მუსიკოსი — ზაზა გაგნიძე და ზურაბ მიმინოშვილი უკრავდნენ. საერთოდ, თურქეთიდან და საქართველოდან იქ ჩასული ქართველები ძალიან ვახლობლობთ. „ნიურნბერგში საქართველოს ქართველებმა „ქართული სახლიც“ ჩამოაყალიბეს, ამაში მე დავეხმარე.

— **რით დაეხმარეთ?**

— ყველაფრით: ბიუროკრატიული საკითხებიც მოვუგვარე.

— **უფრო კონკრეტულად მოგვიყევით, რას საქმიანობთ გერმანიაში?**

— ადრე სპექტაკლებში ვმონაწილეობდი. 1988 წლიდან დავიწყე კინოში მოღვაწეობა, მიღებდნენ დოკუმენტურ ფილმებშიც. 2000 წელს გერმანიის ცნობილმა ტელეარხმა ZDF-მა გადაიღო დოკუმენტური ფილმი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ამ ფილმში შევასრულე წმ. პავლეს როლი და მახსოვს, ძალიან დიდ წვერს ვატარებდი. გადაღებები მიმდინარეობდა იტალიაში, საბერძნეთში და თურქეთთან ახლოს. ძალიან ვისიამოვნე. ტიპური უცხოელი განვასახიერე და ამან იქაურები ძალიან დაინტერესათ.

— **ეს წარსულში იყო. ახლა აღარ მსახიობობთ?**

— სანამ აქ ჩამოვიდოდი, გერმანიის პირველმა არხმა — ARD-მ სერიალში გადამიღო. განვასახიერე რესტორნის თურქი მფლობელი.

— **თქვენს ალბომს დავუბრუნდეთ. აღნიშნეთ, რომ „ხიდი“ კულტურების დამაკავშირებელი უნდა გახდეს. გერმანულ-თურქულ კულტურებს გულისხმობთ, ლაზურ-გერმანულს თუ უფრო გლობალური მიზანი გაქვთ? და კიდევ — ალბომში მარტო თქვენი სიმღერები შეიტანეთ თუ ლაზური ფოლკლორის ნიმუშებიც გამოიყენეთ?**

— ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ნაციონალისტი არა ვარ. ყველა იმ მცირერიცხოვანი ერის გვერდით ვდგავარ, რომელიც მრავალრიცხოვანი ერების ზეწოლას განიცდის. პრიორიტეტს ვანიჭებ ჩემს ხალხს, რომელიც დიდ ზეწოლას განიცდიდა საუკუნეების განმავლობაში და მაინც შეინარჩუნა ენა... ერების დასაკავშირებლად, საერთოდ, საჭიროა, რამდენიმე კულტურული ელემენტის არსებობა. თურქეთში თითქმის ყველა ლაზს ესმის ლაზური, მაგრამ ახალგაზრდა თაობას უჭირს ლაზურად ლაპარაკი. ჩემი სიმღერებით მათ ვეუბნები, რომ ენა არ უნდა დაივიწყონ, ენას შენარჩუნება უნდა, ეს აუცილებელია. ალბომში შეტანილი მაქვს ჩემი თურქულენოვანი და ლაზური სიმღერები, გერმანული სიმღერები არ შემიტანია, თუმცა კონცერტებზე ვმღერი. ვცადე, გამომეყენებინა თანამედროვე ჯაზის ელემენტები — ამით ვუახლოვდებოდი სხვა ხალხების კულტურას, ამავე დროს, ვეცადე ტრადიციული საკრავების გამოყენებაც. „ხიდში“ ვგულისხმობ თაობებს შორის ხიდის გადებასაც. შევეცადე, ქართულადაც მემღერა ჩემს მეგობრებთან ერთად. „ჯინველო“ — გერმანიაში მცხოვრები ქართველების ჰიმნია და სწორედ ეს სიმღერა ჩავწერე (მუსამ „ჯინველო“ ინტერვიუს დროსაც კი შეგვისრულა. — ავტ.).

მიხეილ ლაბაძე, *კოლხური კულტურის ცენტრის წარმომადგენელი, ლაზური რადიო „კოლხას“ დირექტორი:*

— ლაზიც, მაჭახელელიც, აჭარელიც ცდილობს, რომ ეს სიმღერა თავისი სიტყვებით იმღეროს. ახალგაზრდა ლაზებს არა აქვთ აქტიური კავშირი საქართველოსთან. ძველი თაობის ლაზები კი, გადმოდიოდნენ ბათუმში, ოჩამჩირეში... ახალგაზრდა თაობა, სანამ საზღვარი გაიხსნებოდა, სტამბოლში მიდიოდა სასწავლებლად. ახლა თურქეთსა და საქართველოს შორის კარგი ურთიერთობაა და უკვე თავისუფლად გადმოდიან ლაზები, ეცნობიან ისტორიულ სამშობლოს, ბევრი ლაზი სწავლობს აქ. მაგალითად, რიზეში, მათინასა და ხოფაში მცხოვრები ლაზებისთვის ბათუმი უფრო ახლოსაა, ვიდრე სტამბოლი. მერე, ნათესაური კავშირია იქაურ და აქაურ ლაზებს შორის. მუსა გვარად კარალიშია, კარალიშები საქართველოში თანდილავებად იწერებიან. ორი ძმა იყო — კარალი და თანდილა, ერთი იქ დარჩა, მეორე — აქ.

— **მუსა იცნობს თავის ნათესავ თანდილავებს?**

— ნათესაური ურთიერთობა არა აქვს იმიტომ, რომ თვითონ გერმანიაში ცხოვრობს,

ყველა იმ მცირერიცხოვანი ერის გვერდით ვდგავარ, რომელიც მრავალრიცხოვანი ერების ზეწოლას განიცდის

მაგრამ ურთიერთობენ ვიწეში მცხოვრები კარალიშები და თანდილავები. ურეკში ვიცნობ კიდევ კარალიძეებს, რომლებიც ადრე კარალიშები იყვნენ. დღევანდელ ლაზეთში — თურქეთში, ათათურქის რეფორმის შემდეგ, ლაზური გვარები შეცვლილია თურქულით. მანამდე იქ ოღლით იწერებოდნენ მხოლოდ ქართველები.

— მუსამ იცის ქართული?

— თვითონ ცდილობს რაღაცების გაგებას, სწავლას.

— მუსა ყურადღებით ისმენს ჩვენს საუბარს და მგონი, იგებს კიდეც შინაარსს.

მუსა კარალიში:

— ყურძენი, ატამი, ცხენი, წყალი — ყველაფერი ერთი გვაქვს. შემორჩენილი, ძველი სიტყვების გაგება არ მიჭირს. ლაპარაკით ვერ ვლაპარაკობ.

მიხეილ ლაბაძე:

— ორი-სამი დღე საქართველოს ქუჩებში რომ გაიარა, მაშინვე იგრძნო, რომ მისი ფუძე, ძირი — აქაა. მცხეთაში წავიყვანეთ, მომღერალ თამთა გოგუაძის მამამ, ბატონმა მიშამ თავისი ოჯახის ღვინო დაალევინა და ისე აღფრთოვანდა, თქვა: გერმანიაში ლეგენდად ჩავიტან ამ ღვინის ამბავსო.

— საქართველოში პირველად ხართ?

მუსა კარალიში:

— საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 5 თვის შემდეგ ჩავედი ბათუმში, პროფესორ ზურაბ თანდილავას ოჯახში და შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდი შინ. საქართველოში მეორედ ახლა ჩამოვედი. აი, თბილისში კი, ნამდვილად პირველად ვარ.

მიხეილ ლაბაძე:

— საერთოდ, დღეს ლაზების ფოლკლორი, კულტურა და ა.შ. ის, რაც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, დიდი საფრთხის წინაშეა. გლობალიზაციას თავი დავანებოთ, იქ იგრძნობა აზიური სტილის მუსიკის დიდი გავლენა. თუ ამ სტილში არ იმღერებ, კომერციისთვის წამგებიან იქნება, რადგანაც თურქეთია, ცდილობენ, თურქულ ყაიდაზე ააწყონ ლაზური სიმღერებიც. რამდენიმე ლაზი მომღერალი ფულს შოულობს ამით. მაგრამ მუსა კარალოღლი აზიურ ყაიდას უფრო არ სწყალობს, რადგან იცის, რომ ეს ლაზური — ქართული არ არის. ლაზებს უნდათ, შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და ამიტომ ცდილობენ, გაემიჯნონ არალაზურს, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. სიმღერებში ძირძველი ფოლკლორის შემონახვა ძალიან ძნელია, რადგან კი არიან ფოლკლორისტები, მაგრამ მათი ჩაწერა თითქმის არ ხდება. ეს უპირველესად, ქართველმა ფოლკლორისტებმა უნდა გააკეთონ.

P.S. მუსა ხან ლაზურად, ხან გერმანულად მელაპარაკებოდა, შესაბამისად, თარჯიმნობას ხან ლაზურის მცოდნე მიხეილ ლაბაძე, ხანაც ჩემი მეგობარი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი სოფო ლიპარტელიანი მიწევდნენ. მუსაც ძალიან ბედნიერი იყო, რომ შესაძლებლობა მიეცა, გერმანიაში მცხოვრებ კიდევ ერთ ქართველს დამეგობრებოდა...

■

nacarSi Cavardnili kovzi da SeSinebuli iubilari

თამთა გოგუაძე ისევ გააქტიურდა

ნათია ქივიძე

რამდენიმე წლის განმავლობაში, ახალგაზრდა მომღერალი — თამთა გოგუაძე სცენაზე არ ჩანდა. ამის მიზეზი კი ის იყო, ორი წლის წინ, დედა გახდა და გადაწყვიტა, ცოტა ხნით თავის საქმიანობას გამოსთხოვებოდა და მთელი დრო შვილისთვის დაეთმო. რამდენიმე თვის წინ, ის კვლავ დაუბრუნდა ქართულ შოუბიზნესს და რამდენიმე ახალი სიმღერა ჩაწერა. 20 აგვისტოს, თამთას შვილი — პატარა ლუკა 2 წლის გახდა. ახალგაზრდა დედამ გადაწყვიტა, ეს დღე ლამაზად აღენიშნა და ოჯახის ახლობლებთან ერთად, მეგობარი ჟურნალისტები მცხეთაში, საკუთარ აგარაკზე დაგვპატიჟა, თან დასძინა: თბილისში ძალიან ცხელა, აქ კი გრილა და თუ სურვილი გექნებათ, აუზშიც იბანავებთო. რა თქმა უნდა, ამ წინადადებას სიხარულით დავთანხმდით და საბანაო კოსტიუმებიც გავიყოლეთ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა, რადგან მცხეთაში საცობი იყო და დანიშნულების ადგილამდე რომ მივაღწიეთ, უკვე საკმაოდ ბნელოდა. ეზოში სტუმრებს თავი უკვე მოეყარათ. მთელი ხეივანი ბუშტებითა და თამთას ფოტოებით იყო მორთული. ეზოს ბოლოში დიდი ეკრანი დაემონტაჟებინათ, სადაც მისი ახალი კლიპის პრემიერა უნდა შემდგარიყო. ვიდრე საღამო დაიწყებოდა, სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეულმა მამა ალექსიმ, სახლიც, ეზოც, სუფრაც და იქ მყოფი ყველა ადამიანიც გვაკურთხა.

ახალი კლიპის რეჟისორი ლევან ტორონჯაძეა, მუსიკა ჭაბუკა ამირანაშვილს ეკუთვნის, თამთას ვოკალის პედაგოგი კი, მაკა დავითაია გახლავთ. სიმღერა წყნარი და გულში ჩამწვდომია. კლიპის მთავარი გმირიც და მისი ერთადერთი მონაწილეც თამთაა... კლიპის ეკრანზე ორჯერ გასვლის შემდეგ, ფეიერვერკები გაისროლეს და ყველა სტუმარმა ერთხმად აღიარა — თამთას ბოლო ნამუშევარი საკმაოდ ლამაზი გამოსულაო.

სადღეგრძელოს შემდეგ, ისევ ფეიერვერკების ხმა გაისმა, რაც პაგარა ლუკას არ მოეწონა და...

პრეზენტაციის მერე შეგვახსენეს, რომ აქ ლუკას იუბილეს აღსანიშნავადაც ხართ მოსულებიო და სუფრასთან მიგვიპატიჟეს. ჟურნალისტთა უმეტესობა იქვე, აუზთან გაშლილ სუფრას მივუსხედით. ჩვენთან ერთად ჯგუფ — „ემის“ წევრები, ეკა და ია მანეჟაშვილები თავიანთ მეუღლეებთან ერთად იყვნენ. გარდა ამისა, სუფრას კოტე ნონიკოვიც გვიმშვენებდა და კარგადაც მოვილხინეთ. თამადა, ჭაბუკა ამირანაშვილი გახლდათ. იქ ასევე იყვნენ მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ნუგზარ კვაშალი და თათია გიორგობიანი — მეუღლესთან ერთად...

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა თქვა: ვინც აუზში გადახტება, იმისთვის სახინკლეს ვკისრულობო. თავიდან ამ იდეამ მოგვხიბლა, მაგრამ მერე, უფროსი თაობის ხათრით თავი შევიკავეთ და თამთა შევითანხმეთ, რომ აუზში საბანაოდ ჟურნალისტები ცალკე ვესტუმრებოდით.

იუბილარის სადღეგრძელოს შემდეგ, ისევ ფეიერვერკების ხმა გაისმა, რაც პატარა ლუკას არ მოეწონა და ტორტზე სანთლების ჩაქრობის ნაცვლად ტირილი დაიწყო. ცოტა ხანში დაიძინა კიდეც.

როგორც თამთამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ის კომერციულ სიმღერებს არ ასრულებს და თუ რამე ახალს წერს, ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნების გამო აკეთებს. თან ისიც დასძინა: კიდევ ერთი ძალზე ლამაზი სიმღერა მაქვს ჩაწერილი და მასზე კლიპს შემოდგომაზე გადავიღებო...

■

Volvo C30

შვედურმა კომპანიამ თავისი ყველაზე მომცრო მოდელის — C30-ის პირველი ოფიციალური ფოტოსურათები და ტექნიკური მახასიათებლები გამოამზეურა. ეს მანქანა მართლაც, საკმაოდ მოკრძალებული პარამეტრებით გამოირჩევა — მისი სიგრძე 4,25 მ შეადგენს (22 სმ-ით ნაკლებს, ვიდრე სედან S40-ისა). ის უპირველესად, ახალგაზრდობისთვისაა განკუთვნილი. „შვედი ნამცეცა“ რამდენიმე ძრავათი იქნება აღჭურვილი. ყველაზე ხელმისაწვდომი, 1,6 ლ მოცულობის, 100 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის აგრეგატია. მომხმარებელს შესთავაზებენ აგრეთვე ამავე მახასიათებლების მქონე დიზელის ძრავასაც. გარდა ამისა, შვედი მწარმოებლები ამზადებენ 5-ცილინდრიან დიზელის და ბენზინის ტურბოაგრეგატებს, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად, 180 და 220 ცხ.ძ. იქნება.

ჩვეულებისამებრ, „ვოლვოს“ სპეციალისტებმა საგანგებოდ იზრუნეს მგზავრთა უსაფრთხოებაზე: C30 აღჭურვილია სხვადასხვაგვარი საფირმო სისტემით, მათ შორის — გვერდითი შეჯახებისას საჭირო დაცვის კომპლექსით, ე.წ. „მკვდარი ზონის“ კამერითა და უსაფრთხოების რამდენიმე ბალიშით.

როგორც ვარაუდობენ, სერიული C30-ის პირველი ჩვენება სექტემბერში, პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე შედგება, ხოლო ევროპელი დილერები ამ მანქანას წლის ბოლოსთვის მიიღებენ. ახალი მოდელის წლიური ტირაჟი 65 ათასს მიაღწევს. შვედ მარკეტოლოგთა დასკვნით, სამი მეოთხედი ევროპაში გაიყიდება. Volvo C30-ის მთავარ კონკურენტებად ბაზარზე, ორი პოპულარული მოდელი — პირველი სერიის BMW და Audi A3 დახვდებიან. ■

ახალი BMW X5

უკვე კარგა ხანია, ავტომოყვარულები ელიან მეორე თაობის X5-ის გამოჩენას და აი, როგორც იქნა, პრესის ფურცლებზე მისი პირველი ოფიციალური ფოტოსურათები გამოჩნდა. ამთავითვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი X5, ე.წ. პრიმიუმ-კლასის ყველგანმავლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, მისი დიზაინი იმავე სტილს განეკუთვნება, როგორითაც დამზადებულია პირველი თაობის BMW X5. ოღონდ, 2006 წლის გამოშვების ნიმუში ძველში ნამდვილად არ აგერევათ. აღსანიშნავია, რომ მანქანა სიგრძეშიც გაიზარდა, თანაც მნიშვნელოვნად — 200 მმ-ით. ყველაზე მეტი ყურადღებ-ის ღირსი კი, არა მაშუქები ან უჩვეულო ბამპერი და რადიატორის ცხაური (ისინი მართლაც რომ საუცხოოდ გამოიყურება!), არამედ ის გახლავთ, რომ ახალი X5 7-ადგილიანია. ამის წყალობით, შეძლებულ ავტომოყვარულებს მიეცემათ საშუალება, გაცილებით მეტი მეგობარი „ასრიალონ“ საკუთარი მანქანით.

სალონი მრავლისმხილველ მძღოლებსაც გააოცებს: მასში იმდენი სიახლე შეგხვდებათ, რომ კაცი იფიქრებს — გერმანულმა კომპანიამ ამქვეყნად ყველაზე მაღალტექნოლოგიური ავტომობილის შექმნა განიზრახაო. სანავიგაციო სისტემების გარდა, მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ DVD-თი, შევიდ-ნენ ინტერნეტში; X5 აღჭურვილი იქნება ღამის ხედვის ისეთი სისტემით, რომლის მეშვეობითაც, საქარე მინაზე სიჩქარის პროეცირებაა შესაძლებელი. ამას ემატება სადგომზე ავტომატურად გაჩერების სისტემა, რომელიც რადარებისა და ვიდეოკამერებისგან შედგება. ■

„მე ბათუმელი ვარ და ასე იქნება სულ!"

მას კახაბერიცა და კახუჩელაც — ორივე, ბათუმში დაარქვეს, რადგან იქაურია, ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. დედაქალაქშიც აჭარული „განდაგანათი" გახდა ცნობილი. ახლა კახა ოჯახთან ერთად, თავის მზიან და საყვარელ ბათუმშია...

— კახა, რა ხდება აჭარაში?

— კარგია აქ ყოფნა, გალამაზებულია აჭარაც და ბათუმიც.

— როგორი იყო ბათუმი შენს ბავშვობაში?

— ეს ქალაქი ყოველთვის მშვენიერი და ლამაზი იყო. აქ მუდმივად უამრავი ტურისტი ჩამოდიოდა. ბათუმი ჩემში განსაკუთრებულ გრძნობებს იწვევს, აქ ჩამოსვლა სულ მიხარია.

— ხშირად ხარ ბათუმში?

— იშვიათად, რადგან თბილისში ბევრი საქმე იყრის თავს. ის კი არა, აქაც ვერ ვისვენებ ხოლმე, მაინც საქმეზე ვფიქრობ. ახლა ვაპირებ, რომ თვის ბოლომდე დავრჩე. ჩემს შვილსაც უხარია ბათუმში ყოფნა.

— იქნებ, აჭარულად რამე გვითხრა?

— მაშინ სიმღერიდან გეტყვი: „...ახალგაზრდებს რანდა უთხრა, ბებრებია და ატეხილი..." (*იცინის*).

— რამდენი კილომეტრია ბათუმიდან თბილისამდე?

— 400-მდე...

— რა ტრანსპორტით ჩახვედით ბათუმში?

— გზა თბილისიდან ბათუმამდე საკუთარი ავტომანქანით დავფარე.

— პირველად, თუ გახსოვს, დედაქალაქში რა ტრანსპორტით ჩამოხვედი?

— მატარებლით. მაშინ პატარა ვიყავი,

ასე, 8 წლის, კარგად არც კი მახსოვს... ძალიან მომეწონა თბილისი, ეს ვიცი.

— რა მოგცა თბილისმა?

— ბევრი რამ. ბათუმის შემდეგ მე არაერთ ქალაქში მიცხოვრია, თუმცა მაშინვე თბილისში არ ჩამოვსულვარ...

— დოლზე დაკვრა ბათუმში ისწავლე?

— აბა, თავიდან დოლიც არ მქონდა და „კასტრულებზე" ვუბერავდი.

— ალბათ ამტვრევდი კიდეც ქვაბებს, არა?

— თუ არ ვამტვრევდი, ყველა გაღუნული მაინც იყო.

— დღეს, ბათუმელი ხარ თუ თბილისელი?

— მე ბათუმელი ვარ და ასე იქნება სულ!.. მე და ზღვა — ცალკე ამბავია. მას საოცარი შეგრძნებების მონიჭება შეუძლია. ზღვასთან მარტო ყოფნა ჩემთვის განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა... ამჟამად, რადგან თბილისში მიწევს ცხოვრება, თბილისსა და ბათუმს შორის ხიდივით ვარ გადებული. ისე, ნაღდი ბათუმელი მაინც ის არის, ვინც ბათუმით ცხოვრობს...

— როგორია ბათუმელი?

— სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი.

— ალბათ, ბათუმის ბულვარი შენი საყვარელი ადგილია, არა?

— ბათუმის ბულვარში ვარ გაზრდილი, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია.

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რა გეგმები გაქვს?

— ძალიან დიდი და სერიოზული. უპირველესად, ახალი ალბომის გამოშვებას ვაპირებ.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ. ■

კვარიათი, უცხოელი დიჯეები, ტამტამები და ზღვის ნაპირზე მოწყობილი მოდელების ჩვენება

ნინო დარასელმა სურვილი აისრულა

სიახლე არ არის, რომ ზღვისპირა ქალაქები სავსეა დამსვენებლებით. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში, ქობულეთში, კვარიათსა და გონიოში ისვენებს თითქმის მთელი ქართული ბომონდი. გარკვეულმა ნაწილმა, როგორც იტყვიან, სასიამოვნოს სასარგებლოც შეუთავსა და კვარიათში მუსიკალური ფესტივალი გამართა. ესენი არიან: ნინო დარასელი და მისი მეგობრები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ნინოს დეიდა, ქალბატონი მაია რჩეულიშვილი დაეხმარა, დაასპონსორა.

ფესტივალი სახელწოდებით „ჯეოსელი წარმოგიდგენთ — ანაბეჭდი ზღვაზე" 16 აგვისტოს დაიწყო და 20 აგვისტომდე გასტანა, დევიზი კი ასეთი იყო — „მშვიდობა, სიყვარული, თავისუფლება"...

სალომე კორკოტაშვილი ახალი ჯგუფით გამოჩნდა

როგორც ორგანიზატორები ამბობენ, კვარიათში ფესტივალზე უამრავი ადამიანი იყო ჩასული, მათ შორის,

თიკა ფაცაცია: ლუდს „ვუყვარვარ" ძალიან...

— სად ხარ და რას აკეთებ?

— გონიოში.

— რატომ?

— რა ვიცი, აბა (*იცინის*)!.. თურქეთში გვინდოდა დასასვენებლად წასვლა, მაგრამ იმ საშინელი ავარიის შემდეგ გადავიფიქრეთ. აქაც კარგია, კარგი ამინდია, კარგი ზღვაა და ყველაფერი არაჩვეულებრივია...

— ბავშვთან ერთად ისვენებ?

— რა თქმა უნდა! ის უკვე ისეთ ასაკშია, როცა მის გარეშე არც შეიძლება დასასვენებლად წასვლა. ასე რომ, სამნი ვართ — დედა, მამა და შვილი.

— მაღალი რომ ხარ, ხალხს ზემოდან უყურებ?..

— (*იცინის*) არა, დაბლებთან ჩავიმუხლებ ხოლმე და ისე ველაპარაკები; საშუალო სიმაღლის ხალხთან ცოტა მიჭირს, რადგან ამ შემთხვევაში, წელში მოხრა მიწევს. ხალხს ზემოდან რატომ უნდა ვუყურო?!

— ტანდაბალ მამაკაცებზე რას იტყვი?

— ტანდაბალ მამაკაცებზეც არსებობს რაღაც დადებითი აზრი, მაგრამ მაღალ მამაკაცებს მაინც სხვა ხიბლი აქვთ.

— სურათის გადაღებისას რაზე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა, იმაზე, რომ ლამაზად გამოვიდე, ამიტომ სპეციალურად ვიპრანჭები (*იცინის*).

— შენი ყველა ფოტო გიყვარს?

— არა.

— ლუდი გიყვარს, ხომ?

— არც ისე.

— აბა, ლუდს რატომ უკეთებ ხოლმე რეკლამას?

— ლუდს „ვუყვარვარ" ძალიან და იმიტომ. ისე ხდება, რომ თითქმის ყველა დასახელების ლუდს ვუწევ რეკლამირებას.

— შენი ნება რომ იყოს, კიდევ რას გაუკეთებდი რეკლამას?

— რაღაც ძალიან ლამაზს, ჰაეროვანს. კაშკაშა მზეს და ლივლივა ზღვას...

— სარკის წინ დიდხანს იპრანჭები?

— გააჩნია, სად მივდივარ. თუ სერიოზული ვიზიტი მაქვს, ალბათ, საათნახევარს მაინც ვიპრანჭები, თუ არა და — ათი წუთიც მყოფნის.

— საკუთარი მანქანით დიდ სიჩქარეს ავითარებ?

— სიჩქარე მიყვარს, მაგრამ ადრე უფრო მიყვარდა, 200 კმ/სთ სიჩქარითაც დავდიოდი, ახლა აღარ — 120, 100-იც მაკმაყოფილებს, რაღაც დავშინდი.

— კიდევ რისი გეშინია?

— ზვიგენის. მგონი, „ზვიგენოფობია" შემეყარა.

— სადმე რომ გადაგეყაროს?

— ალბათ, მისი ლუკმა გავხდები...

— განაგრძე ანდაზა: „კვიცი გვარზე...

— ...ხტის".

— შენს შემთხვევაშიც ასეა?

— ალბათ (*იცინის*). რა თქმა უნდა.

— ყოვლისშემძლე რომ იყო... მერე?

— ბედნიერების წამებს გავზრდიდი.

— შენზე ამბობენ, ჯადოსნური ჯოხი აქვსო, მართალია?

— მაქვს, მაგრამ არ ვიყენებ (*იცინის*)... ისე, კარგია რომ ამბობენ...

— რა არის შენი მავნე ჩვევა?

— მზეს ვერ ველევი, მიყვარს მისი სხივებით ტკბობა. არადა, მეტისმეტი არაფერი შეიძლება, მზის სხივები ყოველთვის არ არის სასარგებლო, მაგრამ მის ტყვეობაში ვარ, ვერ ვეხსნები.

— სიყვარული მართლა დაფრინავს?

— დაფრინავს, ოღონდ — საწყის ეტაპზე, მერე — „პრიზემლენიე" ემართება.

— რას ეტყვი მკითხველს?

— ახლა ზღვის პირას ვდგავარ, ხელები მაქვს გაშლილი და ვამბობ, რომ ცხოვრება მშვენიერია! ■

უცხოელი ტურისტებიც. მონაწილე მუსიკოსებს შორის მოწვეულები იყვნენ დიჯეები მიუნხენიდან, ლონდონიდან. ფესტივალზე მომღერალი სალომე კორკოტაშვილიც გამოჩნდა თავის ახალ ბენდ „შოკმანჟესთან" ერთად, რადგან მისი „პაპარაცი" სულ ცოტა ხნის წინ დაიშალა. დაუკრა ნიკუშა კაჩაროვის ჯგუფმაც, კახა ბაკურაძის მოძრაობის

თეატრმა მისთვის ჩვეული სანახაობა წარმოადგინა — ისინი ტამტამების თანხლებით ზღვაში შევიდნენ... სანაპიროზე სულ სამი სცენა იყო მოწყობილი, რომელზეც ყოველ საღამოს რაღაც ახალი და საინტერესო ხდებოდა. სანაპიროზე პოდიუმიც გამართეს, დიზაინერმა თეონა თავართქილაძემ საზაფხულო მოდელების ჩვენებაც მოაწყო...

დამსწრე საზოგადოებაზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ნეონის ოთახმა მოახდინა, რომელიც მწვანე ნეონის შუქით იყო განათებული და ახალგაზრდები ცეკვავდნენ. ტუბერკულოზის წინააღმდეგ საქველმოქმედო აქციაც მოეწყო, სადაც უამრავ დაავადებულ პატარას მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვეს. ყველაფერი გრანდიოზული ფეიერვერკით დამთავრდა. ■

თეონა თავართქილაძე ჩვენებით კმაყოფილია

kviris astrologiuri prognozi

(24 – 30 agvisto)

ვერძი 21.03-20.04

ამ პერიოდში, ჯობია, სარისკო საქმიანობებსა და ავანტიურაში მონაწილეობა არ მიიღოთ. შესაძლებელია, გარკვეული შეფერხებები საქმიანობაში. ამ დღეებში, სასურველია უფრო ყურადღებით იყოთ ურთიერთობისას როგორც ახლობლებთან, ისე უფროსებთან და თანამშრომლებთან.

კურო 21.04-20.05

ნუ დაიწყებთ ახალ რომანტიკულ ურთიერთობებს, რადგან ამ კვირაში, ზედმეტად ემოციური და მგრძნობიარე იქნებით, რაც ობიექტურობაში ხელს შეგიშლით. ვარდისფერი სათვალის მიღმა, შეიძლება, ვერ ამოიცნოთ თქვენი აღფრთოვანების ნამდვილი მიზეზი. თქვენთვის აუცილებელია, უქმე დღეები ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

ტყუპი 21.05-21.06

ამ დღეებში, მოძრაობა ორი სხვადასხვა მიმართულებით მოგიწევთ — ერთი მხრივ, ყოველდღიური საქმეებით დაკავდებით და პარალელურად, ძველ, გადაუჭრელ პრობლემებს მიუბრუნდებით. ამ კვირას, ჯობია, ადრე დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ, რათა თქვენი კარიერა გადაარჩინოთ.

კიბო 22.06-22.07

ამ კვირას, ნებისმიერი სახის შენიშვნა თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს, ამიტომ ნუ გადაიტვირთავთ თავს საქმეებით ან ურთიერთობების გარკვევით. ჯობია, ახლობლებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად სადმე გაემგზავროთ და თავს დასვენების უფლება მისცეთ.

ლომი 23.07-23.08

ამ პერიოდში, ცუდი არ იქნება, თუ ახალ საქმეებს წამოიწყებთ. თქვენს ცხოვრებაში ახალი პერსპექტივები გამოჩნდება — კარიერული წინსვლისა და შემოქმედებითი ცხოვრების სახით. შეეცადეთ, ამ კვირას თავი მაქსიმალურად დაიტვირთოთ. დასვენება კი, შემდეგი კვირისთვის გადადეთ.

ქალწული 24.08-23.09

ამ დღეებში, თქვენ აუტანელი იქნებით — სწრაფად შეგეცვლებათ განწყობილება, მოგინდებათ თქვენი გაიტანოთ, ნებისმიერი რამ გეწყინებათ, არ მოგეწონებათ ესა თუ ის სიტუაცია. ამიტომ თუ შესაძლებლობა გაქვთ, ამ კვირას შვებულება აიღეთ და დასასვენებლად გაემგზავრეთ.

სასწორი 24.09-23.10

ამ კვირას, სიტუაცია ისეთია, რომ ჯობია, ინდივიდუალურ საქმიანობაზე ან სულაც, დასვენებაზე იფიქროთ. წინაალმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, სულ ტყუილად გაისარჯოთ. კარგია, თუ დასასვენებლად ზღვაზე წახვალთ და ნერვებს დაიწყნარებთ.

მორიელი 24.10-22.11

ამ დღეებში, ძალზე სენტიმენტალური იქნებით — მოგინდებათ შეხვედრა ძველ მეგობრებთან და ნათესავებთან. ეს კარგი იქნება ოჯახური ურთიერთობების გასამყარებლად, რათა იქ თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა შეიქმნას. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ გართობა მოგინდეთ და თავს აქტიური დასვენების უფლება მისცეთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

შეეცადეთ, ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობებში გარკვეული შესწორებები შეიტანოთ. წინაალმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, წარმოიშვას მოულოდნელი პრობლემები როგორც ახლობლებთან, ასევე კოლეგებთან. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს ბუნების წიაღში, საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარებთ.

თხის რქა 22.12-20.01

ახლა თქვენ ნებისმიერი ურთიერთობა გაგაღიზიანებთ. ამის გამო, შესაძლებელია, ახლობლებთან და საყვარელ ადამიანებთან კონფლიქტი მოგივიდეთ. დამნაშავის ძიება შეიძლება სერიოზულ ოჯახურ სკანდალში გადაიზარდოს, რაც სამსახურის საქმეებზეც იქონიებს გავლენას. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ კონფლიქტში ორივე მხარეა დამნაშავე. ამიტომ შეეცადეთ, დაზოგოთ ენერგია და ემოციები, რომელიც შემდგომ კვირაში აუცილებლად დაგჭირდებათ.

მერწყული 21.01-19.02

თქვენს გეგმებზე შემთხვევით ადამიანებთან არ ისაუბროთ, რადგან მომავალში, ეს შეიძლება სერიოზულ უსიამოვნებაში გადაიზარდოს. ფრთხილად იყავით, რადგან შესაძლებელია, მოულოდნელმა პრობლემებმა თქვენს იღბლიანობასა და ფინანსურ სტაბილურობას ხელი შეუშალოს.

თევზები 20.02-20.03

თქვენ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენთვის ჩვეულ ცხოვრების რიტმს. ეს კვირა, გადალახული სიძნელეების შემდეგ, შეიძლება, ფრიად საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდეს. კვირის ბოლოს, თქვენ რომანტიკული თავგადასავალი გელით, რომელიც თქვენს ცხოვრებას უფრო გაალამაზებს. ■



„გაძარცული“ მიცვალებული...

ინგა ჯაყელი

როცა ბირჟაზე უქმად ყოფნით დაღლილ ბიჭებს ლადოია ეძგვერაძის სახლის ღია ფანჯრებიდან კივილის ხმა მოესმათ, ყველას ერთი და იგივე აზრი მოუვიდა თავში: „ეშველა, გონია, იმ შეჩვენებულს და გეისტუმრა ყელში ამოსული სიდედრი საიქიოში!“ — მერე კი, ჰაერში დატრიალებული ფლავის სურნელს მიჰყვნენ და ძმაკაცს იმ დროს მიუსწრეს, გულში ჩაკრულ სიდედრს მთელი ძალით რომ აჯანჯღარებდა და მუჭის სიმსხო ცრემლებს აღვარღვარებდა:

— გაახილე თვალი, არ დამღუპო და გამწირო, თორემ იცოდე, მიწას არ გაღირსებ!..

პაატამ და ზაზამ ძმაკაცის წამოყენება სცადეს და ყურში ჩასჩურჩულეს:

— ე, ბიჭო, მართალი არ ეგონოს და არ მობრუნდეს საიქიოდან, თორემ მაგის მეორედ სიკვდილს ვეღარც მოესწრები!..

ლადოს არაფრის გაგონება არ სურდა და „სასწრაფოს“ ექიმებს მოსვენებას არ აძლევდა:

— მიხედეთ, ორმაგი დოზა გოუკეთეთ და მოაბრუნეთ, ოქროთი გადაგიხდით საფასურს!..

— მთვრალი ხომ არაა ეს შეჩვენებული?! — ეჭვი შეეპარა ბადრის ძმაკაცის ნორმალურობაში.

— რავა?! — კითხვით შეხედა ზაზამ.

— რა, რავა, დღედაღამ შუშანას სიკვდილს ნატრობდა და მის დანახვაზე გულს აზიდებდა, ახლა რამ გადარია?! — მხრები აიჩეჩეს სხვებმაც და გზა შუშანას სიყრმის მეგობარს და ზაზას სიდედრს — გოგუცას დაუთმეს, რომელმაც ლადო გულში ჩაიკრა:

— დეილოცა შენი გამზრდელი, რავა გყვარებია ჩემი საბრალო შუშანა, მაგი რომ სიცოცხლეში გეეგო, რაღა მოკლავდა?.. შენ მეიყარე ორი ჩვენი ხნის, ჩემს უზნეო სიძეს კი არ გავხარ, ცოცხლად რომ მმარხავს ყოველდღე!..

ლადომ თვალებით ანიშნა ზაზას: — მომაცილე, სანამ ჩემი ხელით არ მიმიხრჩვიაო! — რაზეც სიდედრის მოძულე სიძემ მხოლოდ გვერდზე გახედვით და გადაანერწყვით უპასუხა...

წავიდა „სასწრაფო“ და ბიჭებმა შუშანა დაცლილი „ზალის“ შუაგულში დადგმულ „ლედნიკში“ „ჩააცივეს“, ფეხებთან კი, საიდანღაც მოტანილი ლუდის ბოთლები ჩაუწყვეს — „კარგადაც გაცივდება და ვერც ქალები მიაგნებენ, თვარა დალევას არ დაგვანებებენო“!..

ლადო წარბშეკრული მისჩერებოდა „ლედნიკს“, დროდადრო გულზე იბრაგუნებდა მომუჭულ მარჯვენას და გაოგნებული იმეორებდა:

— ეს რა მიყო, რავა დამღუპა და ამომაგდო!..

— კაი, ახლა მაინც ვართ მარტვა და არავის არაფერი ეყურება, რას ითხრი თვალებს, მაინც არ დაგიჯერებთ, რომ შუშანას სიკვდილს ვერ ინელებ, რას არტისტობ! — მხარი გაჰკრა მეგობარს გვერდით მჯდომმა პაატამ.

— რას ვარტისტობ, თუ ძმა ხარ, ან შუშანას ვინ დაეძებს, მაგი დედის მუცელშივე იყო სასიკვდილო, მარა მე რომ სისხლი გამიშრო, მაგას ვტირი! — ხელი ჩაიქნია ლადომ.

— აპა, ის რა იყო, გულში ჩაკრულს რომ აჯანჯღარებდი და ეუბნებოდი: არ გაგიშობ, არ გაგიშობო?! — წაკბინა ბადრიამ.

— რავარი გასაშობი იყო ის სულწაწყმედილი და ეშმაკთან შეკრული?!. იცოდა ალბათ, რომ კვდებოდა და ერთი თვის წინ, თუ რამე ოქრო ჰქონდა, გააქრო: ბრილიანტისთვლიან ბეჭედზე და ძველ სამაჯურზე არაფერს ვამბობ, ჩემი სიმამრის ოქროს პორტსიგარიც აღარ ჩანს და არც მოოქრული დანა-ჩანგალი, კბილებიც კი დეიძრო, გვერდებზე რომ ჰქონდა ორორი ბაჯაღლო ოქროსი... რომ დაარტყა სამი დღის წინ წნევამ, გადავატრიალე მთელი სახლი, ლამის კანალიზაციაშიც ჩავძვერი თავით და ვერაფერი ვნახე... სამი ღამე არ მიძინია, ღამეებს ვუთევდი — იქნება მეიხედოს და რამე წამოვაცდენიოთქვა, მარა გაგონილა?! — მკვდრების გარდა არავის აღარ ელაპარაკებოდა და მოვდივარო — აიმედებდა... რაფრა არ შევუტრიალე კითხვა, არაყიც კი ჩავაცეცხლე — სიცოცხლეში რომ დალევდა, ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა, მარა... ახლა იმით მოვუღე გონია ბოლო, დეიხროტინა, დაქაჩა თვალები და წეიღო ჭირთან ერთად ის ოქროები, რისთვისაც ტარაკანასავით შავი და დაგვაჯული თინათე გოვუსაღე...

— ე-უჰ, შე უბედურო, მართლა ქე გქონია სატირლათ საქმე! — მიუსამძიმრა ზაზამ ხელმეორედ.

— ვინმე საეჭვო ხომ არ გსტუმრებიათ ამ დღეებში, ვინც ოქროს, სახლიდან გაიტანდაფეიერვერკით?! — დაინტერესდა ზაზა.

— ვინ ოხერი?! — შენს სიდედრს თუ გაატანდა, არ ვიცი და მეტი მაგას არც ნათესავი ჰყოლია და არც მეგობარი, ამოწყვეტილი იყო! — ისევ შეიგინა ლადომ.

— ჩემს სიდედრს თუ ექნა, არ დაგიკარგავ, მარა რაცხა მეეჭვება! — თავი გადააქნ-გადმოაქნია დაფიქრებულმა ზაზამ.

— სხვა უცნაური ხომ არაფერი შეგიმჩნევია ამ დღეებში?! — დეტექტივის ნიჭი გამოამჟღავნა პაატამ.

— მეტი უცნაურობა რაღა გინდათ, იცოდა, რაცხა რომ ელოდა და ორი კვირის წინ, ტანსაცმელიც კი დაალაგა თავის ჭკუაზე. ჩემს ცოლს და გოგოებს დაუბარა — ეს გამატანეთ და ისო! — ორ კუბოში არ ჩეეტევა, მარა რათ მინდა, რომ დევიტოვო მისი ძონძები, მართლა მკვტარიც არ მომასვენებს და დაბრუნდება, „კარაკულის“ ძველი „შუბაც“ „მიაქვს“...

— სასწრაფოდ აქ მომგვარე ის „შუბა“! — დოინჯი შემოირტყა ზაზამ.

— რათ გინდა, ნაფტალინის სუნით ყარს, ჯიბეები კი შენზე ადრე მოვჩხრიკე, მარა სულ ტყვილა, არაფერია შით — ხელი ჩაიქნია ლადომ.

— მე შენ გეუბნები, მომიტანე! — არ დაიშალა ზაზამ და ლადოსაც მეტი რა გზა ჰქონდა...

...ზაზამ პირდაპირ „ლედნიკზე“ გაშალა ძველი „შუბა“ და თითის წვერებით დაუწყო „ბურღვა“, მერე თვალები გაუბრწყინდა და დანა, მაკრატელი და „ბრიტვა“ მოითხოვა სასწრაფოდ, ფრთხილად აარღვია სარჩული და... რაც უფრო ღრმად შევიდა, მით მეტი ქონება დაახვავა — იქ იყო ბრილიანტისთვლიანი ბეჭედიც, სამაჯურიც, პორტსიგარიც, ოქროს კბილებიც და კიდევ ისეთი რამეები, რაზეც ლადოს წარმოდგენაც არ ჰქონდა და გაოცებული თვალებს იფშვნეტდა...

— ე, ბიჭო, მართალი ყოფილა, შენს სიმამრზე რომ ამბობდნენ — ნახევრად ებრაელია, ქვეყნის ოქრო აქ დამალულიო!..

— ავშენდი! — გულზე ხელი იტაცა ლადომ და ბიჭებს ბედნიერმა გადახედა — ეს წაწყმედილი დამამარხიეთ და თუ ერთი წლის განმავლობაში საჭმელ-სასმელი მოგაკლოთ, სულში ჩამაფურთხეთ!..

— ამ „შუბას“ რა ვუყოთ?! — დაფატრული ქუჩქი შეახსენა პაატამ.

— ერთ ადგილზე შეტენეთ, მე ამისი! — შეაგინა სიდედრს და „ლედნიკს“ თავი ახადა, წარბშეკრულ შუშანას სამი თითის კომბინაცია დაანახვა — რომ მიგქონდა, სად მიგქონდა, არ იცოდი, ჯოჯოხეთში რომ ჩამოგყვებოდი?!.

...ამის შემდეგ, დასაფლავებამდე ცრემლიც აღარავის უნახავს ლადოს თვალზე, რაც მეზობლებს არ უკვირდათ: ელდაზე ისე გულიანად იტირა, ახლა გამშრალიაო!.. მით უმეტეს, მის ძმაკაცებს აღარ გაჰკვირვებიათ რამე და ერთწლიანი ქეიფის იმედით შეპყრობილებს ერთი სული ჰქონდათ — როდის გაიტანდნენ „გაძარცულ შუშანას“ ეზოდან...

■

14256 წინასწარმეტყველება და ჯენედის გაფრთხილების ამაო მცდელობა

...ამ ადამიანმა იწინასწარმეტყველა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი (1929 წელს), ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და მრავალი სხვა. მას ედგარ კეისი ერქვა. ის ამერიკის შტატ კენტუკიში 1877 წელს დაიბადა (გარდაიცვალა 1945 წელს).

წინასწარმეტყველური ნიჭი კეისიმ მაშინ გამოამჟღავნა, როცა 21 წელი შეუსრულდა. ის ტახტზე გულაღმა წვებოდა, გულხელს იკრეფდა, თვალებს ხუჭავდა, თვლემდა და ღრმად სუნთქავდა, თანდათანობით ტრანსის მდგომარეობაში შედიოდა და მაშინ, სხვადასხვაგვარ კითხვაზე შეეძლო ეპასუხა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ წარსულზე, ცალკეული ადამიანების ბედზე და იმაზეც კი ლაპარაკობდა, თუ რა დაემართება ჩვენს პლანეტას შორეულ მომავალში. ჟურნალისტები ედგარ კეისის — „მძინარე წინასწარმეტყველს“ უწოდებდნენ.

მან ჯერ კიდევ 30-იან წლებში იწინასწარმეტყველა, რომ XX საუკუნის დასასრულს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი — ქალი იქნებოდა, რითიც, რბილად რომ ვთქვათ, გარშემო მყოფთა გაოგნება გამოიწვია. იმავე პერიოდში დაასახელა მეორე მსოფლიო ომის დასასრულის ზუსტი თარიღი. კეისი ღრმად რელიგიური ადამიანი იყო და ცხოვრობდა პრინციპით: „საკუთარი თავისთვის კი არა — სხვებისთვის“. ტრანსში მყოფი რჩევებს აძლევდა უმუშევრებს — თუ სად ეშოვათ სამსახური, ბიზნესმენებს კი უკარნახებდა — სად დაებანდებინათ ფული ან როგორ აეცილებინათ თავიდან გაკოტრება. ის მათ ეხმარებოდა განძისა და ნავთობის ადგილსამყოფლის აღმოჩენაში. ყველაფერ ამას, სრულიად უანგაროდ აკეთებდა და საკვირაო სკოლის მასწავლებლის მოკრძალებული ხელფასით კმაყოფილდებოდა. შემონახულია კეისის წინასწარმეტყველების 14256 ჩანაწერი, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ არაა გაშიფრული.

ედგარ კეისის არა მარტო მომავლის, არამედ შორეული წარსულის დანახვაც შეეძლო. მაგალითად, მას ბევრჯერ უამბნია თავისი მსმენელებისთვის ატლანტიდის შესახებ. მისი თქმით, ატლანტიდა მექსიკის ყურესა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარეობდა. როგორც ჩანს, ბაჰამის კუნძულების რაიონში. ეს კონტინენტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 15600 და 10000 წლებს შორის ჩაიძირა — ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, ასევე ადამიანების საქმიანობის გამოც, რადგან ატლანტიდელები დიდ კრისტალს, ანუ ცეცხლოვან ქვას ფლობდნენ. კეისის თქმით, დიდ კრისტალთან ატლანტიდელების ქარაფშუტულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია აფეთქებები, რასაც ვულკანის გააქტიურება მოჰყვა. სწორედ ამის შედეგად განადგურდა და ჩაიძირა ატლანტიდა.

ბევრმა ატლანტიდელმა, როცა თავის წინასწარმეტყველთაგან მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ შეიტყო, მოასწრო თავის გადარჩენა და ისინი მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ. „ატლანტიდელების ცივილიზაციის ნარჩენების პოვნა, — ამბობდა კეისი, — შეიძლება პირენეებში, მაროკოში, ბრიტანეთის ჰონდურასში, მექსიკის იუკატანაში, ამერიკის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით გოლფსტრიმის სიახლოვეს“. ნათელმხილველი წინასწარმეტყველებდა, რომ ატლანტიდის არსებობის დამამტკიცებელი საბუთები აღმოჩნდებოდა ბაჰამის კუნძულებსა და ეგვიპტეში. მართლაც, 1968 წლის ზაფხულში, ბიმინის (ბაჰამის კუნძულები) სიახლოვეს, წყალქვეშ, მეთევზეებმა დაინახეს სიმეტრიულად განლაგებული სწორკუთხა ფორმის ქვების მოხაზულობა. მოგვიანებით, ერთ-ერთმა ექსპედიციამ ამ ადგილზე მოკირწყლული გზა და მარმარილოს სვეტების ნარჩენები აღმოაჩინა.

მეორე საყოველთაოდ ცნობილი წინასწარმეტყველი ვაშინგტონში ცხოვრობდა. მას ჯინ დიქსონი ერქვა.

„როცა მთხოვენ, ავუხსნა მომავლის განჭვრეტის ჩემი უნარი, — ამბობდა ის, — ვპასუხობ, რომ არ შემიძლია ამის გაკეთება, როგორც არ შემიძლია განვსაზღვრო, რა არის სიყვარული ან ელექტრობა.

ჯინ დიქსონი მდიდარი და საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენელი იყო. 1944 წლის ნოემბერში, პრეზიდენტმა რუზველტმა ის თეთრ სახლში მიიწვია და ერთი შეკითხვა დაუსვა: „რამდენი დრო დამრჩა, რომ დაკისრებული მოვალეობა შევასრულო?“ პასუხი მაშინვე მიიღო: „ექვსი თვე, თუ ნაკლები არა“. ჯინ დიქსონის პირქუში წინასწარმეტყველება ზუსტი აღმოჩნდა — 1945 წლის 12 აპრილს, რუზველტს ტვინში სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა.

იმავე 1944 წელს, ჯინ დიქსონმა უინსტონ ჩერჩილს უთხრა, რომ მომავალ არჩევნებზე მისი კონსერვატიული პარტია დამარცხდებოდა და ისიც აღარ იქნებოდა პრემიერ-მინისტრი, მაგრამ გავიდოდა წლები და ის კვლავ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებოდა. „ინგლისი არასოდეს მიღალატებს“, — მკაცრად შეეპასუხა ჩერჩილი. მიუხედავად მისი ასეთი პროტესტისა, ჯინ დიქსონი კვლავ მართალი აღმოჩნდა...

იმავე პერიოდში, დიქსონმა ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარება იწინასწარმეტყველა. 1946 წელს დაასახელა წელი და დღე, როცა ინდოეთი, რომელიც დამოუკიდებლობას მიიღებდა, ორ სახელმწიფოდ გაიყოფოდა. ასეც მოხდა — 1947 წლის 20 თებერვალს. მან იწინასწარმეტყველა მაჰათმა განდისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობები, ასევე განჭვრიტა მერილინ მონროს ნაადრევი სიკვდილი.

1953 წლის 14 მაისს „ენბისის“ არხით გამოსვლისას ჯინ დიქსონმა თქვა: „კოსმოსში გაგზავნილი ვერცხლის ბურთი დედამიწას შემოუვლის და რუსეთში დაბრუნდება“. 1957 წელს, საბჭოთა კავშირმა პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. 1961 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, მისმა წინასწარმეტყველებამ მოსალოდნელი უბედურებისგან დაიფარა მისი ნაცნობი სენატორები, რომლებიც გაეროს გენერალურ მდივანთან — ჰამერშელდთან ერთად თვითმფრინავით მგზავრობას აპირებდნენ — რამდენიმე დღის შემდეგ, თვითმფრინავი ჩრდილო როდეზიაში დაიღუპა.

თუმცა, ჯინ დიქსონის წინასწარმეტყველებებში შეცდომებიც იყო. მაგალითად, ის წინასწარმეტყველებდა, რომ რუსები პირველები ავიდოდნენ მთვარეზე (თუმცა, როგორც ბოლო მონაცემებით გაირკვა, რუსები მართლაც აპირებდნენ, პირველები ყოფილიყვნენ), რომ ფიდელ კასტრო მალე დაკარგავდა ძალაუფლებას კუბაზე, რომ 1958 წელს, ჩინეთი მსოფლიო ომის პროვოცირებას მოახდენდა. „ჩემი სიმბოლოები არასოდეს ტყუიან, — ასე ხსნიდა თავის შეცდომებს ჯინ დიქსონი, — ზოგჯერ მე თვითონ არ მესმის მათი სწორად“.

1952 წელს, მას ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გამოცხადება ჰქონდა. მან „დაინახა,“ რომ ახალგაზრდა ჯონ კენედი 1960 წელს გახდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მას პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე მოკლავდნენ. 60-იან წლების დასაწყისში ის უკვე გარკვევით გრძნობდა, როდის მოკვდებოდა კენედი.

საბედისწერო დღე ახლოვდებოდა, დიქსონი კი ამაოდ ცდილობდა, გაეფრთხილებინა პრეზიდენტი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ამ გამოცხადების, წინასწარმეტყველის ახლობლებასაც კი არ სჯეროდათ. როცა დრო უკვე საათებითღა იზომებოდა, შეშფოთებული ჯინ დიქსონი მიხვდა, რომ სასიკვდილო დარტყმა გარდაუვალი იყო. ის უაზროდ სცემდა ბოლთას თავის სასტუმრო ოთახში, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, საშინლად ეშინოდა. საბედისწერო გასროლა დალასში, 1963 წლის 22 ნოემბერს, 12 საათსა და 30 წუთზე გაისმა. მოგვიანებით, ჯინ დიქსონი ამბობდა, რომ ამ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ერთ ადამიანს ეკისრება... ■

„ТУТ ПОМНЮ, А ТУТ – УЖЕ НЕТ...“
ანუ ვინ ცდილობს სინამდვილეში ძველი ტრაქტატების ახლებურად წაკითხვას

დასაწყისი იხ. გვ. 6

ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს სიკეთეზე ყოველთვის უმადურობით პასუხობდა, შემდეგ კი საერთოდაც, დააკარგვინა სუვერენიტეტის ყოველგვარი ატრიბუტი. შემდეგ თავებში, — ვკითხულობთ ტექსტში, — აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის კატასტროფულ გაუარესებას აღწერს. ესაა გარეშე მტრების გააქტიურება, რუსეთის მიერ მისსავე შეთანხმებების იგნორირება და ვალებში ჩაფლული საქართველოს, ბედის ანაბრად მიტოვება, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება, სამეფოს გაუქმება, დაბოლოს, რუსეთის მიერ საქართველოს სრული ანექსია.

უნებლიეთ იფიქრებ: იქნებ, აქ რაღაც აერ-დაერიათო? ქართველი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1939-ში ის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსიც გახდა. საეჭვოა, რომ იმ დროში ცნობილი ისტორიკოსი ჯავახიშვილი, კრემლში დამკვიდრებული მეორე ცნობილი ქართველის ოპონენტი ყოფილიყო... ისე, ისტორიკოს ჯავახიშვილთან დაკავშირებით, გაუგებრობას ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი. ეს მაშინ მოხდა, როცა ხუთლარიან კუპიურებზე, რომლებიც ნიდერლანდებში (საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის ცოლის სამშობლოში) დაბეჭდეს, მისი მოგვარისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსის — მიხეილ ჯავახიშვილის სახელი წააწერეს...

ის, თუ რისთვის დასჭირდა დღევანდელ თბილისს რუსულ-ქართული ისტორიის „ახლებურად წაკითხვა“, — სავსებით გასაგებია. სააკაშვილი და მისი გუნდი ძლიერი მეზობლის მიერ შევიწროებულ-დამცირებული, მაგრამ საბოლოოდ მისი უღლიდან თავდაღწეული ამაყი ხალხის ხატის შექმნას ცდილობენ, რომელმაც გამოიღვიძა და განათლებულ ევროპასა და მოწინავე ამერიკაში ახალი ჭეშმარიტი მეგობრებიც შეიძინა. „რუსული ბარბაროსობიდან“ „მსოფლიო ცივილიზაციის სტანდარტებზე“ გადასვლის ყველა სირთულე ადვილად შეიძლება იმ დამხობილი იმპერიის მემკვიდრეთა ცბიერებითა და ბოროტი განზრახვებით აიხსნას, რომელთან მეზობლობის მძიმე ხვედრიც ერგო საქართველოს. და ამ მიზნით შექმნილი „ტრაქტატი ტრაქტატის შესახებ“ ისტორიის ძირითადი მომენტების გეზის მკვეთრად შეცვლის „ისტორიულ ბაზას“ ქმნის, რომელსაც თბილისი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაადგა.

საეჭვოა, რომ იმ დროში ცნობილი ისტორიკოსი ჯავახიშვილი, კრემლში დამკვიდრებული მეორე ცნობილი ქართველის ოპონენტი ყოფილიყო...

ცხადია, მახსოვრობა ყველას როდი უვარგა. მაგრამ პასუხისმგებლობის მქონე მკვლევრები თვით ამერიკაშიც კი, აღიარებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს — ომის შემდგომ წლებსა და ამ სახელმწიფოს არსებობის ბოლო ათწლეულებში — საქართველოში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, ცხოვრებისა და შემოსავლების ყველაზე მაღალი დონე იყო. რატომაც არა! უზარმაზარი ქვეყანა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც პოლარული წრის მიღმა მდებარეობს, ყოველწლიურად, იმ დროისთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ ზღვაზე მიემგზავრებოდა და თან, მზიან საქართველოში დასასვენებლად გადადებული ფულიც მიჰქონდა. ხოლო გამოუშავებული ფულის მეორე ნაწილს საბჭოთა ადამიანები იმ საუცხოო ხილში ხარჯავდნენ, რომელიც იმავე საქართველოში მოჰყავდათ.

„რუსული ბარბაროსობიდან“ „მსოფლიო ცივილიზაციის სტანდარტებზე“ გადასვლის ყველა სირთულე ადვილად შეიძლება იმ დამხობილი იმპერიის მემკვიდრეთა ცბიერებითა და ბოროტი განზრახვებით აიხსნას

90-იანი წლების დასაწყისში ქართველებმა, „მოსკოვის მითითებების გარეშე“, ახალი, დემოკრატიული ცხოვრების შენება დაიწყეს. მაგრამ სამწუხაროდ, ძალადობისა და სისხლის გარეშე მათ ეს ვერ შეძლეს. რუსეთის მოქალაქეებს კი, ზაფხულობით თურქეთსა და საბერძნეთში დასვენების საშუალება მიეცათ. იქ ხომ, სხვა რომ არაფერი, ტყვიებს მაინც არ ისროდნენ. საბჭოეთის დროინდელი შედარებითი კეთილდღეობა ქართველებს მალევე შემოადნათ ხელში. და ამაშიც ისევ ვიღაც სხვა დაადანაშაულეს. სხვათა შორის, გეორგიევსკის ტრაქტატის შესავალში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორმა „დიდსულოვნად“ ინება, მონობის უღლიდან და დამამცირებელი ვალდებულებებისგან ქართველების გათავისუფლება“. ხოლო საბჭოთა პერიოდში პარტიულ ტახტზე დაბრძანებულმა სტალინმა, თავის მხრივ, ისიც „ინება,“ რომ საქართველო კოლექტივიზაციისთვის, სხვა რესპუბლიკებივით ძალით და მთლიანად არ დაექვემდებარებინა.

გორბაჩოვის საჯაროობის წლებში, ეკრანებზე არნახული წარმატებით გადიოდა ქართველი რეჟისორის — თენგიზ აბულაძის პათოსურ-სიმბოლური ფილმი „მონანიება“. ფილმში იყო კინოსთვის დამახასიათებელი ერთი ასეთი მეტაფორა: გარდაცვლილი ბოროტი წინაპარი მთავარ გმირს მოსვენებას არ აძლევს: ჩაფლავენ მის გვამს მიწაში, მაგრამ მეორე დილით, ისევ სახლთან ჩნდება... და ეს კოშმარი გრძელდება მანამ, სანამ სასოწარკვეთილებამდე მისული გმირი საკუთარ წინაპარს საფლავიდან თავად არ ამოთხრის და უფსკრულში არ გადაუძახებს. ეს ძლიერი, მაგრამ საეჭვო მეტაფორაა. თუმცა, რევოლუციონერებისთვის „ძველი სამყაროსგან განდგომა“ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს...

დამკვიდრდება თუ არა ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც „კანონიკური“, ძველი ტრაქტატების ახლებურად წაკითხვა, გადაწერენ თუ არა თბილისში სასკოლო სახელმძღვანელოებს ახალი მითითებების შესაბამისად? რას მოუხერხებენ იმ დიდი ქართველების სახელებს, რომლებიც ჩვენს საერთო ისტორიაში არიან შესულნი? ყველა ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ დრო გასცემს... ■

რამდენად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით?

დაკვირვებულ კაცს, მხოლოდ გარეგნული ნიშნების მიხედვით, უამრავი რამის თქმა შეუძლია ადამიანზე. გახსოვთ, რა კარგად ფლობდა ამ ხელოვნებას შერლოკ ჰოლმსი? ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რამდენად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით.

1. თქვენ შედიხართ რომელიღაც დაწესებულებაში:

ა) ყურადღებას ამახვილებთ მაგიდებისა და სკამების განლაგებაზე — 3;

ბ) ყურადღებას ამახვილებთ ნივთების ზუსტ განლაგებაზე — 10;

გ) ათვალიერებთ იმას, რაც კედლებზე კიდია — 5.

2. ვინმესთან შეხვედრისას, თქვენ:

ა) მას მხოლოდ სახეში უყურებთ — 5;

ბ) შეუმჩნევლად ათვალიერებთ მას თავიდან ფეხებამდე — 10;

გ) მხოლოდ სახის ცალკეულ ნაკვთებზე ამახვილებთ ყურადღებას — 3.

3. შთამბეჭდავი პეიზაჟის ნახვის შემდეგ, რა გამახსოვრდებათ ყველაზე მეტად?

ა) ფერები — 10;

ბ) ცა — 5;

გ) შეგრძნება, რომელიც პეიზაჟის ხილვისას დაგეუფლათ — 3.

4. დილაობით როცა იღვიძებთ:

ა) მაშინვე გახსენდებათ ის, თუ რა უნდა გააკეთოთ იმ დღეს — 10;

ბ) იხსენებთ რა დაგესიზმრათ — 3;

გ) აანალიზებთ იმას, რაც წინადღით შეგემთხვათ — 5.

5. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას:

ა) ისე მიიწევთ წინ, რომ ზედაც არავის უყურებთ — 3;

ბ) ათვალიერებთ მათ, ვინც თქვენ ახლომახლო დგას — 5;

გ) თქვენთან ყველაზე ახლომყოფ ადამიანს ორიოდ სიტყვით გამოელაპარაკებით კიდეც — 10.

6. ქუჩაში ყოფნისას, თქვენ:

ა) ტრანსპორტის მოძრაობას აკვირდებით — 5;

ბ) სახლების ფასადებს ათვალიერებთ — 3;

გ) გამვლელებს ათვალიერებთ — 10.

7. მაღაზიის ვიტრინის ყურებისას:

ა) მხოლოდ იმით ინტერესდებით, რაც თქვენ გამოგადგებათ — 3;

ბ) ათვალიერებთ იმასაც, რაც იმ მომენტისათვის არაფერში გჭირდებათ — 5;

გ) ვიტრინაში გამოდებულ ყველა ნივთს ყურადღებით აკვირდებით — 10.

8. თუკი სახლში რაიმე ნივთს ეძებთ, თქვენ:

ა) ყურადღებას ამახვილებთ იმ ადგილზე, სადაც სავარაუდოდ, ამ ნივთის დადება შეგეძლოთ — 10;

ბ) ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში დაეძებთ — 5;

გ) ნივთის მოძებნაში ოჯახის წევრებს სთხოვთ დახმარებას — 3.

9. ახლობლების კოლექტიური ფოტოსურათის თვალიერებისას, თქვენ:

ა) შინაგან მღელვარებას განიცდით — 5;

ბ) სახეზე ღიმილი გერევათ — 3;

გ) მათ ამოცნობას ცდილობთ, ვინც ფოტოსურათზეა აღბეჭდილი — 10.

10. ვთქვათ, ისეთ აზარტულ თამაშში მონაწილეობა შეგთავაზეს, რომლის წესებიც თქვენთვის უცნობია. თქვენ:

ა) თამაშის წესებში გარკვევას შეეცდებით — 10;

ბ) მოკლე ხანში შეწყვეტთ თამაშს — 5;

გ) საერთოდ არ ითამაშებთ — 3.

11. პარკში შეხვედრა გაქვთ დათქმული და ახლობლის მოლოდინში:

ა) ყურადღებით ათვალიერებთ გამვლელებს — 10;

ბ) ეცნობით პრესას — 5;

გ) რაღაცაზე ფიქრობთ — 3.

12. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურებისას, თქვენ:

ა) თქვენთვის ნაცნობი თანავარსკვლავედის პოვნას ცდილობთ — 10;

ბ) უბრალოდ ათვალიერებთ ცას — 5;

გ) უმიზნოდ მიშტერებიხართ ცას — 3.

13. წიგნის კითხვისას, თქვენ:

ა) ფანქრით მონიშნავთ იმ ადგილს, სადამდეც გვერდი ჩაიკითხეთ — 10;

ბ) წიგნში სანიშნს მოათავსებთ — 5;

გ) პირდაპირ დახურავთ წიგნს, რადგან საკუთარი მახსოვრობის იმედი გაქვთ — 3.

14. რა ინფორმაციას ფლობთ საკუთარი მეზობლების შესახებ?

ა) იცით მათი სახელები და გვარები — 10;

ბ) მხოლოდ გარეგნობით ცნობთ მათ — 3;

გ) არც მათი ვინაობა იცით და ვერც გარეგნობით ცნობთ — 5.



ტესტის შედეგები

140-100 ქულა: — საოცრად დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით. ამასთან ერთად, საკუთარი თავისა და ქმედებების ანალიზის უნარითაც გამოირჩევით.

99-75 ქულა: საკმაოდ დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ზოგჯერ ვინმეზე წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი, ხელს გიშლით ობიექტურობაში.

74-45 ქულა: დიდად არ გაინტერესებთ და არც გაღელვებთ ის, თუ რა იფარება ამა თუ იმ ადამიანის გარეგნობისა თუ მანერების მიღმა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად, კარგად უგებთ ადამიანებს და მათთან ურთიერთობისას არანაირი ფსიქოლოგიური პრობლემები არ გექმნებათ.

45 ქულაზე ნაკლები: როგორც ჩანს, ახლომყოფთა აზრები და გუნება-განწყობილება საერთოდ არ გაინტერესებთ. თქვენ იმდენად დაკავებული ხართ და იმდენი საზრუნავი გაქვთ, რომ არამცთუ სხვების, საკუთარი ქცევის გასაანალიზებლადაც კი ვერ იცლით. თქვენი ამგვარი ქმედების გამო კი, გამორიცხული სულაც არ არის, რომ გარემოცვიდან ვიღაც-ვიღაცებმა ეგოისტად მიგიჩნიონ.



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ბარი; 2. ტრატორია; 3. ქათამი; 4. ვალსი; 5. ოტია; 6. აზატი; 7. მესოპოტამია; 8. რქაწითელი; 9. ლუწი; 10. ოლიმპი; 11. მასრა; 12. პალიასტომი; 13. სელაპი; 14. ბრასი; 15. რუპია; 16. რესურსი; 17. ლასო; 18. ალუბალი; 19. დასი; 20. რონალდო; 21. ატრია; 22. მალა; 23. ოკაპი; 24. კილიტა; 25. ტაქსა; 26. ჩამიჩი; 27. ჩიფსი; 28. ამაგი; 29. ალაო; 30. მათუსალა; 31. მისური; 32. სიო; 33. ზიდანი; 34. ლელო; 35. ვარიანი; 36. ბაირამი; 37. ვიოლა; 38. სანდალი; 39. დინგო; 40. ნასა; 41. ნოტა; 42. ლა; 43. პანამა; 44. ტატამი; 45. კოლტი; 46. პაბი.

სურათზე: ბრიუს უილისი; დემი მური.

ფეხბურთის ფანის უჩვეულო ფსონი

ერთ მშვენიერ დღეს, ბრიტანელი გულშემატკივარი კენ ჟაკი ცნობილ საბუკმეკერო კანტორას — William Hill-ს ესტუმრა და ფსონი (50 გირვანქა სტერლინგი) დადო იმაზე, რომ მისი საყვარელი საფეხბურთო კლუბი „ჰალ-სიტი“ აუცილებლად მოხვდებოდა პრემიერ-ლიგის გათამაშებაში მანამ, სანამ მას, ამ გუნდის გულმხურვალე გულშემატკივარს, მიქელ-გაბრიელი ეწვეოდა.

მოგების შემთხვევაში, 61 წლის კენ ჟაკი 1.000 გირვანქა სტერლინგს (1.900 დოლარი) მიიღებს. როგორც William Hill-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გრემ შარპმა აღნიშნა, მათ ფსონი ჯერ კიდევ 3 წლის წინ მიიღეს და მაშინ ფრიად საეჭვო იყო, რომ მისი საბოლოო შედეგი კენ ჟაკის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო — იმჟამად „ჰალ-სიტი“ მე-3 დივიზიონის აუტსაიდერი გახლდათ. მაგრამ 2006-07 წლის სეზონი, კლუბმა უკვე პირველ დივიზიონში თამაშით დაიწყო და სავარაუდოა, რომ გუნდს სანუკვარ პრემიერ-ლიგას ერთი ნაბიჯიღა აშორებს. „ჩემს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა საბუკმეკერო კანტორის მოთამაშემ საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობა საყვარელი კლუბის წარმატებას დაუკავშირა“, — ამბობს გრემ შარპი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველ დივიზიონში თამაში „ჰალ-სიტიმ“ წარუმატებლად დაიწყო — კლუბმა პირველსავე ორ შეხვედრაში მარცხი იწვნია. ■

„ბედის ირონია ანუ აბანო გაამოთ“ ამერიკულად

დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქალაქ ჩარლტონში მცხოვრებმა ქალბატონმა ისეთი საჩუქარი მიიღო, რომელზედაც ალბათ სამსახურიდან შინ დაღლილ-დაქანცული დაბრუნებული ნებისმიერი დიასახლისი იოცნებებდა.

ერთ მშვენიერ საღამოს, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ დები ფილიპსს მთელ სახლში ისეთი იდეალური წესრიგი დახვდა, რომ გაკვირდა.

ყველაფერი ისე იყო დალაგებულ-დასუფთავებული, რომ ყველაზე პრეტენზიული დიასახლისიც კი წუნს ვერაფერს დასდებდა. მთელ ამ სიტუაციაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ დებიმ ვერაფრით გაარკვია იმ იდუმალი ადამიანის ვინაობა, ვინც ესოდენ დიდი სიკეთე უყო. მისი მეუღლე დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ სახლი მას არ დაულაგებია; იმავეს იმეორებდნენ მეზობლები თუ ახლობლები, ვისაც კი დები ამის თაობაზე შეეკითხა. მიუხედავად იმისა, რომ სახლიდან არაფერი იყო წაღებული, ოჯახის დიასახლისმა მაინც გადაწყვიტა, პოლიციისათვის მიემართა. „პოლიციაში განვაცხადე, რომ ჩემს სახლში ვიღაც შევიდა და ძირფესვიანად დაალაგა, ამის გამგონე ოფიცერს ღიმილი მოერია და მკითხა — მაინც რა პრეტენზია გაქვთო?“ — ჰყვება მისის ფილიპსი.

საბოლოოდ, იდუმალებით მოცულ ამბავს მხოლოდ ერთი თვის შემდეგ აეხადა ფარდა. აღმოჩნდა, რომ იმ დღეს ფილიპსების კოტეჯის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრებ მეზობელს საკუთარ სახლში სააგენტოდან გამოუძახებია დამლაგებელი ქალი. ყველაზე საინტერესო კი ამ გაუგებრობაში ის გახლავთ, რომ არა მარტო კოტეჯების ნომრები, ოთახების რაოდენობა და გასაღებები დაემთხვა ერთმანეთს, არამედ ის ადგილიც, სადაც ორივე ოჯახის წევრები შინიდან წასვლისას გასაღებებს ინახავდნენ. ამდენი უცნაური დამთხვევის შედეგი კი გახლდათ ის, რომ დამლაგებელს სახლები აერია... ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	5	2	8	1	6	4	9	7
8	4	6	7	9	2	5	1	3
7	9	1	3	4	5	8	2	6
5	1	8	4	7	9	6	3	2
6	2	4	1	5	3	7	8	9
9	7	3	2	6	8	1	4	5
1	6	9	5	3	4	2	7	8
4	8	5	9	2	7	3	6	1
2	3	7	6	8	1	9	5	4

3	4	8	7	5	9	1	6	2
9	7	1	3	6	2	8	4	5
2	5	6	8	4	1	7	9	3
5	2	9	4	7	3	6	8	1
6	1	4	9	2	8	5	3	7
7	8	3	5	1	6	4	2	9
4	6	2	1	9	7	3	5	8
1	3	5	2	8	4	9	7	6
8	9	7	6	3	5	2	1	4

1	6	4	2	9	7	3	5	8
9	5	8	3	6	4	7	1	2
7	3	2	5	1	8	9	4	6
4	7	3	6	8	5	1	2	9
5	8	9	1	2	3	6	7	4
2	1	6	4	7	9	5	8	3
6	4	5	7	3	2	8	9	1
3	9	7	8	4	1	2	6	5
8	2	1	9	5	6	4	3	7

* მარტივი

1	3		9		8		5	7
7	2		1		5		6	8
				6				
6	7						9	1
		2				5		
4	5						2	3
				5				
8	6		2		9		4	5
9	4		8		6		1	2

** საშუალო

6								7
	9	1				6	8	
		7	8		9	4		
9			1		8			6
			4	2	5			
3			6		7			2
		2	3		1	8		
	6	4				3	7	
1								4

*** რთული

4		9				2		6
			3		9			
	8		4	5	6		1	
8								2
		5	8	6	2	7		
6								9
	7		1	3	4		2	
			2		8			
2		1				3		7

ფოტოკუთხეები





Premier by Dead Sea Premier

ნიღაბი ღამის ფეხრის

6 6/34

ეკონომიკური ტიპი

ღაჯილდოვებული
ჩოგბურთის საუკეთესო
პროდუქტი

ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
მ.პ.ს. ი.ლ. პრემიერი
www.il-premier.ge